

1180/2
1987



ISSN 0206-2100

ქართული
საბჭოთავო
კულტურა

VII

«მეცნიერება»




საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ქართული წყაროთმცოდნეობა

VII



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1987

902 + 902(სიკი)

63.2 (2 F)
902 (47.922)
ქ-279

ქართული მუსიკის ისტორია

2 მუსიკის ისტორია

ქართულში შესული გამოკვლევები ეძღვნება წყაროთმცოდნეობის თეორიული და მეთოდური პრობლემების დამუშავებას, ქართული, ბერძნული, სომხური, არაბული, სპარსული, თურქული წერილობითი ისტორიული ქმედებების კონკრეტულ-წყაროთმცოდნეობით დახასიათებას, ქართული წყაროთმცოდნეობის ისტორიის საკითხების შესწავლას. კრებულში ქვეყნდება აგრეთვე რამდენიმე უცნობი ისტორიული წყაროს ტექსტი.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტორი რევაზ კიკნაძე

რეცენზენტები — ისტ. მეცნ. დოქტორი ზ. ალექსიძე
ისტ. მეცნ. კანდიდატი უ. სიღამონიძე

18631
4

საქსტო კ. მარია
სახ. სახ. რის ბ.
ბიბლიოთეკა

0503000000
M 607 (06)—87 189—87

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

რევაზ კიკნაძე

თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ზოგიერთი
აქტუალური პრობლემა

ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაში წყაროთმცოდნეობას, როგორც მის ტრადიციულ და აუცილებელ დარგს, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ჯერ კიდევ ძველ ხანაში, როცა გაჩნდა საჭიროება სხვადასხვა სახის ინფორმაციის ჩაწერის, დოკუმენტის შედგენის თუ მისი უტყუარობის დადგენის, სამშენებლო ან სხვა სასიათის წარწერის ამოკვეთისა და ა. შ., თანდათანობით შეიქმნა აგრეთვე მათი შესრულების ხერხებისა და საშუალებათა ერთობლიობაც. ამდენად, წყაროთმცოდნეობა პრაქტიკული საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა¹. ძველი მემკვიდრეობის თუ გადამწერ-რედაქტორები უკვე პირველი პრაქტიკოსი წყაროთმცოდნეები იყვნენ და თავიანთ საქმიანობაში ტრადიციით განმტკიცებული გარკვეული ხერხებითა და მეთოდებით სარგებლობდნენ.

ამიტომ არის წყაროთმცოდნეობა ტრადიციული დარგი. ის ისტორიულ ცოდნასთან ერთად ისახება და მის მხარდამხარ ვითარდება. თუ ისტორიული ცოდნა მეცნიერებად იქცევა მაშინ, როცა შეიცნობს წყაროების კრიტიკული ანალიზის აუცილებლობას, წყაროთმცოდნეობა საბოლოოდ მაშინ ჩამოყალიბდა საკუთარი საგნისა და კვლევის სპეციფიკური მეთოდების მქონე, დამოუკიდებელ მეცნიერებად, როცა დამუშავდა მისი ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ეს მოხდა XIX ს-ის მეორე ნახევარში, ხოლო საქართველოში — XX ს-ის პირველ მეოთხედში².

როგორც ითქვა, წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების აუცილებელი დარგია. აუცილებელია იმიტომ, რომ ისტორიული კვლევა-ძიების საფუძველს შეადგენს. წყაროთმცოდნეობითი ძიებანი ხელს უწყობენ უმთავრესი ისტორიული წყაროების უფრო ღრმად, ყოველმხრივ შესწავლას, ამდიდრებენ მათი ანალიზის მეთოდების არსენალს და უზრუნველყოფენ მტკიცე საფუძვლის შექმნას მაღალხარისხოვანი გამოკვლევების დასაწერად.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გამოცოცხლდა კვლევითი საქმიანობა წყაროთმცოდნეობის დარგში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ისტორიული მეცნიერების განვი-

¹ С. О. Ш м и д т. Современные проблемы источниковедения. — В кн.: Источниковедение. Теоретические и методические проблемы. М., 1969, с. 11.

² Г. М. И в а н о в. Основные принципы марксистско-ленинской теории исторического источника.—В кн.: Источниковедение отечественной истории, 1979. М., 1980, с. 6—7; რ. კ ი კ ნ ა ძ ე. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა.—ქართული წყაროთმცოდნეობა, V. თბ., 1976, გვ. 95.

თარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია სულ უფრო მხარდა
ყურადღება წყაროთმცოდნეობითი პრობლემების დამუშავების მიმართ³.

რატომ ხდება ასე?

ისტორიული მეცნიერების განვითარებასთან ერთად თანდათან ფართოვ-
დება და რთულდება შესასწავლი პრობლემების წრე. ამავდროს, რამდენა-
დაც ახალი, უცნობი წერილობითი წყაროების რამდენადმე მნიშვნელოვანი
მასივების გამოვლენის შესაძლებლობანი არსებითად ამოწურულია, თანდა-
თან იზრდება შეუსაბამობა ისტორიკოსისათვის ამა თუ იმ მოვლენის დასახა-
სითებლად საჭირო ინფორმაციასა და წყაროში შემონახულ მასალას შორის,
ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკვე კარგად ცნო-
ბილი წყაროების ხელახლა შესწავლას მათი ინფორმაციული შესაძლებლობე-
ბის გაზრდის მიზნით. სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ არის აღნიშ-
ნული, რომ ისტორიული შემეცნების პროგრესი არ განისაზღვრება ისტორი-
ული წყაროების მხოლოდ ახალი ჯგუფების გამოვლენითა და სამეცნიერო
ბრუნვაში შემოტანით. ისტორიული მეცნიერების წინსვლა არანაკლებ არის
დამოკიდებული იმაზე, რომ მკვლევართა ახალი თაობები ისეთ მონაცემებს
პოულობენ ადრე ცნობილ წყაროებში, რომლებიც მანამდე შეუმჩნეველი
რჩებოდათ ისტორიკოსებს⁴. ეს არის თანამედროვე ისტორიული მეცნიერების
უფრო რთული და შრომატევადი, ვიდრე ახალი წყაროების ძიების, მაგრამ
ამავდროს უფრო პერსპექტიული, უფრო მეცნიერული და, რაც მთავარია,
უფრო ნაყოფიერი გზა.

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა კვლევითი საქმიანობის მკვეთრი გა-
აქტიურება წყაროთმცოდნეობის დარგში, რადგან აუცილებელი შეიქმნა ახა-
ლი, უფრო სრულყოფილი ხერხებისა და მეთოდების ძიება წყაროდან მაქსი-
მალურად სრული ინფორმაციის მისაღებად, მასში ფარული ინფორმაციის გა-
მოსავლენად⁵.

ამიტომაც არის, რომ სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა წყაროთმცოდ-
ნეობითი პრობლემების დამუშავებას, რაც განაპირობებს წყაროთმცოდნეობის
როლისა და მნიშვნელობის ზრდას საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში.
მეცნიერების ამ დარგში მუშაობის შესამჩნევად გაძლიერების მათწყებელია
სპეციალური წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევების (მონოგრაფიების, წერი-
ლების კრებულების) რაოდენობისა და ხარისხის მკვეთრი გაზრდა, საკავშირო,
რეგიონალური თუ რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციებისა და სესიების
გამართვა.

ასეთი სწრაფი განვითარების წყალობით, უკანასკნელი წლების მანძილზე
წყაროთმცოდნეობამ ჩვენს თვალწინ რამდენიმეჯერ შეიცვალა სტატუსი. ის
ჯერ დამხმარე ან მთავარი დამხმარე ისტორიული დისციპლინა იყო, მერე
სპეციალური გახდა, მალე დამხმარე და სპეციალური დისციპლინების კომპ-
ლექსი ეწოდა, ბოლოს კი ისტორიული მეცნიერების სპეციალურ ან კომპლექ-
სურ დარგად იქნა აღიარებული⁶.

³ И. Д. К о в а л ь ч е н к о. Исторический источник в свете учения об информа-
ции.—„История СССР“, 1982, № 3, с. 129.

⁴ А. И. Д а н и л о в. Марксистско-ленинская теория отражения и историческая
наука.—Сб. Средние века, вып. 24. М., 1963, с. 11—12.

⁵ И. Д. К о в а л ь ч е н к о. Исторический источник в свете учения об информа-
ции, с. 131.

⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი ლიტერატურა არსებობს. იხ. მაგალითად:
И. А. Б у л ы г и н, Л. Н. П у ш к а р е в. Источниковедение. — Советская истори-
ческая энциклопедия, т. 6. М., 1965, стб. 592; А. И. Г у к о в с к и й. О некоторых

რაც მთავარია, ყველაფერი ეს უბრალო ტერმინოლოგიური ვარჯიში არ არის, არამედ მეტ-ნაკლებად ზუსტი ასახვა იმ საფეხებით რეალური ტვისებრივი ცვლილებებისა, რაც წყაროთმცოდნეობაში ხდება მისი როლისა და მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად.

უნდა ითქვას ისიც, რომ ისტორიულ მეცნიერებათა სისტემაში წყაროთმცოდნეობის მდგომარეობის მუდმივი ცვლის გამო ყველა მკვლევარი როდი ასწრებს შესაბამის ცვლილებათა დროულად აღქმას. ამიტომ ზოგიერთი მეცნიერი (განსაკუთრებით ძინი, ვინც საგანგებოდ არ სწავლობს დეფინიციის საკითხებს) ტრადიციულად, დამხმარე დისციპლინად აღიარებს წყაროთმცოდნეობას, მაშინ როცა სხვები განიხილავენ მას როგორც ცოდნის რთულ სისტემას, ისტორიული მეცნიერების კომპლექსურ დარგს. ასეთი ვითარებაა, კერძოდ, წყაროთმცოდნეობის ზოგიერთ სახელმძღვანელოში. მათი ავტორები, ინერციის ძალით, დამხმარე დისციპლინას უწოდებენ მეცნიერების ამ დარგს⁷, რაც შეიძლება შესაბამისი სასწავლო პროგრამების „კონსერვატიულობით“ იყოს გაპირობებული.

საერთოდ კი აღბათ მთავარია არა ის თუ რას დავარქმევთ წყაროთმცოდნეობას, არამედ რა როლს ასრულებს ის ისტორიული შემეცნების პროცესში. ამავე დროს, ყოველი სამეცნიერო დისციპლინის უპირველესი ამოცანაა თავისი საკუთარი საკვლევი ობიექტისა და საგნობრივი სფეროს განსაზღვრა, დეფინიციების სრულყოფა და დაზუსტება. ამის გამო, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვადასხვა სპეციალობის მკვლევარი მეცნიერების განვითარების კვალობაზე დროდადრო უბრუნდებიან მისი საგნის ცნებას. ზუსტდება როგორც თვითონ ცნება, ისე მისი ურთიერთობანი მეცნიერების სხვა თეორიულ-მეთოდოლოგიურ კატეგორიებთან⁸. ასეთივე მდგომარეობაა, კერძოდ, წყაროთმცოდნეობაშიც.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული წყაროთმცოდნეობის მიზანსა და ამოცანებზე, მის შინაარსზე⁹. თუმცა ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ეს არის მეცნიერება ისტორიული წყაროების შესახებ, რომელიც საგანგებოდ იკვლევს წერილობით ძეგლებს. ამავე დროს გამოჰყოფენ მთავარს მის საქმიანობაში: ისტორიული წყაროების ძიება, წყა-

терминах вспомогательных исторических дисциплин.—„Вопросы истории“, 1965, № 10, с. 62—65; С. О. Ш м и д т. Современные проблемы источниковедения, с. 13—14; Л. В. Ч е р е п н и н. К вопросу о методологии и методике источниковедения и вспомогательных исторических дисциплин.—В кн.: Источниковедение отечественной истории, I. М., 1973, с. 36—42; А. П. П р о н ш т е й н. О предмете источниковедения как научной исторической дисциплины.—„История СССР“, 1977, № 5, с. 173; Л. Е. Ш е п е л е. Источниковедение и вспомогательные исторические дисциплины: К вопросу о их задачах и роли в историческом исследовании.—В кн.: Вспомогательные исторические дисциплины, XIII. Л., 1982, с. 4—9; В. В. Ф а р с о б и н. Источниковедение и его метод. М., 1983, с. 28—48; М. А. В а р ш а в ч и к. Историко-партийное источниковедение. Киев, 1984, с. 84—89. გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, გ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე. ქართული საბჭოთა წყაროთმცოდნეობა. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1981, № 1, გვ. 147; რ. კ ი ც ნ ა ძ ე. წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდის ზოგიერთი საკითხი. — ქართული წყაროთმცოდნეობა, VI. თბ., 1985, გვ. 39.

⁷ Источниковедение истории СССР. Издание второе, переработанное и дополненное. Под ред. И. Д. К о в а л ь ч е н к о. М., 1981, с. 11; И. В. Г р и г о р ь е в а. Источниковедение новой и новейшей истории стран Европы и Америки. М., 1984, с. 6.

⁸ М. А. В а р ш а в ч и к. Историко-партийное источниковедение, с. 78—79.

⁹ იხ. შენიშვნა 6.

როს როგორც ისტორიული ფაქტის შესწავლა, ისტორიულ წყაროთა შესწავლის, გამოსაცემად მომზადებისა და გამოყენების მეთოდებისა და ხერხების შემუშავება.

ამ ძირითადი კომპონენტების გათვალისწინებით, წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების კომპლექსური დარგია. ის ორგანულად აერთიანებს სპეციალურ ისტორიულ დისციპლინებს¹⁰, განაზოგადებს მათ მონაცემებს და ქმნის წერილობითი ისტორიული წყაროების გამოვლენის, შესწავლის, გამოცემისა და გამოყენების ერთიან თეორიასა და მეთოდოლოგიას.

როგორც ვხედავთ, მოცემულ განმარტებაში გათვალისწინებულია წყაროს მეცნიერული ძიებისა და გამოვლენის ფუნქცია (ევერისტიკა), რასაც ყოველთვის არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება. თეორიული პრობლემების დამუშავებასთან ერთად წყაროთმცოდნეობის შინაარსს შეადგენს წერილობითი ძეგლების შესწავლასთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობა (წყაროთმცოდნეობითი პრაქტიკა). წარმოდგენილი დეფინიციის მიხედვით, წყაროთმცოდნეობის საგნობრივ სფეროს განეკუთვნება წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის თეორიისა და მეთოდების დამუშავება (არქეოგრაფიული საქმიანობა), მათი პუბლიკაცია კი წყაროთმცოდნეობის გამოყენებითი ფუნქციაა.

ამ განმარტებაში გათვალისწინებულია თანამედროვე წყაროთმცოდნეობის ორივე ძირითადი ასპექტი — თეორიული და კონკრეტული კვლევა. აქვე ხაზგასმულია, რომ ისტორიული წყაროთმცოდნეობა შეისწავლის წყაროთა ძირითად ტიპს — წერილობით წყაროებს. სხვა ტიპის ისტორიულ წყაროებს — ნივთიერს, ეთნოგრაფიულს (მათ ზოგჯერ ქვევითაც უწოდებენ), ფოლკლორულს, ლინგვისტურს — მოიპოვებენ, შეისწავლიან და გამოსცემენ შესაბამისი მეცნიერებანი (არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ფოლკლორისტიკა, ლინგვისტიკა). ისტორიკოსი წყაროთმცოდნის შუამავლობის გარეშე იყენებს მათ. შესაბამისად იქმნება დარგობრივი წყაროთმცოდნეობანი — არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური...

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ყოველი ისტორიკოსი იმავე დროს წყაროთმცოდნეც არის¹¹. ეს გამარტივებული შეხედულება უთუოდ ემყარება წყაროთმცოდნეობის არსის მოძველებულ გაგებას, მისი ამოცანებისა და საგნის შეუფასებლობას. თუ წყაროთმცოდნეობას მივიჩნევთ მხოლოდ დამხმარე გამოყენებით დისციპლინად, ანდა წყაროთმცოდნეობას დავარქმევთ წყაროთა მონაცემების უბრალო გამოყენებას ისტორიკოსის ყოველდღიურ საქმიანობაში, მასშინ მართლაც მოგვიწევდა ყველა ისტორიკოსის წყაროთმცოდნედ გამოცხადება. მაგრამ, როგორც ვნახეთ, წყაროთმცოდნეობას გაცილებით უფრო რთული და მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ამოცანები აქვს დასახული, რომელთა განხორციელებას საფუძვლიანი სპეციალური მომზადება, სპეციალური პროფესიული ჩვევების ათვისება სჭირდება.

¹⁰ მათ „წყაროთმცოდნეობით სპეციალურ დისციპლინებს“ ან „წყაროთმცოდნეობითი ციკლის სპეციალურ ისტორიულ დისციპლინებს“ უწოდებენ. ესენია: არქეოგრაფია, არქეომცოდნეობა, დიპლომატიკა ეპიგრაფიკა, ეპისტოლოგრაფია, კოდიკოლოგია, ნუმიზმატიკა, პალეოგრაფია, სერაგისტიკა, ტექსტოლოგია და ზოგი სხვა ძველი თუ ახალი დისციპლინა.

¹¹ А. И. Г у к о в с к и й. О некоторых терминах вспомогательных исторических дисциплин, с. 54; А. Г. К у з ь м и н. Начальные этапы древнерусского летописания. М., 1977, с. 9—12; Материалы симпозиума по актуальным проблемам источниковедения. — В кн.: Источниковедение отечественной истории, 1976. М., 1977, с. 239, 241.

წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების დამოუკიდებელი დარგია თავისი საკუთარი საგნითა და კვლევის მეთოდებით, თავისი თეორიითა და ისტორიოგრაფიით. ისტორიულ წყაროს ის არ განიხილავს ძველებურად ვიწროდ, როგორც მხოლოდ მასალას კონკრეტული საკვლევი თემისათვის. ისტორიული წყაროს სოციალური ბუნების დადგენას მოჰყვება კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი გაფართოება. თანამედროვე წყაროთმცოდნეობაში ისტორიული წყარო შესისწავლება როგორც კვლევის დამოუკიდებელი ობიექტი, ისევე როგორც არქეოლოგი სწავლობს ნივთიერ მასალას, ეთნოგრაფი — წეს-ჩვეულებებს, ლიტერატურათმცოდნე — ლიტერატურულ ძეგლებს, ხელოვნებათმცოდნე — ხელოვნების ნაწარმოებებს, ენათმეცნიერი — ენის ძეგლებს. ისტორიული წყარო ახლა განიხილება როგორც გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა, გარკვეული სოციალური გარემოს ნაყოფი, როგორც ისტორიული სინამდვილის განუყოფელი ნაწილი¹². ამდენად, ყველა ისტორიკოსი არ არის წყაროთმცოდნე და არც არის საჭირო რომ იყოს, ისევე როგორც ყველა ისტორიკოსი არ მონაწილეობს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციებში, არ ლებულობს მონაწილეობას ამ გზით მოპოვებული მასალების შესწავლა-დამუშავებაში, გამოსაცემად მომზადებასა და ანალიზში და ა. შ. საგანგებო დასპეციალება და პროფესიული ცოდნა აუცილებელია არათუ ისტორიული მეცნიერების ცალკეულ დარგებში სამუშაოდ, არამედ სხვადასხვა ეპოქის (ძველი, შუა საუკუნეების, ახალი, უახლესი) ისტორიის საკითხებზე და, საერთოდ, ნებისმიერ სამეცნიერო პრობლემაზე სერიოზული კვლევითი მუშაობისათვის.

რა თქმა უნდა, არავითარი გადაულახავი ზღუდე ისტორიკოსსა და წყაროთმცოდნეს შორის არ არსებობს. არის მხოლოდ პროფესიული ცოდნა, მუშაობის გამოცდილება და კვლევის მეთოდიკა. ბევრი ისტორიკოსი დაუფლებულია ისტორიული წყაროს წინასწარი მეცნიერული კრიტიკის, მისი პალეოგრაფიული, ტექსტოლოგიური, არქეოგრაფიული შესწავლის ხერხებსა და მეთოდებს და თვითონვე აწვადებს წერილობით ძეგლს კვლევით საქმიანობაში გამოსაყენებლად. ამავე დროს არაერთი წყაროთმცოდნე სპეციალისტი წარმატებით იკვლევს ისტორიის კონკრეტულ პრობლემებს. მაგრამ ამჯერად საქმე ეხება არა ცალკეულ (თუნდაც საკმაოდ ხშირ) გამონაკლისებს, არამედ ზოგად დებულებას. ამ გაგებით კი, ვიმეორებთ, არ შეიძლება, რომ ყველა ისტორიკოსი წყაროთმცოდნე იყოს¹³.

აქვე დგება ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის წყაროსადმი განსხვავებული მიდგომის საკითხი. ცნობილია, რომ ისტორიკოსი ისტორიულ ძეგლთან მიღის გარკვეული კონკრეტული სამუშაოსათვის მასალის ამოღების მიზნით. მას, საესებით კანონზომიერად, აინტერესებს საკუთარი საკვლევი თემისათვის გამოსადეგი მასალა და არა მთელი ძეგლი როგორც ისტორიული წყარო, როგორც ისტორიული სინამდვილის ფრაგმენტი. ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შესასწავლ წყაროთა ბაზა ხშირად საკმაოდ რთული შედგენილობისაა. ის-

¹² С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 25; А. Г. Тартаковский. Социальные функции источников как методологическая проблема источниковедения.—„История СССР“, 1983, № 3, с. 112; М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 81—82.

¹³ ვ. ვარშავჩიკის აზრით, თუ ყველა ისტორიკოსი წყაროთმცოდნეა, სამაგიეროდ ყველა წყაროთმცოდნეც ისტორიკოსია, რადგან ისტორიული ცოდნა ანიჭებს მას წყაროს წარმოქმნის პირობების, პოტენციური წყაროს რეალურ ისტორიულ პროცესში ფუნქციონირების გაგებას (М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 90).

ტორიკოსმა მრავალი სხვადასხვა წყაროს მონაცემებით უნდა ისარგებლოს მხოლოდ მისი წერის დროს. წყაროთმცოდნეს კი აინტერესებს ერთი გარკვეული ძეგლი ან ძეგლთა ჯგუფი მთლიანად, მისი მთელი ისტორია ეტაპობრივად, შექმნის დღიდან, მისი ყველა თავისებურება, ყველა ცნობა, როგორც სანდო და ღირებული, ისევე ნაკლებად სანდო და ნაკლებ ღირებულიც.

ისტორიკოსი სწავლობს ყველა მისაწვდომ წყაროს თავისი კონკრეტული საკვლევი თემისათვის ნაწილობრივ გამოყენების მიზნით, წყაროთმცოდნე კი იკვლევს მხოლოდ ერთ ან ერთი სახის რამდენიმე წერილობით ძეგლს, მაგრამ ყოველმხრივ შეისწავლის მათ. სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან განსხვავებით, წყაროთმცოდნეობა ისტორიულ წყაროს და მისი შესწავლის მეთოდებს განიხილავს როგორც თავის საკვლევ საგანს¹⁴.

ამდენად, ისტორიკოსი წყაროს მომხმარებელია (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), რამდენადაც ის ისტორიის ერთ კონკრეტულ პრობლემასზე წერს გამოკვლევას და ამ მიზნით იყენებს სხვადასხვა წყაროს მონაცემებს, წყაროთმცოდნე კი წყაროს მსახურია. ის საგანგებო გამოკვლევას წერს თვითონ წყაროს შესახებ, განიხილავს მას როგორც ისტორიულ ფაქტს, შეისწავლის მის ისტორიას, ადგენს მისი განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, ცნობათა სანდოობას, შეიმუშავებს მისი გამოყენების მეთოდებს.

საბჭოურ მეცნიერებაში დასმულია ისტორიული წყაროს სტადიურობის შესწავლის საკითხი, მოცემულია ცდა „ისტორიული ძეგლის“ და „ისტორიული წყაროს“ ცნებათა გამიჯვნისა. შემოღებულია „ბოტენციური წყაროს“ ცნება, აღნიშნულია, რომ ამა თუ იმ საკითხის გასაშუქებლად შერჩეული ძეგლი მხოლოდ მეცნიერული კრიტიკის მეთოდებით შესწავლის შემდეგ იქცევა ისტორიულ წყაროდ¹⁵. ზაზგასმულია ისიც, რომ ისტორიული ძეგლის წარმოშობის, ნამდვილობის, უტყუარობის დადგენით წყაროთმცოდნე ამზადებს მას იმ ამოცანათა შესაბამისად, რომელთაც შემდგომ ისტორიკოსი დააყენებს ამ ძეგლის წინაშე. ამგვარად, წყაროთმცოდნის საქმიანობის შედეგი ისტორიკოსის მოღვაწეობაში ობიექტის სახით გამოდის¹⁶.

ამაში მდგომარეობს, ჩვენი აზრით, ძირითადი არსი ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის წყაროს მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებისა, რაც გაპირობებულია პირველ რიგში, თავდაპირველი ამოცანითა და მიზნით. აქაც

¹⁴ О. М. М е д у ш е в с к а я. Современное зарубежное источниковедение. М., 1983, с. 5.

¹⁵ მოსაზრება ისტორიული ძეგლის და ისტორიული წყაროს განსხვავებული ვაგების შესახებ ჯერ კიდევ 1914 წელს გამოთქვა ი. კოლესნიკოვმა (იხ. Л. Н. Пушкарев. Понятие исторического источника в некоторых работах советских философов.—В кн.: Источниковедение отечественной истории, 1975. М., 1976, с. 79). მ. პოლივექტოვი 1937 წელს წერდა, რომ „ისტორიული ძეგლი შეიძლება ვუწოდოთ ადამიანთა საზოგადოების წარსული ცხოვრების ყოველ ნაწილს თავისთავად, — მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა მეცნიერება მას, როგორც ისტორიულ წყაროს. ისტორიული ძეგლი ისტორიულ წყაროდ იქცევა იმ მომენტიდან და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მეცნიერება მისგან იღებს მისთვის საჭირო ცნობებს“ (მ. პოლივექტოვი. სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობა (კონსპექტი). თბ., 1937, გვ. 3). ამ იდეამ შემდგომი განვითარება პპოვა თანამედროვე მეცნიერებაში (იხ. М. К. Макаров. К вопросу о терминологии в источниковедении истории СССР.—Труды МГИАИ, т. 17. М., 1963, с. 6; С. О. Шмидт. Современные проблемы источниковедения, с. 30—31).

¹⁶ Г. А. Антипов. Исторический источник и его функция в историческом исследовании.—Сб.: Проблемы исследования структуры научного познания. Новосибирск, 1970, с. 203—204; он же. Место источниковедения в системе историкографического исследования.—Там же, с. 217.

არ უნდა დავინახოთ ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის დაპირისპირება. შეიძლება ერთმა მეკვლევარმა შეისწავლოს ესა თუ ის ძველი წყაროთმცოდნეობის თვალსაზრისითაც და გამოიყენოს ის წყაროდ ისტორიული ხასიათის გამოკვლევაში. აქ საუბარია შრომის განაწილებაზე, განსხვავებულ მიზნებსა და მეთოდებზე, რაც თავს იჩენს ისტორიული წყაროს მიმართ ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის დამოკიდებულების საკითხში.

წყაროთმცოდნეობითი კვლევა, როგორც ითქვა, ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართება: ზოგადთეორიული და კონკრეტულ-პრაქტიკული. ორივე ეს მიმართულება თანაბრად მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის, თუმცა, როგორც წესი, ჭარბობს კონკრეტული წყაროთმცოდნეობითი ძიებანი. ეს ვასაგებიც არის. წყაროთმცოდნეობით პრაქტიკას ვადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიული მეცნიერებისათვის. ამავე დროს, ფართო თეორიულ განზოგადებათა საჭიროება მხოლოდ მეცნიერების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე იქმნება¹⁷, რადგან თეორიული კვლევისათვის აუცილებელია გარკვეული ცოდნის მარაგისა და გამოცდილების დაგროვება.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წყაროთმცოდნეობის ამ ორი მიმართულების ურთიერთდაპირისპირება ანდა, იმით უმეტეს, მეცნიერების დაყოფა თეორიულ და კონკრეტულ წყაროთმცოდნეობად. თეორიული და კონკრეტული კვლევა-ძიება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და უზრუნველყოფს ისტორიული წყაროს ყოველმხრივ შესწავლას, წყაროდან სრულფასოვანი და სარწმუნო ინფორმაციის მიღების მეთოდის შექმნას, ამ ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზს. წყაროთმცოდნეობის თეორია განაპირობებს კონკრეტული გამოკვლევების პროფესიული დონისა და ეფექტიანობის ამაღლებას, ხოლო წყაროთმცოდნეობით პრაქტიკას თავის მხრით პრინციპული მნიშვნელობა აქვს თეორიულ ძიებათა გაფართოებისათვის.

უკანასკნელ წლებში აშკარად საგრძნობი ვახდა ინტერესის გაზრდა წყაროთმცოდნეობის თეორიისა და მეთოდოლოგიის მიმართ. წყაროთმცოდნეობის თეორია შეისწავლის ისტორიული წყაროების საერთო თვისებებს, მათი განვითარების ზოგად კანონზომიერებებს, შეიმუშავებს მათი კვლევის მეთოდებს, წყაროდან მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მიღების გზებსა და საშუალებებს, ამ მასალის სანდოობისა და უტყუარობის დადგენის ხერხებს. დღეს წყაროთმცოდნე ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრშია ისეთი პრობლემები, როგორც არის: წყაროთმცოდნეობის როგორც მეცნიერების მოცულობა და სტრუქტურა, მისი საგანი და ამოცანები; წყაროთმცოდნეობისა და სპეციალური ისტორიული დისციპლინების ურთიერთმიმართება, სპეციალური წყაროთმცოდნეობითი დისციპლინის ცნება; ისტორიული წყაროს ცნება, მისი ფორმა და შინაარსი; ისტორიული წყარო და ისტორიული ფაქტი; ისტორიული წყაროების კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია; წყაროების სახეთა წარმოქმნისა და ევოლუციის კანონზომიერებანი; წყარო როგორც ისტორიული მოვლენა, მისი სოციალური ბუნება: ობიექტურისა და სუბიექტურის თანაფარდობა ისტორიულ წყაროში, ისტორიული სინამდვილის ასახვის სისრულე და ადეკვატურობა; ისტორიული წყაროს ინფორმაციული შესაძლებლობანი; წყაროს მეცნიერული კრიტიკის, მისი ინფორმაციული მასალის ანალიზის ძირითადი პრინციპები და მეთოდები და ა. შ.

¹⁷ რ. კიკნაძე. წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდის ზოგიერთი საკითხი, გვ. 42.

სულ უფრო მეტ ადგილს იკავებენ თეორიული პრობლემები ქართველ წყაროთმცოდნეთა საქმიანობაში. მართალია, ჩვენ ჯერ ცოტა გვაქვს ფართო თეორიულ განზოგადებათა შემცველი ნაშრომები, მაგრამ კვლევა ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს და თანდათან ფართოვდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქართული ისტორიული წყაროების ხანგრძლივი კვლევის პროცესში მიღებული შედეგების განზოგადებას, ზოგადი მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავებას ადგილობრივ მასალაზე დაყრდნობით. ეს მიმართულება უტყუარი მოწმობაა ქართული წყაროთმცოდნეობის მეცნიერული სიმწიფისა, ქართველ მკვლევართა გაზრდილი შემოქმედებითი აქტიობისა. კვლევა ამ მიმართულებით თანდათან გაფართოვდება, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის პროფესიული დონის შექმნაში ამაღლებას და ახალი ორიგინალური დასკვნებით გაამდიდრებს საბჭოურ ისტორიულ მეცნიერებას.

უნდა ითქვას, რომ ჩამოთვლილი თეორიული პრობლემები წყაროთმცოდნეობის მართლმართული პრობლემებია. ისე არ ხდება, რომ იდევს წყაროთმცოდნეობის საგანი ან ამოცანები დადგინდება, ხვალ ისტორიული წყარო განისაზღვრება, მერე კი წყაროთა საბოლოო კლასიფიკაცია მოხდება და ა. შ. იმ დღიდან, რაც დაიწყო წყაროთმცოდნეობის თეორიული საკითხების კვლევა, ეს პრობლემები დღის წესრიგში დგას, ძალიან ბევრი გაკეთდა, მაგრამ ვასაკეთებელიც კვლავ ბევრი რჩება. ამიტომ ვამბობთ, რომ წყაროთმცოდნეობას თავისი მუდმივი, მართლმართული პრობლემები აქვს და მათი სულ უფრო ღრმად და სრულყოფილად დამუშავების საზიოთ კვლავაც გაგრძელდება საქმიანობა. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ ზოგჯერ მკვლევრები სხვადასხვა შინაარსს სდებენ ერთსა და იმავე ცნებაში, იმიტომ, რომ ტერმინები და ცნებები დროისა და ვითარების შესაბამისად იცვლება, ახალი შინაარსით ივსება, ფართოვდება ან ვიწროვდება და ა. შ. ეს კი მოითხოვს სპეციალისტის მუდმივ მზადყოფნას, ხელს უწყობს აზრის მოძრაობას და განაპირობებს მეცნიერების განვითარებას.

თეორიული პრობლემების დამუშავებასთან ერთად, ბუნებრივია, გრძელდება საქმიანობა კონკრეტული წყაროთმცოდნეობის საზიოთაც. უკანასკნელ წლებში, წყაროთმცოდნეობის საერთო აღმავლობის პირობებში, საგრძნობლად გაამდიდრდა და მრავალფეროვანი გახდა კონკრეტულ გამოკვლევათა თემატიკა. ისტორიული წყაროების სხვადასხვა სახეები შესისწავლება მათი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების დადგენის, გარკვეული ისტორიული პრობლემებისათვის ინფორმაციული მასალის მოპოვების თვალსაზრისით. თანდათან იხვეწება ისტორიული წყაროების კვლევის მეთოდიკა, ფართოდ ინერგება ტექსტოლოგიური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები.

დღი მნიშვნელობა ენიჭება წყაროთმცოდნეობითი ტერმინოლოგიის შესწავლას. კერძოდ, ისწავლება როგორც ისტორიულ წყაროებში დაცული ტრადიციული ტერმინები, ხდება მათი დაწვრილებითი ანალიზი და ნამდვილი მნიშვნელობის დადგენა, ისე გრძელდება თანამედროვე ტერმინოლოგიის დაზუსტება და შევსება. უკვე მომწიფდა წყაროთმცოდნეობითი სპეციალური ტერმინების ლექსიკონის შედგენის საკითხი¹⁸.

¹⁸ С. С. Минц, В. Н. Ратушняк, В. Е. Щетнев. Из опыта составления словаря по источниковедению.— „Актуальные проблемы источниковедения и специальных исторических дисциплин“. Тезисы докладов IV Всесоюзной конференции. Днепропетровск, 31 октября—2 ноября 1983 г. М., 1983, с. 59—68.

სრულად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წყაროთმცოდნეობის ისტორიის შესწავლას. უკვე დაგროვდა საკმაოდ მდიდარი მასალა მეცნიერების ამ დარგის ისტორიის შესაქმნელად¹⁹. წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია საჭიროა, როგორც წარსულის გამოცდილების გათვალისწინების, ისე მომავალი მუშაობის პერსპექტივების განსაზღვრისათვის²⁰.

ასეთია წრე ძირითადი თეორიულ-პრაქტიკული წყაროთმცოდნეობითი პრობლემებისა, რომლებიც მუშავდება თანამედროვე საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში. ქართველი წყაროთმცოდნენი შეძლებისდაგვარად მონაწილეობენ ამ პრობლემების შესწავლაში და თავიანთი წვლილი შეაქვთ მათ დამუშავებაში. დღეს ისტორიული მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში წყაროთმცოდნეობითი კვლევის შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოების, მისი ეფექტიანობის გაზრდის გზით ვითარდება.

Р. К. КИКНАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ СОВРЕМЕННОГО ИСТОЧНИКОВЕДЕНИЯ

Резюме

На современном этапе развития исторической науки все больше внимания уделяется разработке источниковедческих проблем, что в первую очередь следует объяснить постоянно возрастающей потребностью расширения информационных возможностей исторических источников.

В настоящее время разыскания в области источниковедения ведутся по двум основным направлениям — общетеоретическом и конкретно-практическом. Оба эти направления одинаково важны для науки, хотя, как правило, преобладают исследования по конкретной проблематике источниковедения. Теоретические и практические изыскания тесно взаимосвязаны и обеспечивают всестороннее изучение исторического источника, создание методики получения из источника достоверной информации, обработки и анализа этой информации. Теория источниковедения обуславливает повышение профессионального уровня и эффективности конкретных разысканий, а источниковедческая практика в свою очередь имеет принципиальное значение для дальнейшего расширения теоретических исследований.

Одной из важных задач теории источниковедения является определение этой науки, ибо от правильной и по возможности полной дефиниции любой научной дисциплины во многом зависит и отношение к ней научной общественности и перспектива ее дальнейшего развития.

В настоящей статье источниковедение определяется как наука об источниках, как важная комплексная отрасль исторической науки.

¹⁹ А. П. Пронштейн. Разработка историографии отечественного источниковедения в трудах советских историков.—„Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников“. Всесоюзная научная сессия. Батуми, 17—19 октября 1985 г. Тезисы докладов. Тбилиси, 1985, с. 86—87.

²⁰ В. И. Буганов, Г. А. Трукан. Актуальные проблемы источниковедения истории СССР.—„Вопросы истории“, 1977, № 3, с. 14.

Она объединяет специальные источниковедческие дисциплины, обобщает полученные ими данные и создает единую теорию и методику выявления, изучения, издания и использования письменных исторических источников. В данной дефиниции учтены оба основных аспекта современного источниковедения — теоретические и конкретные разыскания. Наряду с разработкой теоретических проблем содержание источниковедения составляет всякая деятельность, связанная с изучением письменных исторических источников (источниковедческая практика). Издание исторических источников признано прикладной функцией источниковедения.

ბიული ალასანია

ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები

კლასიფიკაციის პრობლემა მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს, რადგან „მეცნიერება მხოლოდ იქამდე შეიძლება გაფართოვდეს, ვიდრე ზუსტი კლასიფიკაციის შესაძლებლობა ვრცელდება“¹. მეცნიერების შემდგომი დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პრობებში, მეცნიერებათა კლასიფიკაციის პრობლემებთან ერთად კვლავ დღის წესრიგში დგას მათი შესწავლის ობიექტთა დიფერენციაციის საკითხებიც.

წყაროთმცოდნეობის ძირითადი ამოცანაა ისტორიული წყაროდან ინფორმაციის მიღების ხერხებისა და მეთოდების შემუშავება. ეს კი იწვევს წყაროთა ისეთი ჯგუფების გამოყოფის საჭიროებას, რომელთა მიმართ შესაძლებელია კვლევის ერთნაირი მეთოდების გამოყენება. ამდენად, წყაროთა კლასიფიკაცია წყაროთმცოდნეობის ცენტრალური პრობლემაა. ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაცია ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომლებიც მუდმივ გადასინჯვასა და შევსება-დაზუსტებას საჭიროებენ განვითარების საერთო დონის შესაბამისად. თავის მხრივ ზუსტი კლასიფიკაცია ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარების, წყაროს სიღრმეში წვდომის, მისი შემეცნების ძირითადი საშუალებაა.

ისევე, როგორც წყაროთმცოდნეობის სხვა პრობლემებზე მსჯელობისას, აქაც პირველ რიგში აუცილებელია შესაბამისი ტერმინოლოგიის დადგენა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ტერმინების „სისტემატიზაციისა“ და „კლასიფიკაციის“ ურთიერთმიმართება. ამ საკითხზე რამდენიმე შეხედულება არსებობს. მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც კლასიფიკაცია ობიექტურად არსებული დიფერენციაციისა, ხოლო სისტემატიზაცია — ნებისმიერი ხელოვნური დაჯგუფება², უპირისპირდება შეხედულება, რომლის თანახმადაც, კლასიფიკაცია განმარტებულია როგორც „ობიექტთა ნებისმიერი სიმრავლის (კლასების) ქვესიმრავლებად (ქვეკლასებად) დაყოფა ნებისმიერი ნიშნით“, მაშინ როდესაც სისტემატიზაციად მიჩნეულია „ობიექტების ისეთი მოწესრიგება, რომელიც თვით ბუნების მიერ გამოყოფილი პრივილეგირებული სისტემის სტატუსს იძენს“³. მესამე შეხედულება არ უპირისპირებს ერთმანეთს სისტემატიზაცია-

¹ Н. Н. А б л о в. Классификация книг, ее история и методы в связи с классификацией вообще. Иваново-Вознесенск, 1921, с. 1.

² Л. Н. П у ш к а р е в. Классификация русских письменных источников по отечественной истории. М., 1975, с. 230—242; В. И. Кузищин. Некоторые аспекты теории источниковедения.—В кн.: Источниковедение истории Древней Греции. М., 1982, с. 20; Н. П. К о в а л ь с к и й. Проблемы классификации письменных источников в современной советской историографии.—В кн.: „Актуальные проблемы источниковед. и спец. историч. дисциплин“. Тезисы докладов IV всесоюз. конференции. М., 1983, с. 21—22.

³ С. В. М е й н, Ю. А. Ш р е й д е р. Методологические аспекты теории классификации.—„Вопросы истории“, 1976, № 12, с. 69.

სა და კლასიფიკაციას და განიხილავს მათ როგორც ერთი და იმავე პროცესის სხვადასხვა დონეს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა. მ. ვარშავჩიკის სიტყვებით, „სისტემატიზაცია კლასიფიკაციის უმაღლესი დონეა“. „კლასიფიკაციასა“ და „სისტემატიზაციასთან“ ერთად მეცნიერი იყენებს ტერმინს „დაჯგუფება“ ფართო მნიშვნელობით, რაც გულისხმობს როგორც ნებისმიერ, ასევე ბუნებრივ გაერთიანებას⁴. მეცნიერთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ „კლასიფიკაცია სქემის შექმნაა, ხოლო სისტემატიზაცია — მასში მასალის განლაგება“⁵. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „კლასიფიკაცია ლოგიკური დაყოფაა, ხოლო სისტემატიზაცია — მასალის ნაკლებად ლოგიკური დაყოფა“⁶. მოტანილ მოსაზრებათაგან, ჩვენი აზრით, მისაღები ჩანს მ. ვარშავჩიკის შეხედულება, რომლის თანახმადაც როგორც სისტემატიზაცია, ასევე კლასიფიკაცია წყაროთა ბუნებრივი დიფერენციაა. ქმთთან ერთად შენარჩუნებული უნდა იქნეს ტერმინები ხელოვნური კლასიფიკაცია, დაჯგუფება.

უმრავლეს შემთხვევაში კამათი საკითხის ტერმინოლოგიურ მხარეს ეხება. თუმცა ზოგჯერ მეცნიერთა ის ნაწილი, რომელიც იზიარებს კლასიფიკაციის და სისტემატიზაციის ლ. პუშკაროვისეულ გაგებას (ე. ი. ბუნებრივი და ხელოვნური დაშლა და დაჯგუფება), რეალურად არ განსხვავებს მათ ერთმანეთისაგან. მაგალითად, ზოგჯერ კლასიფიკაციად მიჩნეულია „რეალურ“ და „პოტენციურ“ წყაროებად დაყოფა სამეცნიერო მიმოქცევაში მათი შესვლის მიხედვით⁷, რაც სუბიექტურ ფაქტორებს ემყარება და, ამდენად, ეწინააღმდეგება ბუნებრივი კლასიფიკაციის პრინციპს. არ შეიძლება კლასიფიკაციად ჩითვალოს არც კ. პეტრიაევის მიერ შემოთავაზებული დაყოფა ძირითად, დამატებით და სარეზერვო წყაროებად. ძირითადს ავტორი აკუთვნებს წყაროებს, „რომლებიც აფიქსირებენ საზოგადოების სტრუქტურის გადამწყვეტ სფეროში მომხდარ მოვლენებსა და მიმდინარე პროცესებს და განვითარების მთავარ კანონზომიერებებს“. დამატებითს — იმ წყაროებს, რომელთა შინაარსი ხელს გვიწყობს ძირითად კანონზომიერებათა ცალკეულ მხარეებსა და ამ კანონზომიერებათა მართვის სპეციფიკურ ფორმებში გარკვევაში სხვადასხვა კონკრეტულ ისტორიულ პირობებსა და ქვეყნებში“. სარეზერვო კი, მისი აზრით, შთიცავს წყაროებს, „რომელთა შესწავლა გვაძლევს საზოგადოებრივი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ძირითად ელემენტთა გვერდითი ან ზედნაშენური მოვლენების და ფაქტების ცოდნას“. მკვლევრის შენიშვნით, მიმდინარე ამოცანათა შესაბამისად, შესაძლებელია სარეზერვო წყაროთა დამატებითში, ან დამატებითს ძირითად წყაროთა რიგში გადაადგილება⁸.

შედარებით მიზიდველია წყაროთა ისტორიული სპრობლემების მიხედვით დაჯგუფების იდეა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საჭიროა ისეთი სპრობლე-

⁴ М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение. Киев, 1984, с. 169.

⁵ К. Г. Митяев. Теория и практика архивного дела. М., 1946, с. 98 — 99; В. В. Фарсобин. Источниковедение и его метод. М., 1984, с. 192.

⁶ А. Е. Пресняков. Лаппо-Данилевский как ученый и мыслитель. — „Русский исторический журнал“, 1920, № 6, с. 94.

⁷ Н. П. Ковальский. Проблемы классификации..., с. 26.

⁸ К. Д. Петряев. Гносеологические и методологические основы источниковедения. Киев, 1978, с. 35. კ. პეტრიაევის აზრს არ იზიარებს მ. ვარშავჩიკი (М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 142).

მების გამოყოფა, რომლებიც წყაროთა მსგავსი სახეების გაერთიანების შედეგად საძიებლობას იძლევა, რაც საკმაოდ ძნელია. ამიტომ, ჩვეულებრივ, მსგავსი ცდებიც უშედეგოდ მთავრდება. არაერთი შენაშენა გამოითქვა ა. ზიმინის წინადადების მიმართ, რომ წყაროები დაჯგუფებულიყო შემდეგი პრობლემების მიხედვით: 1) სოციალურ-ეკონომიკური ისტორია, 2) საშინაო და საგარეო პოლიტიკის ისტორია, 3) საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრისა და კულტურის ისტორია⁹. ამასვე უახლოვდება ს. კაშტანოვის და ა. კურნოსოვის მოსაზრება წყაროთა წარმოშობის მიხედვით დაყოფის შესახებ: 1) სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში, 2) სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის, საზოგადოებრივი აზრისა და კულტურის სფეროში, 3) საოჯახო-პირად ურთიერთობათა სფეროში¹⁰. ასეთი მსხვილი პრობლემები ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს მოიცავს და ამდენად ერთ ჯგუფში სხვადასხვა სახის წყაროების გაერთიანებას იწვევს, რომელთა მიმართ შეუძლებელია კვლევის ერთნაირი მეთოდების გამოყენება, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის მათ წყაროთმცოდნეობით შესწავლას.

მეცნიერთა ნაწილი გამოდის წინადადებით კლასიფიკაციის „შერეული“ სისტემების შექმნის შესახებ, რომელიც აერთიანებს ხელოვნურ და ბუნებრივ ელემენტებს¹¹. ამავ დროს ასეთი კლასიფიკაცია, რომელიც ერთდროულად რამდენიმე ნიშანს ემყარება, ფორმალური ლოგიკის კანონებს ეწინააღმდეგება.

საკლასიფიკაციო კატეგორიებად მიღებულია ტერმინები ტიპი, კლასი, თანრიგი, გვარი, სახე, ნაირსახეობა, ქვესახე, ფორმა და სხვ. ისტორიულ წყაროებთან მიმართებაში მათი შინაარსი ჯერ კიდევ საკამათოა. დეტალურად ამ საკითხებზე საუბარია ლ. პუშკაროვის მონოგრაფიაში, სადაც კრიტიკულად არის განხილული საკითხის ისტორიოგრაფიაც. მაგრამ მსჯელობა და აზრთა გამოთქმა ამ მიმართულებით კვლავაც გრძელდება.

ზოგიერთი ახალი მოსაზრება, კერძოდ, წყაროთა ტიპოლოგიურ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით გამოთქმულია წყაროს მიმართ ინფორმაციული მიდგომის შედეგად. საინტერესოა ამ თვალსაზრისით ა. უბოსა და ი. კოვალჩენკოს ნაშრომები. ა. უბოს მიერ შემოთავაზებულ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს სოციალური მეხსიერების პრინციპი¹². ინფორმაციის გადასაცემად გამოყენებული სამი არხის შესაბამისად, ავტორი წყაროთა შემდეგ ტიპებს გამოყოფს: 1) ენობრივი, 2) ნივთიერი და 3) ქცევითი. ასეთი

⁹ დაყოფა შემოთავაზებულია სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის კურსის პროგრამის პროექტში. ასეთი კლასიფიკაციის განხორციელების შეუძლებლობაზე მიუთითებენ ა. პრონშტეინი და ვ. სტრელსკი (А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения. Ростов, 1976, с. 29; В. И. Стрельский. Теория и методика источниковедения истории СССР. Киев, 1968, с. 72).

¹⁰ С. М. Каштанов, А. А. Курносоев. Некоторые вопросы теории источниковедения.—„Исторический архив“, 1962, № 4, с. 109. აქვე მოცემული იყო აღნიშნული კლასიფიკაციის კრიტიკაც. მის ნაკლებ უთითებს მ. ვარშავჩიკი (М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 148).

¹¹ В. Г. Афанасьев. О принципах классификации целостных систем. — „Вопросы истории“, 1963, № 5, с. 42; С. С. Розова. Научная классификация и ее виды.—„Вопросы истории“, 1964, № 8, с. 69—80; М. С. Селезнев. О классификации исторических источников в связи с построением курса источниковедения в вузах.— Источниковедение советского общества. М. 1964, с. 332.

¹² А. А. Уйбо. Информационный подход к типологии исторических источников.— Ученые записки Тартуского Гос. ун-та. вып. 599. Тарту, 1982, с. 63.



დიფერენციაცია, რომელიც ობიექტურ ვითარებას ასახავს, ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის თვალსაზრისით არ არის დამაკმაყოფილებელი, ვინაიდან ერთსა და იმავე ჯგუფში ისეთ ძეგლებს აერთიანებს, რომელთა შიშვენიერებაა კვლევის ერთნაირი მეთოდების გამოყენება. გაუმართლებელია, მაგალითად, ერთ ჯგუფში ენობრივი, წერილობითი, ზეპირი და სხვა წყაროების გაერთიანება, რადგან ისინი კვლევის სრულიად სხვადასხვა მეთოდებს საჭიროებენ.

შედარებით სრულია ტიპოლოგიური კლასიფიკაცია სინამდვილის ასახვის მეთოდებისა და ფორმების მიხედვით, რომელიც ი. კოვალჩენკოს შემოაქვს. მკვლევარი ისტორიულ წყაროთა ოთხ ჯგუფს გამოყოფს: ნივთიერი, წერილობითი, სახვითი და ფონური¹³ (ბერძ. phone — ბგერა). ასეთი კლასიფიკაციის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს სახვით წყაროთა ცალკე ტიპად გამოტანა, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში თავისი მომხრეები ჰყავს¹⁴. ცალკე ტიპს შეადგენენ აქ აგრეთვე წერილობითი წყაროები. ამავე დროს ეს კლასიფიკაცია სრულიად არ ასახავს ე. წ. ეთნოგრაფიულ წყაროებს. არ არის გამართლებული აგრეთვე ფონურ ჯგუფში ზეპირ და მუსიკალურ წყაროთა გაერთიანება¹⁵.

ს. შმიდტის აზრით, ისტორიული წყაროები შემდეგ ტიპებად იყოფა: 1) ნივთიერი, 2) სახვითი, 3) სიტყვიერი, 4) ბგერითი, 5) ქცევითი, 6) კონვერციური (პირობითი, სადაც შედის ნოტები, ელექტოკარდიოგრამები)¹⁶. ამ კლასიფიკაციას იგივე ნაკლი ახასიათებს, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვუთითებდით, კერძოდ, სიტყვიერ წყაროებში სალაპარაკო ენის, ფონურ, ზეპირ და წერილობით წყაროთა გაერთიანება. მეორე მხრივ, გამართლებული არ არის ფაქტობრივად ერთი ჯგუფის წყაროთა დაშლა ბგერით და ქცევით წყაროებად, რომელთაც თანამედროვე ეტაპზე ერთი მეცნიერება — ეთნოგრაფია შეისწავლის.

ამდენად, განხილულ კლასიფიკაციათაგან შედარებით სრულია წყაროთა შვიდ ტიპად დაყოფა, რასაც ლ. პუშკაროვის აზრით, საფუძვლად ინფორმაციის შენახვისა და კოდირების პრინციპი ედება¹⁷. ასეთი დაყოფა პერსპექტიულია შესწავლის ერთნაირი ხერხების გამოყენების თვალსაზრისითაც, რომლებიც შესაბამის დარგებში შემუშავდება: 1) ნივთიერი, 2) ეთნოგრაფიული, 3) ზეპირი, 4) ენობრივი, 5) წერილობითი. გარდა ამისა, ცალკე ტიპად არის გამოყოფილი 6) კინო-ფოტო და 7) ფონური წყაროები. ს. შმიდტი გვთავაზობს კინოს ცალკე ტიპად გამოყოფას მისი კომპლექსური ხასიათის გამო (რაც

¹³ И. Д. Ковальченко. Исторический источник в свете учения об информации.—„История СССР“, 1982, № 3, с. 142; იგივე დაყოფა მოცემულია სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელოს შესავალში (Источниковедение истории СССР, под ред. И. Д. Ковальченко. М., 1981, с. 12).

¹⁴ В. И. Стрельский. Теория и методика источниковедения, с. 26—39; Е. А. Давидович. Эпиграфика и нумизматика в системе исторических дисциплин.—„Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников“. Тезисы докладов. Тбилиси, 1985, с. 43.

¹⁵ აბას აღნიშნავს ს. შმიდტიც სტატიაში—О классификации исторических источников.—Вспомогательные исторические дисциплины. XVI. Л., 1985, с. 17.

¹⁶ Там же; С. О. Шмидт. Источниковедение в кругу других научных дисциплин и вопросы классификации источников.—В кн.: „Актуальные проблемы источниковедения и специальных исторических дисциплин“. Тезисы докладов. М., 1983.

¹⁷ Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 191.

სავსებით მისაღები ჩანს)¹⁸, ლ. პუშკაროვისაგან განსხვავებით, რომლის აზრითაც, კინოსა და ფოტოს კოდირების ერთნაირი პრინციპი აქვთ¹⁹.

მიზანშეწონილია ცალკე ტიპად სახვითი წყაროების გამოყოფა, რომლებიც, ჩვეულებრივ, განაწილებულია ნივთიერ, ეთნოგრაფიულ წყაროებსა და კინო-ფოტოებს შორის²⁰. სახვით წყაროებს, სადაც ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის გარდა შედის ფოტოებიც, ხელოვნებათმცოდნეობის და ნაწილობრივ ჟურნალისტიკის შესაბამისი განხრები შეისწავლიან. სახვითი წყაროების ძირითადად ხელოვნებათმცოდნეობასთან დაკავშირება შეუძლებელს ხდის მათ შორის ისეთ ისტორიულ წყაროთა მოთავსებას, როგორც არის გეგმები, ნახაზები, რუკები. ამ მხრივ გამართლებული ჩანს ლ. პუშკაროვის აზრი, რომელიც განიხილავს მათ როგორც წერილობით და სახვით წყაროებს შორის გარდამავალ საფეხურს²¹, თუმცა მეცნიერთა ნაწილი ამ აზრს არ იზიარებს²².

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ისტორიულ წყაროთა შემდეგი ტიპები გამოიყოფა: ნივთიერი, სიტყვიერი, ეთნოგრაფიული, სახვითი, ზეპირი, წერილობითი, ფონური, კინო. გარდა ამისა, შესაძლებელია წყაროთა გარდამავალი ტიპების არსებობა. მაგალითად, წერილობითსა და ნივთიერს შორის, ან წერილობითს, ნივთიერსა და სახვითს შორის და სხვ. მათ რიცხვს მიეკუთვნება ეპიგრაფიული ძეგლები, მონეტები, გერბები, ბეჭდები, დროშები, ორდე-ნები და მედლები და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს წყაროთა ტიპების მჭიდრო ურთიერთკავშირი და მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი სხვაობა, რაც იწვევს კამათს მეცნიერთა შორის მათი სტატუსის შესახებ. ეთნოგრაფიულ წყაროთა ტიპების უარყოფას საფუძვლად ედება ის ფაქტი, რომ ხშირად მათ როლში გამოდის ნივთიერი, ენობრივი, წერილობითი და ზეპირი წყაროები. მაგრამ ასეთი რამ მარტო ეთნოგრაფიულ წყაროებს არ ახასიათებს. ენობრივი წყაროებია წერილობითი და ფოლკლორულიც, რომელიც, თავის მხრივ, ჩვენამდე უმრავლეს შემთხვევაში წერილობით და ფონურ წყაროთა ფორმით აღწევს. ყოველივე ეს არ ცვლის წყაროთა აღნიშნული ტიპების ძირითად არსს. მაგალითად, ეთნოგრაფია უმთავრესად ამა თუ იმ ხალხის ზნე-ჩვეულებებს სწავლობს ცოცხალ ტრადიციებზე დაკვირვებით. ენის მონაცემებისათვის ძირითადი წყარო სალაპარაკო ენაა, ისევე როგორც ფოლკლორისთვის — ხალხური შემოქმედება, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით აღწევს იგი ჩვენამდე.

წყაროთა ყველა ტიპი ერთდროულად არ არის წარმოდგენილი. განსხვავდება მათი გამომწვევი ობიექტური პირობებიც. ზოგიერთი ტიპის წარმოქმნა შეიძლება რომელიმე სხვა ტიპის დაშლის შედეგი იყოს. საკმაოდ მრავალფეროვანია თავისი შემადგენლობით ნივთიერ წყაროთა ტიპი, რომელიც გარკვეული ნიშნით მოიცავს წერილობით, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, სახვით წყაროებსა და კინოს. ბგერითი წყაროების შემდგომი განვითარების შედეგია ენობრივი, ზეპირი, წერილობითი, ნაწილობრივ ეთნოგრაფიული წყაროების წარმოდგენა. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება რომ არსებობდეს წყაროთა ტიპებს შორის გადაულახავი მიჯნები, ან ყველა მათგანი ტოლფასი იყოს თავისი შემადგენლობით.

¹⁸ С. О. Ш м и д т. О классификации исторических источников, с. 23.
¹⁹ Л. Н. П у ш к а р е в, Классификация русских письменных источников, с. 252.
²⁰ Там же, с. 254.
²¹ Там же, с. 253—264.
²² М. А. В а р ш а в ч и к. Историко-партийное источниковедение, с. 161.
2. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII.

საქ სსრ კ. მარტო
სახ. მეც. აკადემია
საქმეთა
ნ. 176080
ბ რ 0 8 5 9



ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის აუცილებელი პირობაა ისტორიული პრინციპის დაცვა, ე. ი. წყაროთა კლასიფიკაცია საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ჯგუფებათა და მათი პერიოდიზაციის მიხედვით, რადგან სხვადასხვა პერიოდებს წყაროთა დიფერენციაციის განსხვავებული დონე შეესაბამება. ამასთან ერთად შესაძლებელია ზოგადი კლასიფიკაციის სისტემების შემუშავება ყველა პერიოდისათვის კვლავ სხვადასხვა დროის დიფერენციაციების გათვალისწინებით. ასეთი გენერალური კლასიფიკაციის ნიმუშია სწორედ წყაროთა განხილული ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.

ქრონოლოგიურის გარდა მხედველობაშია მისაღები ენობრივი და ტერიტორიული პრინციპი. სხვადასხვა ქვეყნებს წყაროთა კლასიფიკაციის სხვადასხვა თავისებურებები ახასიათებს. კერძოთან ერთად აქაც შესაძლებელია ზოგადი, ეპოქალური ნიშნების გამოყოფა.

კლასიფიკაცია, რომელიც ობიექტურ დიფერენციაციას ემყარება, ერთი ჯგუფის წევრების მიმართ კვლევის ერთნაირი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

ტიპების შემდგომი დამოწმებისათვის პირველ რიგში საჭიროა წყაროთა ძირითადი სოციალური ფუნქციის დადგენა. თუმცა მ. ვარშავჩიკის სამართლიანი შენიშვნით, „შექმნის მიზანი წყაროს ნიშანი არ არის“, მისივე სიტყვებით, „ამ ნიშნის ფორმირების აუცილებელი პირობაა“²³. ვინაიდან ერთსა და იმავე ფუნქციას შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა გვარისა და სახის წყარო ასრულებდეს, შემდეგი საფუძვლიანი გვარებისა და სახეების გამოყოფა და მათი განმასხვავებელი ნიშნების დადგენა.

შედარებით დამუშავებულია დიფერენციაციის საკითხები წერილობით ძეგლებთან დაკავშირებით, სადაც მკვლევართა უმრავლესობა თხრობით და დოკუმენტურ გვარებს გამოყოფს. მეცნიერთა ნაწილი უარს ამბობს ასეთ დაყოფაზე. ა. პროშტეინს აგრეთვე მიაჩნია, რომ „არა აქვს აზრი წყაროთა გვარებად დაყოფას. უფრო მიზანშეწონილია თავიდანვე მათი სახეებად დაყოფა“²⁴. წერილობითი ძეგლების გვარებად დაყოფამ ასახვა არ პოვა არც „სსრკ ისტორიის წყაროთმცოდნეობის“ სახელმძღვანელოში²⁵. მაგრამ ის მეცნიერები, რომლებიც არ უარყოფენ დოკუმენტურ და თხრობით წყაროებად დაყოფას, მათ საფუძვლებს და განმასხვავებელ ნიშნებს სხვადასხვანაირად ხსნიან. ლ. პუშკაროვის აზრით, წერილობით წყაროთა გვარებად დაყოფას საფუძვლად უდევს წყაროში სინამდვილის ასახვის ან განსახიერების ხარისხი²⁶. ა. პროშტეინის სამართლიანი შენიშვნით, ეს ფაქტობრივად წყაროში ნაშთის ან ტრადიციის (გადმოცემის) სიჭარბეა, რაც ლ. პუშკაროვისავე მსჯელობით, არ შეიძლება იყოს წყაროთა გვარებად ან სახეებად დაყოფის საფუძველი²⁷. ის გარემოება, რომ დოკუმენტურ და თხრობით წყაროთა მიმართ ზშირად შესწავლის ერთნაირ მეთოდებს იყენებენ, ან ის, რომ არ არსებობს მათი რამდენიმე დამაკმაყოფილებელი განსაზღვრება, არ არის საკმარისი საფუძველი ასეთი დიფერენციაციის ობიექტურობაში ეკვის შესატანად. წერილობითი ძეგლების ორ ძირითად ნაწილად დაყოფის ტრადიცია მყარია ქართულ მწერლობაშიც, თუმცა დამოკიდებულება დოკუმენტური და თხრობითი წყაროების მიმართ სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულია. ცვლილებებს განიცდის აგრეთვე

²³ М. А. Варшавчик. Историко-партийное источниковедение, с. 158.

²⁴ А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения, с. 45.

²⁵ Источниковедение истории СССР. М., 1981.

²⁶ Л. Н. Пушкарев. Классификация русских письменных источников, с. 212.

²⁷ А. П. Пронштейн. Методика исторического источниковедения, с. 45.

შესაბამისი ტერმინოლოგიაც. ტერმინ „საბუთის“ მნიშვნელობა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ყოველგვარ ისტორიულ წყაროს აღნიშნავდა²⁸, ამჟამად დავიწროებულია. მოცემულია მისი განმარტების ცდებიც²⁹, რომლებშიც ერთ-ერთ მთავარ პირებად დასახელებულია დოკუმენტის თანამედროვეის მიერ შედგენა. ამდენად განმარტება არ მოიცავს ე. წ. ნორმატიულ წყაროებს — საკანონმდებლო ძეგლებს, ბრძანებებს, მანიფესტებს და სხვ. რომლებიც ხანგრძლივ დროს, ზოგჯერ საუკუნეთა მანძილზე მოქმედებენ. აღნიშნულ ძეგლთა გამოყოფა დოკუმენტურ წყაროთაგან არ მიგვაჩნია გამართლებულად, დოკუმენტური წყაროები, ჩვენი აზრით, მოიცავს სააქტო, საქმისმწარმოებლურ, ნორმატიულ, სასამართლო და პირადი ხასიათის (წერილები) ძეგლებს, ე. ი. ყველა იმ წყაროს, რომელიც იქმნება საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროცესში, ემსახურება მათ მოწესრიგებას და იურიდიული ფუნქციის მატარებელია. მათგან განსხვავებით, თხრობითი წყაროები მოვლენათაგან მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე იქმნება ინფორმაციულ-ესთეტიკური მიზნებით და მათ არ გააჩნიათ იურიდიული ფუნქციები.

ტიბის შემდეგ ყველაზე გავრცელებული საკლასიფიკაციო კატეგორიაა „სახე“, რომელსაც მეცნიერები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. „სახე“ შეფარდებითი ტერმინია და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა შემადგენლობისაა. თუ მწერლობის დიფერენციაციის დაბალ დონეზე სახე შეიძლება ვუწოდოთ მთლიანად ისტორიულ ლიტერატურას, ხოლო მასში შემავალ ქრონიკებს, ისტორიულ ბიოგრაფიებს და სხვ. ნაირსახეობები, მოგვიანებით სახეები შეიძლება იყოს ქრონიკები, ისტორიული ბიოგრაფიები, გენეალოგიები, პოლიტიკური პამფლეტები და ა. შ. სახე მეორადი კატეგორიაა. წყაროს პირველადი თვისებების, მისი ფორმისა და შინაარსის ფორმირება ხდება გარკვეულ სოციალურ სინამდვილეში, გარკვეულ ძალთა და ინტერესთა ზემოქმედებით.

უახლეს გამოკვლევებში კვლავ დიდი ყურადღება ექცევა წყაროს შექმნის მიზანსა და დანიშნულებას, რასაც ადრევე თავის განსაზღვრებაში იხსენიებდა მ. მაკაროვი: „სახე ისტორიულ ძეგლთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსია, რომელიც გაერთიანებულია შექმნის მიზნით, ე. ი. დანიშნულებით ისტორიულ პროცესში. ზასიათით (დასახელებით), ფორმულარით, წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ანალოგიური ხერხებით, ფორმით (შინაგანი შინაარსით), სპეციფიკური თავისებურებებით“³⁰. ავტორის შენიშვნით, არ არის აუცილებელი, რომ ყველა ეს ნიშანი ერთდროულად იყოს წარმოდგენილი.

ლიტერატურაში სამართლიანად იყო მითითებული, რომ წყაროს დანიშნულება არ არის საკმარისი მისი სახის განმსაზღვრელად, რადგან წყაროთა სხვადასხვა სახე ხშირად ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს³¹. ამდენად გა-

²⁸ მ. ჯანაშვილის აზრით, „საბუთი“ კვალა ოდესმე მცხოვრებ ადამიანების ნამოქმედარისა და ნაფიქრისა“ (საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“. ნაშრომი. ტფ., 1907).

²⁹ მ. ბერძენიშვილი. მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროებზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ. თბ., 1979, გვ. 3; ნ. შოშიაშვილი. წინასიტყვაობა წიგნში ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ქართული ისტორიული საბუთები IX—XIII სს. თბ., 1984, გვ. 6.

³⁰ М. К. Макаров. К вопросу о терминологии в источниковедении истории СССР.—Труды МГИАИ. М., 1963, т. 17, с. 11.

³¹ Л. Н. Пущкарев. Классификация русских письменных источников, с. 223. წყაროთა სოციალურ ფუნქციებზე იხ. А. Г. Тартаковский. Социальные функции источников как методологическая проблема источниковедения.—„История СССР“. 1983,



დამწყვეტი წყაროს სტრუქტურა, მისი შინაგანი ფორმაა. ამის შესაბამისად მისი განმარტებულია, როგორც „წერილობით წყაროთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსი, რომლისთვისაც სტრუქტურისა და შინაგანი ფორმის მსგავსი ნიშნებია დამახასიათებელი“³².

ვინაიდან დანიშნულება სახის შექმნის აუცილებელი პირობაა, განსაზღვრებაში მისი შეტანა ზედმეტი არ გვეჩვენება. მიზანშეწონილია აგრეთვე იმ ზოგად დასახელებებზე, „ძეგლთა ფორმების აღმნიშვნელ ტერმინებზე“ მითითებაც, რომელთაც „წყაროთმცოდნეობა უმრავლეს შემთხვევაში ითვისებს პრაქტიკიდან, რომელიც ამ ფორმების შექმნას განაპირობებს“³³. ამდენად, ისტორიული წყაროს სახე შეიძლება განვიხილოთ როგორც ისტორიულ ძეგლთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსი, რომელიც გაერთიანებულია დანიშნულებით, დასახელებით, სტრუქტურით და პერსპექტიულია მის მიმართ შესწავლის ერთნაირი მეთოდების გამოყენების თვალსაზრისით.

სახის შემდგომი კატეგორია „ნაირსახეობაა“, რომლის სპეციფიკას, ერთ-ერთი აზრის თანახმად, აგრეთვე სოციალური ფუნქცია განსაზღვრავს, რომლის მოქმედების სფეროს მასშტაბი სახესთან შედარებით მცირეა³⁴. მაგრამ პრაქტიკულად წყაროს სოციალური ფუნქცია მუდამ საკმარისი არ არის ნაირსახეობის გამოსაყოფად და არც ამ ფუნქციის დადგენა მარტივი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ვადაწყვეტი შეიძლება იყოს ფორმისა ან შინაარსის რომელიმე თავისებულება. აქედან გამომდინარე ნაირსახეობა, ჩვენი აზრით, არის კატეგორია, რომელიც გამოიყოფა სახის ფარგლებში იმ ძეგლთა ფორმის ან შინაარსის ზოგიერთი თავისებულებით რომელთაც დანიშნულების, დასახელების, სტრუქტურის ერთიანობა ახასიათებს.

ნაირსახეობის მომდევნო კატეგორიებია ქვესახე, ფორმა. კლასიფიკაციის საერთო სისტემაში თითოეული კატეგორია ერთ რომელიმე ნიშანს უნდა ემყარებოდეს.

ზოგიერთ შემთხვევაში კლასიფიკაციის ნიშნად მიჩნეულია პარტიულობა, ძეგლის კლასობრივი მიმართულება ავტორობა, წარმოშობა. მ. ვარშავჩიკის შენიშვნით, „სხვადასხვა შემთხვევაში ესა თუ ის ნიშანი შეიძლება ყველაზე არსებითი და ამდენად ვადაწყვეტი აღმოჩნდეს“³⁵. მსგავსი ნიშნებით წყაროთა დაყოფა დასაშვებია მხოლოდ ერთი სახის ფარგლებში და აქვს მნიშვნელობა იმდენად, რამდენადაც ახდენს რაიმე გავლენას წყაროთა სტრუქტურაზე, მისი

№ 3, с. 54; он же. 1812 год и русская мемуаристика. Автореферат диссертации на соиск. уч. степени доктора истор. наук. М., 1982, с. 17.

³² Л. Н. П у ш к а р е в. Классификация русских письменных источников, с. 225. წყაროების ფუნქციითა ერთიანობაზე მიუთითებს წყაროს განსაზღვრებაში ო. მეღუშევსკია, თუმცა აღნიშნავს, რომ „დანიშნულება თავისთავად არ ქმნის წყაროს რაიმე ახალ თვისებას, რომელიც ფორმისა და შინაარსის გარეშე არსებობს“. (О. М. М е д у ш е в с к а я. Теоретические проблемы источниковедения. М., 1977, с. 74).

³³ А. А. К у р н о с о в. К вопросу о природе видов источников.—Источниковедение отечественной истории. 1976. М., 1977, с. 9.

³⁴ А. Г. Т а р т а к о в с к и й. Социальные функции источников, с. 120. ს. კაშტანოვის და ა. კურნოსოვის მიხედვით, ნაირსახეობა „სახის ფარგლებში არსებული ჯგუფია“ (С. М. К а ш т а н о в, А. А. К у р н о с о в. Некоторые вопросы теории источниковедения.—„Исторический архив“. 1962, № 4, с. 180); ს. კაშტანოვის აზრით, „ნაირსახეობა“ არის კატეგორია, რომლის დადგენაც კლასიფიკაციის პროცესში ხდება წარმოშობის პრინციპის მიხედვით. წარმოშობა კი, მისი აზრით, მოიცავს შექმნის სფეროს, ავტორობას, მიზანს (С. М. К а ш т а н о в. Очерки русской дипломатики. М., 1970, с. 19).

³⁵ М. А. В а р ш а в ч и к. Историко-партийное источниковедение, с. 165.

სანდოობის ხარისხზე, რის გამოც ისინი შესწავლის სხვადასხვაგვარ მეთოდებს მოითხოვენ.

Г. Г. АЛАСАНИЯ

ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ КЛАССИФИКАЦИИ ИСТОРИЧЕСКИХ ИСТОЧНИКОВ

Резюме

В статье рассматриваются некоторые взгляды советских историков о классификации исторических источников. Автор поддерживает типологическую классификацию источников, в основе которой лежит принцип хранения и кодирования информации, внося в традиционное деление на семь типов некоторые изменения. Здесь же приводятся определения документальных и повествовательных источников, а также понятий «вид» и «разновидность».

მზია მარსაგივშილი

ძველი ქართული სამწერლოვო ისტორიული ტერმინოლოგიის
შესწავლის საკითხისათვის

როგორც ცნობილია, ქართული ენა ისტორიულად ხშირად განიცდიდა სხვადასხვა ენათა გავლენას. იცვლებოდა ცოცხალი, ზეპირი ქართული მეტყველება და ამას არ შეეძლო კვალი არ დაეტოვებინა სამწერლოვო ენაზე¹. არ არის ისეთი ენა, რომელიც განვითარებისას არ მდიდრდებოდეს ახალი სიტყვებით (უმთავრესად უცხო ენიდან შემოსული), არ იცვლიდეს ამა თუ იმ სიტყვათა მნიშვნელობას, არ კარგავდეს ცალკეულ მათგანს, ან გაუქმებულ სიტყვათა მაგიერ სხვა ახალი სიტყვა არ შემოიღოს ხმარებაში. და, თუმცა ქართულ ენას ცვლის შედარებით ნელი ტემპი ახასიათებს (ახალი ქართული ბევრად უფრო ახლოს არის ძველ ქართულთან, ვიდრე, მაგალითად, ახალი სომხური ძველ სომხურთან)², ამგვარი განვითარების არაერთი ნიმუშია ქართულ ენაში დაცული. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, სამწერლოვო ისტორიული ტერმინოლოგიის განვითარებაშიაც გვხვდება, რომლის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წერილობით ძეგლებში დაცული ძველი ქართული ტერმინების კვლევას. ამ ტერმინების შესაბამის კონტექსტში შესწავლა, დროისა და ვითარების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ტერმინოლოგიის დადგენას, ხოლო მეორე მხრივ, თვით წყაროების სწორ ინტერპრეტაციას, მათი ცნობების სახეობის განსაზღვრას, ინფორმაციულ შესაძლებლობათა გაფართოებას, საშუალებას მოგვცემს გავიზროთ ამა თუ იმ ეპოქის მემკვიდრეთა დამოკიდებულება საკუთარი ნაღვაწისადმი. ზოგ შემთხვევაში ტერმინოლოგიის საფუძვლიანი შესწავლა დაგვეხმარება თხზულების არქიტექტონიკისა და ქრონოლოგიის დაზუსტებაშიც, კვლევის სხვა მეთოდებთან ერთად დაგვეხმარება დავადგინოთ ის კულტურული კავშირები, რაც ჩვენს ქვეყანას ამა თუ იმ პერიოდში სხვა ქვეყნებთან ჰქონია.

ტერმინოლოგიური კვლევის არსი მდგომარეობს ტერმინების დადგენასა და მათი განსაზღვრების ფიქსირებაში — დეფინიციების შემუშავებაში. „Terminus“ ნიშნავს „ზღვარს“, „კიდეს“³. ამრიგად, ეს სიტყვა თავისი შინაარსით მიგვანიშნებს კიდეც, რომ იგი ჩვეულებრივი სიტყვებისაგან გამოირჩევა, შემოისაზღვრება, გამოიყოფა. ტერმინი არის განსაზღვრების ობიექტი, ანუ ლოგიკური განსაზღვრების საშუალებად ქცეული სიტყვა სამეცნიერო ტერმინია⁴. განსაკუთრებული ფუნქცია, რომლითაც ის ხასიათდება — სახელწო-

1 არნ. ჩიქობავა. ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძეგლთა ჩვენებაში — წიგნში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 91.

2 იქვე.

3 Ch. T. Lewis. A Latin dictionary for schools. Oxford, 1951, p. 1075.

4 Вопросы терминологии. Материалы Всесоюзного терминологического совещания. М., 1961, с. 106.

დების ფუნქციას. იგი ასახავს ამა თუ იმ ცნებას, ცნება კი, თავის მხრივ, ასახავს მოვლენას ანდა მოქმედებას. ზღვება პირიქითაც — რეალურად არსებული მოვლენა ქმნის წარმოდგენას, მოსაზრებას, ცნებას და ლებულობს სახელს — ტერმინს. ეს არის ტერმინოლოგიის შექმნისა და მოწესრიგების ე. წ. ასახვის პრინციპი. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევას ეს პრინციპი შემდეგნაირად მიესადაგება: ისტორიული წყაროს ტერმინოლოგია ასახავს ისტორიულ მოვლენას, ზოლო თვით ისტორიათმწერლობა ასახავს დამოკიდებულებას სუბიექტსა (ისტორიკოსი, მემატიანე) და ობიექტს (ტექსტი) წმორის, რაც გამოხატულებას კონკრეტულ ტერმინოლოგიაში პოულობს.

*
* *
*

ერთ-ერთი პირველი ცდა ძველი ქართული სამწერლობო ისტორიული ტერმინის ახსნისას გვხვდება XIII ს-ის დამდეგს, კერძოდ, თამარ მეფის ე. წ. პირველი მემატიანის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, სადაც ნათქვამია: „აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმიან, გარდავსცე ისტორიასა და ვასილოღრაფსა, რომელ არს მითხრობა მეფეთა“⁶. „ვასილოღრაფი“ ბერძნული სიტყვაა, მაგრამ ბერძნულ მწერლობაში ეწოდებოდა არა მეფეთა ცხოვრების სასახელო ან საგამობ საქმეთა აღწერას, არამედ იმპერატორის წინააღმდეგ დაწერილ პასკვილს. შესაძლებელია, ამ ტერმინს ოდესმე ბერძნულადაც ჰქონია იგივე მნიშვნელობა, რაც ქართულად, მაგრამ ამის დამამტკიცებელი ცნობები არა გვაქვს⁷. „ვასილოღრაფი“ სიტყვა-სიტყვით მეფეთა აღმწერელს ნიშნავს, მაგრამ მემატიანე მას ხსნის არა როგორც მთხრობელს, აღმწერელს მეფეთა ცხოვრებისა, არამედ „მეფეთა მითხრობად“ — ისტორიად; ზუსტად ისევე, როგორც „ხრონოღრაფი“ (ყამთაღმწერელი) ქართულ წყაროებში „ხრონოღრაფის“ (ყამთაღმწერელობის) ნაცვლად გვხვდება⁸.

ამგვარად, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში განმარტებულია ტერმინი „ვასილოღრაფი“, რომელიც ბერძნული კომპოზიტის ოდნავ უზუსტო თარგმანს წარმოადგენს. როგორც ჩანს, აღნიშნული ტერმინი აქ პირველად არის გამოყენებული და ავტორს საჭიროდ მიუჩნევია მისი განმარტება. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ დღემდე შემორჩენილ წყაროებში განმარტების გარეშე მითითებული ტერმინები შესაძლოა ადრე შექმნილ თუ გადმოთარგმნილ, დღეისათვის დაკარგულ ტექსტებში იყო ახსნილი. მემატიანეს, რომელიც თავის ნაწარმოებს მაღალ დონეზე შესრულების მიზნით ბერძნული თუ აღმოსავლური სიტყვებით ამდიდრებდა, ესა თუ ის ტერმინი მკითხველისათვის გასაგებ სიტყვად მიუჩნევია და მისი ახსნა-განმარტება ზედმეტად ჩაუთვლია. ასე მაგალითად, თამარ მეფის მემატიანის თხზულებაში არსად არ არის ახსნილი „ვასილოღრაფის“ გვერდით დამოწმებული სხვა ბერძნული ტერმინები — „ისტორია“ და „აზმა“, რომელთა განმარტებაც ბევრად უფრო ადრე, X.I

⁶ Г. О. Винокур. О некоторых явлениях словообразования в русской технической терминологии. — Труды Московского института истории, философии и литературы, т. V. Сборник статей по языкознанию. М., 1939, с. 6.

⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 2.

⁸ ჯ. კეკელიძე. რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა. — ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, V, 1925, გვ. 311.

⁸ იქვე, გვ. 310—311.

ს-ის მეორე ნახევარში, ეფრემ მცირისეულ თარგმანებში გვხვდება: „ამას წიგნსა ეწოდების ფილოთეონ ისტორია, რომელ არს ღმრთის-მოყუარებით თხრობაჲ“⁹ (ისტორია — თხრობა); „აზმა“ ბერძნულად მეორე სახელი არს გალობისაჲ“¹⁰.

მართალია, მნიშვნელობა ტერმინებისა „ისტორია“ და „აზმა“ ეფრემ მცირის თარგმანებში დაცული ცნობებით დაზუსტდა, მაგრამ რამდენადაც აქ ეს სიტყვები ისტორიულ თხზულებათა აღმნიშვნელი ტერმინები არ არის, ამიტომ მათი განმარტების პირველ ცდად XIII ს-ის დამდეგს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში მოცემული ახსნა უნდა ჩაითვალოს.

ამის შემდეგ სამწერლობო ისტორიული ტერმინების ახსნას XVIII ს-მდე ვეღარ ვხვდებით. პირველი ყველაზე სრული განმარტება აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. მხედველობაში გვაქვს მისი ცნობილი მოსაზრება მატიანის მნიშვნელობის, შედგენილობისა და დანიშნულების შესახებ: „მატიანე მოგვაგვსენებს ქმნულებასა და ყოფათა მეფეთა, მთავართა და დიდებულთა, ვიდრე მცირედმდე, და ვითარებასა მათთა...“, „მატიანე მოგვაგვსენებს დასაბამითგანსა ყამსა, წელსა და საუკუნოსა...“, „მატიანე აცნობებს ნათესავთ — ჩამომავლობასა“¹¹ და ა. შ. მართალია, ამ შემთხვევაში ვახუშტი ზოგადად ისტორიულ თხზულებას გულისხმობდა, მაგრამ რამდენადაც მის „აღწერაში“ ისტორიული თხზულების აღსანიშნავად მხოლოდ სიტყვა „მატიანე“ გვხვდება, ამ განმარტებით თვით ტერმინის შინაარსიც გამოიკვეთა.

ქართულ ისტორიულ წყაროებში გაბნეული სამწერლობო ტერმინების სისტემატიზაციისა და ახსნა-განმარტების აუცილებლობა თანდათან გამოიკვეთა ისტორიული მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ: ყალობდება ძირითადი წყაროთმცოდნეობითი ცნებები, შესაბამისი ტერმინები და იქმნება აუცილებლობა ძველი ქართული ისტორიული სამწერლობო ტერმინოლოგიის მოწესრიგებისა. ივ. ჯავახიშვილამდე ამ ტერმინოლოგიის სისტემური შესწავლა არავის უცდია, თუმცა თითო-ორი თავისებურ განმარტებას მანამდეც ვხვდებით. მაგალითად, ნიკო დადიანი თავისი თხზულების წინასიტყვაობაში წერს: „ესე შემდგომნი... ისტორიანი ანუ მოთხრობანი ქართველთა“¹². ნიკო მარს ახსნილი აქვს ტერმინი „ცხოვრება“, მაგრამ მხოლოდ აგიოგრაფიული პოზიციიდან, როგორც საკუთრივ მონასტრების, მთელი ოლქის და მათი გამოჩენილი წარმომადგენლების ცხოვრების აღწერა¹³.

აღ. ხახანაშვილი „ქართლის ცხოვრებას“ უწოდებს ქართულ ქრონიკას და საერთოდ ყველანაირ საისტორიო ნაწარმოებს ქრონიკად მოიხსენიებს; თ. ჟორდანიას თანამედროვეთა მიერ აღწერილ მატიანეს ორგვარად ჰყოფს: I. ე. წ. „წელთა რიცხოვანი“ მატიანე, რომლის ავტორი ამა თუ იმ ამბებს აღწერს იმ დღესა და თვეში, როდესაც გაიგებს. ამგვარი მატიანე შეიცავს ცნობებს, რომელთაც ერთმანეთთან არავითარი კავშირი, გარდა ქრონოლოგიურისა, არა აქვთ; II. მატიანე, რომლის ავტორი ცნობებს გადმოგვცემს არა თანდათან, არა დღითი-დღე, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ესა თუ ის ამბავი დას-

9 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, I. ტფ., 1982, გვ. 40.

10 კ. კეკელიძე. რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი, გვ. 309—310.

11 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 3, 4.

12 ნ. დადიანი. ქართველთა ცხოვრება. თბ., 1962, გვ. 41.

13 Н. Марр. Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского. СПб., 1911, с. IV—V.

რულდა და საზოგადოებაში წარსულ მოვლენათა შესახებ გარკვეული აზრიც დამკვიდრდა. თ. ჟორდანის განმარტებით, „სწორედ ამგვარი მეისტორიე და ისტორია იწოდებოდა ჩვენში მემატინედ და მატინედ“¹⁴.

ამგვარი მაგალითები შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ ე. თაყაიშვილის, მ. ჯანაშვილის და სხვათა თხზულებებიდან, მაგრამ არსად არ არის ამა თუ იმ ტერმინის ნამდვილი მეცნიერული ახსნა, და თუ მოცემულია რაიმე ახსნა, ისიც არა ტერმინოლოგიურ, არამედ მხოლოდ ზოგადად ისტორიის ახსნის ხასიათს ატარებს. ივ. ჯავახიშვილი კი ამა თუ იმ ისტორიული თხზულების განხილვისას ცალკეული ტერმინების ახსნა-განმარტებაზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას. უმეტეს შემთხვევაში იგი გვაწვდის მათ ბერძნულ, სომხურ, არაბულ და სხვა შესატყვისებს. მაგალითად: „ისტორია“ ბერძნული სიტყვაა და ჰნიშნავს შეკრებილ ცნობას, ამბავს¹⁵, „თხრობა“ იგივე „უწყება“ ყოფილა¹⁶, „აღწერა“ ძველ ქართულში „შეთხზვას“ ჰნიშნავდა¹⁷. „მოდგერებას“ „სწავლა“... უდრის, „კვსენებას“ კიდევ „მოკვსენება“ და „ქება“¹⁸, „უამთაღმწერლობა“... უდრის ბერძნულ „ხრონოგრაფიას“ და სომხურს „უამანაკაგრუთიუნს“, ხოლო „უამთაღმწერელი“... „ხრონოგრაფოსს“ და სომხურს „უამანაკაგირს“¹⁹, „მრავალმომთხრობელი“ და „ყოველთა-აღმწერელი“ — ორივე სიტყვა ალბათ ბერძნულს პოლუსტორს უდრის²⁰, „აზმანი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს დროს, ხანას²¹ და სხვა მრავალი.

ძველი ქართული სამწერლობო ისტორიული ტერმინების ივ. ჯავახიშვილისეული ახსნა ყველაზე სრულყოფილი და დამკვიდრებულია ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში. შემდგომში შეივსო, აღმოჩნდა, დაზუსტდა და ახლებურად აიხსნა მხოლოდ ზოგიერთი ტერმინი. ამ მხრივ აღსანიშნავია კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, ილ. აბულაძის, პ. ინგოროყვას, კ. გრიგოლიას, თ. ყაუხჩიშვილის, მ. ანდრონიკაშვილის, მ. ლურგულაძის და სხვათა შრომები.

„აზმასა“ და „ვასილოდრაფზე“, რომელთა მნიშვნელობის მიკვლევაც კ. კეკელიძეს ეკუთვნის²², ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ „ზოგიერთი გაუგებრობის წყალობით ჩვენში დამკვიდრებული იყო შეხედულება, თითქოს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ნიშნავდეს „საქართველოს გეოგრაფიას“. სინამდვილეში კი, როგორც გარკვეა ეჭვმიუტანლად, „აღწერა“ ნიშნავს „ისტორიას“ და, მაშასადამე, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ნიშნავს „საქართველოს სამეფოს ისტორიას“²³. „აღწერა“ ნიშნავს „ისტორიას“, ხოლო „აღმწერელი“ — ისტორიკოსს²⁴.

14 ქრონიკები, I, გვ. LIV—LV.

15 ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. — თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 220.

16 იქვე, გვ. 68.

17 იქვე, გვ. 171.

18 იქვე, გვ. 68.

19 იქვე, გვ. 249.


20 იქვე.

21 იქვე, გვ. 221.

22 კ. კეკელიძე. რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი, გვ. 309—311.

23 ს. ყაუხჩიშვილი. ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო ნაშრომი. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 06.

24 იქვე, გვ. 11.



3. ინგოროყვას აზრით, „ქებანი“ მხოლოდ პოემა-რომანის აღმნიშვნელი ტერმინია, რომლის სინონიმადაც მას „ამბაენი“ მიაჩნია²⁵. ვ. დონდუას დაკვირვებით, შუა საუკუნეთა საისტორიო ტრადიციები იძლეოდა ნებას ადამიანის ცხოვრება-მოღვაწეობა აღნიშნულიყო ტერმინით „ქება“, „ქებანი“²⁶. მ. ჯანაშვილის მოსაზრებით, „ქება“ და „შესხმა“ შეიძლება არა ცალკეული პირის, არამედ მთელი ერის ისტორიასაც გადმოგვცემდეს²⁷. კ. გრიგოლიას მტკიცებით კი XII—XIII სს-ში ქართულ საისტორიო მწერლობაში ტერმინი „ქება“ ისტორიის მნიშვნელობით მკვიდრდება და შესაბამისად — „მაქებელი“ და „შემსხმელი“ ისტორიკოსის გავებით²⁸.

სამწერლობო ისტორიული ტერმინების ახსნა-განმარტებითი მსგავსებები დაცულია ლექსიკონებში, ყველაზე ადრე სულხან-საბა ორბელიანთან, სადაც გვაქვს „ისტორიის“ ახსნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, და „მატიანისა“: „მატიანედ ითქმის მეფეთ ცხოვრებანი; მატიანე არს მოსახსენებელი საქუყვნოთა განსაგებელთა და წესთანი“²⁹.

აღ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ გარდა ცნობილი, ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინებისა, მოტანილია „ავანდავირი“ და „პატმოთინი“ სომხური საისტორიო წიგნის აღსანიშნავად³⁰.

*
* * *

წინამდებარე შრომაში შეკრებილი და განხილულია ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებების — ქართულ ისტორიულ თხზულებათა, ამ თხზულებათა შემადგენელი ნაწილების, ისტორიათაღმწერლისა და ისტორიათაღმწერლობის აღმნიშვნელი ტერმინები, რომლებიც ოთხი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით დაჯგუფდა:

I. ტერმინები წარმოშობის მიხედვით. ამ თვალსაზრისით ქართულ საისტორიო მწერლობაში გვაქვს:

ა) ქართული წარმოშობის ტერმინები „ცხოვრება“, „წამება“, „ქება“, „კსენება“, „წერა“, „აღწერა“, „მოთხრობა“, „უწყება“, „შესხმა“, „ზედაწერილი“, „გარდაკავშვა“. ცალკე უნდა აღვნიშნოთ „სიტყვდან“ გამომდინარე რამდენიმე ტერმინი. რამდენადაც „სიტყუას“ ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა, ამდენად მისგან მრავალი დერივატი წარმოიშვა. კერძოდ, ჩვენს ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული „სიტყუმოქმედი“, „დიდსიტყუაობა“, „სიტყუსაწყობა“, „გზა სიტყუსა“, „მიზეზი სიტყუსა“, „პირველი სიტყუა“, „მსახურება სიტყუსა“, „დასაბამი სიტყუსა“.

ბ) ქართული ტერმინები, რომლებიც უცხო ენიდან შემოსულის კალკს წარმოადგენს: „უამთაღმწერლობა“ (χραιογραφία), „უამთაღმწერელი“ (χραιογράφος), „სიტყუს-მოქმედი“ (λογοποιός), „პოლუსტორა“ — მრავალმომთხრობელი. საინტერესოა ტერმინი „მოქალაქობა“, რომელიც ბერძნული სიტყვის ἡ πολιτεία კალკს უნდა წარმოადგენდეს. რო-

25 ვ. ინგოროყვა. რუსთველიანა. — თხზულებანი, I, თბ., 1963, გვ. 195—196.
 26 ვ. დონდუა. საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1973, გვ. 106—107.
 27 ქართველთა მატიანე. — „მოამბე“, 1903, № 3, გვ. 57.
 28 კ. გრიგოლია. თამარის კიდევ ერთი მებატიანე-ისტორიკოსი. თბ., 1977, გვ. 44.
 29 ს.-ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. თბ., 1884, გვ. 134.
 30 ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973, გვ. 3, 338.

გორც ცნობილია, ბერძნულში **πισις** სახელმწიფოსაც აღნიშნავდა, ხოლო **πισιτης** ანუ „მოქალაქე“ — სახელმწიფოსთვის მოღვაწეს. ქართულში „ქალაქი“ და „სახელმწიფო“ ერთსა და იმავეს არ აღნიშნავს, მაგრამ ბერძნულის გავლენით „მოქალაქობა“ საზოგადო საქმისათვის თავდადებას დაერთკვა.

გ) უცხო ენიდან შემოსული ტერმინები: „ჰამბავი“, „მატიანე“, „ანდერძი“ — სპარსული ენიდან; „თარგმანება“, „თარგმნა“ — არაბულიდან; „აზმა“, „ისტორია“, „ვასილოღრაფი“, „ქორონიკონი“, „ენკომია“, „კიენი“, „მეტაფრასი“, სუნაქსარი“, „ზანდუკი“ — ბერძნულიდან. ცალკე აღსანიშნავია „ლექსთ-მეტყუელება“, რომელიც ქართულ (მეტყველება) და ბერძნულ (**λεξις**) სიტყვათა სინთეზს წარმოადგენს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტერმინი ქართულ ენაში მეტ-ნაკლებად იმავე მნიშვნელობით შემოვიდა, რა მნიშვნელობაც მას თავდაპირველად ჰქონდა. გამონაკლისია „ვასილოღრაფი“, რომელიც ბერძნულ მწერლობაში ეწოდებოდა იმპერატორის წინააღმდეგ მიმართულ პასკვილს და არა მეფეთა ცხოვრების ამსახველ თხზულებას, რა მნიშვნელობაც მან ქართულში შეიძინა³¹. საინტერესოა, რომ ზოგიერთი შემოსული ტერმინი და მათი ქართული შესატყვისები პარალელურად გვხვდება: „მარტვილობა“ — „წამება“, „აზმა“ — „ქება“, „შესხმა“.

დ) უცხო ენაზე შექმნილი თხზულების აღმნიშვნელი ის ტერმინები, რომლებიც ქართული ისტორიული წყაროების მიმართ არ იხმარებოდა. კერძოდ, „ნრონღრაფი“ გარკვეული სახის ბერძნული თხზულების და „ავანდაგირი“, „პატმოთინი“ — სომხურის აღსანიშნავად.

ზოგიერთ ზემოთ ჩამოთვლილ ტერმინს აქვს დერივატები, რომლებიც ისტორიის აღმწერლისა და წერის პროცესს აღნიშნავენ. მაგალითად „ქება“ — „მაქებელი“, „აღწერა“ — „აღმწერელი“, „ყოველთა აღმწერელი“, „აღმწერელი ჰამბავისა“. „წერა“ — „მწერალი“, „ჟამთაღმწერელობა“ — „ჟამთაღმწერისა მოქმედი“. „ჟამთაღმწერელობითი საქმიერობა“, „მოთხრობა“ — „მოთხრობელი“, „შესხმა“ — „შემსხმელი“, „მატიანე“ — „მემატიანე“, „ისტორია“ — „ისტორიათ აღმწერელი“.

II. ტერმინები შეიძლება დაჯგუფდეს მათი არსებობისა და გამოყენების ხანგრძლიობის მიხედვით. ზოგიერთმა ტერმინმა საუკუნეების მანძილზე გაუძლო „ღროით გამოცდას“ (თუკი შეიძლება ასე ვთქვათ ტერმინზე). ასეთებია, მაგალითად, „მატიანე“, „ცხოვრება“, „წამება“, „მარტულობა“, „აღწერა“, „წერა“, „თხრობა“. დანარჩენი ტერმინები კი შედარებით ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოიყენებოდა, ან სულაც ერთი-ორჯერ არის დამოწმებული. საგანგებოდ აღსანიშნავია ტერმინი „ისტორია“, რომელიც ისტორიული თხზულების აღსანიშნავად პირველად XIII ს-ის დამდეგს გვხვდება, შემდგომში სრულიად იკარგება და მხოლოდ XVIII ს-ის დასაწყისიდან მკვიდრდება ხელახლა.

III. ტერმინების დაჯგუფება ვცადეთ მათი ერთმნიშვნელობისა და მრავალმნიშვნელობის მიხედვით: ტერმინების უმრავლესობას მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს, ზოგს კი თავიდანვე სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა ან შემდგომში შეიძინა. მაგ., „ამბავი“ ნიშნავდა როგორც ისტორიას, ასევე უბრალოდ ინფორმაციას, ცნობას. გარდა ამისა, დამოწმებულია „ამბავი“, როგორც პროზაული თხზულების აღმნიშვნელი ტერმინი პოეტური ქმნილებისაგან განსასხვა-

³¹ კ. კეკელიძე. რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი, გვ. 311.

ვებლად³². „ცხოვრება“, გარდა იმისა, რომ არსებობას აღნიშნავდა (существование, жизнь), იყო აგრეთვე სასულიერო პირთა თავდადასავლის აღმნიშვნელი ტერმინი (житие), ხოლო მოგვიანებით საისტორიო თხზულებათა საზოგადო სახელადაც იქცა. „მოქალაქობა“ თავდაპირველად მხოლოდ ღირსსახსოვარ მოღვაწეობას ნიშნავდა (подвижничество), შემდგომში „ქალაქელობის“ მნიშვნელობა შეიძინა. „ქება“, „შესხმა“ XIII ს-მდე მხოლოდ აღმატებით შეფასებას ნიშნავდა, XIII ს-ში კი მას გარკვეული ისტორიული თხზულების — მეფეთა ისტორიის აღმატებით გადმოცემის მნიშვნელობაც ჰქონდა. „ქებისა“ და „შესხმის“ სინონიმად გვხვდება „აზმა“, რომელიც ბერძნულად გალობას ნიშნავს, მაგრამ XIII ს-ში ქართველმა ანონიმმა მემამტიანემ ისტორიული თხზულების აღსანიშნავად გამოიყენა. „აღწერა“ გარდა თავისი ვიწრო მნიშვნელობისა, ჩვეულებრივ, შეთხზვასაც გულისხმობდა, ვახუშტი ბატონიშვილმა კი მას „ისტორიის“ მნიშვნელობაც მიანიჭა („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“). „მატიანე“ თავდაპირველად უფრო ახლოს იდგა მნიშვნელობით თავის სპარსულ ორიგინალთან (სადაც „ნუსხასაც“ აღნიშნავდა) და სიის მსგავსად შედგენილ, ისტორიული ცნობების მარტივად აღწერილ ნაწარმოებს ეწოდებოდა. ისტორიული თხზულების მნიშვნელობა მან შემდგომში შეიძინა. „ისტორია“ პირველად XI ს-ში გვხვდება ეფრემ მცირესთან „თხრობის“ მნიშვნელობით („...ფილოთეონ ისტორია, რომელ არს ღვთისმოწყურებითი თხრობაა“), XIII ს-ში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისტორიულ თხზულებას ჰქვია. „მოთხრობელი“, „მთხრობელი“ მაინცნაც ნიშნავს და მემამტიანესაც. (ზღრ: „...არცა მთხრობელი მივა საქართველოთა“, ან, „...უდიდესთა გელ-ყო საქმეთა, რომელთა მთხრობელად მოწევნული მყის თავსა შორის ჩემსა... მსგავსი იპოებოდი უმეტრებით ლექსთა მეტყუელებად“³³).

IV. დაგვუფება მეოთხე ნიშნის მიხედვით ეყრდნობა სისტემურობის პრინციპს. რით ხასიათდება ეს პრინციპი? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს მიერ შეკრებილ იქნა ოთხი ერთმანეთთან დაკავშირებული ცნების გამომხატველი ტერმინები. ცნებები და მათი შესაბამისი ტერმინები კი საერთოდ ურთიერთშეხამებული, ურთიერთდაკავშირებული უნდა იყვნენ, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენადაც კონკრეტული მეცნიერების მიერ შესასწავლი მოვლენები ურთიერთდაკავშირში არიან, სისტემას წარმოადგენენ, ამდენად ყოველი ცნება, რომელიც ამ მოვლენებს ასახავს, გარკვეულ ურთიერთობაშია ერთმანეთთან. სწორი ორიენტაციის მისაღწევად ტერმინები, რომლებიც ცნებების მოცემულ სისტემას ასახავენ, თვითონ ყალიბდებიან გარკვეულ სისტემად. ს. ჩაპლიგინისა და დ. ლოტეს მიხედვით. სისტემა ყალიბდება არა ნებისმიერი სიტყვების შეკრებით, არამედ ერთმანეთთან მჭიდროდ, ორგანულად დაკავშირებული ტერმინების ერთობლიობით³⁴.

როდესაც საქმე ეხება მეცნიერების რომელიმე დარგში ახალი ტერმინოლოგიის შექმნას ანდა არსებულის სრულყოფასა და მოწესრიგებას, აღნიშნუ-

32 შოთა რუსთაველთან: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ...გოვე და ლექსად გარდათქვი“; ასევე XVII ს-ის პოეტი სულხან თანიაშვილი პროზაულ თხზულებას პოეტურისაგან განსხვავებულად „ამბავს“, „ამბის წიგნს“ უწოდებს: „პირველ ამბად დანაწერსა იწუ ლექსად ვიქ შეწყობილსა“ („ამირანდარეჯანიანი“, სტ. 26), „ამირან დარეჯანისძე და სეფე-დავლა ძმობილნი... მოსეს ეწერა ამბითა“ (იქვე, სტ. 27), „აწ ამბავსა ლექსად ვიწყებ“ (იქვე, სტ. 42).

33 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 108, 78.
34 С. А. Чаплигин, Д. С. Лотте. Задачи и методы по упорядочению технической терминологии.—Известия АН СССР, отделение технических наук, 1937, № 6, с. 882.

ლი სისტემურობის პრინციპი აუცილებლად არის გასათვალისწინებელი. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე გვაქვს ისტორიული წყაროების ტერმინოლოგიასთან, სისტემურობის პრინციპი საკმაოდ მკაფიოდ ჩანს: დროის გარკვეულ პერიოდს განეკუთვნება ცნებების გარკვეული, ურთიერთდაკავშირებული სისტემა და მისი შესაბამისი ტერმინოლოგია, რომელიც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა, იცვებოდა და ვითარდებოდა. რამდენადაც ისტორიული თხზულება, მისი შემადგენელი ნაწილები, ისტორიათაღმწერელი და ისტორიათაღმწერლობა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენები და მათი აღმნიშვნელი ცნებებია, ამდენად შესაბამისი ტერმინებიც გარკვეულ სისტემებს ქმნიან. ტერმინთა სისტემები შეიძლება გამოიყოს მათი შინაარსობრივი კავშირების ან დერივატულობის მიხედვით. მაგ., „ზედაწერილი“, „შესავალი თხრობისა“, „პირველი სიტყუა“, „ნეშტი თხრობისა“, „დასაბამი სიტყუა“, „წესი თხრობისა“, „სტადიონი მოლუაწებისა“, „სარბიელი მოლუაწებისა“, „ანდერძი“, „ზანდუკი“ ერთი სისტემის ტერმინებია, დაკავშირებული ერთმანეთთან შინაარსობრივად. ან კიდევ „წერა“, „აღწერა“, „აღმწერელი“, „ყოველთა აღმწერელი“, „აღმწერელი ჰამბავისა“ ცალკე სისტემა დერივატული ტერმინებისა, ისევე როგორც „უამთააღმწერელობა“, „უამთააღმწერისა მოქმედი“, „უამთააღმწერელობითი საქმიერობა“.

М.В. МАРСАГИШВИЛИ

К ВОПРОСУ ОБ ИЗУЧЕНИИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКОЙ ТЕРМИНОЛОГИИ

Резюме

Сутью терминологического исследования является определение терминов и фиксирование их значения. Научный термин — это слово ставшее средством логического определения. Особая функция, которой характеризуется термин, — это функция названия.

Терминология письменного исторического источника отражает историческую действительность, а историотворчество отражает отношение историка к историческому тексту, что проявляется в конкретной терминологии.

Изучение терминов исторических источников в их контексте способствует, с одной стороны, установлению системы терминологии, с другой — дает возможность правильной интерпретации самого источника, помогает осмыслению отношения историка к своему произведению. В отдельных случаях основательное изучение терминов позволяет уточнять архитектонику, структуру и хронологию исторического источника, а совместно с другими методами исторических исследований способствует определению культурных связей, существовавших в определенные времена между различными странами.

მამისა ბერძნობილი

XVIII—XIX სს დამდების ქართული ეპისტოლური მასალის
გამოცემის საკითხისათვის

წერილობით წყაროებს შორის თავისებური ადგილი უჭირავს ეპისტოლურ მასალას. ეპისტოლე ანუ წერილი ისევე ძველია, როგორც დამწერლობა. დამწერლობის შექმნა ადამიანთა შორის სამეტყველო ინფორმაციის მანძილზე და დროში მიწოდების აუცილებლობამ გამოიწვია, წერილი კი სამეტყველო ინფორმაციის უძველესი გამოვლინებაა. ჩვენამდე მოაღწია მიწერ-მოწერის უძველესმა ნიმუშებმა: პაპირუსზე დაწერილმა წერილებმა ძველი ეგვიპტიდან და თიხის ფირფიტებზე ამოკვეთილმა წერილებმა შუამდინარეთიდან. ბერძნულ-რომაულ სამყაროში მიწერ-მოწერამ მოიცვა ცხოვრების მრავალი მხარე. ეპისტოლე ადამიანთა საქმიანი ურთიერთობის გამოხატულებიდან ლიტერატურულ ჟანრადაც კი იქცა. ძველ რომში, მაგალითად, პლინიუს უმცროსმა შეაგროვა სხვადასხვა პირთან გაგზავნილი თავისი წერილები, დაურთო მათ სპეციალურად გამოსაქვეყნებლად დაწერილი ეპისტოლეები და თავისავე სიცოცხლეში გამოსაცემად მოამზადა მიწერ-მოწერის 9 წიგნი. შემდეგ მას მეთექვსიწიგნი დაუმატეს¹. მასზე უფრო ადრე, ციცერონიც ფიქრობდა შეეკრიბა თავისი წერილები და გამოსაქვეყნებლად მოემზადებინა. ეს საქმე მისმა უმცროსმა თანამედროვეებმა შეასრულეს. შუა საუკუნეებში, აღორძინების ხანაში კვლავ გაცხოველდა ინტერესი ციცერონის წერილებსადმი, მათი ძველად შედგენილი პირების საფუძველზე შეიქმნა ციცერონის ეპისტოლეთა რამდენიმე კრებული². ამავე დროს იმთავითვე ჩამოყალიბდა წერილის შედგენის წესი, მიმართვის ფორმები და მისი შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობა.

ეპისტოლური მასალა ანუ წერილი წერილის დამწერის თანადროული საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების, იდეური ბრძოლის, კულტურის, ყოფის, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების წარმოსაჩენი საუკეთესო წყაროა. როგორც წესი, წერილი შედგენილია მასში აღწერილ მოვლენათა კვალდაკვალ, ამიტომ მისგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება გაცილებით უფრო ყოვლის მომცველი იყოს, ვიდრე სხვა რიგის წერილობითი წყაროების შესწავლით გამოკვლეული სურათი.

ეპისტოლური მასალა, როგორც საისტორიო წყარო, დოკუმენტურ მასალას მიემსგავსება. დოკუმენტი ანუ საბუთი — ესაა ისტორიული წყარო, შედგენილი მასში აღწერილი ვითარების თანამედროვეის მიერ ტრადიციულად ჩამოყალიბებული სქემისა და ტრაფარეტად ქცეული შაბლონური გამოთქმების მიხედვით. ეპისტოლეც, ასევე, მასში აღწერილ მოვლენათა თანამედრო-

¹ Письма Плиния Младшего. М.-Л., 1950.

² Письма Марка Туллия Цицерона к Аттику, близким, брату Квинту, М. Бруту. В 3-х томах. М.—Л., 1949, 1950, 1951.

ვისაგან არის დაწერილი და ისიც გარკვეული ტრადიციული სქემითაა აგებული. დოკუმენტს შეისწავლის წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი დარგი — დიპლომატიკა, ეპისტოლეს კი — ეპისტოლოგრაფია.

წერილში თვალნათლივ იხატება ავტორის პიროვნება, მისი ინტერესები, პოლიტიკური შეხედულებანი. მაგრამ ამავე დროს წერილის დამწერი ხშირად განგებ, წინასწარდასახული მიზნით ამახინჯებს სინამდვილეს; ეს კი აუცილებელს ხდის წერილის კრიტიკულ ანალიზს.

ჩვენში მიწერ-მოწერის ანუ ეპისტოლური მასალის არსებობას ქართული საისტორიო წყაროები ადასტურებენ ჩვ. წ. ა. უკვე პირველ საუკუნეებში (მაგრამ, სამწუხაროდ, არ ჩანს რა ენაზე წარმოებდა მიმოწერა). მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდულ ვარიანტში ვკითხულობთ: „ოდეს იგი მეფობდა ჰეროდე და მოგუქესა აქა: კად სპარსთა იერუსალიმი დაიპყრესო, გლოვის წიგნი მოეწერა ყოველთა ურიათა მომართ ქართლისათა“³.

ლეონტი მროველს ჩაწერილი აქვს აბიათარ მღვდლის მონათხრობი; „მოუწერა ანა მღვდელმან იერუსალემით მამის მამისა ჩემისა ელიოზის თანა ესრეთ, ვითარმედ: „იგი, რომლისათჳს სპარსნი მეფენი ძღუნითა მოვიდეს, აღზრდილ არს იგი და ჰასაკსა საზომსა მიწვეულ არს, და თავსა თჳსსა ხადის ძედ ღმრთისად“⁴.

ლეონტი მროველთანვე მოტანილია სრული ტექსტი თრდატ სომეხთა მეფესთან კეისრისაგან გაგზავნილი წერილისა, რომლითაც კეისარი ავალებს თრდატს მონახოს მის ქვეყანაში გადახვეწილი რიფსიმი⁵.

ლეონტი მროველი ახსენებს წიგნს, „რომელი მოუწერა პატრიარქმან ჰრომისამან და ბრანჯთა მეფემან ნინოს და მეფესა მირიანს და ყოველსა ერსა ქართლისასა“⁶.

არჩილ მეფის დროს მოზიდან ეპისკოპოსი, „ნათესავად სპარსი, და აჩუენებდა იგი მართლ-მადიდებლობასა... ფარულად წერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა, რომელი შემდგომად მისსა დაწუა ყოველი წერილი მისი ქეშმარიტმან ეპისკოპოსმან მიქაელ“⁷.

ჯუანშერის ტექსტით ვიგებთ, რომ როცა სპარსთა მეფემ ასული თვისი ბალენდუხტ ვახტანგს მისცა ცოლად, „მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად და მისწერა მის თანა წიგნი, რომელსა პატრუცავსა წერილ იყო ესრეთ: „ურმისდისგან, ყოველთა მეფეთა მეფისა, ვახტანგის მიმართ, ვარან-ხუასრო თანგისა, ათთა მეფეთა მეფისა ახოვანისა“. და მოუწერა მან ბრძოლა კეისრისა რამეთუ კეისარი განსრულ იყო ბრძოლად სპარსთა“⁸.

ჯუანშერს მოტანილი აქვს თითქმის მთელი ტექსტი იმ წერილისა, რომელიც ვახტანგ გორგასალმა კეისარს გაუგზავნა⁹.

ჯუანშერი დეტალურად აღწერს იმ მიწერ-მოწერას, რომელიც გამართულა ივრემიანოს ბერძენთა კეისარსა და სპარსთა მეფეს შორის. „კეისარმან უბრძანა მიწიგნობარსა და დაწერა წიგნი ზავისა... წარიკითხეს წიგნი იგი,

³ Е. Такайшвили. Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. II. Тифлис, 1906—1912, с. 761.

⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 98—99 (შემდგომი: ქცა).

⁵ იქვე, გვ. 82.

⁶ იქვე, გვ. 124.

⁷ იქვე, გვ. 142.

⁸ იქვე, გვ. 158.

⁹ იქვე, გვ. 176—177;

დაწერილ იყო ფიცით... მაშინ მოიღო სპარსთა მეფემან ქარტა და დაწერა კვ-
ლითა თვისითა წიგნი ბერძენთა მეფისა სიყუარულისა¹⁰.

ასევე ხშირია წერილის მიწერის ფაქტის აღნიშვნა მომდევნო ხანის თხზუ-
ლებებში, განსაკუთრებით დავითისა და თამარის ისტორიკოსებთან¹¹.

აქ მოტანილი მაგალითებით, გარდა იმისა, რომ ცხადი ხდება მიწერ-მოწე-
რის ფაქტები, ზოგჯერ მოყვანილია სრული ტექსტი წერილისა ან მისი ექს-
ცერპტები, მოცემულია აგრეთვე წერილის სხვადასხვა სახეობათა სახელწო-
დებებიც. ეს სახეობებია: „წიგნი წვევისა“ (ქცა, I, 344), წიგნი ზავისა (ქცა,
I, 183), „წიგნი სიყვარულისა“ (ქცა, I, 183), „წიგნი ლოცვისა და კურთხევისა“,
„წიგნი ქებისა და ნუგეშისცემისა“ (ქცა, I, 116), „ნაცვალ სიტყვა მეფისა“
(ქცა, II, 94), „ბრძანება და წიგნები“ (ქცა, II, 134). ზოლო ჯუანშერის ტექს-
ტით ვიგებთ, რომ მეფისაგან მეფისადმი მიწერილი წერილის შესავალ ნაწილს
პატრუცავი პრქმევი (ქცა, I, 158). პატრუცავში, სხვათა შორის, მოიხსენიე-
ბოდა ადრესატი მეფის (ამ შემთხვევაში ვახტანგ გორგასლის) სრული ტიტუ-
ლი, რომელიც ჯუანშერის მიხედვით ასეთი ყოფილა: „ყოველთა მეფეთა მე-
ფე, ვახტანგ (სპარსულად: ვარან-ხუასრო-თანგი) ათთა მეფეთა მეფე, ახოვა-
ნი“.

ეპისტოლე და მისი ცალკეული სახეობა არც თუ იშვიათად იხსენიება სხვა
რიგის წერილობით წყაროებშიც — იქნება ეს აგეოგრაფიული ძეგლი თუ მხა-
ტვრული ლიტერატურა. „ვეფხისტყაოსანში“, მაგალითად, „წიგნი“ წერილის
მნიშვნელობით მრავალჯერ იხსენიება. მრავალჯერაა მოტანილი თვით ტექსტიც
წერილისა. ამავე დროს პოემაში დასახელებულია ეპისტოლეს სხვადასხვა სა-
ხეობანიც — ესაა „მიჯნურობის უსტარი“ და „საწვეველი წიგნი“.

დაწერა წიგნი საბრალო მის ყმისა მისართმეველი
მისისა მიჯნურობისა უსტარი შესანახავი.

მას ლამესა საწვეველი რა მიათვეს წიგნი ყმისა.

(ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით სტროფი 1038, 1051). ასევე ხში-
რია წერილის ხსენება „ვისრამიანში“. აქაც მას წიგნი ეწოდება და აქაც წიგ-
ნის მთლიანი ტექსტებია მოყვანილი.

თუმცა საისტორიო წყაროებში ხშირია ეპისტოლეს — როგორც ადამიან-
ანთა ურთიერთობის წერილობითი ფორმის — ხსენება, ხშირია ამ ეპისტოლე-
თა შინაარსის გადმოცემა, ზოგჯერ კი მოტანილია მათი ექსცერპტები, ან
მთლიანი ტექსტი, მაგრამ უშუალოდ წერილის დამწერის ხელიდან გამოსულ-
მა ეპისტოლემ — დედანმა ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ XVI ს-დან. უფრო ად-
რეული ხანიდან კი მოგვეპოვება წერილთა პირები — კრებულის სახით ან
ცალკეულ ხელნაწერ წიგნზე დართული. ასეთია, მაგალითად 1298 წ. გადაწე-
რილი ე. წ. „ეპისტოლეთა წიგნი“, რომელშიაც შესულია V—XIII სს. ქართველ
და სომეხ საეკლესიო და სახელმწიფო მესვეურთა მიწერ-მოწერა საეკლესიო
საკითხებზე. ასეთია გიორგი მცირის წერილი გიორგი შვეყნებულისადმი გა-
გზავნილი მთაწმინდიდან (ათონიდან) წმ. სვიმეონის მონასტერში შავ მთაზე
(ანტიოქიის მახლობლად). ეს წერილი წინ უძღვის გიორგი მცირის ნაწარმო-
ებს — „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“¹², შესხმა-წერილი მონაზონ არ-

¹⁰ ქცა, I, გვ. 183.

¹¹ იქვე, გვ. 343, 344; II, გვ. 93, 94, 133, 134.

¹² ძველი ქართული აგეოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 101—105.

სენისა დავით აღმაშენებლისადმი, რომელიც თან ერთვის რუის-ურბნისის სა-
ეკლესიო კრების ძეგლის წერას (XIII—XIV სს ზელნაწერი)¹³.

ეპისტოლურმა მასალამ დედნის სახით განსაკუთრებით მრავლად ჩვენამ-
დე მოაღწია XVII—XVIII სს-დან. მოღწეული წერილების მრავალრიცხოვანობა
მიგვანიშნებს წერილების შენახვის ტრადიციასზე. აღებ-მიცემობასა და სამამუ-
ლო მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული მიწერ-მოწერა ერთგვარად
საბუთის ძალის მქონე დოკუმენტად შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული ამა
თუ იმ საკითხზე დავის ატეხის შემთხვევაში. ამიტომ აღრესატები ამ რიგის
წერილებს განსაკუთრებით უფროთხილდებოდნენ, წერილის დამწერნი კი მათ
შავებს ინახავდნენ.

წერილს წერდა საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენელი: მეფე
და დედოფალი, სამეფო სახლი, ცალკეულ ფეოდალთა საგვარეულოების წევ-
რები, ვაჭრები და მოქალაქენი, საეკლესიო პირნი და მოხელეები. წერილები
იგზავნებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და განსაკუთრებით ქვეყ-
ნის გარეთ.

წერილს ჩვენში, ისევე როგორც ყველგან, თავისი სტილი და ფორმა
ჰქონდა, შინაარსიც მისი ხშირად შაბლონურად იყო მოთხრობილი. საზოგადო-
ების ყოველი ფენის წარმომადგენელს წერილის საკუთარი ლექსიკა და სტილი
ჰქონდა. მსხვილი ფეოდალური სახლების წევრები და მაღალი სამღვდელთა
წერილს წერდნენ ამაღლებული და ღვარჟინილი სტილით, ვაჭართა და მოქა-
ლაქეთა წერილები მშრალი და საქმიანი იყო. წერილის სტილს განსაზღვრავდა
მისი დანიშნულებაც. მაგ., სამიძიარისა და მილოცვის წერილები იწერებოდა
განსაკუთრებით მაღალფარდოვნად.

წერილი თავისი დანიშნულებითა და შინაარსით სხვადასხვა ტიპისა იყო.
პირველი, ვინც ჩვენში მოახდინა წერილების კლასიფიკაცია, იყო ს. ს. ორბელი-
ანი. მის ლექსიკონში სიტყვა „წერილს“ ქვეშ ვკითხულობთ: „წი გ ნ ი ეწო-
დების ერთისა წერილთაგანსა მრთელსა, ვისიცა იყოს; ხოლო შინაწერთა მო-
კითხვათა და სასაქმოთა — უ ს ტ ა რ ი: უდარესისაგან უაღრესის შინაწერსა —
პატარა... მეფეთაგან მეფესთან შინაწერთა — პ ა ტ რ უ ც ა ვ ი, მცირესა
ნაწერსა ა ვ თ რ ა თ ი, ვიეთნი ბარათსა უხმობენ“. მაგრამ ეს კლასიფიკაცია
არ არის სრული (ამასთან არ არის სწორი პატრუცავის აქ მოტანილი განმარტე-
ბა. ს. ს. ორბელიანი და აქედან დ. ჩუბინაშვილი პატრუცავს მარტავენ რო-
გორც „მეფეთაგან მეფესთან შინაწერ წერილს“. მაგრამ ჭუანჭერის ტექსტი-
დან, სადაც ტერმინი პატრუცავია ნახმარი — „მისწერა მას თანა წიგნი, რო-
მელსა პატრუცავსა წერილი იყო ესრეთ“. — გარკვევით ჩანს და ილია აბულა-
ძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონშიაც“ არის განმარტებული, პატრუცავი
წერილის სახეობა კი არ არის, არამედ მხოლოდ წერილის შესავალი ნაწილის
სახელწოდება).

XVII ს-ს ბოლოდან და განსაკუთრებით XVII ს-ში თეიმურაზ-ერეკ-
ლეს მეფობაში წერილთა ადრე არსებულ ტიპებს ემატება კიდევ ერთი სახეო-
ბა — წერილის ფორმით შესრულებული მიწერილობა მეფის, მეფის ოჯახის
წევრთა და დიდმოხელეთაგან დაქვემდებარებულ პირთადმი მიწერილი. ეს წე-
რილი-მიწერილობა სრულიად გარკვევით სამსახურებრივი ხასიათისაა და
მხოლოდ საქმიანი ურთიერთობის გამომხატველ, ეპისტოლეს ფორმით შედგე-
ნილ საბუთს წარმოადგენს.

¹³ ე. გაბიძაშვილი. რუის-ურბნისის ძეგლისწერა. თბ., 1978, გვ. 193—195.

XVII—XVIII სს. წერილები თავისი დანიშნულებით და შინაარსით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა. თითოეულ ჯგუფში კი შედის წერილის რამდენიმე სახეობა.

წერილების ორი ჯგუფი:

I. სახელმწიფო და საქმიანი წერილები.

II. კერძო ანუ პირადი წერილები.

წერილების I ჯგუფი იყოფა ორ ძირითად სახეობად:

ა) სახელმწიფო წერილები — მეფე-მთავართა მიმოწერა სახელმწიფოებრივ საქმეებზე და ბ) საქმიანი წერილები. ამ წერილების ავტორები არიან მეფე, სამეფო ოჯახის წევრები და მსხვილი მოხელეები. ადრესატები კი — მათდამი დაქვემდებარებული პირები. წერილების ამ სახეობაში შედის ზემონახსენები წერილის ფორმით შესრულებული საქმიანი მიწერილობები.

ამ რიგის წერილებში შეინიშნება შემდეგი განსხვავება: მეფე ადრესატს არ მიმართავს უშუალოდ; სხვა დანარჩენები კი ადრესატს უშუალოდ მიმართავენ. მაგალითად, ერეკლე II-ის წერილში იოსებ მიშკარაშისადმი (1787 წ.). ვკითხულობთ: „ქ. ჩვენს მაგიერად ჩვენსა იმედათ მისაჩენელს მისკარაშს იოსებს მოკითხვა უაზბეთ. მერე:..."¹⁴ 1792 წ. წერილს გიორგი აბაშიძისადმი ერეკლე II ასეთი სიტყვებით იწყებს: „ქ. ჩვენს მაგიერად მისს ბრწყინვალეებას აბაშიძე სახლთუცესს გიორგის მოკითხვა ეუწყოს. მერე:..."¹⁵. 1791 წ. ერეკლე II დავით ციციშვილს წერს: „ქ. ჩვენს მაგიერად ბრწყინვალე თავადს, ჩვენს სიძეს ბატონს, ქალაქის მოურავს დავითს, მრავალი მოკითხვა მოეხსენოს. მერე: საქვეყნო საქმეები გვაქვს და შენც ამასა გვერთ..."¹⁶.

ყველა აქ მოტანილ წერილში მეფე ადრესატს უშუალოდ არ მიმართავს — „ჩვენს მაგიერად მოკითხვა მოეხსენოს“, „მოკითხვა უაზბეთ“, „მოკითხვა ეუწყოს“.

ბატონიშვილების საქმიან წერილებში კი დადასტურებულია ადრესატი-სადმი უშუალო მიმართვა — მეფის წერილის „მოკითხვა მოეხსენოს“ აქ შეცვლილია გამოთქმით „მოკითხვა მოგხსენდეს“ (შენ, ადრესატს, უშუალოდ). მაგ., ვახტანგ ბატონიშვილის 1796 წ. წერილი-მიწერილობა იოსებ ყორღანაშვილისადმი ასეთი სიტყვებით იწყება: „ქ. ბატონიშვილის ვახტანგის... სიყვარულით სახსოვარი მიღახვარო იოსებ. მრავალი მოკითხვა მოგხსენდეს. მერე:..."¹⁷.

II ჯგუფის წერილები — კერძო ანუ პირადი წერილები — შოიცივენ მეფის, სამეფო ოჯახის წევრთა თუ ცალკეულ კერძო პირთა ისეთ წერილებს, რომელთაც კერძო, საოჯახო დანიშნულება აქვთ. ამ ჯგუფში შედის სხვადასხვა სახეობის კერძო წერილები, — მოკითხვის, სამძიმრის, შუამავლობის, სიყვარულის, მილოცვის, შუამდგომლობის, ნუგეშისცემის, ანდერძის და სხვა წიგნები.

ორივე ჯგუფის წერილები გარკვეული ფორმით იწერებოდა. მსგავსია მათი როგორც გარეგანი გაფორმება, ისე მისი შემადგენელი ნაწილების თანამიმდევრობა.

14 საქართველოს სიძველენი, III, № 25.

15 იქვე, № 194.

16 იქვე, № 14.

17 იქვე, № 328.

I ჯგუფში შემავალი საქმიანი წერილები ანუ მიწერილობანი იწერებოდა შემდეგი შაბლონით: 1. მიმართვა, 2. წერილის ანუ დავალების ძირითადი შინაარსის მოთხრობა, 3. თარიღი, 4. ხელრთვა.

II ჯგუფის ანუ კერძო წერილების ფორმა უფრო მრავალფეროვანია. ძირითადად ეს წერილები შემდეგი ნაწილებისაგან შედგებიან: 1. მიმართვა, 2. წერილის დამწერის დასახელება, 3. თხრობა წერილის შინაარსისა, 4. ხელრთვა, 5. თარიღი და წერილის დამწერის ადგილი, 6. მოკითხვები და მადლობები მოკითხვისათვის. წერილის ეს ბოლო ნაწილი ხშირად ფურცლის არეებზე იწერებოდა.

ორივე ჯგუფის ეპისტოლურმა მასალამ განსაკუთრებით მრავლად XVIII და XIX ს-ის დასაწყისიდან მოაღწია. ხელნაწერთა ინსტიტუტის და ცენტრარქივის ფონდებში დაცულია წერილების დიდი რაოდენობა, ამავე ფონდებშია წერილების შავები და პირები, აგრეთვე წერილთა კომპლექტები. XVIII—XIX სს ბევრი მოღვაწე თავის სიცოცხლის მანძილზე უამრავ წერილს გზავნიდა. ზოგი ასეთი პირი, გარდა იმისა რომ აგროვებდა მისთვის მიწერილ წერილებს, თავის გაგზავნილ წერილების შავებსაც ინახავდა. ზოგი კიდევ სპეციალურ დავთარში იწერდა მისგან გაგზავნილ და მისთვის მიწერილი წერილების პირებს (ასეთები იყვნენ, მაგალითად, იონა ხელაშვილი და გლახა ჭილაძე). სხვადასხვა ფონდებშია გაფანტული XVIII—XIX სს. მცხოვრებ მრავალი პირის საქმიანი და პირადი მიმოწერა. მათი თავმოყრით იქმნება მდიდარი ეპისტოლური არქივები—წერილების საკმაოდ დიდი კომპლექტები (თუმანიშვილების, ყორანაშვილის, ი. ხელაშვილის, გლახა ჭილაძის, ბატონიშვილების, ზურაბ წერეთლის და სხვათა მიმოწერა).

ჩვენამდე მოღწეული (დაცული სახით) წერილების სიმრავლე მიგვანიშნებს საერთოდ წერილების შენახვის ტრადიციაზე ჩვენში. როგორც ამ წერილებზე დაკვირვებით ჩანს, ადრესატი მიღებულ წერილს იმგვარადვე დაკეცილს ინახავდა, როგორც მიიღო. საერთოდ XVII—XVIII სს-ში წერილს კონვერტად დაკეცილს აგზავნიდნენ. კონვერტის ზედა მხარეს მისამართსა და ადრესატის სახელს აწერდნენ. ზურგზე კი ადრესატი მიაწერდა თუ როდის მიიღო მან ეს წერილი და აგრეთვე მოკლედ წერილის ძირითად შინაარსსაც გადმოცემდა.

ეპისტოლური მემკვიდრეობა ჩვენში ცალკე, სპეციალური კრებულების სახით, არ გამოცემულა (გამონაკლისს წარმოადგენს ე. წ. სახელმწიფო წერილები—მეფე-მთავართა მიმოწერა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები).

XVI—XVIII და XIX ს-ის დასაწყისის ეპისტოლური მასალის ცალკეული ნიმუშები, როგორც პირველი, ისე მეორე ჯგუფიდან, ჩვენში იბეჭდებოდა სხვა დოკუმენტებთან ერთად. მაგ., „საქართველოს სიძველეთა“ I, II და III ტომებში ეპისტოლეები შევიდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბუთთა ფონდის (შემდეგში ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი) ნომრების მიხედვით. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოსულ „მასალების საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“ სამ წიგნსა და „დოკუმენტების საქართველოს სოციალური ისტორიისათვის“ ორ წიგნში წერილები შევიდა მათი შინაარსის მიხედვით.

ეპისტოლური მემკვიდრეობის ცალკე გამოუქვეყნებლობა მიზეზია იმისა, რომ დღემდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში არ არის სრული სახით გამოვლენილი ის დიდი მნიშვნელობა, რაც წერილებს აქვთ ქვეყნის წარსულის უკეთ შესწავლისათვის. აგრეთვე ფერხდება ეპისტოლოგრაფიის განვითარება, კვლევით

პრაქტიკაში ნაკლებადაა გამოყენებული წერილებში დაცული ისტორიული მასალა.

ეპისტოლური მასალის გამოქვეყნების ორი წესია მიღებული: თ ე მ ა ტ უ რ ი და ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი.

თ ე მ ა ტ უ რ წ ე ს შ ი ი გულისხმება წერილების გამოცემა რაიმე გარკვეული თემის მიხედვით. შინაარსობრივად ერთი თემის შემცველი წერილები ლაგდება ქრონოლოგიურად. ასეთი პუბლიკაციის მაგალითია მიწერ-მოწერა, საგარეო ურთიერთობის საკითხებზე, პოლიტიკურ მოღვაწეთა მიწერ-მოწერა; მიწერ-მოწერა საეკლესიო-დოგმატურ საკითხებზე, სასიყვარულო წერილების ნიმუშები და სხვა. ამ წესით არის გამოცემული პეტერის მიერ „წერილები მსოფლიო ისტორიისათვის, ციკრონიდან რუხველტამდე“ (მიუნხენი, 1964 წ.).

წერილების გამოცემის მეორე ე. წ. ქ რ ო ნ ო ლ ო გ ი უ რ ი წ ე ს ი თავის მხრივ იყოფა ორ სახეობად: 1. ბუღობრივად (როდესაც ქვეყნდება ერთი ბუღიდან გამოსული ანუ ერთი პირის მიმოწერა მეორესთან ან რამდენიმე სხვა პირთან. ასეთი გამოცემების მაგალითია მარქსისა და ენგელსის მიმოწერა, ა. კურბსკისა და ივანე IV-ის მიმოწერა, ნიკოლოზ II-ისა და ვილჰელმ II-ის მიმოწერა, ჟორჟ სანდის, ვან გოგის და სხვათა წერილები, გრიგოლ ორბელიანის „წერილები“ და სხვა მრავალი). 2. ქრონოლოგიური წესით ეპისტოლეთა გამოცემის მეორე სახეობაა ისტორიულ-ქრონოლოგიური (როდესაც ქვეყნდება სხვადასხვა პირთა კორესპონდენცია მიწერილი სხვადასხვა ადრესატებთან, დალაგებული ასევე ქრონოლოგიურად. ასეთ წერილებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო — არც თემატიკა, არც ადრესატები, არც დამწერი და დაწერის ადგილი. წერილების ასეთი წესით გამოცემა შედარებით იშვიათია).

ქართული ეპისტოლური მასალა კი ცალკე კრებულის სახით, როგორც ითქვას, არ გამოქვეყნებულა. გამონაკლისს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისადმი მიძღვნილი წერილების პუბლიკაციები.

ჩვენამდე მოღწეულ XVII—XVIII საუკუნეთა ეპისტოლური მასალიდან არ ხერხდება სხვა თემატური ჯგუფის ცალკე გამოყოფა (მათი მცირერიცხოვნობის გამო).

რაც შეეხება ბუღობრივ გამოცემას, ასეთი წესითაა გამოცემული ჩვენში XIX ს. ზოგი ეპისტოლე. მაგ., გრიგოლ ორბელიანის წერილები (გამოცემული ორ ტომად აკ. გაწერელიას მიერ), ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის და სხვ. წერილები. XVIII ს-დან გამოქვეყნებულია თუმანიშვილების საოჯახო მიწერ-მოწერა (ქართული წყაროთმცოდნეობა, I, 1965), მაგრამ ამ გამოცემაში შესულია თუმანიშვილების მხოლოდ ისეთი წერილები, რომელთაც პოლიტიკური ისტორიის შესწავლისათვის აქვთ მნიშვნელობა.

ჩვენამდე მოაღწია XVIII ს-ს ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისის ზოგი მოღვაწის მიწერ-მოწერამ მეტნაკლებად დაცული სახით. ეს მიმოწერა ფაქტიურად კორესპონდენციის არქივს წარმოადგენს და მისი გამოქვეყნება უეჭველად ბუღობრივად უნდა მოხდეს, არ შეიძლება მათი დამლა ანუ თემატურად და არც ადრესატების მიხედვით. ეპოქის უკეთ წარმოსახვა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის უკეთ ჩამოყალიბება სწორედ ამ წერილების მთლიანი სახით გამოქვეყნებით არის შესაძლებელი.

ასეთ არქივთა შორის უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ერეკლე II-ის მდივნების ძმების სულხან და მანუჩარ თუმანიშვილების მიმოწერა ერთმანეთთან და ზოგ სხვა პირთან. განსაკუთრებით კი სულხანის ვაჟის შიომ თუმანიშვილის წერილები მიწერილი მამასთან და ბიძასთან. ეს წერილები

გვიხატავენ XVIII ს-ის 80—90-იანი წლების საქართველოსა და განსაკუთრებით თბილისის შინაურ ცხოვრებას, ყოფაცხოვრებით დეტალებს, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, ერეკლეს მსომხრე-მოწინააღმდეგეთა სტულისკვეთებას, საზოგადოებრივ აზრს ქვეყნის მომავლის შესახებ და ა. შ.

ასევე ბუღობრივად უნდა გამოქვეყნდეს XIX ს-ის დასაწყისის მოღვაწის — რუსეთის გადასახლებული გლახა ჭილაძის წერილები. ამ წერილების ადრესატი იმ დროის მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელია — დაწყებული ბატონიშვილებით და გათავებული სოფლის მოურავით. მაგრამ ეს წერილები არ შეუნახავთ მათ ადრესატებს. თვით გლახა ჭილაძე ცალკე დავთარში იწერდა მის მიერ გაგზავნილი წერილების პირებს.

ბუღობრივად უნდა გამოიცეს იონა ხელაშვილის წერილები. იონა ხელაშვილი რუსეთს გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა და დედოფალთა კარის მღვდელი იყო. იგი ფართო მიწერ-მოწერას აწარმოებდა საქართველოსა და რუსეთში მისი დროის სხვადასხვა გამოჩენილ პირთან. ესენიც მას ვრცლად პასუხობდნენ. იონა ხელაშვილი ცალკე დავთარში იწერდა (უფრო ხშირად სხვებს გადააწერინებდა) თავისი და მასთან გამოგზავნილი წერილების პირებს. იონას ამ თვისების წყალობით დღეს ჩვენ შემონახული გვაქვს 250 წერილი XIX ს-ის I მეოთხედის მრავალი გამოჩენილი ქართველისა (მათ შორის სოლომონ დოდაშვილისა, რომლებიც ცალკეა გამოცემული სოლ. ხუციშვილის მიერ).

ეს წერილები გვიხატავენ როგორც იმ დროის საქართველოს ყოფასა და კულტურულ ვითარებას, ისე პეტერბურგის ქართველთა კოლონიის გუნებაგანწყობილებას, მათ შეხედულებებს არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასა და ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე.

ბუღობრივადვე უნდა გამოქვეყნდეს იმერეთის სამეფოს უკანასკნელი სახლთუხუცესის ზურაბ ქაიხოსროს ძე წერეთლის არქივი (გარდაიცვალა 1823 წ.). ზურაბ წერეთელს 6 შვილი ჰყავდა და ექვსივესთან ეწეოდა ცხოველ მიმოწერას, ამავე დროს მას წერილებს სწერდნენ რუსი მოხელეებიც: ჩარტორისკი, ლიტვინოვი, ფონ-რიკტოფი, გუდოვიჩი, ტორმასოვი, სიმონოვიჩი და სხვ. ამ წერილებში ჩვენამდე მოაღწიეს ზოგმა პირის ან შავის, ზოგმა კი დედნის სახით. ზ. წერეთლის ოჯახის ერთი ნაწილი და თვით ზურაბიც რუსეთის ორიენტაციისა იყო, მეორე ნაწილი კი სოლომონ II-ს უჭერდა მხარს. წერილებში აისახა ორივე ამ მიმდინარეობის სტულისკვეთება. ამ მხრივ ეს წერილები განსაკუთრებით საინტერესოა.

ასევე საყურადღებოა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის ხელიდან გამოსული და მასთან მიწერილი წერილები.

ცალკე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და ადრესატების მიხედვით უნდა დაიბეჭდოს „საქმიანი წერილების“ ჯგუფში შესული ეპისტოლური მასალა, რამდენადაც ესაა ეპისტოლეს ფორმით დაწერილი მიწერილობა, ფაქტიურად საკანცელარიო მიმოწერის ნიმუშები. ამდენად, მათი აღრევა წმინდა ეპისტოლურ მემკვიდრეობაში მიზანშეწონილად არ გვეჩვენება.

სხვა დანარჩენი წერილები, კერძო თუ სახელმწიფოებრივი ხასიათისა, თუ კი არ ხერხდება მათი გაერთიანება რაიმე თემატურ ჯგუფში, ან არ მოექცნება მათი ერთი ბუღობრივი წარმომოება, უნდა გამოქვეყნდეს „ისტორიულ-ქრონოლოგიური წესით“.

К ВОПРОСУ ОБ ИЗДАНИИ ГРУЗИНСКИХ ЭПИСТОЛЯРНЫХ МАТЕРИАЛОВ XVIII — НАЧАЛА XIX в.

Резюме

XVIII в. и начало XIX в. особо богаты эпистолярным материалом. С этого времени мы располагаем как целыми эпистолярными архивами некоторых лиц и домов, так и отдельными образцами переписки.

Дошедшие до нас письма XVIII — начала XIX в. по содержанию делятся на две основные группы: I. Государственные и деловые письма, II. Частные или личные письма. Первая группа состоит из двух видов писем: а) переписка царей по государственным вопросам и б) деловые письма царей, царевичей и высших должностных лиц к подчиненным людям. Они носят сугубо служебный характер и фактически являются предписаниями, составленными в виде письма. Письма, имеющие частный характер, составляют вторую группу писем, т. е. группу частных или личных писем.

Существует два способа издания эпистолярного наследия: тематический и хронологический. Первый из них подразумевает публикацию писем по одной определенной теме. Второй же способ со своей стороны делится на два вида: а) гнездовое издание, т. е. публикация писем, вышедших из одного гнезда, и б) историко-хронологическое издание — публикация в хронологическом порядке корреспонденций разных лиц к разным адресатам, без учета их содержания.

Тематическим способом издана у нас переписка грузинских царей, посвященная русско-грузинским отношениям. Гнездовым способом следует издать эпистолярные архивы Туманишвили, Корганашвили, Ионы Хелашвили, Глахи Чиладзе, Зураба Церетели и др.

Письма, вошедшие в группу «деловых писем», поскольку они являются деловыми предписаниями и только форму имеют эпистолярную, следует издать отдельно, не смешивая их с чисто эпистолярным материалом.

Остальные же письма, если не представляется возможность объединить их в одну тематическую или гнездовую группу, издаются «историко-хронологическим» порядком.

მარინე ქადაგიძე

„ცხოვრება მივით მივინსა თამარისი“ და მისი ტექსტის
ალღბენის მეთოდი

ძველი მწერლობის ძეგლებმა ხელნაწერთა სახით მოაღწიეს ჩვენამდე. ამდენად, დიდია ძველ მწიგნობართა როლი ხელნაწერთა გადართსხვა-გამრავლების საქმეში. ისინი გადაწერის დროს ზოგჯერ თავისებურად ასწორებდნენ და ავსებდნენ ტექსტს, სხვაგვარად გაიაზრებდნენ ამა თუ იმ პასაჟს, დამახინჯებულ მათთვის გაუგებარ ცალკეულ ადგილებს. ასე თანდათან ხდებოდა ძველი ტექსტების შერყვნა და გავრცელება ხელნაწერების საშუალებით. ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლის, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიც საკმაოდ არის შერყვნილი გამწერთა მიერ. მისი შევსება-შესწორება, როგორც ჩანს, ადრევე დაწყებულია და გრძელდებოდა XIX ს-მდე, თეიმურაზ ბატონიშვილამდე. უნდა ითქვას, რომ ყველა თავისებურად ასწორებდა და ავსებდა კრებულის ტექსტს, რაც ზოგჯერ კიდევ უფრო მეტ დამახინჯებებს იწვევდა. განსაკუთრებით მიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის გამართვის საქმეში „სწავლულ კაცთა“ კომისიამ, რომლის მოღვაწეობა „ორგანიზაციულად ფართოდ დაგეგმილ საქმიანობას წარმოადგენდა“¹. ერთ ხანს, ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ყველა განსხვავება, რაც „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხასა და ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებს შორის არსებობს, „სწავლულ კაცთა“ საქმიანობას მიეწერებოდა, მაგრამ შემდგომ, ვახტანგამდელი ტექსტის შემცველი ახალი ნუსხების აღმოჩენით დადასტურდა, რომ უკვე XV—XVII სს. ხელნაწერებს ანასიათებდათ ზოგიერთი ის ნიშანი, ადრე რომ მხოლოდ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხების თავისებურება ეგონათ²,

ვახტანგის კომისიამ შეავსო და გამართა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი მისთვის ხელმისაწვდომი მასალის საფუძველზე. კომისიის მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: 1. „სწავლულმა კაცებმა“ პირველ რიგში „განმართეს“ „ქართლის ცხოვრება“, ე. ი. შეასწორეს გადამწერთა მიერ საუკუნეთა მანძილზე დამახინჯებული, არასწორად ამოკითხული ადგილები. 2. მათ „აღწერეს“, მიუმატეს XIV—XVIII სს. ისტორიის შემცველი ნაწილი³. ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ რამდენიმე შემთხვევა გვხვდება, როცა ერთი და

1 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 029.

2 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ., 1942. გვ. XLVI; P. K. К и к н а д з е. Очерки по источниковедению истории Грузии. Тбилиси, 1980, с. 100.

3 კ. გ რ ი გ ლ ი ა. ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 197—278; შ. ხ ა ნ თ ა ძ ე. ქართული ისტორიოგრაფია XVIII საუკუნეში. თბ., 1985, გვ. 27.

იგივე პერიოდის ისტორია სხვადასხვა თხზულებით არის წარმოდგენილი მისიამ ამასაც მიაქცია ყურადღება და გააერთიანა ეს თხზულებები⁴.

თხრობა თამარის ეპოქის შესახებ ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ძირითადად ემყარება თამარის ე. წ. პირველ ისტორიას — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომლის ტექსტი დამოუკიდებელი სახით 1884 წელს აღმოჩნდა კრებულის ე. წ. მარიამისეულ ნუსხაში. „ქართლის ცხოვრების“ რედაქტირების დროს „სწავლულმა კაცებმა“ „ისტორიათა და აზმათა“ თხრობა შეავსეს სხვა წყაროებიდან ამოღებული ცნობებით. ამავე დროს, როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, კომისიას ტექსტების შერწყმის დროს მათი გასწორება-გამართვაც უცდია და ზოგი რამ დაუმატებია სხვა, უცნობი წყაროებიდან⁵. საბოლოოდ, მკვლევრის აზრით, კომისიამ „გამართა ბრწყინვალე სტილის ტექსტი, რომელიც შინაარსით წააგავს პირვანდელ ტექსტს“⁶. აქვე უნდა ითქვას, რომ ე. თაყაიშვილი ვახტანგის კომისიის ნაკლსაც აღნიშნავდა. მისი აზრით, იმ მიზნით, რომ ტექსტი მთლიანად აზრიანი გაეხადა, კომისიამ ზოგი გაუგებარი ადგილი სულ გამოსტოვა, სხვები კი თავისებურად გადააკეთა⁷. ამავე დროს კომისიის მიერ ჩატარებული რედაქციის შედეგად „ქართლის ცხოვრებამ“ დაკარგა მატრიანთა კრებულის ხასიათი⁸.

კ. კეკელიძე თვლიდა, რომ ვახტანგმა მიზნად დაისახა მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ და მასთან ერთად „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის აღდგენა-გაწმენდა, მაგრამ ყოველთვის ვერ მოუხერხებია ეს. გარკვეული ადგილები კომისიამ თავისებურად გაიზრა, შეცვალა (რიგ შემთხვევაში მცდარადაც), ზოგი სულ გამოსტოვა და ა. შ.⁹. ხაზს უსვამს რა კომისიის მუშაობის დიდ მნიშვნელობას, რ. კიკნაძე ასკვნის: „სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ ვახტანგის კომისიის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობის გარეშე ბევრი რამ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში ალბათ დღესაც გაუგებარი იქნებოდა“¹⁰.

როგორც ითქვა, ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ეპოქის ისტორიის მოსათხრობად ძირითადად გამოყენებულია „ისტორიანი და აზმანი“, რომელშიც ვრცელი დამატებებია შეტანილი სხვა თხზულებებიდან. 1923 წელს გამოვლენილ ჭალაშვილისეულ ნუსხაში ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია თამარის კიდევ ერთი ისტორიკოსის თხზულებას, რამაც ნათელი გახადა თუ რა დამატებით წყაროს იყენებდა ვახტანგის კომისია „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის შესავსებად. „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის „თამარის ცხოვრება“¹¹ ძირითადად თამარის პირველი („ისტორიანი და აზმანი შა-

4 კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 224—246.

5 Е. Т а к а й ш в и л и. Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. II, вып. 1—4. Тифлис, 1906—1912, с. 66. შემდგომში ვაიროვს, რომ ეს წყაროები იყო ძირითადად, თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულება და, აგრეთვე, ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ნაწარმოები.

6 იქვე.

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 113.

9 კ. კეკელიძე. შესავალი. — წიგნი: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ცდა ტექსტის აღდგენისა. თბ., 1941, გვ. 1.

10 რ. კიკნაძე. დარსიდან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ., 1975, გვ. 31, შენ. 19.

11 „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის ტექსტში ცალკეულ ნაწილებს სათურები არ გაჩნიათ. კომისიამ თხრობაში შეიტანა მეფეთა სათვალავი, რომლის მიხედვით, „იყო მეფე თამარ სამოცდა მესამე“. აღსანიშნავია რომ „ქართლის ცხოვრების“ რუმინანდელისეულ ნუსხაში სათანადო ადგილას, ამოაზე წითელი მელნით მიწერილია „აქ დაიწყო ცხოვ-

რავანდედთან“) და აღმოჩენის რიგის მიხედვით მეორედ წოდებული (ჭალა-
შვილისეულ ნუსხაში დაცული) ისტორიების საფუძველზეა შედგენილი. და-
ახლოებით მსგავსი ოპერაცია აქვს ჩატარებული კომისიას კრებულის დასაწ-
ყის ნაწილშიც, სადაც „მატიანე ქართლისას“ (აგრეთვე, ნაწილობრივ, ჯუან-
შერის თხზულებს) ტექსტში დაშლილად არის ჩართული სუმბატის ქრონიკა,
რადგან ორივე ნაწარმოებში გადმოცემულია VI—XI სს. ამბები და, თანაც,
სუმბატის თხზულება ქრონოლოგიის უხეში დარღვევით, დავით აღმაშენებლის
ცხოვრების შემდეგ არის შეტანილი კრებულში¹².

ამგვარად, თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებათა სა-
თაურების, ავტორთა ვინაობის, შედგენის დროის, მოცულობის დადგენა ქარ-
თული წყაროთმცოდნეობის აქტუალური საკითხებია. განსაკუთრებით საინ-
ტერესოა, კერძოდ, მათი შედგენილობისა და ტექსტობრივი ურთიერთობის
გარკვევა, მით უმეტეს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქ-
ციის ნუსხებში ისინი შერწყმულად არის წარმოდგენილი.

ჭალაშვილისეულ ნუსხაში დაცული იყო თამარის ისტორიის ნაკლები
ტექსტი, მხოლოდ პირველი ნაწილი. ივ. ჯავახიშვილმა აღადგინა თამარის მეო-
რე ისტორიის საგარაუდო ტექსტი ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“
საშუალებით და მას პირობითად უწოდა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარი-
სი“¹³. ივ. ჯავახიშვილმა გამოიყენა მეორე ისტორიის ნაკლები ნაწილის აღ-
დგენის ერთადერთი შესაძლებელი მეთოდი. მან „თამარის ცხოვრების“ ვახ-
ტანგისეულ ტექსტს გამოაკლო „ისტორიანი და აზმანი“ და დარჩენილი ნაწი-
ლი მეორე ისტორიად მიიჩნია. მკვლევარი მაშინვე აღნიშნავდა, რომ ეს ხერხი
საბოლოოდ არ ჭრიდა მის წინ დასმულ საკითხს. არ შეიძლებოდა დამთავრებუ-
ლად ჩათვლილიყო მეორე ისტორიის ტექსტზე მუშაობა¹⁴. თუმცა ივ. ჯავახიში-
ლის მიერ ჩატარებული აღდგენითი სამუშაო აუცილებელი იყო სავარაუდოდ, მაგ-
რამ სრული ტექსტის მისაღებად. სწორედ ამ სამუშაოს შედეგად ჩვენ ხელთ
გვაქვს თამარის ეპოქისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი ისტორიული ნაწარმოე-
ბის სრული ტექსტი¹⁵.

შეაჯერა რა ორივე თხზულების ტექსტები, კ. გრიგოლიამ დაასკვნა, რომ
რადგან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“ მოცულობით სამჯერ აღე-
მატება მეორე ისტორიას, კომისიამ თამარის ისტორიის საფუძველად სწორედ
ის აირჩია და მასში შეიტანა ვრცელი დამატებანი „ცხოვრება მეფეთ მეფისა
თამარისი“-დან. ამასთან მას არ გამოუტოვებია არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშ-
ვნელოვანი ფაქტი ან ეპიზოდი¹⁶. კომისიამ გააერთიანა ერთი და იგივე ეპო-
ქის შესახებ მონათხრობი განსაკუთრებული წესით: „ბნალოგიურ თხზულება-
თაგან მას საფუძველად ერთ-ერთი შეუთრევიან, ხოლო სასურველი ცნობები მე-
ორედან შეუტანია მასში“¹⁷.

რება თამარისი“ (კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 240, შენ. 2) ქვემოთ ჩვენ
კრებულის შესაბამის ნაწილს სრულიად პირობით „თამარის ცხოვრებას“ ვუწოდებთ.

¹² დაწვრი. იხ. იქვე, გვ. 225—238.

¹³ იხ. მ. ქადაგიძე. თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების დასათაურების სა-
კითხისათვის. — „განთიადი“, 1986, № 2.

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე
აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. — თბ., უნივერსიტეტის მოამბე, 1923, გვ. 205.

¹⁵ რ. კიკნაძე. წერილობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდის ზოგი-
ერთი საკითხი. — ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, თბ., 1985, გვ. 51.

¹⁶ კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 225.

¹⁷ იქვე.

რაკი მეორე ისტორიკოსის ტექსტმა სრული საზით ვერ მოაღწია ჩვენამდე, ზოლო მისი მეორე ნაწილის აღდგენა ხერხდება ვახტანგისეული რედაქციის „თამარის ცხოვრების“ ტექსტისათვის „ისტორიათა და აზმათა“ გამოკლებით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თვითონ „სწავლულ კაცთა“ მუშაობის მეთოდის უფრო დაკვირვებით შესწავლას, კერძოდ, იმის დადგენას, რა პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ისინი თამარის ისტორიკოსთა თხზულებების შერწყმის დროს. ამისთვის აუცილებელია „თამარის ცხოვრების“, „ისტორიათა და აზმათა“ და მეორე ისტორიკოსის თხზულების პირველი ნაწილის შედარებითი ტექსტოლოგიური შესწავლა. კერძოდ, „თამარის ცხოვრების“ პირველ ნაწილს ჯერ უნდა გამოვაკლოთ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი და დარჩენილი ნაწილი შევადაროთ თამარის მეორე ისტორიას. შემდეგ იგივე ოპერაცია უნდა განმეორდეს მებრუნებით: „თამარის ცხოვრებას“ გამოვკლდეს „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“. თუ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში დადგინდება, რომ მეორე ისტორიისა და „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტები მეტ-ნაკლებად სრულად არის „თამარის ცხოვრების“ პირველ ნაწილში შეტანილი, არ არის გამოტოვებული არც ერთი ეპიზოდი, მნიშვნელოვანი ცნობა და ა. შ., მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კომისიის წევრებს ტექსტების შერწყმის დროს მიზნად ჰქონიათ დასახული მაქსიმალური სისრულით გამოეყენებინათ ორივე თხზულების ინფორმაციული მასალა. ბუნებრივია, რომ ისინი „თამარის ცხოვრების“ მეორე ნაწილის შედგენის დროსაც დაახლოებით ასევე მოქცეოდნენ. აქედან კი შესაძლებელი გახდება დასკვნის გაკეთება, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოკლების მეთოდით აღდგენილი მეორე ნაწილი მეორე ისტორიკოსის თხზულებისა, მართალია, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, არ არის პირვანდელი ტექსტი, მაგრამ მას არ აკლია არც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი ცნობა.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული გამოკლების მეთოდის გამოყენებით, ჩვენ შევეცადეთ შეგვემოწმებინა ვახტანგის კომისიის მუშაობის მეთოდი.

ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ისტორიის პირველი ნაწილიდან (1202 წლამდე)¹⁸ გამოვყავით „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი. დარჩენილი ნაწილი ვახტანგისეულ ნუსხაში უნდა ყოფილიყო „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ტოლფასი. აღმოჩნდა, რომ ვახტანგის კომისიამ „თამარის ცხოვრების“ პირველი ნაწილის შედგენის დროს სრულად არ გამოიყენა მეორე ისტორიის ტექსტი. კერძოდ, თამარის გამეფება (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 114₂—116₁₈) ვახტანგის კომისიას „თამარის ცხოვრებაში“ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან შეუტანია. ასევე გამოყენებული არ არის მეორე ისტორიკოსის თხრობა თამარისათვის პირველი ქმრის არჩევის შესახებაც (გვ. 119₆₋₈). გიორგი რუსის თამარისათვის ქმრად მოყვანის ამბავი უფრო ვრცლად და ხატოვნად არის მოთხრობილი პირველ ისტორიაში (გვ. 35₁₃—36₂₂) და ვახტანგის კომისიასაც ამ უკანასკნელით უსარგებლია „თამარის ცხოვრების“ შედგენისას.

ასევეა გიორგი რუსის აჯანყების ამბავიც. მეორე ისტორიაში მოცემული თხრობით (გვ. 122₁₅₋₁₈) არ უსარგებლიათ „სწავლულ კაცებს“. მათ „თამარის ცხოვრებაში“ შეუტანიათ ცნობები პირველი ისტორიიდან (გვ. 48), თუმცა

¹⁸ როგორც ცნობილია, თამარის მეორე ისტორიის ტექსტი ქალაშვილისეულ ნუსხაში წყდება 1202 წლის ამბების აღწერაზე.

აქედანაც ვგრძელი მონაკვეთი (გვ. 48₁₀—49₄) არ შესულა ვახტანგისეული რედაქციის ტექსტში.

„სწავლულ კაცებს“ თამარის მეორე ისტორიდან გამოუტოვებით ცნობები თამარის მიერ სახელმწიფო მმართველობაში ჩატარებული ცვლილებების შესახებ (გვ. 123₇—19), რადგან თხოვრა ამ მოვლენის შესახებ აგრეთვე „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიდან არის აღებული.

მეორე ისტორიდან „თამარის ცხოვრებაში“ არ შევიდა ცნობა ლაშა გიორგის დაბადების შესახებ (გვ. 124₁₄—15), განძასთან ბრძოლა (გვ. 126₁₇—127₄, აგრეთვე გვ. 127₁₃—16), შამქორთან გამართული ბრძოლის აღწერა (გვ. 127₂₁—128₄). ყველა ამ ცნობის სასაყლოდ, „სწავლულ კაცებს“ ჩაურთავთ თხოვრა თამარის პირველი ისტორიიდან, სადაც იგივე ფაქტები აღწერილია უფრო ვრცლად¹⁹. საინტერესოა, რომ ვცრელი და მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი თამარის მეორე ისტორიისა, რომელიც მონაპირეთა შესახებ გვაწვდის უხვ მასალას (გვ. 129₅—131₂₃), სულ გამოუტოვებით „სწავლულ კაცებს“ „თამარის ცხოვრების“ შედგენისას. ამდენად, ვახტანგისეული რედაქციის „თამარის ცხოვრებაში“ საერთოდ არაფერია თქმული მონაპირეთა ინსტიტუტის შესახებ.

ამგვარად გამოირკვა, რომ „თამარის ცხოვრებაში“ „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“-ს ტექსტის პირველი ნაწილი არასრული სახით შესულა.

ამის შემდეგ ვახტანგისეული რედაქციის „თამარის ცხოვრების“ პირველი ნაწილიდან გამოკვეთით თამარის მეორე ისტორია. ამ შემთხვევაშიც აღმოჩნდა, რომ ვახტანგის „კომისიას“ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტიც არასრულად, გარკვეული ადგილების გამოტოვებით გამოუყენებია „თამარის ცხოვრების“ შედგენის დროს. გამოტოვებულია, კერძოდ, პირველი ისტორიკოსის ცნობა გუზანის შესახებ, მისი დასჯის ამბავი (გვ. 56₂-6), განძასთან ბრძოლის დაწვრილებითი აღწერა (გვ. 76₁—78₁₈). ეს ცნობები ვახტანგის კომისიას მეორე ისტორიიდან ამოულია. გამოტოვებულია აგრეთვე თამარის პირველი ისტორიიდან თამარის ქების, მისი საქმეების ხატოვანი აღწერის ნაწილებიც, რომელნიც მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს არ შეიცავენ. ასევე ლაშა გიორგის დაბადების ამბავიც (გვ. 57₁₄—58₁). მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგის „სწავლული კაცები“ ცდილან შეძლებისდაგვარად არ გამოეყოვიანთ არც ერთი ცნობა, მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რაც მათთვის ხელმისაწვდომ წყაროებში იყო, და შეეცნათ, გაემდიდრებინათ თამარის ისტორია, შეექმნათ მისი ცხოვრების და მეფობის მთლიანი სურათი.

ჯერჯერობით ვერ მოხერხდა კომისიის წევრთა მიერ ორი ისტორიიდან ცნობათა შერჩევაში რაიმე გარკვეული პრინციპის დადგენა. ჩვენი შეხედულებით, კომისიის წევრები შერწყმული ტექსტის შედგენისას სურვილისამებრ ირჩევდნენ მათთვის საჭირო და მათი აზრით უფრო მნიშვნელოვან ნაწილებს ამა თუ იმ თხზულებიდან, გაუგებარ ფრაზებს ცვლიდნენ მიახლოებით და განსხვავებული მნიშვნელობის წინადადებებით. მაგ.: „ვინა უწყოდეთ ესეცა, რო-

¹⁹ თუმცა ზოგი ფაქტი, როგორც არის, მაგალითად, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ ცნობა, სულ არ მოიპოვება პირველ ისტორიაში და კარის აღებაც ძალიან მოკლედ არის აღწერილი. საერთოდ, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში უფრო მეტი ადგილი ეთმობა სამხედრო ისტორიის საკითხებს, ვიდრე მეორე ისტორიაში (იხ. Г. З. Анчабадзе. Специфика отображения военной истории в параллельных источниках. — „Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников“. Всесоюзная научная сессия. Батуми, 1985 г. Тезисы докладов. Тбилиси, 1985, с. 12).

მელ წყალობათა და მოხედვათა ღვთისათა“²⁰... „ვინა ესეცა უწყოდეთ, რომელ წუთრათა ღმრთისათა“... (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 531ა).

სიტყვებს, რომლებიც არ გაირჩეოდა, არ იკითხებოდა მათთვის ხელმისაწვდომ ნუსხებში, კომისიის წევრები ცვლიდნენ სხვა, ზოგჯერ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებით. ხშირად დამახინჯებულია გეოგრაფიული და საკუთარი სახელები. მაგ: „ისტორიათა და აზმათა“ „მეარგრძელის“ ნაცვლად (გვ. 110ა) „კელგრძელი“²¹, „ტორნაძიად“ (გვ. 52ა) — განძად“²².

ზოგჯერ გადმოცემულია სიტყვათა მიახლოებითი მნიშვნელობა: „განაგეს“ (ქართლის ცხოვრება, II გვ. 1191ა) — „განიზრახეს“²³, „ღლითა“ (გვ. 12012), „უამისა“²⁴ და სხვა.

ხშირად არის შეცვლილი ზმნები მიმღეობით. არის შემთხვევები, როდესაც ერთი რომელიმე სიტყვა შეცვლილია და გადატანილია ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ვრცელი ფრაზით: „ვინათგან“ (გვ. 61ა) — „ხოლო კვლად არა მრავლისა უამისა“²⁵.

ვახტანგისეულ კომისიის შეუცვლია მთელი ფრაზებიც: „წარმომღებლნი და გამოღებლნი ქალაქის“ (გვ. 3810) — „წარუხვნეს ქალაქნი და გამოიღეს“²⁶.

ვახტანგისეულ რედაქციაში ზოგჯერ მეორდება ესა თუ ის ფრაზა. მაგ: „შეკრბეს ანის და წარემართნეს არდაველსა მყოფთა“²⁷ — იმავე გვერდზე, ფრაზას მოსდევს: „შეკრიბეს ანის და წარემართნეს არდაველს, გარდაველს“...

აღსანიშნავია, რომ ვახტანგის კომისიის მიერ ერთი და იგივე ფაქტი, კარის აღება, ორჯერაა ჩართული „თამარის ცხოვრების“ ტექსტში, ერთხელ პირველი ისტორიის მიხედვით²⁸, ხოლო მეორეჯერ, როგორც ვარაუდობენ, თამარის მეორე ისტორიის მიხედვით²⁹. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეორე ისტორიის ის ნაწილი, სადაც კარის აღებაა მოთხრობილი, ივ. ჯავახიშვილის მიერაა აღდგენილი ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრებიდან“ გამოკლების მეთოდით. ამგვარად, დარწმუნებით ძნელია იმის თქმა, ნამდვილად ეკუთვნოდა ეს მონაკვეთი მეორე ისტორიას, თუ სხვა რომელიმე, ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობი თხზულებიდან არის ამოღებული.

შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ზოგჯერ გადაადგილებულია თამარის ისტორიკოსთა ფრაზები და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კომისიის წევრებს გამორჩათ, ან მერე ჩათვალეს საჭიროდ ამა თუ იმ ფრაზის ჩართვა.

ტექსტების ურთიერთშეჯერებისას ჩვენთვის საინტერესო იყო გამოგვეყო თამარის პირველი და მეორე ისტორიებიდან ის ადგილები, რომლებიც ვახტანგის კომისიის არ შეუტანია „თამარის ცხოვრებაში“. გამოირკვა, რომ ისინი თანაბრად იღებდნენ ცნობებს პირველი და მეორე ისტორიებიდან თამა-

²⁰ ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. I, მ. ბროსეს გამოც. სპბ., 1849, გვ. 296.

²¹ იქვე, გვ. 332.

²² იქვე, გვ. 195.

²³ იქვე, გვ. 285.

²⁴ იქვე, გვ. 287.

²⁵ იქვე, გვ. 300.

²⁶ იქვე, გვ. 287.

²⁷ იქვე, გვ. 328.

²⁸ ისტორიანი და აზმანი შარვანდელთანი, გვ. 97.

²⁹ ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი, გვ. 143¹¹—144⁹. (ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოც. სპბ., 1849, გვ. 326).

რის ისტორიის შესადგენად, ამასთან, არჩევდნენ ისეთ ტექსტს, რომელშიც ესა თუ ის ფაქტი უფრო ვრცლად და დამაჯერებლად იყო მოთხრობილი.

ტექსტების ურთიერთშეჯერებით გამოიყო ვახტანგისეულ „თამარის ცხოვრებაში“ ის შრე, რომელიც პირველ და მეორე ისტორიებში არ გვხვდება.

ნათელი გახდა ვახტანგის კომისიის მუშაობის შედეგი, მისი საქმიანობის მნიშვნელობა.

ვახტანგის კომისიამ შეავსო, განავრცო და გაამდიდრა „ქართლის ცხოვრება“ მისთვის ხელმისაწვდომი მასალით. მან შემოგვინახა მრავალი მნიშვნელოვანი ცნობა თამარის ცხოვრების შესახებ, რომელიც დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტით. „სწავლულ კაცთა“ კომისია შეეცადა გაემართა ტექსტი, რის შედეგადაც ჩვენ ხელთ არის თამარის ცხოვრებისა და საქმიანობისადმი მიძღვნილი ერთი მთლიანი ვრცელი თხზულება. ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ მეშვეობით საშუალება გვეძლევა გავმართოთ და გავასწოროთ ჩვენამდე მოღწეულ თამარის ისტორიებში დამახინჯებული ან სრულიად დაკარგული ნაწილები. მაგალითად, როგორც ითქვა, ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრებიდან“ გამოკლების მეთოდით ივ. ჯავახიშვილმა აღადგინა თამარის მეორე ისტორიის ტექსტის მეორე ნაწილი.

ტექსტების შეჯერებამ გვიჩვენა, რომ თამარის მეორე ისტორიის აღდგენილ ნაწილსაც შესაძლებელია, ისევე აკლდეს ზოგი რამ, ან ჩამატებული, შეცვლილი იყოს ფრაზები, როგორც ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებშია.

მიუხედავად ამისა, თამარის მეორე ისტორიის დაკარგული ნაწილის რესტავრაციის ივ. ჯავახიშვილისეული მეთოდი ჯერჯერობით უნდა მივიჩნიოთ ტექსტის აღდგენის ერთადერთ სწორ და მისაღებ მეთოდად.

М. А. КАДАГИДЗЕ

«ЖИЗНЬ ЦАРИЦЫ ЦАРИЦ ТАМАР» И МЕТОД ВОССТАНОВЛЕНИЯ ЕЕ ТЕКСТА

Резюме

Сочинение т. н. второго историка царицы Тамар, известное в научной литературе под условным названием «Жизнь царицы цариц Тамар», дошло до нас в неполном виде. Утрачена, в частности, вторая часть сочинения, повествующая о событиях, начиная с 1202 г. до кончины царицы.

Поскольку при редактировании текста свода «Картлис цховреба» в начале XVIII в. история эпохи царствования Тамар была изложена преимущественно на основе сочинений первого и второго историков, И. А. Джавахишвили путем исключения из сводного текста сочинения первого историка, получил условно восстановленный текст заключительной части сочинения второго историка.

В работе дана характеристика творческого метода «Комиссии» Вахтанга VI. При составлении сводного текста «Жизни Тамар» члены «Комиссии» пользовались текстами обоих сочинений историков эпохи (и другими дополнительными материалами), стараясь при этом не пропустить ни одно значительное событие, ни один сколько-нибудь важный факт. Тем не менее следует отметить, что они не полностью

использовали информационный материал своих источников. Не говоря о более мелких пропусках, совершенно не попал в сводный текст очень ценный рассказ второго историка об институте порубежников в Грузинском царстве.

Несмотря на указанный недостаток работы «Комиссии», благодаря ее деятельности представляется возможным восстановление хотя бы предположительного текста второй части «Жизни царицы цариц Тамар». Предложенный И. А. Джавахишвили метод следует признать пока что единственным и верным методом восстановления утерянной части сочинения второго историка царицы Тамар.

ვალერი ვაჟაბიძე

ძველი ბერძნული წყაროების მნიშვნელობა კოლხეთის
ისტორიის შესწავლისათვის

კოლხეთის ძველი ისტორიის შესასწავლად მდიდარი არქეოლოგიური მასალის გვერდით მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროები მოგვეპოვება. ქართულ ნარატიულ ძეგლებში დაცული ორიოდ ცნობა თუმცა ქეშმარიტებას შეეფერება¹, მაგრამ ისინი კოლხეთის ისტორიის მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე გვაძლევენ წარმოდგენას. სწორედ ამიტომ, კოლხეთის ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ უცხოენოვან წერილობით წყაროებს. ამ უკანასკნელთაგან უმთავრესს მაინც ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებები წარმოადგენენ. მათი უმრავლესობა აღწერილ მოვლენათა თანადროულია, დაფუძნებულია ოფიციალური დოკუმენტების მონაცემებზე და თვითმხილველთა აღწერილობებზე. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ წყაროებს.

ძველმა ბერძნებმა ოდითგანვე გაიცნეს კოლხეთი, რამაც ასახვა პპოვა მათ მწერლობაში. პირველი ცნობები კოლხეთის შესახებ ბერძნულმა მითოლოგიამ შემოგვინახა. არგონავტების ცნობილი მითი ისტორიის იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ძველმა ბერძნებმა იწყეს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების გაცნობა. მომდევნო ხანაში ბერძნულ მწერლობაში სულ უფრო და უფრო მრავლდება ცნობები კოლხეთისა და კოლხების შესახებ, რასაც ზელი შეუწყო რიგმა ისტორიულმა მოვლენებმა. მათგან აღსანიშნავია: ბერძნული კოლონიზაციის განვითარება (ძვ. წ. VIII—VI სს.), ბერძენ-სპარსელთა ომები (ძვ. წ. 500—449 წწ.), ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ლაშქრობები (ძვ. წ. IV ს-ის 30—20-იანი წწ.), მითრიდატე VI ეგპატორისა და რომს შორის წარმოებული ომები (ძვ. წ. I ს-ის პირველი ნახევარი). აღნიშნული პერიოდების მონაპოვარია კოლხეთის შესახებ ცნობების თავმოყრა ლოგოგრაფოსების, ისტორიკოსების, გეოგრაფოსებისა და სხვ. შრომებში.

ზემოაღნიშნულმა წყაროებმა კარგა ხანია მიიპყრეს მეცნიერთა ყურადღება. მათში კოლხეთის შესახებ დაცული ცნობების პუბლიკაციას და წყაროთმცოდნეობით კვლევას მიეძღვნა თ. ყაუჩჩიშვილის, მ. ინაძის, ნ. კეჭელაძის, ა. ურუშაძის, ნ. ლომოურის, თ. მიქელაძის და სხვათა მონოგრაფიები.

უძველესი კოლხური პოლიტიკური გაერთიანების დიდება და ძლიერება არგონავტთა მითში აისახა. ისაონისა და მის თანამგზავრთა „არგოთი“ კოლხეთში ლაშქრობა ისტორიული სინამდვილის გამოძახილია. მეკობრეობის, ძარცვა-გლეჯისა და ვაჭრობის მიზნით ბერძენთ ბევრი ასეთი ლაშქრობა მო-

¹ ვ. ვაჟაბიძის ძეგ. ანთუარნავის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის.— „მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 3, გვ. 86—97.

უწყვიტათ: ამის შესახებ არაერთი ძველი ავტორი ვგაშეცნობს. მაგალითად, სტრაბონი (ძვ. წ. 64/63—ახ. წ. 23/24) თავის „გეოგრაფიაში“ წერს: ერატოსთენე (ძვ. წ. III ს.) ამბობს, რომ ძველი ბერძნები დაცურავდნენ ყაჩაღობისა და ვაჭრობისათვის, მაგრამ არა გაშლილ ზღვაში, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც მაგალითად იასონი (1, 3, 2).

განსაკუთრებით საინტერესოა ის, თუ რომელი პერიოდის კოლხეთის ყოფას უნდა გვიხატავდეს არგონავტთა მითი. ბერძნული ტრადიციის თანახმად, ტროის ომის (ძვ. წ. XIII ს-ის 30-იანი წწ.) გმირები არგონავტთა შვილები იყვნენ. აქედან გამომდინარე, არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობა ძვ. წ. XIII ს-ის 60-იან წლებშია სავარაუდო². ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი, რომ თქმულებაში კოლხეთის მოტივის შეტანა მითის გაჩენის თანადროულ მოვლენად მივიჩნიოთ. ვფიქრობთ, უფრო მისაღებია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არგონავტთა მითში კოლხური ელემენტების შესვლა კოლხური პოლიტიკური გაერთიანების ძლიერების ხანაში, ე. ი. ძვ. წ. XI—VIII სს-ში, უნდა მომხდარიყო³.

არგონავტთა თქმულების შესახებ პირველი ცნობა ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ლიტერატურულ ძეგლებში მოგვცეოვება. ამ მითს იცნობენ ჰომეროსი (ძვ. წ. VIII ს.), ჰესიოდე (ძვ. წ. VIII ს.) და სხვ.

ბერძნული პროზის განვითარების ადრეულ ეტაპზე (ძვ. წ. VI—V სს.) ჩნდებიან ბერძენი ისტორიკოსები, რომლებსაც ჩვეულებრივ ლოგოგრაფოსებს უწოდებენ. ლოგოგრაფოსი სიტყვისიტყვით „პროზით მწერალს“ ნიშნავს. სწორედ აღნიშნული სახელით ვასხვავებთ ამ ავტორებს მათი წინამორბედი პოეტებისაგან.

ლოგოგრაფოსთა შორის კოლხეთის შესახებ საინტერესო ცნობები მოიპოვება ჰეკატეოს მილეტელს (დაახლ. ძვ. წ. 549—472 წწ.). იგი ავტორია თხზულებებისა „გენეალოგია“ და „დედამიწის აღწერა“, რომელთა მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი⁴. ეს ფრაგმენტები ძირითადად დაცული აქვთ სტეფანე მიზანტიონელსა და აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტს. ჰეკატეოს მილეტელის „დედამიწის აღწერის“ დღემდე მოღწეული ფრაგმენტები რამდენიმე საინტერესო ცნობას შეიცავს კოლხეთის შესახებ. მაგალითად, ნათქვამია, რომ კორაქსები და მოსხები კოლხური ტომებია⁵. ფრაგმენტებითვე შეიძლება მსჯელობა კოლხთა განსახლების არეალზე და სხვ. საერთოდ შენიშნულია, რომ ჰეკატეოს მილეტელის ფრაგმენტების კვლევისას გასარკვევია რა ეკუთვნის თვით ჰეკატეოსს და რა ამ ფრაგმენტების შემომნახველთ⁶.

„ისტორიის მამის“ — ჰეროდოტეს (ძვ. წ. 484—425 წწ.) — თხზულებაში საყურადღებო მასალას ვხვდებით კოლხების ადგილსაცხოვრისის, სამეურნეო საქმიანობის, ზნე-ჩვეულებების, აქემენიანთა სახელმწიფოსთან კოლხთა ურ-

² თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976, გვ. 12.

³ გ. მელიქიშვილი. საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები. — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I. თბ., 1970, გვ. 40.

⁴ C. Müller. Fragmenta historicorum graecorum, I. Parisii, 1885, გვ. 1—31; F. Jacoby. Die Fragmente der griechischen Historiker, I Teil. Berlin, 1923, გვ. 1—47.

⁵ ფ. იაკობი. დასახ. ნაშრომი, ფრ., №№ 210, 288; ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. — მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 3—35.

⁶ თ. ყაუხჩიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

თეორიების, მათი შეიარაღებისა და სხვა საკითხებზე. „ისტორიაში“ ნათქვამია, რომ მეწამულ ზღვასა და ფასის შორის ცხოვრობენ: სპარსელები, მიდიელები, სასპეერები, კოლხები (IV, 37; IV, 40.), რაც არაერთი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

პეროდოტე ჩამოთვლის ხალხებს, რომლებიც უშუალოდ ხარკს არ უხდინენ აქემენიანებს. ამ უკანასკნელთა შორის ვხვდებით კოლხებს. ისინი ყოველ შემთხვევაში წილს ას ყრმასა და ას ქალწულს იგზავნიდნენ ირანში საჩუქრის სახით (III, 97). ეს ცნობა აშკარად იმის მოწმობაა, რომ კოლხებმა სრული დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნეს და რაღაც ფორმით მანძი ექვემდებარებოდნენ აქემენიანთა ირანის სახელმწიფოს.

კოლხეთში სამეურნეო ცხოვრების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ კოლხები და ეგვიპტელები სელს ერთნაირად ამუშავებდნენ (II, 105).

საინტერესოა, რომ პეროდოტე არ კმაყოფილდება კოლხების ყოფის სხვადასხვა ასპექტების აღწერით და ცდილობს მათი წარმომავლობის გარკვევას. ისტორიკოსის აზრით, კოლხები ფასისის მიდამოებში ეგვიპტიდან მოვიდნენ (II, 103—105). აღნიშნულ მოვლენას პეროდოტე ფარაონ სესოსტრისის (ძვ. წ. XIII ს.) ლაშქრობის დროს უკავშირებს. უნდა ითქვას, რომ ბერძენი ავტორი მიგრაციის თეორიის მიმდევარია და სხვადასხვა ხალხებს შორის მსგავსებას იგი მხოლოდ ამ ხალხების მიგრაციით ხსნის. საერთოდ ეს თეორია ბერძნულ მწერლობაში ფრიად პოპულარული იყო, რაზეც მეტყველებს მეგასტენეს (ძვ. წ. IV—III სს.) „ინდიკა“, აბიდენოსის (ძვ. წ. III—II სს.) „ასირია და მიდია“, სტრაბონის „გეოგრაფია“, დიონისიოს პერიეგეტის (II ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწე) „დედამიწის აღწერილობა“ და სხვ. ზემოჩამოთვლილი ავტორებიც აღნიშნული თეორიის მომხრეობით ცდილობდნენ აეხსნათ ორი იბერიის არსებობა.

პეროდოტეს „ისტორიაში“ კოლხეთის შესახებ დაცული ცნობები ძირითადად ძვ. წ. V საუკუნისაა, მაგრამ ავტორი, გარდა გავონილისა და თვალთ ნანახისა, აღრინდელ წყაროებსაც იყენებდა. სწორედ ამიტომ „ისტორიაში“ შემონახული ამა თუ იმ ცნობის ინტერპრეტაციას წინ უნდა უსწრებდეს მისი ყოველმხრივი წყაროთმცოდნეობითი ანალიზი.

კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქსენოფონტის (ძვ. წ. 435/31—355/54 წწ.) „ანაბასისი“. ავტორი კოლხებს „ფასიანებს“ უწოდებს. უნდა ითქვას, რომ ამ სახელწოდებით ქსენოფონტი ორ ტომს იცნობს: ერთს ფასის-არაქსთან. ხოლო მეორეს ფასის-რიონთან, ორივეს კავშირი კოლხებთან უდავოა⁷, მართალია, ქსენოფონტი რიონის აუზში არ ყოფილა, მაგრამ აქ მდებარე „ფასიანთა“ ქვეყანაზე ამბობს, რომ მას აიეტის შვილიშვილი მართავდა (V, 6, 36).

მოტანილი ცნობა განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ ბერძენ ავტორთან გაჩენილი თვალსაზრისი კოლხეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეობითობის შესახებ თვით ადრეანტიკური ხანის კოლხეთის მეფის კარზე შემუშავებული შეხედულება უნდა იყოს⁸.

რაც შეეხება ფასის-არაქსის „ფასიანებს“, რომლებიც ბასიანის აუზში ცხოვრობდნენ, ისინი ქსენოფონტმა საკუთარი თვალთ ნახა. „ანაბასისი“

7 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 54.
8 თთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1960, გვ. 111.
4. ქართული წყაროთმცოდნეობა 49

გვამცნობს, რომ ეს „ფასიანები“ სპარსთა ბატონობისაგან თავისუფალი არ იყვნენ და მათი და ჰესპერიტების გამგებელი ტირიბაძე იყო (VII, 8, 25).

ქსენოფონტის „ანაბასისი“ კიდევ არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის, რომელთა მნიშვნელობა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ისინი ძირითადად ავტორის მიერ არის შეკრებილი, მეტად დიდია.

საინტერესო მასალას კოლხების შესახებ იძლევა ძველი ბერძენი ეპიმი ჰიპოკრატე (ძვ. წ. 460—356). თავის თხზულებაში „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ ავტორი აგვიწერს ფასისთან და მის მიდამოებში მცხოვრებ ხალხს. ჰიპოკრატე მათ „ფასისელებს“ უწოდებს. იგი პირველი ავტორია, რომელმაც დაწვრილებით, დიდი სიზუსტით აღწერა კოლხეთის ბუნება, მისი კლიმატური თავისებურებანი, ადამიანთა ფიზიკური ტიპი, დასახლების სახეობანი და სხვ.

ჰიპოკრატეს თქმით, კოლხეთის ჰავა თბილი და ზომიერია, ქვეყანა ჭაობიანი, წვიმიანი, წყლებითა და ტყეებით მდიდარი. „ფასისელები“ ცხოვრობენ ზომიერებზე შეყვანებულ ხისა ან ლერწმის სახლებში, ხოლო ტრანსპორტის ძირითადი სახეობა აქ ნაგებია (§ 15). ჰიპოკრატე, როგორც ცნობილია, თვით იყო ნამყოფი კოლხეთში, რის გამოც მის თხზულებაში დაცული ცნობების სანდოობა ეჭვს არ იწვევს⁹.

ცალკეულ საინტერესო ცნობებს კოლხებისა და მათი ყოფის შესახებ გვაწვდის ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (ძვ. წ. 384—322 წწ.). მაგ.; „ცხოველთა ისტორიაში“ ნათქვამია, რომ ფასისის ძროხები პატარები არიან, მაგრამ ბევრს იწველიან (III, 21). „პოლიტიკაში“, რომელშიც შედის ფრაგმენტი „ფასისელთა სახელმწიფო წყობილება“, ვხვდებით ცნობას, სადაც მოხსენიებულია ათენში ფასისიდან მოსული ხალხი, რომელთა შორისაც ატარებს დროს ათენელი სახალხო ორატორი. მართალია, აქ ლაპარაკი არ არის ფასისელ ჩამოსულთა მიზნებზე, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი სავაჭრო საქმიანობით იყვნენ დაკავებული¹⁰.

კოლხეთის ძველი ისტორიის მრავალი პრობლემის შესასწავლად პერიპლუსებს თითქმის დოკუმენტური წყაროების ღირებულება აქვთ. ეს გამოწვეულია აღნიშნული ჟანრის თხზულებების გაჩენის პრაქტიკული დანიშნულებით. პერიპლუსი ნიშნავს რომელიმე ადგილის ცურვით გარშემოვლას, ჩღვის ნაპირნაპირ ცურვას. მოგზაურები დაწვრილებით აღწერდნენ მათ მიერ მოხილულ ადგილებს, რასაც სავაჭრო, სამხედრო თუ სხვა დანიშნულება ჰქონდა.

კოლხეთის შესახებ მასალები დაცულია ერთ პერიპლუსში, რომელიც ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება. მას ჩვეულებრივ სკილაქს კარიანდელს (ძვ. წ. VI-V სს.) მიაწერენ, რასაც, ჩვენი აზრით, არავითარი გამართლება არა აქვს. ვფიქრობთ, სრულიად მართებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ძვ. წ. VI ს-ის ავტორს ეწოდება სკილაქსი, ხოლო IV ს-ის პერიპლუსის ავტორი ფსევდო-სკილაქსია¹².

⁹ დაწვრ. იხ. თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართველ ტომების შესახებ). თბ., 1967.

¹⁰ თ. ყაუხჩიშვილი. ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1965.

¹¹ თ. ყაუხჩიშვილი. არისტოტელეს ზოგიერთი ცნობისათვის. — ქართული წყაროთმცოდნეობა, II. თბ., 1968, გვ. 17.

¹² თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 80.

ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსში ვხვდებით შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მცხოვრებ ტომთა ჩამოთვლას, რომელთა შორის იხსენიებიან კოლხებიც. ავტორი ასახელებს კოლხების ტერიტორიაზე განლაგებულ ქალაქებს: ელინური ქალაქებია გვენოსი და ფასისი, ქალაქი დიოსკურია (როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელი არ არის გამოცხადებული „ელინურ“ ქალაქად). განსაკუთრებით საინტერესოა „დიდი ბარბაროსული ქალაქის“ მოხსენიება, რომელზედაც ნათქვამია, რომ აქედან იყო ბერძენთათვის კარგად ცნობილი მედეა, ხოლო ქალაქი მდებარეობდა მდ. ფასისის აუოლებზე 180 სტადიონის მანძილზე.

ზემომოტანილი ცნობა დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ ჭირს იმის დაზუსტებით თქმა, თუ რომელ ადგილას უნდა არსებულიყო ეს „დიდი ბარბაროსული ქალაქი“¹³.

ფლავიუს არიანე (95—175 წწ.) იმპერატორ ადრიანეს მოხელე იყო და მისი დავალებით მოიარა შავი ზღვის სანაპირო ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე. ამ მოგზაურობის შედეგად არიანემ აღწერა მთელი გავლილი გზა და შეაფასო ის ძველი წყაროების მონაცემებით. ასე შეიქმნა „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“.

არიანეს თხზულებიდან ვიგებთ, რომ ავტორი საკმაო ხანს შეჩერებულა ქ. ფასისში, სადაც სხვადასხვა სამუშაოები ჩაუტარებია. არიანე ვრცლად მოგვითხრობს მდ. ფასისის თვისებებზე (§ 8), შემდეგ კი დაწვრილებით გვიხატავს ფასისელი ქალმერთის ქანდაკებას, რომელიც, მისი სიტყვებით, გარეგნობით ძალიან ჩამოჰგავდა რეას¹⁴. ამას უმუალოდ მოსდევს ფასისის ციხესიმაგრის აღწერა. ავტორის თქმით, ქალაქს ორმაგი თხრილი და გამომწვარ აგურისაგან ნაშენი მტკიცე კედელი ჰქონია გარშემოვლებული, რასაც ემატებოდა თავდაცვისათვის ხელსაყრელი ადგილმდებარეობაც. „ერთი სიტყვით, იმგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს ბარბაროსთაგან“ — წერს ფასისის შესახებ არიანე (§ 9). კოლხური ღვთაების და ფასისის ციხის აღწერა იმდენად ცოცხალი და მთამბეჭდავია, რომ იგი უეჭველად თვითმხილველის მიერაა შესრულებული.

ფლავიუს არიანეს ზემომოტანილი ცნობების მნიშვნელობა განსაკუთრებულია. ავტორი უბრალო მოგზაური კი არ იყო, არამედ იმპერატორის მოხელე, რომელსაც ოფიციალურად ევალებოდა მის მიერ მოვლილი ადგილების დიდი სიზუსტით აღწერა. სწორედ ამიტომ არიანესთან დაცული მასალა სანდო წყაროა კოლხეთის ისტორიის შესასწავლად¹⁵.

ელინისტურ ხანაში ჩამოყალიბდა საისტორიო პროზის კიდევ ერთი ახალი უარი — მსოფლიო ისტორია. კოლხეთის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან პოლიბიოსის (ძვ. წ. III—II სს.) „ისტორია“ და დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ. I ს.) „ბიბლიოთეკა“.

კოლხეთის ისტორიის, გეოგრაფიის, მოსახლეობის საქმიანობისა და სხვათა შესახებ დაცული მასალის მოცულობითა და მნიშვნელობით ცალკე გამოყოფის ღირსია სტრაბონის „გეოგრაფია“. ასევე საგულისხმო ცნობები აქვთ შემონახული ნიკოლოზ დამასკელს (ძვ. წ. 64 — ახ. წ. 14 წწ.), იოსებ

13 თ. ყაუხჩიშვილი: საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, 85—86.
14 რეა — კიბელე ძველი მცირეაზიური ღვთაება იყო.
15 დაწვრ. იხ. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეკელიძისა. თბ., 1961; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. — წიგნში: ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი ბერძნულიდან თარგმნა გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1983, გვ. 153—160.

ფლავიუსს (37—95 წწ.), დიონისიოს პერიეგეტს, პლუტარქოსს (46—120 წწ.), კლავდიოს პტოლემაიოსს (100—178 წწ.), აპიანესს (90—170 წწ.), კლავდიუს ელიანუსს (170—235 წწ.) და სხვებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიზანს არ შეადგენს ზემოდასახელებულ ცალკეულ ავტორებთან კოლხეთის შესახებ დაცული ცნობების დაწვრილებით განხილვა. თითოეული ასეთი ცნობა ცალკე შესწავლის ღირსია. წინამდებარე ნაშრომი ცდა იმის ჩვენებისა, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ბერძენ მწერალთა თხზულებებში შემონახულ მასალებს ძველი კოლხეთის ისტორიის შესასწავლად.

იმ რამდენიმე ძველ ბერძენ ავტორთან დაცული ცნობების განხილვა, რაც ზემოთ იყო წარმოდგენილი, იმის საშუალებას იძლევა, რომ კოლხეთის შესახებ არსებულ წერილობით წყაროებს შორის ბერძენულ მწერლობაში მოთავსებულ მასალებს ერთ-ერთი თვალსაზირობით ადგილი მივაკუთვნოთ. აღნიშნული წყაროები განუზომლად დიდი მნიშვნელობისაა კოლხეთის ძველი ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევისას, ხშირ შემთხვევაში კი სწორედ ბერძენულენოვანი თხზულებები გვაწვდიან ერთადერთ ცნობას ამა თუ იმ პერიოდის კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური, სამეურნეო, ყოფითი და სხვა სურათების აღსადგენად.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ძველ ბერძენ ავტორებთან კოლხეთის (და საერთოდ რომელიმე ქვეყნის) შესახებ დაცული ცნობების, როგორც წყაროს, გამოყენებისას რიგი გარემოებანი უნდა იქნეს გათვალისწინებული. პირველ რიგში ეს ეხება ბერძენულ მწერლობის უანრობრივ მრავალფეროვნებას (ეპოსი, ლირიკა, დრამა, საისტორიო და გეოგრაფიული პროზა და ა. შ.), რის გამოც თითოეულ თხზულებაში შემონახული ცნობის შესწავლა ამ ნაწარმოებისადმი სრულიად განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. გარდა ამისა, ბერძენულ წყაროებში ხშირად გვხვდება ლეგენდარული ხასიათის ცნობები, აღრეულია სხვადასხვა დროის ამბები, ცალკეული ავტორები განსხვავებულად იძლევიან ერთი და იმავე მოვლენისა თუ ფაქტის აღწერას და სხვ. აქედან გამომდინარე, ბერძენულენოვანი წყაროებით სარგებლობისას საჭიროა მათი ყოველმხრივი ანალიზი, ცნობის შესწავლა თანამედროვე წყაროთმცოდნეობის კრიტიკის პრინციპების გათვალისწინებით. ძველი ბერძენული მწერლობის ძეგლები მათი პირველწყაროთა გამოვლენის, ზუსტად დათარგმნების, ზღაპრული პლასტიკისაგან გათავისუფლების შემდეგ სანდო წყაროს წარმოადგენენ კოლხეთის ძველი ისტორიის მრავალი საკითხის შესასწავლად.

В. В. ВАШАКИДЗЕ

ЗНАЧЕНИЕ ДРЕВНЕГРЕЧЕСКИХ ИСТОЧНИКОВ ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ ИСТОРИИ КОЛХИДЫ

Резюме

В статье на основе анализа сведений, сообщаемых древнегреческими авторами (Гекатей Милетский, Геродот, Ксенофонт, Гиппократ, Аристотель, Псевдо-Скилак и др.), показано особое значение древнегреческих письменных памятников среди разнообразных источников по истории Колхиды.

Изучение древнегреческих памятников с учетом принципов современной источниковедческой критики показывает, что они содержат ценный и достоверный материал о социальной, политической, экономической, культурной жизни древней Колхиды.

ერეკლე აბაშიძე

„ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტების
უმადარებიოი უმსწავლის საკითხისათვის

წინამდებარე ნაშრომში „ქართლის ცხოვრებისა“ (შემდგომში — ქც) და „მოქცევაჲს“ ურთიერთმიმართება განხილულია ერთ კონკრეტულ მაგალითზე — სადაც მოთხრობილია ქართლის სამეფოს ისტორიის ის ეპიზოდი, რომელსაც ცნობილი რომაელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინეც აღმოგვცემს.

დასახელებული პერიოდის საკმაოდ ზუსტი ქრონოლოგიური ლოკალიზაციის საშუალებას იძლევა ამიანე მარცელინე. 361 წ. ქართლის მეფედ ის იხსენიებს მერიბანს (რომელსაც, ჩვეულებრივ, პირველ ქრისტიან მეფე მირიანთან აიგივებენ). მერიბანის გარდაცვალების თარიღი არ არის მითითებული, მაგრამ 368 წელს მეფედ მოხსენიებულია ასფაგური (ქართულ წყაროებში მას ვარაზბაქარი — ვარაზბაკური შეესაბამება), რომელმაც სავრომაკი შეცვალა.

მარცელინეს თანახმად, ასფაგურის დროს ქართლს სპარსელები დაეუფლნენ. სავრომაკი რომის შემწეობით განაგებდა ქვეყანას, ხოლო მერიბანი, როგორც ჩანს, რომაელთა მხოლოდ ფორმალური მოკავშირე იყო. ქართული წყაროების თანახმად, ირანი ქართლს იპყრობს ვარაზბაკურის დროს¹. მანამდე, მთელი IV ს. მანძილზე, ისინი არ ჩანან ქართლში, ამიტომ ბუნებრივია ამ ორი მეფის გაიგივებაც, რასაც ივ. ჯავახიშვილიდან² მოყოლებული, ვარაუდობენ კიდევ.

როგორც ცნობილია, ნიზიბინის ზავი (298—338), რომლის შედეგიცაა მნიშვნელოვანწილად ქართლსა და სომხეთში ქრისტიანობის გავრცელება, ირანის შაჰმა შაბურ II-მ (309—379) ერთი წლით ადრე დაარღვია და აღმოსავლეთი ისევ ირან-რომის ბრძოლის ობიექტად იქცა, თუმცა, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ქართლი ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს (IV ს. 60-იან წწ. II ნახევრამდე — ვარაზბაკურ-ასპაგურის მეფობამდე) რომაული ორიენტაციის რჩებოდა³.

ამიანე მარცელინე 361 წლის ამბებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ რომაელებმა თავიანთ მოკავშირეებს ელჩები გაუგზავნეს უხვი საჩუქრებით, „მაგრამ ყველაზე უფრო მეტად მოქრთამულ იქნენ არშაკი და მერიბანი, არმე-

1 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I. თბ., 1955, გვ. 136; მოქცევაჲ ქართლისაჲ. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. თბ., 1964, გვ. 91—92.

2 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I. თბ., 1951, გვ. 236.

3 ნ. ჯანაშია. აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი) IV—V საუკუნეებში. — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II. თბ., 1973, გვ. 77; ა. ბოგვერაძე. ქართლის (იბერიის) სამეფოს 369 წლის გაყოფის საკითხისათვის. — წიგნში: ძიებანი საქართველოს და კავკასიის იტორიიდან. თბ., 1976, გვ. 88.

ნიისა და იბერიის მეფეები... რადგან თუ [ისინი] მაშინდელ საეპიკო ვითარებაში სპარსელებს მიუღებოდნენ, ავებდნენ რომის საქმეებს“⁴. აღსანიშნავია, რომ ორი წლით ადრე ალბანეთი უკვე ირანის მხარესაა — ამიანე მარცელინეს საკუთარი თვალთ უნახავს ალბანეთის მეფე შაბურ II-ის გვერდით ამიღთან ბრძოლის წინ (359 წ.)⁵.

363 წელს რომაელებს მათთვის ძალზე მძიმე 30-წლიანი ზავის დადება მოუხდათ ირანთან (ე. წ. „სამარცხვინო ზავი“), რომლის ერთ-ერთი პირობის თანახმად სომხეთი ირანის ვასალურ სახელმწიფოდ ცხადდებოდა. ირანმა ამ პირობის სისრულეში მოყვანის მიზნით ძალას მიმართა. სომხეთი წინააღმდეგობას უწევდა მას, ვიდრე 367 წ. შაბურ II-მ ხელთ არ იგდო სომხეთის მეფე არშაკ II (345—367)⁶. რამდენად შეეხო 363 წლის ზავის პირობები ქართლის სამეფოს, პირდაპირი წყაროთი არ არის ცნობილი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ზავის შემდეგაც ირანიცა და რომიც ყველა ზომას მიმართავდნენ მის ხელში ჩასაგდებად, რაც სომხეთის მაგალითითაც ჩანს და რაც დასტურდება კიდევ ამიანეს თხზულებიდან: 368 წლისათვის ამიანეს ქართლის მმართველად დასახელებული ჰყავს სავრომაკი. ის, განსხვავებით მერიბანისაგან (რომელიც ფაქტობრივად დამოუკიდებელი მეფეა), „რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას“⁷. ეს, შეიძლება ვივარაუდოთ, 363 წლის ზავის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შედეგია⁸, რომლითაც რომმა დაკარგა არმენია და ახლა, ამის სანაცვლოდ იბერიაში გაძლიერებას ცდილობს. ცხადია, იგივე მიზანი უნდა ჰქონოდა ირანსაც, რაც, როგორც იქვეა მითითებული, ძალიან მალე განახორციელა კიდევ. 368 წელს ირანელებმა გააძევეს სავრომაკი და ქართლის მეფედ ასფავური დასვეს. ამიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შაბურ II-მ ასფავურს გვირგვინი დაადგა, „რათა ჩვენი (რომაელების. — ე. ა.) გადაწყვეტილებისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა“⁹.

მაშასადამე, 368 წელს ქართლის რომაული ორიენტაციის მმართველი სავრომაკი ირანელთა გამარჯვების შედეგად გადადგა და ქართლის სამეფო ტახტი ასფავურმა დაიკავა, რომელიც შაბურ II-მ მეფედაც აკურთხა.

საყურადღებო ცნობაა ამ მხრივ ქც-ში. ქართულ დედანში ეს ადგილი დამახინჯებული ჩანს და ასე იკითხება: „და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“¹⁰. უფრო ნათელია, თუმცა ახსნას საჭიროებს, ქც-ის ძველი სომხური თარგმანი: სპარსთა შემოსვლის დროს „ვარაზბაქარი შიშმა შეიპყრო და დიმალა კუხეთის ზევს“¹¹. მოვიდნენ სპარსელები და ააგეს ციხე თბილისის კარს, მცხეთის საწინააღმდეგოდ“¹². ეს ცნობა დასტურდება სხვა მონაცემებითაც:

„შოქცევაში“ ნათქვამია, რომ ვარაზბაქურის დროს „სპარსთა მეფისა მარზსპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ხილარ უკუჯდა. და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარბორხად სპარსთა მეფისა პატიახში ტფილისად ქალაქად ციხედ (ე. ი. რო-

⁴ ამიანე მარცელინე. გეორგიკა, I, თბ., 1961, გვ. 101—102.
⁵ იქვე, გვ. 100—101.
⁶ იქვე, გვ. 125; История армянского народа. Ереван, 1951, с. 77.
⁷ ამიანე მარცელინე, გვ. 125.
⁸ ა. ბ. გვ. რ. ა. ძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.
⁹ ამიანე მარცელინე, გვ. 125.
¹⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 136.
¹¹ ეს ცნობა დასტურდება ქართულ დედანშიც (იხ. იქვე).
¹² ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ი. აბულაძის გამოც. თბ., 1953, გვ. 133—134.

ცა ვარაზბაკური აღარაა მცხეთაში — ე. ა.) და ქართლი მისსა ხარკსა შედგა, და სომხითი, და სივნიეთი, და გუასპურაგანი“¹³.

ამ შემთხვევაში არაფერია ნათქვამი უშუალოდ მცხეთის წინააღმდეგ ბრძოლის მზადებაზე, (როცა ქრამ ხუარბორზად... „ტვილისად ქალაქად ციხედ“ მოვიდა), მაგრამ სამაგვიროდ ნათქვამია: „და მისა ზე აღაშენეს აზნაურთა წმინდა ივი ეკლესიად მცხეთას და დაამოთათულეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლს შინა“¹⁴.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ირანელებმა თბილისის კარს ციხე აგეს (ან მოვიდნენ თბილისის ციხედ) იმ დროს, როცა ვარაზბაკური „ხიდარ უკუჯდა“ — გაქცეული იყო და გამაგრებული კახეთის ხევს. სწორედ ამ დროს აშენდა მცხეთაში ეკლესია. ისე რომ, ვფიქრობთ, ცხადია ირანელების მიერ მცხეთის საწინააღმდეგოდ ბრძოლის მზადების მიზეზი იქ ამ დროს მათი მოწინააღმდეგე რომის ორიენტაციის მქონე დაჯგუფებაა და ამიტომ რეალური ჩანს, რომ ამ დროს მცხეთაში სავრომაკი ვიგულისხმობთ, რომლის საშუალებითაც იბრძოდა რომის იმპერია ირანის წინააღმდეგ იბერიაში. ცხადია, ვარაზბაკურის „სპარსთა შიშით“ უკუჯდომა გამორიცხებულია 368 წლის შემდეგ, როდესაც ის სწორედ ირანელთა მიერ ხელდასხმული ქართლის მეფე ხდება, ამიტომ ყველაფერი ეს უნდა ვივარაუდოთ 368 წლამდე. ცხადია ისიც, რომ სავრომაკის მმართველობა ქართლში ძალზე ხანმოკლეა. 361 წელს მეფეა მერბანი, ამის შემდეგ მეფდება ვარაზბაკური (ასფაგური), რომელიც შემდეგ „უკუჯდა“ და კვლავ დაუბრუნდა ტახტს უკვე როგორც ირანის მოკავშირე 368 წ.

ბუნებრივია, რომ ირანელების ქართლში მოსვლა 363 წლის ზავის შემდგომ შექმნილ ისტორიულ ვითარებას დაუწყავს იროთ. ამ ზავის შემდეგ, უახლოეს ხანებში ირანის ჯარი იჭრება სომხეთში და 367 წელს ხელთ იგდებს სომხეთის მეფეს. ამის შემდეგ რიგი, ცხადია, ქართლზე მიდგებოდა, რაც, უნდა ვიფიქროთ, გახდა ვარაზბაკურის „შიშის“ მიზეზი, რის გამოც მან მიატოვა მცხეთა, „უკუჯდა“ კახეთს და ჯერების დამალვა ბრძანა. ამიტომ, მისი გაქცევა და სავრომაკის მმართველობა 367 წლით შეიძლება დათარიღდეს. ამავე დროს უნდა დასრულებულ იყოს, უნდა ვივარაუდოთ, ჯერ კიდევ ვარაზბაკურის დროს მიმდინარე ეკლესიის შენებაც მცხეთაში. სავრომაკი მეფის „ნათესავი“¹⁵ იყო და ის პირი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლო რომს ქართლში თავისი პოლიტიკის გატარება. მაგრამ, როგორც ჩანს, ვითარება ისე წარიმართა, რომ ვარაზბაკურს (ასფაგურს) სხვა არაფერი რჩებოდა, ვარდა იმისა, რომ შერიგებოდა ირანს, რაც 368 წელს მოხდა კიდევ, და ამის შემდეგ ის უკვე ირანის მიერ ხელდასხმული მეფეა. სავრომაკი, ბუნებრივია, განიდევნა ქართლიდან, „და მიერთგან იყვნეს სომეხნი და ქართველნი სპარსთა მოხარკენი“.

ეს ყველაფერი ირანის მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, და ბუნებრივია, რომის იმპერია ცდილობდა არ დაეთმო თავისი პოზიციები და კონტროლი ბისათვის მიემართა. 379 წელს სარდალ ტერენციუსისა და რომაული ლეგიონების საშუალებით სომხეთში გაიგზავნა პაპი, „რათა ერთხანს რაიმე ნიშნების გარეშე განევგო ერი“¹⁶, რაც, თუმცა დროებით, მოხერხდა კიდევ. მაგრამ ქარ-

13 მოქცევა ქართლისად, გვ. 91—92.
 14 იქვე, გვ. 92.
 15 ამიანე მარცელინი, გვ. 130.
 16 იქვე, გვ. 128.

თლში ვარაზბაკური (ასფაგური) დარჩა მეფედ. ხოლო რომის მიერ აქტივობის
გზავნილი საგრომაკი (იმავე სარდლის თანხლებით) „მდინარე კიროსს რომ
მოუახლოვდა, ასფაგური შეევედრა მას, როგორც ნათესავეებმა ერთად ვიშე-
ფოთო, იმ მიზეზით, რომ არც გადადგომა შეეძლო, არც რომაელების მხარეს
გადასვლა, რადგან მისი ძე ულტრა აქამდე მძევლის წესით სპარსელებს ჰყავ-
დათ“¹⁷.

იმპერატორი „დათანხმდა იბერიის გაყოფას ისე, რომ საზღვრად შუაში
მდინარე კიროსი დადებულყო და საგრომაკს არმენიისა და ლაზების მოსა-
ზღვრე [მხარე] რგებოდა, ასფაგურს კი — ალბანიისა და სპარსელების მომი-
ჯნავე“¹⁸.

ნ. ჯანაშიას შენიშვნით, მიუხედავად ასეთი გარკვეული მითითებისა, სხვა-
დასხვაგვარად იქნა გაგებული საკითხი იმის შესახებ; თუ ქართლის რომელი
ნაწილი ერგო საგრომაკს და რომელი ასფაგურს¹⁹.


მარცელინეს ამ ცნობას მნიშვნელოვნად აზუსტებს ქ.ე. სადაც აღნიშნუ-
ლია, რომ ამ დროს „განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერ-
ძენტა და დაიპყრეს ბერძენტა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვთგან არსი-
ანთამდე“²⁰.

ვარაზბაკურს დარჩა „ქართლი — თვნიერ კლარჯეთისა“²¹. აქ, როგორც
ფიქრობენ, მარცელინესთან დასახელებული „ალბანეთისა და სპარსეთის მო-
საზღვრე მხარე“ უნდა იყოს ნაგულისხმევი (რომელიც ასფაგურს ხვდა). ხო-
ლო „არმენიისა და ლაზეთის მოსაზღვრე“ მხარე, რომელიც ზემოხსენებული
ტერიტორიისაგან მდ. მტკვრით გამოიყოფოდა, და რომელიც საურმაგს ერგო,
ქ.ე.-ში დასახელებული „ყოველი კლარჯეთი“ („თუხარისი და ყოველი კლარ-
ჯეთი ზღვითგან არსიანამდე“) უნდა იყოს²².

მტკვარი საზღვრად მცხეთამდე კი არ უნდა ვივარაუდოთ, არამედ მხო-
ლოდ მის ზემო დინებაში, როგორც ფიქრობენ, არტაან-სამცხის ტერიტორია-
ზე. ამდენად, კლარჯეთისა და, როგორც ვარაუდობენ, სამცხე-აჭარის გარდა
რომაელებს მიუტაციათ არტაან-ჯავახეთის ნაწილიც მტკვრამდე. „ასეთი კო-
ნიექტურა უფრო ეთანხმება კიდევ რომელიც ისტორიკოსის იმ მითითებას,
რომ საურმაგის წილი ეგრისსა და სომხეთს ემიჯნებოდა (ე. ი. ფაქტიურად
ლაზეთს და ტაოს), ხოლო ვარაზბაკურისა ალბანეთს და სპარსეთს. რამდენა-
ნადაც აღმოსავლეთი სომხეთი ამ დროს შაბურ II-ს უკვე დაპყრობილი ჰქონ-
და, ამდენად მემატანისთვის ეს მხარე სპარსეთი იყო“²³. ამიანე მარცელინეს
ცნობით, სომხეთის მეფე პაპმა (369—374) და მისმა მხლებლებმა იმ დროს,
როდესაც არმენიაში ირანის ჯარი შეიჭრა, „სცადეს შეეფარებინათ თავი მა-
ღალ მთებში, რომლებიც ჩვენს (ე. ი. რომაელთა მიწებს. — ე. ა.) ლაზიკისა-
გან ჰყოფენ“²⁴.

ამ შემთხვევაში სწორედ ის ტერიტორია იგულისხმება, რომელიც 369 წ.
საგრომაკის მფლობელობაში გადავიდა — მდ. ჭოროხის შესართავის სამხრე-

17 ამიანე მარცელინე, გვ. 130.
18 იქვე.
19 ლ.-ნ. ჯანაშია. ლაზარ ფარბეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 78—80.
20 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 136—137.
21 იქვე, გვ. 137.
22 დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. თბ., 1977, გვ. 201.
23 იქვე, გვ. 202.
24 ამიანე მარცელინე, გვ. 128.



თით მდებარე მაღალი მთიანეთი²⁵ რომლის ჩრდილოეთით ამ დროისათვის ეგრისის სამეფოს ტერიტორიაა²⁶. ამ ცნობით ცხადი ხდება, რომ ირანს იმ მხარეზე ხელი აღარ მიუწვდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ირანელთაგან ლტოლვილი სომხეთის მეფე იქ ვერ ჰპოვებდა თავშესაფარს²⁷.

ზემოთქმულის საფუძველზე განვიხილავთ ქც-ის თხრობას:

თვ. 232

ქც-ის თანახმად, ქართლის მესამე ქრისტიანი მეფის მირდატის შემდეგ გამეფდა „ძე მისი ვარაზ-ბაქარ“²⁸. ეს ხდება ირანელთა ქართლში მოსვლამდე, ე. ი. 368 წელზე ადრე. ვარაზბაქარის დროს „გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა“, რაც 363 წლის შემდგომ შექმნილი ვითარების შედეგი უნდა იყოს. „მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუენენ კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანენ ოცნი და ჭეკნი და წინააღმდეგენ სპარსთა, და წარჩინებულნი თჳსნიცა იტყოდეს წინააღმდეგმასა სპარსთასა“. მართლაც, სომხეთი რომელიც 363 წლის ზავით ირანს გადაეცა, დიდხანს — 367 წლამდე წინააღმდეგობას უწევდა მას. მაგრამ ვარაზ-ბაქარმა „არა ისმინა არცა სომეხთა, არცა წარჩინებულთა თჳსთა(!), რამეთუ იყო ჩუკენი და მოშიში. უკუჯდა იგი ვეცსა კახეთისასა, და აღაშენა ციხე ვიდარს და განამაგრნა ციხე-ქალაქნი, და უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჭუარნი. და მოვიდეს სპარსნი პირველად სომხითს, და მოაოჯრეს სომხითი“. აქ, ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს, რომ 367 წელს მომხდარი ფაქტი უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც ირანელებმა ტყვედ ჩაიგდეს სომეხთა მეფე ხოსროვ II. „... და შემოვიდეს ქართლს. და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან“ ციხე თბილისის კარს მცხეთის საწინააღმდეგოდ²⁹, სადაც, „მოქცევაას“ ცნობით, ეკლესიის შენება დასრულდა აზნაურთა (ვარაზ-ბაქარის „წარჩინებულთა თჳსთა“) მიერ, რომელთა შორისაა საგულისხმო მისი „ნათესავი“ საურმაგიც. „მაშინ ვარაზ-ბაქარ ეზრახა შეერდომით და ითხოვა მშუდობა“ სპარსთაგან. „ხოლო ერისთავმან სპარსთამან რქუა მას: „...გაქუნდეს უკუე ქართლი და ხარკსა მისცემდეთ მეფეთა ხუასროვანთა“. ეს ხდება 368 წელს, რის შემდეგაც ვარაზბაქური უკვე ირანის მიერ ხელდასმული მეფეა.

„და ამისა შემდგომად(!) განდგეს კლარჯნი ვარაზ-ბაქარისაგან და მიერთნეს ბერძენთა და დაიპყრეს ბერძენთა თუხარისი და ყოველი კლარჯეთი ზღვითგან არსიანთამდე“. მართლაც ლაზეთისა და არმენიის მოსაზღვრე ეს ტერიტორია „ამისა შემდგომად“, — 369 წელს გადავიდა „ბერძენთა“ ხელში ვარაზ-ბაქარის „ნათესავის“ დახმარებით. საყურადღებოა ქც-ის სომხური რედაქციის ცნობაც, რომლითაც ამ ტერიტორიის დაკარგვა „ბერძენთა“ ლაშქრობის შედეგია.

საყურადღებოა, და როგორც ჩანს ახსნას საჭიროებს ის, რომ სავრომაცის სახელი (რომელიც ქართულად, უეჭველია საურმაგია³⁰) ქართულ წყაროებში ამ ხანებში არ მოიხსენიება.

აღსანიშნავია, რომ მეფედ მას არც ამიანე მარცვლინე მიიჩნევს. მის თხზულებაში ის არ მოიხსენიება „მეფის“ ტიტულით, ნათქვამია მხოლოდ, რომ

²⁵ Г. А. М е л и к и ш в и л и. К истории древней Грузии. Тбилиси, 1959, с. 181—182.
²⁶ ნ. ლ. ო. მ. ო. უ. რ. ი. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 67.
²⁷ იქვე გვ. 69.
²⁸ ქართლის ცხოვრება, I, გ. 135 და შმდ.
²⁹ ამის შესახებ იხ. ზემოთ.
³⁰ ა. ბ. ო. გ. ე. რ. ა. ძ. ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 89, შუნ. 4.

ის „რომაელთა შემწეობით განაგებდა იბერიას“. ხოლო მასთან, და ე. ი. რომაელებთან, დაპირისპირებული ასფაგურის სწორედ „მეფობა“ სახეგასმულია. შაბურმა იბერიის „განმგებლობა ვინმე ასფაგურს ვადასცა, თანაც გვირგვინი დაადგა, რომ ჩვენი გადაწყვეტილებისადმი შეურაცხოფა მიეყენებინა“. მარცელინე რომაელთა შეურაცხყოფას სწორედ იმაში ხედავს, რომ შაბურმა ასფაგური მეფედ აკურთხა. ხოლო, რომ ის „ვინმე“ კი არა, სამეფო გვარის წევრია, ცოტა ქვემოთაა აღნიშნული. საყურადღებოა ისიც, რომ სომხეთში რომაელთა ჯარით გაგზავნილ პაპს, „თავიდან, რაიმე ნიშნების ფარეშე უნდა ემართა“ ქვეყანა. ცხადია, რომაელები ამ შემთხვევაში 363 წლის ზავის პირობების ამკარა დარღვევას (ფორმალურად) თავს არიდებენ და სომხეთში პაპს ოფიციალურად როგორც „მეფეს“ არ გზავნიან³¹.

სავრომაკი თუმცა ძალზე ცოტა ხანს (დაახლოებით ერთი წლის მანძილზე: 367—368 წწ), მაგრამ ქართლისთვის საკმაოდ კრიტიკულ დროს იყო ქვეყნის მმართველი. ის რომის ხელქვეითია, ირანელთა წინააღმდეგ მებრძოლი და ქრისტიანული სარწმუნოების დამცველი, მაგრამ ქც მხოლოდ ზოგადად აღნიშნავს, რომ „განდგეს კლარჯნი ვარაზბაქარისაგან“. ან კიდევ, მაშინ, როდესაც „ურჯულთ“ და „მშიშარა“ ვარაზბაქური „სპარსთა შიშით უკუჯდა კახეთის ხევს და ბრძანა რათა დამალნენ ჯუარნი“, მცხეთაში ეკლესიის შენების შესახებ ნათქვამია, რომ „მისა ზე (ვარაზბაქურის დროს! — ე. ა.) აღაშენეს აზნაურთა ეკლესია“. თუმც თვით ვარაზბაქური არათუ ამაში მონაწილეობას არ იღებს, გაქცეულია მცხეთიდან და „მალავს“ ჯვრებს.

სავრომაკის სახელის მოუხსენებლობა ქც-ის ზოგადი კონცეფციით, მისი პოლიტიკური პროგრამით უნდა აიხსნას: ფარნავაზიდან მოყოლებული არაბობამდე ქართული ქვეყნები (ეგრისი, კახეთი, კლარჯეთი და სხვ) ქც-ისათვის, „ერთ მთლიან პოლიტიკურ-ეთნიკურ ორგანიზმს წარმოადგენს და ცალკეული მათგანის გამოთიშვა დროებითი მოვლენაა, უცხო ძალის მიერ მიტაცების შედეგია“³².

ყოველივე ამის გამო, ვფიქრობთ, არ გაგვაჩნია საფუძველი ვიფიქროთ, რომ სავრომაკს თავის დროზე იმპერატორისაგან უნდა მიეღო სამეფო გვირგვინი, ისე, როგორც ეს ასფაგურმა მიიღო შაბურ II-ისაგან, და ამიტომაც საურმაგის სახელი ქართლის მეფეთა ონომასტიკონში საძიებელი არაა³³.

მართალია, ვარაზბაქარი, „უმჯულოა“, სპარსთა „მოშიში“ და სხვა, ის მაინც ქართლის მეფეა, წინამორბედი მეფის მირდატის ძე და ქართლის კანონიერი მფლობელი³⁴.

ამ პოზიციითაა გადმოცემული მთელი ეს თხრობა ქც-ში. სხვა კუთხითაა გადმოცემული იგივე ამიანე მარცელინესთან.

ამიანე რომის საიმპერატორო გვარდის წევრია და რომისა და ირანის ომების მონაწილე. ცხადია, რომ მისი პოზიცია სულ სხვაა, და თუმცა ის ცნობილია თავისი ობიექტურობით და ფართო ისტორიული თვალთახედვით, მაინც ამკარად აზვიადებს რომის სიმლიერეს³⁵ და ზემოთ აღნიშნულ საკითხებში მისი ეს ტენდენციურობაც ამკარაა. შაბურმა იბერიის მმართველობა

31 ა. ბოგვერაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 89—90.

32 ზ. ალექსიძე. ეპისტოლეთა წიგნი. თბ., 1968, გვ. 167.

33 შდრ. ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი გვ. 89.

34 ამიტომ, ვფიქრობთ, ზუნებრივი ჩანს ამიანე მარცელინეს მერიბანის გაიგივება მირდატთან.

35 З. В. Удалцова. Мироззрение Аммиана Марцелина. — Византийский восточник, XXVIII. М., 1968, с. 58.

„ვინმე ასფაგურს“ ჩააბარა, აღნიშნავს ის, მაგრამ, როგორც ცოტა ქვემოთ ჩანს მისსავე თხზულებაში, ასფაგური „ვინმე“ კი არაა, არამედ სამეფო გვარის წარმომადგენელია (რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ქც-ით ეს ასფაგური — ვარაზზბაკური ქართლის სამეფოს კანონიერი მფლობელია, თუმცა „უშუალო“ და სპარსთა „მოშიში“). იბერიის გაყოფაც ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს სავრომეხის სულგრძელობა რომ არაა, ის შესაძლოა მთელი იბერიის მფლობელიც გამხდარიყო. ასფაგურს, იმის გამო, რომ შვილი ირანელებს ჰყავდათ მძევლად, არც გადადგომა შეეძლო და არც რომაელთა მხარეს გადასვლა. ის „ვევდრება“ სავრომეხს „როგორც ნათესავეებმა ერთად ვიმეფოთო“ და სხვ. სინამდვილეში კი „რომაელები უკანასკნელ მომენტამდე ფრთხილობდნენ და იბერიის საკითხს კომპრომისულად წყვეტდნენ მაშინაც კი, როცა ჯარებით მტკვრამდე იყვნენ მოსული“³⁶.

ქც რომ არაა, მხოლოდ მარცვლინეს თხზულების ცნობებით ისე ჩანს, თითქოს იბერია ორ ტოლ ნაწილად გაიყო ირანსა და რომს შორის³⁷. მაშინ, როცა რომს ერგო მხოლოდ ერთი პროვინცია, — კლარჯეთის საერისთავოს ტერიტორია („ყოველი კლარჯეთი“), ქართლის სამეფოს ძირითადი ნაწილი (და მისი დედაქალაქი) ასფაგურს (ვარაზზბაკურს) ღარჩა. ამიტომ საკვებით ბუნებრივია ქც-ის ცნობაც (გამომდინარე მისი კონცეფციიდან), რომ ქართლის მეფეა ვარაზზბაკური, ხოლო კლარჯეთი მისგან „განმდგარი“ მიწა-წყალია.

ქც-ის და მარცვლინეს ცნობები ეთანხმებიან და მნიშვნელოვნად ავსებენ და აზუსტებენ ერთმანეთს. ამავე დროს ამიანე მარცვლინე მის მიერ აღწერილი ამბების თანამედროვე და ირან-რომის ამ ომის მონაწილეა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქც-ც ამ კონკრეტული მონაკვეთის აღწერისას ძველი, აღწერილი ამბებიდან არც თუ დიდად დაშორებული, ამასთანავე ადგილობრივი წერილობითი წყაროთი სარგებლობს.

„მოქცევაჲშიც“ სწორედ ეს ვერსიაა უფრო მოკლედ გადმოცემული. „მოქცევაჲს“ პირველი ნაწილის უმთავრესი და ძირითადი მიზანია ქართლის გაქრისტიანების ისტორიის გადმოცემა. საკუთრივ ამ ამბის შესახებ თხრობას მთელი თხზულების ნახევარი უჭირავს და ჩართულია ისტორიული ქრონიკის შუა ნაწილში, შესაფერის ქრონოლოგიურ ადგილას (მირიანის მეფობასთან დაკავშირებით), რითაც ნაჩვენებია ამ ფაქტის „ადგილი“ ქართლის სამეფოს ისტორიაში, სახელმწიფოს შექმნიდან თხზულების დაწერის დრომდე. ქართლის მოქცევა თხზულების როგორც კომპოზიციურ ისე იდეურ ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს (რაც სათაურშივეა ხაზგასმული). ამიტომ, ვფიქრობთ, რომ მისი მეფეთა სია (მცირეოდენი ცნობებით მათ შესახებ) ქართლის მოქცევის ფაქტის ქრონოლოგიურ ლოკალიზაციას უნდა ემსახურებოდეს³⁸.

ის, რაც ვარაზზბაკურთან (ისევე როგორც სხვა მეფეებთან) დაკავშირებულია გადმოცემული, სრულიად საკმარისია ამ მიზნისათვის. მეტიც, უფრო მეტის თქმა (ამ შემთხვევაში, ცნობა ქართლის გაყოფაზე, ვარაზზბაკურის მცხეთიდან გაქცევის დეტალები და სხვ.) აშკარა დისონანსს შეიტანდა თხზულების კომპოზიციამში, ხოლო, თუ შესაბამისად სხვა მეფეთა შესახებაც გაიზრდებო-

³⁶ ა. ბ. გ. ვ. ე. რ. ა. დ. ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 90—91.
³⁷ ამიტომაც, რომ ამ პერიოდში ქართლში ორმეფობას ვარაუდობენ, ხოლო „საურმაგის სამეფოდ“ მნიშვნელოვანწილად იმ ტერიტორიას, რომელსაც გუგარქის ნაწილებად ასახელებს VII ს სომხური გეოგრაფია, ქართული წყაროები კი არმაზელი მეფის ქვეყანას უწოდებენ (ა. ბ. გ. ვ. ე. რ. ა. დ. ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 98).
³⁸ იხ. მ. ჩხარტიშვილი. ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიიდან (მოქცევაჲ ქართლისა). — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1985, № 3.

და თხრობა, თხზულება გასცდებოდა თავის ძირითად მიზანს და ქართლის ვრცელ ისტორიად გადაიქცეოდა.

„მოქცევაჲს“ ქრონიკის ლაკონურობის მიზეზი რომ მასალის უკმარისობა არ არის, ვფიქრობთ, ამ მაგალითითაც კარგად ჩანს.

ამ ეპიზოდის მიხედვით საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ „ქართლის ცხოვრებას“ საფუძვლად უდევს „მოქცევაჲს“ ცნობები, შევსებული სხვა წყაროთა მონაცემებით.

ჩვენნი აზრით, „მოქცევაჲ“ და ქც საერთო წყაროთი სარგებლობენ, მაგრამ არც ერთ მათგანში ის სრულად არ უნდა იყოს ასახული. ქც, რომელიც უფრო ახლოს უნდა იდგეს თავის წყაროსთან („მოქცევაჲ“ არ აღნიშნავს ვარაზბატურის ირანთან „შერიგებასაც“ კი მისი მცხეთიდან გაქცევის შემდგომ!), არ შეიცავს რამდენსამე საყურადღებო ცნობას, რომელიც მხოლოდ „მოქცევაჲშია“ დაცული: „სპარსთა მეფისა მარაზსპანნი შემოვიდეს სივნიეთა“, „მოვიდა ქრამ ხუარბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში“; აზნაურთა მიერ მცხეთაში ეკლესიის შენება³⁹ და სხვ. ამიტომ ცხადია, რომ „მოქცევაჲ“ მნიშვნელოვანი ცნობებით ავსებს „ქართლის ცხოვრებას“.

И. Г. АБАШИДЗЕ

К ВОПРОСУ О СРАВНИТЕЛЬНОМ ИЗУЧЕНИИ ТЕКСТОВ «КАРТЛИС ЦХОВРЕБА» И «ОБРАЩЕНИЯ КАРТЛИ»

Резюме

В статье вопрос о взаимоотношении текстов двух важнейших грузинских письменных исторических источников рассматривается на примере, содержащем повествование об отрезке истории Картли (Иберии), которого касается также римский историк Аммиан Марцеллин (60-ые гг. IV в.). Сравнительный анализ показал, что сведения «Картлис цховреба» и Аммиана Марцеллина совпадают, значительно дополняют и уточняют друг друга. Это дает основание предположить, что автор соответствующей части «Картлис цховреба» пользуется не очень отдаленным от описываемых событий местным письменным источником. В «Обращении Картли» излагается именно эта версия, но значительно короче — соответственно его цели, которая сводится к хронологической локализации факта христианизации Картли.

Можно предположить, что авторы начальной части «Картлис цховреба» и «Обращения Картли» пользовались общим источником. Вместе с тем, «Картлис цховреба» стоит ближе к своему источнику, сведения которого полнее отражены в нем. Однако «Обращение Картли» дополняет повествование «Картлис цховреба» важными сведениями, которые обретают особую значимость ввиду большей древности этого памятника.

³⁹ მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 91—92.

ილია ანთელავა

შენიშვნები „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისათვის

1. „ისტორიანი და აზმანი“ ყუთლუ-არსლანის შესახებ

ყუთლუ-არსლანის ცნობილი გამოსვლის შესახებ ერთადერთ წყაროს „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან“ წარმოადგენს. თამარის პირველი ისტორიკოსის ეს საკმაოდ ლაკონური ცნობა კარგახანია მკვლევართა ცხოველი ყურადღების ცენტრშია. ამჯერად ჩვენ გვინტერესებს ცნობის საწყისი ნაწილი, რომლის არსებულ აღდგენებში, ჩვენი აზრით, საკმაოდ სერიოზული კორექტივის შეტანა შეიძლება. „ისტორიათა და აზმათა“ აღდგენილ ტექსტში ეს ადგილი ასე იკითხება: „ყუთლუ-არსლან, ცხოვარმან ჯორის სა[ხ]ედ ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება“...¹ ეს აღდგენა ძირითადად ემყარება ივ. ჯავახიშვილისეულ აღდგენას: „ყუთლუ-არსლან[მან], ცხოვარმან ჯორის სახ[ედ] ორ ბუნებისა მყოფელმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკვრება“².

ტექსტის აღდგენის თავისი ვარიანტი წამოაყენა, კ. კეკელიძემ: „ყუთლუ-არსლან, ცხოველმან ჯორის-სახონ-ყოფილმან, ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება“³.

ჩვენთვის საინტერესო ადგილი მარიამისეულ ნუსხაში იკითხება ასე: „ყუთლუ არსნ ცხოვარმან იჯორის სახონ მყოფელმან ვერ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკვარება“⁴.

ვახტანგისეული რედაქციის ნუსხები იძლევიან წაკითხვას: „ჯორის სახედ ორგონებამან“, ხოლო საეკლესიო მუზეუმისა და ბართაშვილისეული: „ორგუნებამან“. ვახტანგისეული რედაქციის სხვა კონიექტურები ამყარდა ჩვენთვის არაა საინტერესო.

ციტირებული ტექსტების მიხედვით, ყუთლუ-არსლანი შედარებულია „ცხვართან“ (კ. კეკელიძესთან „ცხოველი“) და „ჯორთან“, რაც მიუთითებს, რომ ავტორს ამ შემთხვევაში ალეგორიის გზა აურჩევია. ტექსტში თითქოს მოცემულია განმარტებაც, თუ რატომ იყო ყუთლუ-არსლანი „ჯორი“. მას „ორი ბუნება“ (სხვა ნუსხებით „ორგონება“, „ორგუნება“) გამოუჩენია (მარიამისეულს არა აქვს ეს დეტალი). სამაგიეროდ, არა ჩანს, თუ რატომ იყო ყუთლუ-არსლანი „ცხოვარი“ ან „ცხოველი“, ან რატომ არიან ტექსტში და-

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959, გვ. 30.

2 ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 122.

3 ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან (ცდა ტექსტის აღდგენისა), კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1941, გვ. 77.

4 ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამ. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1906, გვ. 406.

წყვილებული „ცხოვარი“ და „ჯორი“. საამისო ახსნა წამოაყენა ივ. ჯავახიშვილმა, რომლის აზრით, ყუთლუ-არსლანი „ცხვარივით“ უწყინარი ჩანდა და შემდეგ კი ჯორივით ორი ბუნება გამოამყლანაო⁵. ეს ახსნა გავიზიარეთ ჩვენც⁶. მიუხედავად ამ ახსნის ლოგიკურობისა, არის ზოგი დამაფიქრებელი გარემოება. ივ. ჯავახიშვილისეული ახსნა მეცნიერის მსჯელობის, ლოგიკური დასკვნის შედეგია, მაგრამ ის ასე უცილობლად არ გამომდინარეობს საკუთრივ ტექსტიდან. უშუალოდ ტექსტიდან ძნელი აღსაქმელია, რატომ იყო ყუთლუ „ცხოვარიც“ და „ჯორიც“. კ. კეკელიძისეულ აღდგენაში ეს მომენტი გვერდავლილია და ყუთლუ ჯორის სახის მქონე ცხოველადაა გამოცხადებული, რაც სრულებით ბუნდოვანს ხდის წყაროს აზრს.

ჩვენი აზრით, ამკარაა მხოლოდ ის გარემოება, რომ წყაროს ავტორი ყუთლუ-არსლანის მოქმედებას აღარებს „ცხოვარსა“ და „ჯორს“. ასეთი შედარების წყარო, შუასაუკუნეობრივ მწერლობაში, ჩვეულებრივ, ბიბლიაა. ბიბლიას და, კერძოდ, ფსალმუნს ათეულობით ადგილას იყენებს „ისტორიათა და აზმათა“ ავტორიც. იმავე ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლასთან დაკავშირებით იგი იხსენიებს ბიბლიურ აბიათარ მღვდელსა და იოაბ სპასპეტს⁷. ასეთი მაგალითების გამრავლება „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი თხზულებებიდან ადვილად შეიძლება. სწორედ ბიბლია უნდა წარმოადგენდეს ჩვენთვის საინტერესო ადგილის წყაროსაც.

შემთხვევითი არაა, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში „ჯორი“ იხსენიება სხვა ცხოველთან ერთად, რომელიც „ცხოვარად“ იკითხება ნუსხებში. ნიშანდობლივია, რომ ჯორი დაწყვილებული გვხვდება ფსალმუნში, ოღონდ არა „ცხოვართან“, არამედ „ცხენთან“: „ნუ იყოფთ ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა არს გულისხმა“ (ფს. 31,9). ცხენი და ჯორი აქ მიჩნეული არიან „უგულისხმო“ ცხოველებად, რომელთა მოქმედებასთანაც შედარებული უნდა იყოს ყუთლუს გამოსვლაც. ბიბლიურ „ცხენთან“ და „ჯორთან“ უშუალო მიმართებაშია ფსალმუნის სხვა ადგილიც: „კაცი პატივსა იყო და არა გულისემა-ყო; ჰბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“ (ფს. 48, გ. 13, 21). „არა გულისხმისმყოფელი“ კაცი, რომელიც „პატივსა იყო“, ცხადია, მიემსგავსა „ცხენსა და ჯორს“, უგუნურ პირუტყუებს. „რომელთა თანა არა არს გულისხმა“. ფსალმუნის ამ ადგილების აზრობრივი სიახლოვე ამკარაა, ისევე როგორც „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის კავშირი ციტირებულ მუხლებთან. ყუთლუ-არსლანიც ხომ „პატივსა იყო“ და დაემხო თავისი „მზაკრული“ გამოსვლის გამო.

ნიშანდობლივია სხვა გარემოებაც. „ცხენი“ შეიცავს საწყის „ცხ“ კომპლექსს, რომელსაც შეიცავს ჩვენს ნუსხებში დადასტურებული „ცხოვარიც“. ტექსტის მრავალჯერადი გადაწერისას „ცხენი“ თავისუფლად შეიძლებოდა დამახინჯებულიყო ისე, რომ შემდეგ აქ „ცხოვარი“ ამოეკითხათ. ამასთან, ხანგრძლივი ძიების მიუხედავად, ჩვენ ვერსად დავადასტურეთ ერთად ცხვარი და ჯორი, მაშინ როდესაც ცხენი და ჯორი ერთად იხსენიებიან ფსალმუნში, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ავტორები. რაც შეეხება „ორბუნებას“, „ორგუნებას“ და „ორგონებას“, ვფიქრობთ, იგი დამახინჯებული „გულისხმისყოფის“ მეორეული გააზრების შედეგია, როდესაც იგი დაუკავშირეს ჯორის ორმაგ ბუნებას.

⁵ ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 122—125.

⁶ ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XIII სს. თბ., 1983, გვ. 141.

⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 31.

დამაჯერებლოდ ვერ არის ჯორჯვეული ტექსტის შემდეგი მონაკვეთი: „ვითარ მისცემს ბიჭთა გონებისა მზაკუარება“. აზრი თითქოს გასაგებია, „ბიჭები“ გონებით მზაკვრები არიან, მაგრამ გაუგებარია რას ნიშნავს „ვითარ მისცემს“? ჩვენი აზრით, მართალი იყო მკვლევარი ალ. გამყრელიძე, რომელიც აქ ვარაუდობდა არა „ბიჭთა“, არამედ „ნიჭთა“⁸. მართალია, არცერთი ნუსხა ასეთ წაკითხვას არ გვაძლევს, მაგრამ „ნიჭთა“-ს „ბიჭთა“-დ დამანინჯება ძალზე იოლია. რაც მთავარია, „ნიჭთა“-ს აღდგენის შემთხვევაში ტექსტი ყოველმხრივ იმართება: „ვითარ მისცემს ნიჭთა გონებისა მზაკუარება“, ე. ი. გონების მზაკვრება რა ნიჭს მისცემდა ყუთლუ-არსლანსო. ნიშანდობლივია, რომ შიბლიურ ტექსტებში „ნიჭი კეთილი“ გულისხმისყოფასთან არის დაკავშირებული: „ისმინეთ ყრმათა სწავლაჲ მამისაჲ და ერჩილით ცნობად გულისგმისყოფასა, რამეთუ ნიჭსა კეთილსა მივანიჭებ თქუენ“ (ივ. სოლ. 4,1—2). ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ზმნა „მისცემს“ სავსებით უდგება „ნიჭს“ და არა „ბიჭს“.

ჩვენი აზრით, „ისტორიათა და აზმათა“ განსახილველ ადგილას გამოყენებული ბიბლიური ალეგორია „პატივსა მყოფ“ კაცზე, რომელიც „პაპიდა“ უგუნურ პირუტყვეებს — ცხენსა და ჯორს, „რომელთა თანა არა არს გულისხმა“. ტექსტი ფსალმუნის სათანადო ადგილის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, ასე უნდა გაიმართოს: „ყუთლუ-არსლან ცხენისა და ჯორის სახედ არა გულისგმისყოფელმან, ვითარ მისცემს ნიჭთა გონებისა მზაკუარება“. ე. ი. ყუთლუ-არსლანმა ცხენისა და ჯორის მსგავსად არა გულისხმაპყო, თუ რა ნიჭს მისცემდა გონების მზაკვრობა.

გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება „ისტორიათა და აზმათა“ ამ ადგილის სწორ გაგებას თხზულების რუსული თარგმანის მოსამზადებლად. კ. კეკელიძის პირველ თარგმანში განსახილველი ადგილი ასეა მოცემული: „Кутлу-Арслан, это мулоподобное существо, происходившее из низших слоев и одаренное коварным умом“⁹... ეს თარგმანი ადეკვატურად არ ასახავს ტექსტის იმ აღდგენასაც კი, რომელიც არსებობდა ადრე, მით უმეტეს შორსაა იგი ჩვენული აღდგენისაგან. ფსალმუნის სათანადო ადგილის რუსული ვარიანტის გათვალისწინებით, აღნიშნული ადგილის თარგმანი, ჩვენი აზრით, ასე შეიძლება გაიმართოს: „Кутлу-Арслан, подобно коню и лошаку не размыслив, какое добро ему даст коварство ума“.

2. „ერმიონთასა“

თამარის მეორე ისტორიკოსთან არის ერთი ადგილი, რომელიც კარგა ხანია მკვლევართა ყურადღებას იპყრობს: „ნამდვლვე ერმიონთასა უსახელოვანესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე, აიღეს ფანჯიაკი სამეფოდ“¹. ამ ცნობაში გაურკვეველია „ერმიონთასა“-ს მნიშვნელობა, რომლებთანაც შედარებული არიან ზაქარია და ივანე მხარგრძელები. მ. ბროსეს აზრით, აქ უნდა იგუ-

⁸ „ქართლის ცხოვრების“ II ტომის ალ. გამყრელიძის კუთვნილი ეგზეგეზის 30-ე გვერდზე „ბიჭთა“-ს გასწვრივ, აშიაზე ფანქრით მიწერილია „ნიჭთა“ (მინაწერი გავაცნო მკვლევარმა გ. გამყრელიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ).

⁹ История и восхваление венценосцев; Грузинский текст перевел, и предисловием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе. Тбилиси, 1954, с. 36.

1 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 128.

ლისმებოდნენ ლედას შვილები, კასტორი და პოლუქსი². თ. ყაუხჩიშვილის
სამართლიანი აზრით, ეს არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან სახელი „ჰერ-
მიონი“ არავითარ ვარიანტში არ გვხვდება დიოსკურებთან დაკავშირებით³.

აღნიშნულ საკითხს საგანგებო წერილი უძღვნა ვ. დონდუამ, რომლის
აზრით, „ერმიონთასა“ შეიძლება უკავშირდებოდეს ძველი გერმანელი მეფის
Hermion-ის სახელს. იგი სიკვდილის შემდეგ გაუღმერთებიათ და ძველი სა-
ქსონები Hermion სახელით ომის ღმერთს, მარსს აღნიშნავდნენ⁴. ჩვენი აზ-
რით, სწორია თ. ყაუხჩიშვილი, როცა არ თვლის შესაძლებლად ძველი გერ-
მანელი მეფის სახელის ხსენებას ქართველი ისტორიკოსის მიერ⁵, რომელსაც
საექვთა რაიმე ცნობები ჰქონოდა მის შესახებ. საექვთა „ერმიონთასა“-ს და-
კავშირება უცნობი ეტიმოლოგიის „ერმიანთასა“⁶.

თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში მოხსენიებული „ერმიონთა-
სა“-ს წყარო უნდა იყოს ბიბლიის I ნეშტა წიგნი.

ბიბლიის წიგნებში ხშირად მოიხსენიება მთა ჰერმონი, რომელიც ქარ-
თულ თარგმანში მოცემულია როგორც ჰაერმონი, აერმონი, ერმონი. ესაა მთა
„რომელთა-იგი ტაიჭიკ სახელ-ედების ჰაერმონ, რომელ—იგი არს სანიორი,
რამეთუ ამორველმან მან სანიორ სახელი უწოდა მას“ (2 სჯ., 3,9); „რომელ
იყვნეს ქუეშე აერმონსა“ (ისნ., 11,3); „ველი ლიბანისა მთასა ქუეშე აერმონ-
სა“ (ისნ., 11, 17); „მთავარი იყო ერმონით და სელქათთან“ (ისნ., 12,5);
„მზის აღმოსავალით კერძო აროერითგან, რომელ არს კიდესა ნალუარევთა
მთა არნონისთა მი-მთადმდე სებნისა, რომელ არს ერმონი“ (2 სჯ., 4,48).
ჰერმონი იხსენიება ფსალმუნში (41,7; 88, 13; 132,3). სანიორი და ჰერმონი
დასტურდება „ქება-ქებათაში“: „მოვედ სძალო ლიბანით, მოვედ ლიბანით,
მოხუდე და წარმოვლო დასაბამით სარწმუნოებისა, თავისაგან სანიორისა და
ჰერმონისასა, საყოფელთაგან ლომთასა, მთათაგან ვეფხვთასა“ (ქება-ქებათა,
4,8). ჰერმონი იხსენება ძველქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაშიც: „ნაძვი
ლიბანით, სარო ერმონით“⁷.

ებრ. hermōn, იგივე Lirjōn, იგივე ამორ. L'nir⁸ უნდა იყოს ამოსავალი
თამარის მეორე ისტორიკოსის „ერმიონთასათვის“. საკითხის ნათელსაყოფად
მოვიტანოთ თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობა შთლიანად: „აღივსნეს
ყოველნი ველნი გარემო ტფილისისა და ვერღარა იტევდა კაცსა, ცხენსა,
ჯორსა და აქლემსა. და ესეოდენ მოსაწყინელიცა იყო სიმრავლე
იგი ტყუეთა, ვიდრემდის შეიყვანიან ქალაქად და ერთად კუტად ფუკი-
სად გაყიდიან. და ამისი მოწამე თვთ ღმერთი უტყუელი არს, და რათა არა
ტყუილი ვისმე ეგონოს და ზღაპარი გიჩნდეს თქმულნი ესე მომავალთა ყაბ-
თა. ნამდულვე ერმიონთასა უსახელოვნესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე,

² Histoire de la Géorgie, traduite du Géorgien par M. Brosset, v. 2, 1^{re} partie. SPb., 1849, გვ. 446, შენ. 1.

³ თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში: — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 3, გვ. 112.

⁴ ვ. დონდუა. თამარის დროის „ერმიონთასა“, — ორიონი, (საიუბილეო კრებული, მი-
ქლენილი ა. შანიძის 80 წლისთავისადმი). თბ., 1967, გვ. 152—156.

⁵ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 113.

⁶ იქვე

⁷ ძველი ქართველი მეხოტბენი, II. იონე შავთელი, აბდულმესიანი, გამოსაცემად მოამ-
ზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1964, 7,2.

⁸ A. van den Born. Hermon, Bibel-lexikon Leipzig, 1970, გვ. 713.



აიღეს ფანჯიჯი სამეფოდ და განაწყვეს ველს დიდუბისასა ავჭალამდი აქლემი ყუელა ტვრითთა, ცხენი ყუელა შეკაზმული“⁹.

მოტანილ ნაწყვეტს უნდა შევადაროთ I ნეშტთა წიგნის შემდეგი ადგილი: „ძენი რუბენისნი და გადისნი და კერძოსა ტომისა მანასესი ძეთაგან ძლიერებისათა კაცნი, რომელნი აღიღებდეს საჭურველსა და მახვლსა და მომხრთხმელნი მშუკლდისანი და წურთილნი ბრძოლასა ორმეოცდაოთხნი ათასნი და შუდას და სამეოცნი, რომელნი განვიდეს წყობად. და ჰყოფდეს ბოროტსა აგარელთა თანა... და წარმოტყუენეს ჭურჭელი მათი, აქლემი ხუთი ათასი, და ცხოვარი ორას და ერგასისი ათასი, ვირი ორი ათასი, და სულ ები მამათა ასი ათასი. და ზოგი ნათესავი მანასესი დაემკვდრა ქუეყანასა ბასანი-თგან ვიდრე ბაალერმონადმდე. და სანირდ, და მთად აერმონისა და ლიბანესა, ესენი განმრავლდეს. და ესენი იყუნეს მთავარნი და წინამძღუარნი სახლთა მამულთა მათთანი... კაცნი ძლიერნი ძალითა და კაცნი სახელოვანნი, მთავარნი სახლთა მამათა მათთანი“ (I ნეშტ., 5, 18, 19, 21, 23, 24).

ნიშნდობლივია, რომ როგორც თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობაში, ისე ბიბლიის მოტიანილ პასაჟში საუბარია სახელოვან მებრძოლებზე, რომლებიც ტყვეებით, ნატყვენავი ჯორ-აქლემით და ცხენით ავსებენ ქვეყანას. ორივე ციტირებულ ტექსტში სწორედ ეს მომენტია ხაზგასმული. ამასთან, „კერძოსა ტომისა მანასესი ძეთაგან ძლიერებისათა კაცნი“, დამკვიდრებულნი „სანირდ და მთად აერმონისა და ლიბანესა“, ჰერმონელები (resp. ერმონელები) იყვნენ. საფიქრებელია, რომ „ერმონთასა“ სწორედ „ერმონელთასა“-გან უნდა მომდინარეობდეს და მის დამახინჯებას უნდა წარმოადგენდეს. ეს დასკვნა სწორი რომ უნდა იყოს, ისიც ამტკიცებს, რომ „სანირდ და მთად აერმონისა“ დამკვიდრებულნი იწოდებიან, როგორც „კაცნი ძლიერნი ძალითა და კაცნი სახელოვანნი“. ამ „კაცნი სახელოვანნი“-ს აღმატებით წარისხში პერიფრაზს წარმოადგენს, უეჭველია, თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობის „ნამდვლვე ერმონთასა უსახელოვანესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე“.

ამრიგად, თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობაში უნდა იგულისხმებოდეს მთა ერმონი და ერმონელები, „კაცნი სახელოვანნი“, რომლებთანაც აღარებს ავტორი ზაქარია და ივანე მხარგრძელებს, რომლებიც მას ერმონელებზე „უსახელოვანესად“ მიიჩნია. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნულის საფუძველზე ტექსტი უნდა ჩასწორდეს ასე: „ნამდვლვე ერმონელთასა უსახელოვანესთა მათ კაცთა“.

3. „პაპა-ივანე“ თუ „პაპა-სარგის“?

ყამთაღმწერლის თხზულებაში, ანუ „ასწლოვან მატყანეში“¹⁰ აღნიშნულია: „... ამანვე ერისთავმან, სამცხისა სპასალარმან ყუარყუარე, წარავლინა ძისწულნი თჳსნი ივანე, რომელსა ეწოდა პაპა, და უმრწამესი მისი სარგის, ორნივე იყვნეს ძმანი ძლიერნი და მკნენი“¹¹ ამ ცნობის მიხედვით, სამცხის სპასალარს და მეჭურჭლეუთუხუცესს ყუარყუარე ჯაყელს ჰყოლია ორი შვილიშვილი — ივანე და სარგის. უფროსს მათ შორის, ისტორიკოსის ცნობით,

⁹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 128 (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია).
¹⁰ იხ. რ. კიკნაძე. ყამთაღმწერლის თხზულების დასათუტების საკითხისათვის. — საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I. თბ., 1982, გვ. 52—59.
¹¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 214.
 5. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII,

„ეწოდა პაპა“, ე. ი. იგი ორი სახელით ყოფილა ცნობილი. ამავე დროს, იმავე წყაროს სხვა ცნობებით, პაპა ეწოდება არა უფროს ძმას ივანეს, არამედ უმცროსს, სარგისს. ეს სარგისი, ულუ დავითის მეფობაში სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელ-ციხისჯუარელი, მეფესთან ერთად აუჯანყდა ყაენს. შემდეგ იგი მეფეს თან ახლდა ურდოში. წყაროს ცნობით:

„თანა წარჰყვა მეფესა სარგის ციხისჯუარელი ჯაყელი, დიდად ნამსახური, რომელმან ქმნა ესეცა სათნოება, რამეთუ ტფილისს ყოფასა მეფისასა მოვიდა ელჩი ყაენისა, ვითარმედ: „მეფესა მოვიდობ, ხოლო პაპა სარგისს არა მივიდობ“¹². როდესაც ულუ დავითი და სარგის ჯაყელი ყაენს წარუდგენენ, ყაენმა ჰკითხა: „პაპა სარგის შენ ხარ?“, რამეთუ პაპა სარგისს უწოდდეს თათარნი“¹³.

ამ ცნობებიდან ნათლად იხანს, რომ „პაპა“ ერქვა სარგის ჯაყელ-ციხისჯუარელს და ასე უწოდებდნენ მას „თათარნი“. ასე რომ, ყუარყუარე ჯაყელის შვილიშვილი, რომელსაც „ეწოდა პაპა“, უნდა იყოს არა უფროსი ძმა ივანე, არამედ „უმრწამესი მისი სარგის“. ტექსტიც, ჩვენი აზრით, შესაბამისად უნდა ჩასწორდეს: „ამანვე ერისთავმან, სამცხისა სპასალარმან ყუარყუარე, წარაველინა ძისწულნი თუსნი — ივანე, და უმრწამესი მისი სარგის, რომელსა ეწოდა პაპა, ორნივე იყვნეს ძმანი ძლიერნი და მკნენი“.

И. П. АНТЕЛАВА

ЗАМЕТКИ К ТЕКСТУ «КАРТЛИС ЦХОВРЕБА»

Резюме

Статья содержит три разных сюжета, в которых представлены попытки восстановления или интерпретации некоторых сообщений древнегрузинского летописного свода «Картлис цховреба».

1. Дана попытка восстановления текста «Истории и восхваления венценосцев» т. н. первого историка царицы Тамар, касающегося выступления Кутлу-Арслана. По мнению автора статьи, историк сравнивает Кутлу-Арслана с «конем и лошаком» (срв. Псал. 31,9), на основе чего и следует восстановить соответствующий текст. Вместо засвидетельствованного в списках «Картлис цховреба» «бичи» (парень, мальчик), по всей вероятности следует восстановить «ничи» (дар, добро).

2. Рассмотрен вопрос о непонятном «ермионтаса», упоминаемом в «Жизни царицы царик Тамар» т. н. второго историка. По мнению автора статьи, «ермионтаса» это искаженное «ермонелтаса» (ермонцев). Название по-видимому восходит к библейской горе Ермон (евр. hermon, аморит. Lⁿir).

3. Предложена аргументированная поправка к тексту «Столетней летописи» анонимного историка XIV в., где прозвище «Папа» относится не к старшему внуку Кваркваре Джакели — Иванэ, а к его младшему брату Саргису («Папа-Саргис»).

12 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 246.

13 იქვე, გვ. 248.

ბენიამინ სილაგაძე

არაბი მშვირალი ჟივჩალთა შემოღების შესახებ ამიერკავკასიაში
XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში

ყივჩალების მოსვლა ამიერკავკასიაში ქართულ ისტორიოგრაფიაში მთლად უცნობი არ არის. ამ საკითხზე პირველად მსჯელობა გვექონდა 1966 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში¹. შემდეგ იმავე საკითხს შეეხო რ. კიკნაძე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ III ტომისათვის დაწერილ ნაშრომში, რომელშიც მოთხრობილია მონღოლთა დაპყრობით ომებზე, კერძოდ, მათ პირველ გამოჩენაზე ამიერკავკასიაში, და მხოლოდ გაკვრითაა საუბარი ყივჩალებზე². მრავალტომეულისათვის, ალბათ, მეტი არც იყო საჭირო, მაგრამ იმის საჩვენებლად თუ როგორ აღმოჩნდნენ ისინი ამიერკავკასიაში, რა მოიმოქმედეს აქ ან რა ბედი ეწიათ, საჭიროა უფრო ვრცელი ინფორმაცია. სწორედ ამ მიზანს ისახავს ეს ნაშრომი, რომელიც აგებულია ამბის მომსწრე არაბი მწერლის იბნ ალ-ასირის³ ჩვენებებზე.

*
* *

1221 წელს საქართველოდან წასული მონღოლები აღარც აზერბაიჯანში დარჩენილან დიდხანს. დერბენდის გზით ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდნენ, ყივჩალთა და ოსთა ქვეყნებს ეწვივნენ და იმათაც სასტიკად გაუსწორდნენ. მათ ჯერ შესაშური ეშმაკობით განხეთქილება ჩამოაგდეს ოსებსა (ალანებსა) და ყივჩალებს შორის და ყივჩალთა ხელით ოსები დაამარცხეს, მერე კი ყივჩალებს გაუსწორდნენ და აიძულეს ისინი საცხოვრისიდან აყრილიყვნენ. საკუთარი ადგილსამყოფელიდან გაქვევებული ყივჩალების ნაწილი რუსთა ქვეყანას შეეხიზნა, ნაწილი კი, დაახლოებით 50 000 კაცი, სამხრეთისაკენ დაიძრა.

სამხრეთისაკენ წამოსული ყივჩალები დერბენდ-შირვანს მოადგნენ და მის გამგებელს რაშიდს⁴ თავშესაფარი სთხოვეს, ალუთქვეს, რომ მას თავიანთ

1 ბ. სილაგაძე. XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე:—კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში: თბ., 1966, გვ. 137—140.

2 რ. კიკნაძე. მონღოლები და მათი დაპყრობითი ომები.—საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979, გვ. 537. ასევე გაკვრითაა საუბარი ყივჩალებზე ზ. ანჩაბაძისა და მ. ცინცაძის ნაშრომშიც: საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნისა და XIII საუკუნის I ნახევარში.—საქართველო რუსთაველის ხანაში, გვ. 156.

3 მის შესახებ იხ. ბ. სილაგაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 105—107.

4 თ. სმირნოვას მიხედვით, ამ დროს შირვანში იყო მანუჩაჰ III-ის ვაჟი ფარუხზადი (Рашид ад-Дин, I, 2, გვ. 228, შენიშვნა 6), მაგრამ აქ დაშვებული უნდა იყოს უზუსტობა.

სულთანად სცნობდნენ, ხოლო თვითონ მისი მონა-მორჩილნი იქნებოდნენ და სხვადასხვა მხარეების დაპყრობაში მოეხმარებოდნენ.

რაშიდს თავიდანვე ეპარებოდა ექვი მათ გულწრფელობაში, მაგრამ ამაში იგი საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როცა მასთან ყვიჩაღთა ბანაკიდან ერთი დიდებული გამოცხადდა. ეს იყო სარწმუნოებით მუსლიმი, თავის დროზე ხვარაზმშაჰის სამსახურში მყოფი, რომელმაც მონღოლთა შემოსევის დროს ყვიჩაღეთში შეაფარა თავი. მან რაშიდი გააფრთხილა: იცოდე, ყვიჩაღები შენი მტრები არიან, უნდათ, მოგატყუონ, შენს სამფლობელოში შემოვიდნენ და მას დაეპატრონონ. ამიტომ ნუ აპყვები მათ სიტყვებს, გააძევე ისინი აქედან.

რაშიდი მუსლიმი დიდებულის რჩევისდა მიხედვით მოიქცა. ყვიჩაღებს უარი შეუთვალა დერბენდ-შირვანის ტერიტორიაზე დაბინავებულიყვენ და მათი აქედან განდევნა სწორედ ამ მუსლიმს დაავალა.

როდესაც ეს ამბავი ყვიჩაღთა ბელადმა შეიტყო და დარწმუნდა, რომ დერბენდ-შირვანის გამგებლის მიერ გამოგზავნილი ლაშქრის წინააღმდეგ იგი ვერაფერს გახდებოდა, ეშმაკობის ახალ ხერხს მიმართა: კუბო გააკეთა და თავისიანები გააფრთხილა, როცა ის მუსლიმი რაშიდის ჯარით მოვიდოდა, ხელი არ გაეწიოდათ, კუბოზე დამხობილიყვენ, ტირილი მოერთოთ და მისთვის ეთქვათ: „აი, შენი ერთგული ამხანაგი მიიცვალა. სიკვდილის წინ მან დაიბარა, რომ მისი ცხედარი შენ დაგემარხა, სადაც ისურვებდი და ჩვენც იქ ვყოფილიყავით, რათა მისთვის სათანადო პატივი მიგვეგო“.

დერბენდ-შირვანის პატრონის ჯარის სარდალმა მათი თხოვნა შეიწყნარა. ის რაშიდსაც შეუთანხმდა, რომ ყვიჩაღთა ტომის გარდაცვლილი ბელადი ქალაქში დაეკრძალათ და მისი ხალხიც იქ დაესახლებინათ. ამით ყვიჩაღებმა დასახულ მიზანს მიადრწიეს. ისინი სრულიად უბრძოლველად დერბენდ-შირვანში შევიდნენ და ახლა ხელსაყრელ დროს ელოდნენ როგორც ქალაქის ციხესიმაგრის ასაღებად, ისე რაშიდის მთელი სამფლობელოს ხელში ჩასაგდებად.

ასეთი დროც მალე დაუდგათ. რაშიდი ყვიჩაღთა ტომის ვითომ გარდაცვლილი ბელადის ცოლზე დაქორწინდა და ამით ყვიჩაღებს საშუალება მიეცათ მისი ხშირი სტუმრები ყოფილიყვენ. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობისას მათ რაშიდის შეპყრობა და ციხესიმაგრის დაკავება განიზრახეს, მაგრამ ვინაიდან ვასცა და ჩანაფქრის მთლიანად სისრულეში მოყვანა ვერ შეძლეს. რაშიდმა საიდუმლო გასასვლელით სასახლიდან გასვლა და შირვანს გაქცევა მოასწრო, ასე რომ, ყვიჩაღებმა მისი შეპყრობა ვერ მოახერხეს. მაგრამ ის ყი შეძლეს, რომ ქალაქი აიღეს და მას დაეპატრონენ.

დერბენდ-შირვანიდან ყვიჩაღებმა ჯერ ქართველთა მფლობელობაში მყოფ კაბალაზე ილაშქრეს, შემდეგ განძაში, ხოლო იქიდან — საქართველოში.

ეს თავდასხმები ვრცლად დასახული არაბულ ისტორიოგრაფიაში. იბნ ალ-ასირის ცნობით, როდესაც ყვიჩაღებმა ალყაში მოაქციეს კაბალა, მისმა გამგებელმა შეუთვალა: „მე ქართველთა მეფეს შევატყობინებ, რომ მან სა-

ფარუხზად I შირვანს განაგებდა 1198—1204 წლებში. ამიტომ ზ. ბუნიატოვს მიაჩნია, რომ იბნ ალ-ასირის რაშიდი არის ფარუხზად I-ის ვაჟი გუშთასბ I (З. М. Бунятгов. Ширван в XII—первой половине XIII в., გვ. 65—68; მისივე Государство атабеков Азербайджана. Баку, 1978, с. 118, 239), რომელიც დერბენდ-შირვანს მართავდა 1204—1224 წლებში (В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда. М., 1963, с. 179).

პატიო ხალათები და ფული გამოგიგზავნოთ. შემდეგ კი გავერთიანდეთ და დავეფუფლოთ მთელ ქვეყანასა“⁴.

ცხადია, ეს იყო დროის გაყვანის ტაქტიკა, რომელიც კაბალის მფლობელს სჭირდებოდა მტრის მოსატყუებლად, საქართველოდან დახმარების მოსაღებად და ყივჩაღთა დასამარცხებლად. ეტყობა, მას გარკვეული ზომით მიზნისათვის მიუღწევია კიდევაც. ყივჩაღებს რამდენიმე დღე იერიშები შეუწყვეტიათ, მაგრამ მათი მთლიანად მოტყუება კი ვერ მოუხერხებია. მემატიანის გადმოცემით, ყივჩაღებს შემდეგ კვლავ განუახლებიათ იერიშები, გაუძარცვავეთ კაბალა და პირი არანის პროვინციის ქ. განძისაკენ უქნიათ. განძა მაშინ მუსლიმთა ხელში ყოფილა. როცა მის მმართველს, აზერბაიჯანის მპყრობელ უზბაქი ფაჰლავანის ძის მამლუქს, ქუშხარას ყივჩაღთა მოახლოვება შეუტყვია, ჯარი შეუკრებია და მასთან ერთად საზღვრისაკენ წასულა, რომ გზა გადაეღობა ყივჩაღებისათვის, რომლებმაც მოატყუეს შირვანისა და კაბალის გამგებლები, დაიკავეს მათი ციხე-ქალაქები და გაძარცვეს ეს ქვეყნები.

ყივჩაღები მიხვდნენ, რომ ცანძის დაპყრობა ძალით მათ აღარ შეეძლოთ, ქუშხარას ლაშქარს ისინი ვერ სძლევენ. ამიტომ, აქაც თავიანთ ნაცად ხერხს მიმართეს. შირვანსა და კაბალაში ჩადენილი ბოროტება რომ გაემართლებინათ და უზბაქისადმი გულწრფელობა-ერთგულეობა დაემტკიცებინათ, მათ ქუშხარას ვედრებით აუწყეს: „ჩვენ თავიდანვე გვქონდა გადაწყვეტილი, თქვენი სულთნის სამსახურში ჩავმდგარიყავით, მაგრამ შირვანშაჰმა არ გამოგვიშვა. ამიტომ მისი ქვეყნისაკენ გავემართეთ და დავიკავეთ ციხესიმაგრე, რომელიც მალე დავტოვეთ. რაც შეეხება კაბალის მფლობელს, ის თქვენი მტერია. ასე რომ არ იყოს და ქართველებთან ერთად მოქმედება გვდომოდა, მაშინ დერბენდ-შირვანის ძნელი, დამქანცველი და შორი გზით კი არა, ჩვენთვის კარგად ცნობილი იმ გზით შემოვიდოდით, რომლითაც ადრე მოვდიოდით. თუ ჩვენი სიტყვების არ გჯერათ, მძევლებს გამოგიგზავნით“⁵. და მართლაც ყივჩაღთა ორი ამირი მცირე რაზმით ქუშხარასთან გამოცხადდა.

განძის გამგებელს ეს იმდენად სანდოდ მოეჩვენა, რომ მათ გულწრფელობაში ეჭვიც არ შეპარვია. მან ისინი თავის სამფლობელოში შეუშვა და ჯერ განძის ახლოს დააბანაკა, ხოლო, როცა ყოველივე მათი ნათქვამი და მდგომარეობა უზბაქს აცნობა და მისგან თანხმობა მიიღო, ქილქუნის მთაზე დაასახლა⁶.

მემატიანე ამ მთის ადგილმდებარეობას არ უთითებს, მაგრამ ირკვევა, ის საქართველოს საზღვრის ახლოს მდებარეობდა, თანამედროვე სევანის ტბის აღმოსავლეთით. მათი იქ დაბინავებით, ქუშხარა და ათაბაგი უზბაქი მიზნად იმას ისახავდნენ, რომ ისინი ქართველებისათვის დაეპირისპირებინათ⁷.

განძის ამირის ამ გადაწყვეტილებას საქართველოს სამეფო კარი, ცხადია, მშვიდად ვერ შეხედებოდა და როგორც იბნ ალ-ასირი იტყობინება, ქართველთა დიდი ლაშქარი მოულოდნელი თავდასხმისათვის მოუმზადებიათ, რის გამოც ქუშხარა იძულებული გამხდარა ყივჩაღები განძაში გადაეყვანა. მიუხედავად განძის ამირის ამ გადაწყვეტილებისა, მშვიდობა მაინც დარღვეულა. წყაროს ჩვენებით, ყივჩაღთა ერთ-ერთი ამირი (წინამძღოლი)

⁴ იბნ ალ-ასირი. თარხ ალ-ქამილ. გამოცემა I. ალ-აჰპარი, 1301 წ. (პიჯრით). ტ. XII, გვ. 187.

⁵ იქვე, გვ. 186—188.

⁶ იქვე.

⁷ Киракос Гандзакци. История Армении. Перевод с древнеармянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян. М., 1976, с. 139.

თავისი დიდი რაზმით ქართველების წინააღმდეგ გამოსულა, ისინი დაუძვრებლად ცხები და ხელთ უგდია უამრავი ტყვე და ალაფი⁸.

არაბი მემატიანის ეს ცნობა რამდენადმე ბუნდოვანია. მასში გამოკვეთილად არ ჩანს ყვიჩაღთა წინამძღოლის მოქმედების მიზნები. არც ის არის ნათელი თუ სად, ვის ტერიტორიაზე გაიმართა ეს ბრძოლა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული ბრძოლა მომხდარა საქართველოს ტერიტორიაზე და მიჩნეულია ყვიჩაღთა პირველ შემოსევადა. მაგრამ ჩანს, ეს ასე არ უნდა იყოს. ამაზე მიგვანიშნებს კირაკოს განმარტების ერთი ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ როდესაც განმარტების გამგებელმა ყვიჩაღებს ბინა ქალაქის ახლოს მიუჩინა, ივანე ათაბაგმა ჯარი შეკრიბა და ყვიჩაღთა წინააღმდეგ დაძრა, რათა მიწასთან გაესწორებინა მათი ქალაქი. მაგრამ ეს ლაშქრობა სულ სხვა შედეგით დასრულდა. „როდესაც იგი მივიდა, ბარბაროსები თავიანთი ბუნაგიდან მშვიდად გამოვიდნენ, ხანგრძლივი მგზავრობით დადლილ-დაქანცულ ქართველებს ხმლით ეკვეთნენ და დიდი ზიანი უყვეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ვილაც უბრალო ყვიჩაღი მრავალ ბრძოლებში სახელმოსვევილ მამაც ქართველთა გუნდს ისე მიერეჟებოდა, როგორც მწყემსი პირუტყვის ჯოგს“¹⁰.

ვფიქრობთ, ეს ეპიზოდი იგულისხმება იზნ-ასირის ცნობაში, როცა საუბარია ყვიჩაღთა ერთ-ერთი ამირის მოულოდნელ თავდასხმაზე და ქართველების დამარცხებაზე. ზოლო თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს სამეფოს კარს საკმარისად არ მიუჩნევია განმარტების ამირის მიერ გატარებული ღონისძიება, ქილქუნიდან საამიროს დედაქალაქში ყვიჩაღთა გადაყვანას რომ ითვალისწინებდა, და მათ დასასჯელად ლაშქრობა მოუწყვია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ბრძოლა საქართველოს ტერიტორიაზე კი არა, სადღაც განმარტების მისადგომებთან გამართულა და ქართველები ისე სასტიკად ძლეულან, რომ კირაკოსის გადმოცემით, ყვიჩაღები ტყვე ქართველ დიდებულებს უბრალო სამოსელსა და სასმელ-საჭმელში სცვლიდნენ, სპარსელ ვაჭრებს ჩალის ქვასად ატანდნენ¹¹.

ქართველთა ამ მარცხიან ლაშქრობას შედეგად ის მოჰყვა, რომ იოლი გამარჯვებით გათამამებული ყვიჩაღები ქუშუხარას პირდაპირი მითითებითა თუ თანხმობით განმარტებიდან კვლავ ქილქუნს დაბრუნდნენ და საქართველოზე თავდასასხმელად მოემზადნენ. იზნ ალ-ასირის ჩვენებით, განმარტების ამირი მის მიერ მოყვანილ ყვიჩაღებს აფრთხილებდა, არ აჩქარებულყვენ და სანამ სათანადო დაზვერვას არ ჩატარებდნენ ქართველების საერთო მდგომარეობის გასაგებად, ლაშქრობის დაწყებაზე თავი შეეკავებინათ, მაგრამ ისინი იმდენად გულდაჯერებული იყვნენ თავიანთ ძალაში და მოწინააღმდეგის სისუსტეში, რომ ამირის რჩევა არაფრად ჩააგდეს, დაზვერვაში დროის დაკარგვა ზედმეტად ჩათვალეს და პირდაპირ სამხედრო აქციის განხორციელებას შეუდგნენ. ერთ-ერთმა ამირმა თავისი ლაშქრით გადალახა საქართველოს

⁸ იზნ ალ-ასირი. დასახ. თხზულება, ტ. XII, გვ. 188.

⁹ ბ. სილაგაძე. XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იზნ ალ-ასირის ცნობათა შექმნა, გვ. 138; რ. კიკნაძე. მონღოლები და მათი დაპყრობითი ომები, გვ. 537.

¹⁰ Киракос Гандзакечи. История Армении, с. 139. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“-ს III ტომში (თბ., 1979, გვ. 537) ეს ლაშქრობა ყაბალის განთავისუფლებასთანაა დაკავშირებული.

¹¹ Киракос Гандзакечи. დასახ. თხზულება, გვ. 139.

სახელმწიფო საზღვარი და შეუდგა ადგილობრივი მოსახლეობის რბევას, აწიოკებას. ბოლოს, როდესაც თარეშს მორჩინენ და ნადავლი ბლომად იზოვეს, ამირი და მისი რაზმი შინისაკენ გაბრუნდნენ, მაგრამ სამშვიდობოს გაღწევა მათ ვეღარ მოასწრეს. როგორც მემატინანე იტყობინება, ქართველებმა მათთვის ნაცნობი მოკლე გზით მტერს თავი დაუარეს, ხელჩართული ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს და სასტიკად დაამარცხეს: მთელი ნადავლი აართვეს და მრავალი ყივჩაღი ხმლით აკუწეს¹².

იზნ ალ-ასირის ამ ვრცელი ცნობიდან კარგად ჩანს როგორც ყივჩაღთა დამოკიდებულება საქართველოსთან, ისე ისიც, რომ ამ დაძაბული ურთიერთობის ხელშემწყობი იყო განძაკის გამგებელი, რომელიც, უდავოდ, ათაბაგ უზნაქის მითითებით მოქმედებდა.

ქართველთა რისხვას შემთხვევით გადარჩენილი ყივჩაღთა წინამძღოლი თავისი მეომრების მცირე ჯგუფით საქართველოდან გაქცევის შემდეგ ბარდავს მივიღა, იქ დაბანაკდა და ქუშხარას თხოვნით მიმართა, რომ ქართველებზე შურისძიების მიზნით მოემზადებინა ჯარი და ორივეს ერთად დაელაშქრათ ურჯულოთა ქვეყანა. მაგრამ ქართველებისაგან ყივჩაღების სასტიკად დამარცხება-უკუქცევის შემდეგ განძის ამირი და მის ზურგს ამოფარებული აზერბაიჯანის მპყრობელი უზნაქი, გარკვეული მოსაზრებით, თავს არიდებენ თავიანთ ძლიერ მეზობელთან აშკარა ბრძოლას და ყივჩაღი ამირის თხოვნაზე, ერთად მოეწყობთ ლაშქრობა საქართველოში, — უარით პასუხობენ. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა მათ შორის ურთიერთობის გასაუარესებლად.

ყივჩაღები, ისე როგორც მონღოლები, მეჯოგენი იყვნენ და ექსტენსიურ მეურნეობას დაჩვეულნი ინტენსიურ მეურნეობას ვერ ეგუებოდნენ. მათი არსებობის ძირითად წყაროს ნადავლი წარმოადგენდა, ხოლო საქმიანობას — ყაჩაღობა და მუღმივი ომები. ამიტომ ქუშხარას უარმა, მოეწყობთ ერთობლივი თავდასხმა მეზობელი საქართველოს სამეფოზე, აზერბაიჯანში თავშეფარებული ყივჩაღი ამირების უკმაყოფილება გამოიწვია. პროტესტის ნიშნად, მათ განძაკის გამგებელს ჯერ იმ მძევლების დაბრუნება მოსთხოვეს, რომლებიც მას მიჰგვარეს ერთგული სამსახურის ნიშნად, როცა ისინი აზერბაიჯანს ეწვივნენ. ხოლო, როდესაც მათ დაბრუნებაზე ქუშხარამ უარი თქვა, მაშინ ამირებმა თავიანთი მძევლების სანაცვლოდ მუსლიმების შეპყრობა და წაყვანა მოინდომეს. ამან კი გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის საყოველთაო აჯანყება. დამფრთხალ ყივჩაღებს განძის საამიროში აღარ ედგომებოდათ. და რაკი საქართველოსთან მტრულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და იქით წასვლაც არ შეეძლოთ, პირი შირვანისაკენ იბრუნეს, მაგრამ თავს მაინც ვერ უშვილეს. ჩრდილოეთისაკენ უკუქცეულ ყივჩაღ ტომებს კვალდაკვალ მისდევდნენ და სპობდნენ „მუსლიმები, ქართველები, ლაკზები (ლექები) და სხვები“, რომლებმაც იმდენი ტყვე წამოიყვანეს, რომ, მემატინანის თქმით, „ყივჩაღი მამლუქი დერბენდ-შირვანში ყველაზე მცირე ფასად იყიდებოდა“¹³.

ამიერკავკასიაში ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ქართულ წყაროებში არაფერია ნათქვამი. არც სომხურ საისტორიო მწერლობაშია ვრცელი ცნობები მათი მოსვლა-მოქმედების თაობაზე. მაგრამ ისიც კი, რაც მათშია მოთხრობილი, მთლიანად ადასტურებს არაბი მემატინანის ჩვენებათა ქეშმარი-

12 იზნ ალ-ასირი. დასახ. თხზულება, ტ. XII, გვ. 188. ვარდანის ცნობით, ბრძოლა გამართულა „ვარდანაშატის მიწაზე“, ზაჩენის სამხრეთით (Вардан Великий. Вс-общая история. М., 1861, с. 175).

13 იზნ ალ-ასირი. დასახ. თხზულება, ტ. XII, გვ. 188.

ტება-სანდრობას. იბნ ალ-ასირთან ყივჩაღთა მოსვლა ამიერკავკასიაში ჰიჯრით 619 წლის ამბებთანაა მოთხრობილი და შეესატყვისება ქრისტიანული კალენდრის 1222 წელს. ვარდანიც სწორედ ამ თარიღს ასახელებს და აღნიშნავს: „იმავე 671 წელს ყივჩაღების ჯარი ჰუნების ქვეყნიდან გამოვიდა და ჭანძაქს მოადგაო“¹⁴.

ყივჩაღთა ლაშქრობაზე ვარდანთან შედარებით უფრო ვრცელ ცნობას იძლევა მისი თანამედროვე კირაკოს განძაკეცი. მისი ჩვენებით, ჰუნეთიდან გამოსული ყივჩაღთა (ხუჩანთა) ლაშქარი საქართველოს მეფე ლაშა გიორგისთან და აზარაპეტ (დიდ ათაბაგ) ივანესთან გამოცხადდა. ყივჩაღები საცხოვრისს ითხოვდნენ. სამაგიეროდ ერთგული სამსახურის პირობას იძლეოდნენ. მაგრამ მეფემ და ათაბაგმა მათ თავშესაფრის მიცემაზე უარი შეუთვალეს. მაშინ, გაწვილებული ყივჩაღები წავიდნენ და ასეთივე თხოვნით მიმართეს ქ. განძაკის მოსახლეობას. მათი თხოვნა სიამოვნებით დააკმაყოფილეს, რადგან ძლიერ შეწუხებული იყვნენ ქართველებისაგან, რომლებიც ხშირად არბევდნენ ქვეყანას, ატყვევებდნენ უამრავ ხალხს და მიერეკებოდნენ პირუტყვს. ყივჩაღებს გამოუყვეს დასაბინავებელი ადგილი ქალაქგარეთ და დახმარება გაუწიეს სასამელ-საჭმელით იმ იმედით, რომ მათი შემწვობით წინაღუდგებოდნენ საქართველოს სამეფოს¹⁵.

როგორც ვრწმუნდებით, ამიერკავკასიაში ყივჩაღთა მოსვლის ფაქტი, რაზეც იბნ ალ-ასირი ასე დაბეჯითებით მოგვითხრობს, კირაკოსის ცნობითაც მშვენივრად დასტურდება. დგინდება ისიც, რომ განძაკის ამირს ისინი სიამოვნებით მიუღია და ქალაქგარეთ დაუბინავებია, ქართველთა წინააღმდეგ სამოქმედოდ. მაგრამ მისი ცნობის ის ნაწილი, სადაც საუბარია „ჰუნეთიდან“ ჭამოსული ყივჩაღების პირდაპირ საქართველოში მოსვლაზე, სხვა რომელიმე წყაროთი არ დასტურდება. ამიტომ ის მწერლის შეცდომად მიაჩნიათ და კრიტიკის ობიექტადაა ქცეული. მაგალითად, კირაკოსის ამ ჩვენების გამო ა. ალი-ზადე აღნიშნავს, ყივჩაღები არანში საქართველოდან კი არა, შირვანიდან მოვიდნენო¹⁶.

მართლაც, შეუძლებელია კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე „ჰუნეთიდან“ სამხრეთისაკენ, დერბენდის გამოვლით წამოსული ყივჩაღთა ტომები საქართველოში მოსულიყვნენ ისე, რომ მათ არ გამოეგლოთ შირვანი ან ლეკეთი (ლაკზთა ქვეყანა). ეს შეუძლებელია კირაკოსს არ სტოდნოდა. მან ისიც მშვენივრად იცოდა, რომ განძის საამიროში ყივჩაღები კაბალის დარბევის შემდეგ მოვიდნენ. კაბალა კი მაშინ საქართველოს მორჩილებდა. ამიტომ მემატანეს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა: ყივჩაღები არანში საქართველოდან მოვიდნენო. ამდენად, არაბი და სომეხი მწერლების ცნობები აქაც ერთნაირია და, ვფიქრობთ, განსხვავება მათ შორის მოჩვენებითია, მაგრამ თუ ა. ალი-ზადე კირაკოსის ამ ცნობას მაინც უნდობლობას უცხადებს, ამას იგი მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ როგორმე დაიცვას თავისი კონცეფცია, რომლის თანახმად შირვანი არასდროს არ შედიოდა საქართველოს მფლობელობაში და რომ ამ მხრივ ქართულ წყაროთა ჩვენებანი ნდობას არ იმსახურებენ¹⁷.

¹⁴ В ардан. დასახ. თხზულება, გვ. 175 (სომხური წ. აღ. 671 წ. უღრის 1222 წელს: 671+551).

¹⁵ Киракос Гандзакечи. დასახ. თხზულება, გვ. 139.

¹⁶ А. А. Али-заде. Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв. Баку, 1956, с. 101—102.

¹⁷ А. А. Али-заде. От ответственного редактора.—В кн.: В. Ф. Минорский. История Ширвана и Дербенда, с. 8. ამ მცდარი შეხედულების შესახებ იხ. ნ. ასათიანი

ერთადერთი, რაც კირაკოსის ამ ცნობაშია საეჭვო, ის არის, რომ მასში ყიფიანების შემოსვლისას, რომელიც იბნ ალ-ასირის ქრონოლოგიით მოხდა 1222 წლის თებერვლის შემდეგ, ალბათ, გაზაფხულზე, ლაშა გიორგი, თვით მისი ისტორიკოსის თქმით, ცოცხალი აღარ იყო. იგი 18 იანვარს აღესრულა¹⁸.

გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს.

როგორც იბნ ალ-ასირი იუწყება, 1222 წელს განძა უკვე მუსლიმებს ეკუთვნოდა¹⁹, ე. ი. ის ამ დროს საქართველოს ქვეშევრდომი მოხარკე ქვეყანა აღარ იყო. ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ როდის და რა ვითარებაში წაუვიდა იგი საქართველოს.

სანდო წყაროებიდან ცნობილია, რომ განძის ლაშქრობისას ქართველთა ხანგრძლივი ალყისა და მუდმივი თავდასხმებისაგან უკიდურესობამდე მისული მისი გამგებელი თვით შემოგვხვეწა მეფე ლაშა გიორგის (1207—1222) „განეჩინა ხარკი პირველი“, რაც „ისმინა მეფემან და უკუსცა ტყუენი“²⁰, ე. ი. ქათანხმდა თხოვნაზე და დაუზავდა მას იმ პირობით, რომ განძა კვლავაც იქნებოდა საქართველოს მოხარკე ქვეყანა. მაგრამ როდის მოხდა ეს? ამის ზუსტი თარიღი ჯერ დადგენილი არ არის. ივ. ჯავახიშვილის მსჯელობით, ჩანს, რომ განძის ამირის წინააღმდეგ მიმართული ეს ლაშქრობა წინ უსწრებდა ხლათის ლაშქრობას²¹. ხლათის ლაშქრობა კი 1210 წლის დეკემბერში დასრულდა²². მაშასადამე, განძა ქართველებს უნდა დაეღაშქრათ მანამდე, დაახლოვებით 1209 წელს. თუმცა, სახელოვანი მეცნიერის თხრობის შემდგომი თანმიმდევრობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ იგივე ლაშქრობა გაცილებით უფრო გვიან, დაახლოებით 1219 წლის ახლო ხანებში „ოროტნისა და სხვა ციხეების“ აღებამდე მომხდარა. მაგრამ ირკვევა, რომ განძის ლაშქრობა არც 1209 წელს ან უფრო ადრე შეიძლებოდა მომხდარიყო და არც 1219 წლის ახლო ხანებში. იგი 1211—1213 წლებშია სავარაუდოდ. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს, ჯერ ერთი, ის, რომ 1210 წლამდე აზერბაიჯანის ათაბეგი იყო საქართველოს სამეფო კართან დამოყვრებული აბუ ბაქრ ფაჰლავანის ძე, რომელიც საეჭვოა, ქართველი მეფის წინააღმდეგ აღმდგარიყო, მით უმეტეს, რომ დანათესავება მისი ინიციატივით მოხდა. მეორე, ნასავის ცნობით 611 (13. V. 1214—I. V. 1215) წელს აზერბაიჯანის ახალი გამგებელი, აბუ ბაქრის ძმა უზბაქი (1210—1225) ხვარაზმშაჰ ალა ად-დინ მუჰამმადთან ჩივის, რომ მისი სამფლობელოს განაპირა ოლქები ქართველებს უპყრიათ და ხარკსაც მათ უხდიან²³. მაშასადამე, განძის ბრძოლა ამ დროს უკვე მომხდარი ფაქტია.

ა ნ ი. საქართველო-შორვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში.—თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968; З. М. Бунятов. Некоторые дополнения к генеалогии ширваншахов Кесранидов.—Известия АН Аз. ССР, серия общественных наук, 1965, № 6, с. 52; он же. Некоторые сведения Садр ад-Дина Хусайни о Грузин.—„Машне“, серия истории, 1971, № 1, с. 87, 93.

18 ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ., 1942, გვ. 244.

19 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი. დასახ. თხზულება, გვ. 188.

20 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370; II, გვ. 154.

21 ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტ. III, გვ. 3.

22 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი. დასახ. თხზულება, გვ. 190; აბუ შ-შ ა მ ა. არ-რაედათინ ფი ახბარ აღ-დავლათინ. კაირო, 1956, 1962 (იხ. ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი. აღ-ბიდა, ა ვა-ლ-ნიჰაია). კაირო, 1932, ტ. XIII, გვ. 56; თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. ცდა ერთი თარხლის დადგენისა.—„მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 2, გვ. 177—178.

²³ Шихаб ад-Дин Мухаммад ан-Насави. Жизнеописание султана Джалал ад-Дина Манкбурны. Баку, 1973, с. 61.

ქართველთა მიერ მიტაცებული ადგილების განთავისუფლების მიზნით, უზბაქი თავის სიუზერენს დახმარებას სთხოვს, ხოლო თხოვნაზე რომ უარი არ უთხრან, ან მისი შესრულება არ დააყოვნონ, შაჰს აფრთხილებს: სანამ სამფლობელო დაქუცმაცებული იქნება, ე. ი. ქართველების მიერ დაპყრობილი ადგილები აზერბაიჯანს არ დაუბრუნდება, ეს უკანასკნელი ვერ შეძლებს იმ განზრდილი ხარკის გადახდას, რის გადახდაც მას აკისრია²⁴.

ხვარაზმელთა ფეოდალური სახელმწიფოს შემოსავლის ძირითად წყაროს დაპყრობითი ომების შედეგად მიღებული მოგება — ნადავლი და ხარკი წარმოადგენდა. ამიტომ თავისი იმპერიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში — აზერბაიჯანში შექმნილ ვითარებას და ამის გამო უზბაქის თხოვნას, ცხადია, იგი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა, მით უმეტეს, რომ აქ პრესტიჟის საკითხიც იდგა. ამის გამო ალა ად-დინ მუჰამმადმა, რომელიც მაშინ ირანში იყო და ხალიფას წინააღმდეგ სალაშქროდ მიდიოდა, როგორც კი მიიღო უზბაქის თხოვნის წერილი, მაშინვე სათანადო ზომები განახორციელა: 50-ათასიანი ლაშქარი ქართველების შესამუსრად გაამზადა. ამავე დროს, მათ თავისი ელჩი გაუგზავნა და აცნობა, რომ შეეწყვიტათ თავდასხმები აზერბაიჯანზე, რადგან იგი მისია, იქ მის სახელზე ლოცულობენ და მის სახელზე ჭრიან ფულის ნიშნებს²⁵.

წყაროთა მონაცემებით, ხვარაზმშაჰს ირანში დიდმა თოვლმა მოუსწრო, და აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა²⁶. ამან ჩაშალა მისი ლაშქრობის გეგმა ერაყშიც და საქართველოშიც. სურსათ-სანოვავეს, აქლემებსა და ცხენებს მოკლებული მუჰამმადი თავისი ლაშქრის მცირე რაზმით უკან გაბრუნდა.

რაც შეეხება ელჩს, საქართველოში რომ იყო მოვლენილი, იგი მშვიდობიანად მოვიდა თბილისში, ლაშა გიორგის ეწვია და ხვარაზმის მპყრობელის წერილი გადასცა. სანამ მეფე და მისი მრჩეველები ალა ად-დინ მუჰამმადის წერილის შინაარსს გაეცნობოდნენ და რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ხვარაზმელი ელჩი საქართველოს დედაქალაქში იყო, შემდეგ კი პატივით გაისტუმრეს. მას თან გააყოლეს თავიანთი წარმომადგენელი, რომელსაც მუჰამმადთან მიჰქონდა ქართველი მეფის წერილი და ძვირფასი საჩუქრები²⁷.

ნასავეის ცნობით, ელჩები ერაყიდან ხვარაზმს წასულ ალა ად-დინ მუჰამმადს მაშინ დაეწივნენ, როცა მან შდ. ჯაიჰუნი (ამუდარია) გადალახა. იგი არაფერს იტყობინება მეფის წერილის შინაარსის შესახებ. არც იმის აღნიშვნას მიიჩნევს საჭიროდ, თუ რა გავლენა მოახდინა წერილმა ხვარაზმშაჰზე. მიუხედავად ამისა მაინც ჩანს, რომ ქართველი მეფის წერილით უკმაყოფილო არ დარჩენილა. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ როგორც სანდო წყაროთი დასტურდება, ქართველებს მისი წინადადება მიუღიათ და უზბაქის სამფლობელოზე თავდასხმები შეუწყვეტიათ²⁸.

ჩვენ არ ვიცით ქართველების ასე მოქცევის ნამდვილი მიზეზი საამისო ცნობების უქონლობის გამო. მაგრამ ის კი აშკარაა, რომ უზბაქს ეს დათმობა

²⁴ იქვე; З. М. Бунятов. Государство атабеков Азербайджана, с. 112. ნასავეის ამ ცნობას ეწინააღმდეგება ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად აზერბაიჯანი არ სცნობდა ხვარაზმელთა ბატონობას (ქ. სტეფანაძე. ზორასანში ლაშქრობის თარიღისათვის. — „საისტორიო კრებული“, VII. თბ., 1977, გვ. 195).

²⁵ ნასავეი. დასახ. თხზულება, გვ. 61.

²⁶ იქვე, გვ. 64.

²⁷ იქვე, გვ. 61.

²⁸ З. М. Бунятов. დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

მათი სისუსტით აუხსნია და როგორც XIII ს-ის ანონიმი ავტორი ამბობს, 11 (1214—1215) წელს თვითონ მოუწყვია მტრული გამოხდომა, დაულაშქრავს ხაჩენი და ის ოლქები, რომლებიც ქართველებს შორჩილებდნენ და მას აღარ უხდიდნენ ხარკს²⁹. ერთ-ერთი ასეთი საამირო კი იყო განძავი. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი საქართველოს 1215 წლიდან აღარ ემორჩილებოდა და შემდგომ ბრძოლას, რაზეც პირდაპირ მიუთითებს უამთააღმწერელი, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია³⁰.

*

* *

ქვემოთ იბეჭდება ქართული თარგმანი იბნ ალ-ასირის ცნობებისა ყივჩაღების საქართველოში მოსვლის შესახებ.

იბნ ალ-ასირი

ტ. XII, გვ. 186.

დადგა 619 წელი!

ამოთხრობა იმისა თუ როგორ შეიჭრა ჯგუფი ყივჩაღებისა აზერბაიჯანში, რა დამართეს მათ ქართველებს და რა მოუვიდათ [ბოლოს]

მას შემდეგ, რაც თათრებმა ყივჩაღთა მიწა დაიკავეს, ყივჩაღები დაიფანტნენ: ნაწილი რუსთა ქვეყანაში წავიდა, ნაწილი საკუთარ მთებში განიბნა, ხოლო უმრავლესობა შეიკრიბა, დერბენდ-შირვანისაკენ გაემართა, მის პატრონს, სახელად რამიდს მიმართა და მოახსენა: „თათრებმა ჩვენი სამეფო დაიკავეს და ქონება წაგვართვეს. [ამიტომ] მოვედით, რათა (გვ. 187) შენს ქვეყანაში დავბინავდეთ. შენ ჩვენი სულთანი იქნები, ჩვენ კი შენი მამულეები და დავიპყრობთ ქვეყნებს შენთვის“. [შაგრაბ] რაშიდი შეშინდა და მათ თხოვნას არ დაეთანხმა.

მათ ხელახლა გაგზავნეს ელჩი, რათა მისთვის ეთქვა: „მძევლებად მოგცემთ ჩვენი ცოლ-შვილის ნაწილს და ვალდებულებას ვიკისრებთ, რომ ვიყოთ შენი ხელისუფლების მოჩრილნი“. რაშიდმა არც ეს თხოვნა მიიღო. მაშინ სთხოვეს, ნება მიეცა მათთვის ეყიდათ მის ქალაქში სურსათ-სანოვავე და აღუთქვეს, რომ [ამ მიზნით] ქალაქში შევიდოდა ათ-ათი კაცი, რომლებიც იქიდან წავიდოდნენ მაშინვე, როგორც კი შეიძენდნენ იმას, რაც სჭირდებოდათ. ეს თხოვნა რაშიდმა დააკმაყოფილა. ყივჩაღებმა გუნდებად იწყეს ქალაქში შესვლა, რაც უნდოდათ იმის ცილვა და იქიდან გასვლა. [ერთხელ] ყივჩაღ დიდებულთა მცირე ჯგუფი და მათი ერთ-ერთი წინამძღოლი რაშიდთან გამოცხადნენ და წინამძღოლმა მას უთხრა: „მე ადრე ხვარაზმშაჰთან ვმსახურობდი, ვარ მუსლიმი და რელიგია მავალდებულებს მოგცე კეთილი რჩევა: იცოდე, ყივჩაღები შენი მტრები არიან და სურთ მოგატყუონ. ნუ მისცემ

²⁹ Н. Д. Миклухо-Маклай. Географическое сочинение XIII в.—УЗ ИВАН СССР. М.—Л., т. IX, 1954, გვ. 204—205, 213; „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ. თბ., 1978, გვ. 30.

³⁰ ქართლის ცხოვრება, II. თბ., 1959, გვ. 156.

I 15. II. 1222—3. II. 1223 ჩვ. წ. აღ.

ნებას დარჩენენ ისინი შენს ქვეყანაში. მომეცი ჯარი, შეგებრძოლები და გავრეკავ მათ აქედან. რაშიდი დათანხმდა. ჩააბარა მას თავისი ლაშქარი, მისცა იარაღი და სხვა, რაც სჭირდებოდათ. წავიდნენ, თავს დაესხნენ ყივჩაღთა რაზმს და ნაწილი მოსპვეს, ხოლო ნაწილი — გაძარცვეს. ყივჩაღები არც კი შერხეულან, ისე განაცხადეს: „ჩვენ შირვანშაჰის მეფის, რაშიდის მამულეები ვართ, თორემ ეს რომ არა, შეგებრძოლებოდით მის ლაშქარს“. როდესაც [მუსლიმი] ყივჩაღი რაშიდის ჯარით უკან მშვიდობიანად დაბრუნდა, რაშიდმა გაიხარა. რაც შეეხება ყივჩაღებს, მათ მიატოვეს თავიანთი ადგილსამყოფელი და სამი დღე იარეს. მაშინ იმ [მუსლიმმა] ყივჩაღმა რაშიდს უთხრა: „გთხოვ ლაშქარს, რათა მათ დავედევნო“. რაშიდი დათანხმდა და ბრძანა, მოემზადებინათ იმდენი ჯარი, რამდენიც მას უნდოდა. და გაემართა იგი ყივჩაღთა კვალდაკვალ, თავს დაესხა მათ არიერგარდს და აართვა ნაღავლი. ბევრმა ყივჩაღმა, კაცმაც და ქალმაც, თმები დაიჭრა და ტირილი მორთო. მათ კუბოს ირგვლივ დაიკავეს ადგილი და თვალცრემლიანებმა [რაშიდის] სარდალს უთხრეს: „როცა შენი ესა და ეს მეგობარი კვდებოდა გვთხოვა, მისი ცხედარი შენთან მოგვეტანა, რათა იქ დავემარხა, სადაც ისურვებდი და, რომ ჩვენც შენთან ვყოფილიყავით“. მან (სარდალმა) ცხედარი წაიღო და თან წაიყვანა ისინიც, ვინც მას დასტიროდნენ. შირვანშაჰ რაშიდთან დაბრუნებისას [მუსლიმმა სარდალმა] მოახსენა მას, რომ ის მიცვალებული მისი მეგობარი იყო, ხოლო ხალხი გარდაცვლილს — ნათესაეები, რომლებიც ითხოვენ იყვნენ მასთან და ემსახურონ. რაშიდმა თანხმობა განაცხადა მათ შესვლაზე ქალაქში და იქ დაბანაკებზე. ამის შემდეგ ისინი თან ახლდნენ [იმ სარდალს] როგორც მისი ამაღა და მასთან ერთად აღიოდნენ რაშიდის ციხესიმაგრეში, ისხდნენ და სვამდნენ მის გვერდით თავიანთი ცოლებით.

და შეიყვარა რაშიდმა მეუღლე იმ კაცისა, რომელზეც ამბობდნენ მოკვდაო, მაგრამ სინამდვილეში არ მომკვდარა, არამედ ეს იყო ქალაქში შესასვლელად მოგონილი ეშმაკობა. [ნამდვილად] ის, ვინც მიცვალებულად გასაღეს იქ, მეჯლისში იმყოფებოდა, თუმცა ამის შესახებ რაშიდმა არაფერი იცოდა. ეს იყო ყივჩაღთა ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელი. ასე გავიდა რამდენიმე დღე. ამასობაში ყივჩაღები მოდიოდნენ და მოდიოდნენ ციხესიმაგრეში ცალცალკე გუნდებად და მოგროვდნენ საკმაოდ ბევრი. შემდეგ ვადაწყვიტეს რაშიდის შეპყრობა და მისი ქვეყნის დაპატრონება. მაგრამ რაშიდი მიხვდა ამას, ციხესიმაგრიდან საიდუმლო გასასვლელით გავიდა და შირვანს გაიქცა. ყივჩაღებმა კი ციხე დაიკავეს და ქალაქის მოსახლეობას განუცხადეს: „ჩვენ თქვენთვის რაშიდზე უკეთეს ვიქნებით“. [ამავე დროს], მათ იხმეს გაბნეული თავიანთი თანამეტომენი, ხელთ იგდეს ქალაქში არსებული მთელი იარაღი და ციხესიმაგრეში მოთავსებული რაშიდის ქონება. შემდეგ დატოვეს ციხესიმაგრე, გაემართნენ კაბალისაკენ, მაშინ ქართველთა მფლობელობაში რომ იყო, და ის ალყაში მოაქციეს. როდესაც შეიტყო, რომ ყივჩაღებმა ციხესიმაგრე დატოვეს, რაშიდი დაბრუნდა, დაეუფლა მას და იქ დარჩენილი ყველა ყივჩაღი ამოწყვიტა. ამის შესახებ იმათ, ვინც კაბალასთან იდგა, არაფერი გაუგიათ. ამიტომ ციხესიმაგრეში გაგზავნეს რაზმი, რომელიც ასევე იქნა განადგურებული რაშიდის მიერ. ამის შემდეგ ყივჩაღები დებრენდს წავიდნენ, რადგან ციხის აღების არავითარი იმედი აღარ ჰქონდათ.

როდესაც ყივჩაღებს ალყა ჰქონდათ შემორტყმული კაბალისათვის, მისმა პატრონმა მათ შეუთვალა: „მე ქართველების მეფეს შევატყობინებ, რომ მან გამოგიგზავნოთ წყალობა და ფული. [შემდეგ] კი გავერთიანდეთ და და-

ვიკავოთ მთელი ქვეყანა“. რამდენიმე დღეს მართლა შეწყვიტეს მისი ვილაიეთის ძარცვა, მაგრამ მერე კვლავ განაგრძეს რბევა.

კაბალის ვილაიეთის ძარღვა-რბევა რომ მოამთავრეს (გვ. 188), ყივჩაღები არანის ქვეყნისაკენ გაემართნენ და მივიდნენ ქანჯამდე, რომელსაც მაშინ მუსლიმები ფლობდნენ, და იქ დაბანაკდნენ. ქანჯის ამირმა, სახელად ქუშხარამ, რომელიც იყო აზერბაიჯანის გამგებელი უზბაქის მამლუქი, — მათ წინააღმდეგ გაგზავნა ჯარი და არ დაანება, რომ მოახლოვებოდნენ მის ქვეყანას. მანვე გაგზავნა ელჩიც, რომელმაც ყივჩაღებს განუცხადა: „თქვენ ვერაგულად მოექცით შირვანის მფლობელს და დაიკავეთ მისი ციხესიმაგრე. უღალატეთ აგრეთვე კაბალის გამგებელსაც და დაარბიეთ მისი ქვეყანა. [ამიტომ] თქვენ აღარავინ გენდობათ“. ამაზე ყივჩაღებმა ასე უპასუხეს: „ჩვენ მოვედით და გვინდა, რომ ვემსახუროთ მხოლოდ თქვენს სულთანს². მაგრამ შირვან-შაჰმა ხელი შეგვიშალა თქვენთან მოსვლაზე. ამიტომ გავემართეთ მისი ქვეყნისაკენ და ავიღეთ ციხესიმაგრე, რომელიც შემდეგ ჩვენ თვითონვე დავტოვეთ. რაც შეეხება კაბალას, მისი პატრონი თქვენი მტერია. ჩვენ რომ ქართველებთან ერთად გვდომოდა ბრძოლა, მაშინ ყველაზე გრძელი, ძნელი და დამქანცველი შირვან-დერბენდის გზით კი არ მოვიდოდით, არამედ მათ ქვეყანაში შემოვიდოდით ისე, როგორც შემოვიდოდით ადრე. ჩვენ მძევლებს გამოგიგზავნით“.

როდესაც ეს ქუშხარამ შეიტყო, იგი მათკენ გაემართა, ხოლო ყივჩაღებმა რომ ამის შესახებ გაიგეს, ცხენზე ამხედრებული ორი ამირი მცირე ჯგუფით მის შესახვედრად გამოვიდა. ისინი მას შეეგებნენ, მოკრძალებით მიესალმნენ და უთხრეს: „მოვედით შენთან ამ მცირე ჯგუფით, რათა დარწმუნდე, რომ ჩვენ თქვენი სულთნისადმი ერთგულებისა და პატიოსანი სამსახურის მეტი არაფერი გვინდა“. მაშინ ქუშხარამ ნება დართო წასულიყვნენ და ქანჯასთან დაბანაკებულიყვნენ შემდეგ, მან იქორწინა ერთ-ერთი ამირის ასულზე. თავის პატრონს უზბაქსაც შეატყობინა ყივჩაღთა მდგომარეობა, ხოლო უზბაქმა ბრძანა, მიეცათ მათთვის საპატიო ხალათები და გაეგზავნათ ქილქუნის მთაზე, რაც აღასრულეს კიდევაც.

ამან შეაშინა ქართველები. მათ თავი მოუყარეს ჯარს და გადაწყვიტეს მოულოდნელად დასხმოდნენ ყივჩაღებს. [მაგრამ] ქანჯის ამირმა ქუშხარამ ეს შეიტყო და ყივჩაღებს უბრძანა, რომ დაბრუნებულიყვნენ ქანჯაში. ისინიც ასე მოიქცნენ, დაბრუნდნენ და იქ დაბინავდნენ.

ამის შემდეგ, ყივჩაღთა ერთ-ერთი ამირი დიდი ბრბოთი გამოვიდა ქართველების წინააღმდეგ და მოულოდნელად დაესხა თავს. მან გააქცია ისინი. აართვა რაც რამ ჰქონდათ, ბევრი მათგანი გაწყვიტა, ბევრიც დაატყვევა. ყივჩაღები ისევ დაბრუნდნენ ქილქუნის მთაზე, სადაც ადრე იყვნენ.

როდესაც ისინი იქ დაბინავდნენ, მეორე ამირმაც მოინდომა ქართველებს მოპყრობოდა ისე, როგორც მათ მისი ამხანაგი მოექცა. [მაგრამ] ქუშხარამ ეს შეიტყო და აუკრძალა წასულიყო სალაშქროდ, თუ არ გამოარკვევდა ქართველთა მდგომარეობას. მიუხედავად ამ გაფრთხილებისა ამირმა მაინც ვერ შეიკავა თავი. თავისი ტომით გასწია ქართველების ქვეყნისაკენ, გაძარცვა იგი და ხელთ იგდო ნადავლი. ამასობაში დაიძრნენ ქართველები მათთვის ნაცნობი გზით, თავი დაუარეს მას და, როცა მიუახლოვდნენ, უეცრად დაესხნენ მის ხალხს. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, მათ დაატრიალეს ხმლები, მრავალი გაწყვიტეს და მთელი ალაფი აართვეს. დამარცხებული ამირი საშინელ მდგო-

² იგულისხმება უზბაქი.



მარეობაში დაბრუნდა და ბარდავს გაემართა. იქიდან მათ ქუშხარას მიმართეს და სთხოვეს, რომ ქართველებზე შურის ძიების მიზნით მოეწყოთ ერთობლივი ლაშქრობა, მაგრამ ქუშხარამ დამუქრებით ასე შეუთვალა: „თქვენ არ დამიჯერეთ და თქვენ ნებაზე მოიქცით, ამიტომ არ დაგეხმარებით არც ერთი მხედრით“. მაშინ მას სთხოვეს დაებრუნებინა მათთვის მძევლები. მაგრამ მან ამაზეც უარი თქვა. [ამიტომ] შეიკრიბნენ, და თავიანთი მძევლების სანაცვლოდ მრავალი მუსლიმი გარეკეს. ამან კი გამოიწვია ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება და ბრძოლა მათი გამარჯვებით დამთავრდა. შეშინებული ყივჩაღები შირვანის მიმართულებით წავიდნენ და ლეკთა ქვეყანაში გადავიდნენ. გათამამებულმა მუსლიმებმა, ქართველებმა, ლეკებმა და სხვებმა ისინი გაწყვიტეს, გაძარცვეს და იმდენი დაატყვევეს, რომ ყივჩაღი მამულში დერბენდ-შირვანში ყველაზე იაფად იყიდებოდა³.

Б. Г. СИЛАГАДЗЕ

АРАБСКИЙ ИСТОРИК О ВТОРЖЕНИИ КИПЧАКОВ
В ЗАКАВКАЗЬЕ

(начало 20-ых гг. XIII в.)

Резюме

После ухода монголов из пределов Грузии и Азербайджана (в 1221 г.) и разорении ими Северного Кавказа, кочевавшие там кипчаки вынуждены были покинуть свое местожительство. По свидетельству арабского писателя Ибн ал-Асира (1160—1234) часть из них бежала к руссам, а часть, около 50.000 человек, через Дербендский проход вторглась в Закавказье.

В 1222 году они осуществили ряд нападений на Ширван и Грузию, пытались также завладеть Гандзой. Однако в этих боях кочевники потерпели серьезное поражение, были вынуждены покинуть пределы Закавказья и вернуться в старые места.

³ არსებობს ამ ვრცელი ცნობის რუსული თარგმანიც, შესრულებული ჰ. ჟუზენ მიერ (იხ. Материалы по истории Азербайджана из „Тарих-ал-Қамиль“ Ибн-ал-Асира. Баку. 1940, 88. 18).

გიორგი ანაბაძე

„ძველი ერისთავთა“ როგორც წყარო სამხედრო საქმის
ისტორიისათვის ქართლის მთიანეთში

„ძველი ერისთავთა“ ერთადერთი ქართული ნარატიული წყაროა, რომელიც მთლიანად ეძღვნება საქართველოს მთის, კერძოდ, ქართლის მთიანეთის წარსულს. იგი შეიცავს უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს ამ კუთხის პოლიტიკური, სოციალური და ეთნიკური მდგომარეობისა და ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. ამიტომაც, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არ განელებულა ინტერესი ამ ძეგლის მიმართ და მიუხედავად მოკრძალებული მოცულობისა, მის წყაროთმცოდნეობით შესწავლას ას წელზე მეტი ხანია აწარმოებენ ქართველი ისტორიკოსები (მ. ბროსე, თ. ყორღანია, მ. ჯანაშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ი. სურგულაძე, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, საურ. კაკაბაძე, გ. მელიქიშვილი, ე. ხოშტარია-ბროსე, გ. არახამია, ვ. კენაძე და სხვ.).

მიუხედავად ამისა, როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო „ძველი ერისთავთა“ დღემდე არ ყოფილა სპეციალურად შესწავლილი, თუმცა შეიცავს უაღრესად საინტერესო ცნობებს სამხედრო საქმის განვითარების შესახებ ქართლის მთიანეთში. მასში მრავალი სამხედრო-ისტორიული ფაქტია ასახული. სამართლიანია ი. ჯავახიშვილის სიტყვები ამ თხზულების შესახებ, რომ მის „თითქმის ყოველ ფურცელზე და სტრიქონში ან ლაშქრობასა და ომიანობაზეა ლაპარაკი, ან მიხდომასა და თავდასხმაზე“¹.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ძველი ერისთავთა“ ორ ნაწილად იყოფა. პირობითად პირველ ნაწილს შეიძლება ვუწოდოთ „ლეგენდარული“, მეორეს კი — „ისტორიული“. ლეგენდარულ ნაწილში, როგორც ცნობილია, აღწერილია ოსი უფლისწულების გადმოსვლა დვალეთში, მათი საბოლოო დამკვიდრება ცხრაზმისხევეში და გაერისთავება. არ ვეხებით საკითხს, რამდენად სარწმუნოა ქსნის ერისთავების ოსთა მეფეებისაგან წარმოშობის ცნობა. ჩვენთვის აქ საინტერესოა მატეანის მიერ დახატული სურათი ერთ-ერთი ძლიერი გვარის აღზევებისა და გაფეოდალებისა. ბიბლიურები, როგორც ჩანს, თავდაპირველად ჩვეულებრივი მთიელები იყვნენ. თავისთავად, მათ მიერ ცინისა და „დიდ-დიდი“ სასლების შენება (გვ. 344—345)² ჯერ კიდევ განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს, თუმცა კი მიუთითებს ამ გვარის სი-

¹ ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო შუქრობა. — თხზულებანი, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 264.

² ძველი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატეანე). ტექსტი გამოსცა, გამოკლავა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. — მსკი, ნაკვ. 30. თბ., 1954 (შემდეგი გვერდები მიითებული გვაქვს ამ გამოცემიდან).

ძლიერესა და ხევში პირველობის პრეტენზიაზე. ციხე-კოშკები, როგორც ცნობილია, და „ძეგლიდანაც“ კარგად ჩანს, მთიელ ტომებს მრავლად ჰქონდათ. ბიბლიურების აღხევა იწყება იმითი, რომ ისინი პირადი მამაცობისა და მეომრული თვისებების წყალობით საყოველთაო პატივისცემას იხვეჭენ — „და შეიყუარანა (როსტომი) ყოველმან ერმან ცხრაზმისხევისმან“ — და ხდებიან ცხრაზმისხეველთა სამხედრო ბელადები (წინამძღვარ მბრძოლთა“). ხევის სამხედრო ორგანიზაციის სათავეში მოქცევით ბიბლიურები „სოფლებსა და ქვეყნებს“ ეუფლებიან, ე. ი. დანარჩენ თანამეთემეებს ქონებრივადაც უსწრებენ და უკვე „ქუენიფნეველები“ ხდებიან, „რამეთუ სხუაჲ სახელი არა ინებეს“ (გვ. 345). ასე დაწინაურებულ, და ალბათ უკვე გააზნაურებულ, გვარს, სამეფო ხელისუფლებაც ანგარიშს უწევს, რაც საბოლოოდ როსტომ ქვენიფნეველის ცხრაზმისხევის ერისთავად დამტკიცებაში გამოიხატა. ასე ხდება გვაროვნულ-ტომობრივი სამხედრო არისტოკრატის გადაზრდა ფეოდალურ არისტოკრატიაში, რაც მეტად დამახასიათებელია ადრეფეოდალური ურთიერთობებისათვის. ქვენიფნეველები აქამდე თუ ცხრაზმისხეველთა ერის არჩეული სამხედრო წინამძღოლები იყვნენ, ახლა უკვე სამეფო ხელისუფლების მიერ დაყენებული გამგებლები ხდებიან, თუმცა მათი ძირითადი ფუნქცია — მხედართუფროსობა, რა თქმა უნდა, კვლავ ძალაში რჩება, რაზეც არაორაზროვნად მიუთითებს მეფის მიერ როსტომისათვის ძალაუფლების სხვა ონსიგნიებს შორის საჭურველის, „თორნოსანი“ ცხენის, დროშისა და შუბის ბოძება (გვ. 346). როსტომის მემკვიდრის, ლარგველის დროს ქვენიფნეველთა „ნასარდლო ოლქი“ ფართოვდება. არავგსა და ლიახვს შორის მსხდომი დიდებულები და აზნაურები ლარგველის „მორჩილი და თანამოლაშქრენი“ არიან. „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, ლარგველის „ნასარდლოს“ ფარგლები სამხრეთით „შარჰას მინდვრამდე“ უწევდა, რაც შიდა ქართლის ვაკის აღმოსავლეთი ნაწილი უნდა იყოს³. ამგვარად, ცხრაზმის ერისთავის სამხედრო ხელისუფლების ქვეშ მყოფი ტერიტორია, და მათ შორის, ბუნებრივია, მისი საკუთარი სამფლობელოებიც, მოიცავდნენ შიდა ქართლის მთიანეთის ცენტრალურ ნაწილს, დვალეებით დასახლებული მიწა-წყლის გამოკლებით (გვ. 346—347).

მატიანეში ასახულია ცხრაზმის ერისთავთა სამხედრო სამსახური მეფისათვის. მაგ., შალვა ერისთავმა მეფის გიორგი დავითის ძის ბრძანებით ლოწობნის ციხე აიღო, ვირშელ II გიორგი ბრწყინვალის დროშის ქვეშ იბრძვის გორის ციხის გასათავისუფლებლად. ერისთავი ქვენიფნეველი თავის მეფესთან ერთად იღუბება თურქებთან ბრძოლაში და სხვ. ვარდა ამისა, ერისთავთა გვარის ცალკეული წარმომადგენლები მუდმივად იმყოფებიან მეფის კარზე, ხელმწიფის შეიარაღებულ ამაღაში. მაგ., ქვენიფნეველის ერთ-ერთი უმცროსი ძმა იოვანე „მარადის იყვის წინაშე მეფისა, რამეთუ იყო მკნე გოლიათი, ბრძოლათა შინა უძღვევლი... რამეთუ მრავალგზის გამოიცადა იგი ჟამსა ბრძოლისასა, რამეთუ იყო ფრიად განთქმულ და სახელოვან და უმჯობეს ყოველთა მბრძოლთა“ (გვ. 353).

ქვენიფნეველები გაერისთავების შემდეგაც ბევრი რამით წაავადნენ ყოფილ სამხედრო ბელადებს („მბრძოლთა წინამძღვრებს“). ისინი პირველ ხანებში ტიპიურ „მთიელ ფეოდალებს“ უფრო გვაგონებენ ვიდრე ძირძველ

³ ჩვენ ვფიქრობთ, რომ „შარჰა“ უნდა წარმოდგებოდეს არაბული სიტყვიდან „სპარა“ — უდაბნო. სპარსულ და თურქულ ენებში ეს სიტყვა ნიშნავს აგრეთვე „მინდორს“, „ველს“. შესაძლებელია, გათურქებულმა თათრებმა ეს სახელი უწოდეს ქართლის ვაკის აღმოსავლეთ ნაწილს, სადაც შესანიშნავი საძოვრების გამო, განსაკუთრებით მუხრანში, მათი სადგომები იყო.

ქართველ დიდებულებს. მათი ძალა, მნიშვნელოვანი ილად, კვლავ საგვარეულო სამომხეა დამყარებული. შემთხვევითი არ უნდა იყოს, ჩვენი აზრით, მემატინის მიერ იმისი აღნიშვნა, რომ „ამათ ჟამთა იყო მალვა ერისთავისა ნათესავი სამოცდათორმეტი შუბოსანი და ყოველნი მორჩილებასა ქუეშე ქუენიფნეველისა“ (გვ. 352). შ. მესხიას გამოცემის ლექსიკონში შუბოსანი განმარტებულია როგორც — „ლაშქრის შუბებით შეიარაღებული ნაწილი“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ასეთი განმარტება სწორი არ არის. აქ შუბოსანი უნდა ნიშნავდეს არა მეშუბარს, არამედ საერთოდ მეომარს, ბრძოლისუნარიან მამაკაცს და „ძეგლის“ ზემოთ მოტანილი ცნობა აღნიშნავს თუ რამდენ მეომარს ითვლიდა მთლიანად ქვენიფნეველთა გვარი.

ცხრაზმისხევის საერისთავოს ცენტრად გადაქცევამ დააჩქარა იქ ფეოდალიზმის განვითარების პროცესი, რომელიც, რა თქმა უნდა, ბიბილურთა აღწევებაზე გაცილებით ადრე იყო დაწყებული. ახლა ამ ხევა თავისი სოციალური განვითარებით კიდევ უფრო უკან მოიტოვა მეზობელი არაგვის მთიულეთი და, განსაკუთრებით, დვალეთი. ამან, ცხადია, სამხედრო საქმის ორგანიზაციასზედაც იქონია გავლენა. თუ ადრე ყველა ბრძოლისუნარიანი ცხრაზმისხეველი მამაკაცი მეომარი იყო, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად თავდაპირველი „ერი“ იყოფა და სამხედრო სამსახური უკვე მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის პრივილეგია ხდება. ბრძოლაში ერისთავის გვერდით ჩანან „მოახლენი მისნი“, „მონანი“, „აზნაურისშვილები“, „თავადნი“ (გვ. 347, 356, 359).


„ძეგლი ერისთავთაში“ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება. საერისთავოს შექმნამდე მემატინე ცხრაზმისხეველთა მხედრობას არსად ლაშქარს არ უწოდებს. წერს მხოლოდ: „ცხრაზმისხეველნი“, „ერი ცხრაზმისხევისა“, „მბრძოლნი“. საერისთავოს შექმნის შემდეგ კი ცხრაზმისხევის სამხედრო ძალების აღსანიშნავად მხოლოდ სიტყვა ლაშქარს ხმარობს: „შალვა წარვიდა ლაშქრითა თჳსითა“, „ვირშელი და ლაშქარი მისი“, „ვირშელმან შექრება ლაშქარი“ და სხვ. (გვ. 349, 350, 360).

სამეფო მხედრობაც ასევე მხოლოდ „ლაშქრად“ და „სპად“ მოიხსენიება: „მეფემან დავით შექრება ყოველი ლაშქარი თჳსი“, „გიორგი მეფე განილაშქრა აღინჯას ყოვლითა სპითა ქართველთა“ და სხვ. (გვ. 347, 358).

მათგან განსხვავებით მთიულთა რაზმები, რომლებთან ბრძოლების აღწერასაც „ძეგლის“ ძირითადი ნაწილი ეთმობა, „ლაშქრად“ თითქმის არსად არ მოიხსენიება ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, რაც საერთო სურათს არ ცვლის. მათ შესახებ ასეა: „ყოველნი დვალნი“, „არაგვისა მთიულნი“, „ცხავატელნი“, „კადელ-მოჯევენი“, „კაცნი იგი“, „ყოველნი მამანი“ და სხვ. (გვ. 347, 350, 351, 353).

ერთი შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მემატინე საერთოდ მოწინააღმდეგის ძალებს არ უწოდებს ლაშქარს. მაგრამ ეს ასე არ არის. თემურ ლენგის მხედრობაც ლაშქრად მოიხსენიება, ასევე „სპარსთა“ ლაშქარიც (გვ. 347, 348, 358, 359). ამავე დროს, ქვენიფნეველთა ერთგული ჟამთაურელები და გრემისხეველები ლაშქრად არ იწოდებიან, როდესაც მათ ერისთავის მთავარი ძალების გარეშე უხდებათ მეზობელთა თავდასხმების მოგერიება.

ამრიგად, ვხედავთ, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ტერმინ „ლაშქარს“, „სპას“ ხმარობს მხოლოდ ფეოდალურ ყაიდაზე ორგანიზებული (მოწყობილი) მხედრობის აღსანიშნავად, რომელიც ძირითადად აზნაურებისა და მსახურების-



საბრძოლო მოქმედებები ქართლის მთიანეთში XIII საუკუნის დასასრულიდან XV საუკუნის დასაწყისამდე («ძველი ერისთავთა» ცნობებით):

- 1 — საქართველოს საზღვარი; 2 — სოფელი; 3 — ქალაქი; 4 — ციხე-სიმაგრე;
- 5 — ლომისას სალოცავი; 6 — ბრძოლების ადგილები; 7 — ციხე-სიმაგრეთა ალყა;
- 8 — დვალეების თავდასხმები ცხრაზმის საერისთავოზე; 9 — ვირშელ III-ის ლაშქრობა დვალეთ-მთიულეთში; 10 — ცხრაზმის საერისთავოში თემურ-ლენგის ჯარების შეღწევის მთავარი მიმართულებები.

საგან შედგებოდა⁴. თავისუფალ მთიელთა „ერი“, რომელშიც ყველა მამაკაცს შეუძლია გამოსვლა (მღრ. „ყოველნი დვალნი“, „ყოველნი მამანი ქუემოთა მათ მახლობელთა სოფელისანი“), მემკვიდრისათვის „ლაშქარი“ არ არის, შეიარაღებული ბრბოა, თუმცა „ძველის“ ავტორი მთიელ მეომრებს მორისაც

⁴ ასეა ციხეების დაცვის აღწერის დროსაც: თუ მემკვიდრის სიტყვით, გრუსის ციხეებს გრულნი იცავენ ქნოლს ციხეებს — ქნოლელნი, მნას ციხეებს — მნაველნი და სხვ., არსად შეციხოვნებულ ცხრაზმისხეველები არ არიან მოხსენიებული; მათ მაგივრად გვაქვს: ერისთავის „ურთულნი მონანი“ და „ციხიონნი“.

განასხვავებს „თავადებს“, „თავეებს“, „ჯგოლიათებს“ და „ხევისბერებს“ — „წვრილი ერისაგან“ (გვ. 352, 356, 357).

„ძეგლი ერისთავთას“ როგორც ისტორიული წყაროს თავისებურება, როგორც ვიცით, განპირობებულია იმით, რომ ეს მატიაწე მოგვეთხრობს საქართველოს ერთი პატარა კუთხის წარსულს, თანაც მთიან ზოლში მდებარე კუთხისა. „ქართლის ცხოვრების“ ავტორები მთიანეთს ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. მათ თხზულებებში ძირითადად ბარის ისტორიაა აღწერილი. იქ გამოცემული სამხედრო-ისტორიული ფაქტებიც, კერძოდ, სამხედრო საქმის ორგანიზაცია, ლაშქრის სტრუქტურა, ბრძოლის ფორმები — ბარის სინამდვილეს ასახავენ. მთის შესახებ კი ცნობები მეტად მწირია. არადა მთელი რიგი თავისებურებების გამო (ბუნებრივი პირობები, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების სხვა დონე და ა. შ.) მთის რაიონებში სამხედრო ხელოვნება და შეიარაღებული ორგანიზაცია საკმაო სპეციფიკურობით ხასიათდებოდა. „ძეგლი ერისთავთას“ რამდენადმე ასწორებს ქართული წარსული წყაროების ამ ხარვეზს. მის ფურცლებზე აღწერილი სამხედრო-ისტორიული ფაქტები მთიელთა სამხედრო საქმეზე და მათი ბრძოლის ფორმებზე მოგვეთხრობენ. ამ მხრივ „ძეგლის“ ცნობები უნიკალურია. ქართულ საისტორიო მწერლობაში სხვა ამდაგვარი წყარო არ მოიპოვება.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, „ძეგლი ერისთავთადან“ მოჩანს, რომ ქართლის მთიანეთში სამხედრო სამსახური ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცზე ვრცელდებოდა. ეს იყო ის „ერი“, რომელიც ბარში დიდი ხნის წინ მოისპო. განვითარებული ფეოდალიზმი გამორიცხავს „წვრილი ერის“ ლაშქარში მონაწილეობას. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი“:

რაც ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს;
მუშა მიწყვი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.

ცხრაზმისხევეში, „ძეგლის“ მიხედვით, თავდაპირველად დაახლოებით იგივე მდგომარეობაა, რაც მეზობელ თემებში. მართალია, მატიაწე ყრუდ ახსენებს აზნაურებისა და ციხისთავის არსებობას ცხრაზმისხევეში ბიბლიურთა მოსვლამდე. მაგრამ რეალურად ეს აღრინდელი აზნაურები არსად ჩანან. ცხრაზმელთა თავკაცებად, იმ პირებად, ვისაც ერის სახელით შეუძლიათ ლაპარაკი, ჩვენ ვხედავთ ლარავისის მამასახლისის — გუგაკ ხუციანდაბის-ძეს და ეკლესიის კლიტემპყრობელს. აზნაურები არ ჩანან არც სახალხო კრებაზე, არც ლაშქრობაში, რაც გამორიცხული იქნებოდა, იმ დროის ცხრაზმისხევეში ისინი მართლა რომ ყოფილიყვნენ. რაც შეეხება ციხისთავს, მატიაწეში აშკარად ჩანს, რომ მისი ადგილი ბიბლიურთა გამოჩენის დროს ვაკანტური იყო. ამიტომ იკავებს როსტომი უმტკივნეულოდ „ციხისთავისა ნაქონებ მამულებს“.

როგორც ჩანს, XIII ს-ის 20-იან წლებამდე, სანამ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლება ძლიერია და აქტიურად უტევს მთას, ცხრაზმისხევეში ციხისთავებიც სხედან და აზნაურებიც იკიდებენ ფეხს, მაგრამ ზვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევების შემდეგ ციხისთავობა მოიშალა. ცხრაზმისხევეში ხდება გვაროვნული ინსტიტუტების გამოცოცხლება, რაც ყოველთვის დაკავშირებულია ფეოდალიზმის უკან დახევასთან. XIII ს-ის შემდეგ ამ პროცესს ადგილი აქვს როგორც საქართველოს მთიანეთში (აფხაზეთში, სვანეთში და სხვ.), ასევე ჩრდილო კავკასიაში (დაღესტანში, დურძუქეთში, ოსეთში). ალბათ მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა ცხრაზმისხევესა და ზოგიერთ მის მეზობელ ხევეში. ჩვენი აზრით, ბიბლიურთა აღწევება სწორედ ამ შფოთიან დროს ხდება (XIII ს-ის შუა ხანები). მაშინ ამისათვის ყველა ხელსაყ-

რელი პირობა იყო შექმნილი. ამიტომ სწორად არ მიგვაჩნია პირველ ერის-
თავთა თანამედროვე მეფეების IX—X სს. და მით უმეტეს VI ს-ის მონარქები.
თან გავიგებთ.

რაც შეეხება პირველი ერისთავების შემდეგ 24 თაობის გამოცვლის
ცნობას, მისი ჩართვა მემკვიდრეობის დაჭირდა, რათა ერისთავთა ფეოდალური
უფლებები ქსნის ხეობასა და მის მეზობელ მხარეებზე რაც შეიძლება დაე-
ძველებინა. ჩვენი აზრით, როსტომ და ლარგველ ქვენიფნეველები ვირშელ
I-ის უახლოესი წინაპრები იყვნენ.

ამრიგად, „ძველი ერისთავთა“ საკმაოდ კარგად გვიჩვენებს ცხრაზმის
საერისთავოს — საქართველოს ერთ-ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერ-
თეულის წარმოშობას, რომელიც შემდგომში ქსნის ერისთავთა სათავადოდ
გადაიქცა. ქვენიფნეველთა გაერისთავება, როგორც ჩანს, ხდება XIII-ის შუა
ხანებში. მანამდე ცხრაზმისხევში სამხედრო დემოკრატიის ძლიერი გადმო-
ნაშთები იყო შემორჩენილი: ერი, მამასახლისი, სამხედრო ბელადის ინსტი-
ტუტი. საერისთავოს შექმნის შემდეგ თანდათანობით ხდება ამ ერის გადაქცე-
ვა საერისთავოს ლაშქრად. ერისთავთა ძალაუფლების ერთ-ერთი დასაყრდენი
მათი საგვარეულოს უმცროსი წევრებისაგან შემდგარი რაზმი იყო.

მთის ბუნებრივმა პირობებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განაპირობეს
აგრეთვე რიგი თავისებურებები მთიელთა ლაშქრის სტრუქტურასა და ბრძო-
ლის ფორმებში. ქართული წერილობითი წყაროებიდან ყველაზე კარგად ეს
„ძველი ერისთავთა“ მაგალითზე მოჩანს.

ქართული ფეოდალური ლაშქრის მთავარი ნაწილი ცხენოსანი ჯარი იყო.
იგი რიცხობრივადაც და თავის მნიშვნელობითაც აღემატებოდა ქვეითობას,
თუმცა ეს უკანასკნელი, როგორც ჯარის სახეობა, ქართულ ლაშქარში არასო-
დეს გამჭრალა და საპატიო ადგილიც ეჭირა. მაგრამ მთაში, სადაც მეცხენეო-
ბის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები არ იყო და, რაც მთავარია,
რთული რელიეფი ხელს უშლიდა კავალერიის მასობრივ გამოყენებას, მეომ-
რების დიდ ნაწილს ქვეითები შეადგენდნენ.

„ძველის“ ავტორი აღწერს რა განუწყვეტელ ომებს მთიელთა შორის,
არსად არ ახსენებს ცხენოსან ჯარს. მთიელთა კუთვნილი ერთი ცხენიც კი არ
მოჩანს მატთანეში თუ არ ჩავთვლით იმას, რომელიც მეფე ისტინიანემ აჩუ-
ქა როსტომს. ეს, რა თქმა უნდა, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ცხენები სა-
ერთოდ არ იყო მთაში. ერისთავს, მის აზნაურებს, ხევისთავ-ხევისბერებს და
უბრალო მეომრების ნაწილსაც, უეჭველია, ჰყავდათ ცხენები. მაგრამ მათ იყე-
ნებდნენ ძირითადად გადაადგილების დროს. ბრძოლას კი მეტწილად აწარ-
მოებდნენ ქვეითად, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ბუნებრივი პირობებით იყო
ნაკარნახევი. ბარიდან ამოსული ლაშქარიც მთაში ბრძოლისათვის იძულებ-
ულია ჩამოქვეითდეს. მაგ., თემურ-ლენგის მეომრები ვირშელის აზნაურებს
დაქვეითებულები ებრძვიან მას შემდეგ, რაც ცხენით ბრძოლაში დიდი ზარა-
ლი განიცადეს (გვ. 359). მთაში ქვეითად ბრძოლის უპირატესობაზე პირდა-
პირ მიუთითებს ჟამთააღმწერელიც, როდესაც დავით VIII-ის აჯანყებას აღ-
წერს: „უმეტეს მოისრვოდეს თათარნი, რამეთუ დიდად აენებდეს მთიულელ-
ნი, იყვნეს ფერკითა მალი, ცხენოსანი ვერ შეუფიქროდა საომრად, და ქუთითად
იბრძოდეს თათარნი“⁵.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით
ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 306.

ცხენოსანი ჯარისათვის მთაში მოძრაობაც კი გარკვეულ სირთულეს წარმოადგენდა, განსაკუთრებით, ზამთარში. მეფე გიორგის მადაროზე ლაშქრობისას, მეფის ლაშქარი „წარმოვიდეს გზასა მთისასა, რომელი იყო განყინებული. მამინ უმეტეს ევნო, რამეთუ ინჭრეოდა ცხენები“ (გვ. 349).

„ძველიდან“ მოჩანს რომ მთიელებს მთაში ურჩევნიათ ბრძოლა, მშობლიურ სტიქიაში. გორის ციხესთან მყოფი არაგველები, რომლებსაც, მათიანის ცნობით, შურდათ ვირშელის მეომრების სიმამაცისა, იმუქრებიან მათი მისამართით: „უკუეთუ ჰომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემებენ ჩუენ და იხილოთ, რომელნი უმჯობეს ვართ“ (გვ. 350). მთაში ბრძოლისადმი ასეთი უპირატესობის მინიჭება გამოწვეულია იმით, რომ მთიელთა სამხედრო ხელოვნება, პირველ რიგში, მთიან ადგილებში ომისათვის იყო მორგებული. ძველი ქართველი ისტორიკოსებიდან ეს შენიშნული აქვს ვახუშტის, რომელიც, მაგალითად, სვანების შესახებ ასე წერს: „ბართა შინა რაზმთა ვერ შემმართველნი, მათა სიმავრეთა და ციხეთა შინა მავარნი“⁶.

„ძველი ერისთავთა“ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის შეიარაღების შესახებ. მოხსენიებულია ხმლები, შუბები (მათ შორის, სატყორცნი შუბები), მშვილდისრები. საერთოდ, მოჩანს სატყორცნი იარაღის ფართოდ გამოყენება — „დაასხეს ქვაჲ და შუბი, მსგავსი წვიმისა“, „შეიქმნა სიმრავლე ისრისაჲ, ვითარცა სეტყუაჲ ვშირი“ და სხვ. (გვ. 35). ძალზედ ხშირი იყო საგორავების გამოყენება და თან დიდი რაოდენობით (გვ. 349, 351 და სხვ)⁷. რა ეფექტური საშუალება იყო ხევში მიმავალი ლაშქრის წინააღმდეგ საგორავი, ჩანს მეფე გიორგის ორგზის გალაშქრებიდან მადაროზე. პირველ ლაშქრობაში სამეფო სპას ისე „დიდად ევნო... ვიწროთა მათ ვეეთა სიმრავლეთა საგორვისაჲთა“, რომ მეორედ მეფემ მადაროზე დათოვლილი მთებით გადასვლა არჩია და გზაში, როგორც აღვნიშნეთ, ბევრი ცხენი გადაეჩეხა უფსკრულში.

დასაცავი აღჭურვილობიდან მოხსენიებულია ფარი, ჯაჭვი, ცხენის თორი. რაოდენ ძვირად ფასობდა საჭურველი, ჩანს იქიდანაც, რომ მეომრებს აბჯრები ურჩევნიათ ყველა სხვა სახის ნადავლს (გვ. 349).

„ძველში“ ვხედავთ და ეს სხვა წყაროებიდანაც არის ცნობილი, რომ ქართლის მთიანეთის მოსახლეობა, ისევე როგორც ქვეყნის სხვა კუთხეებისა, ბრძოლაში თემობრივი პრინციპით ეწყობოდა. ცხრაზმის ერისთავის ლაშქარი, როგორც ჩანს, ცალკეული ხეების სამხედრო ძალებისაგან შედგებოდა, რომლებიც საერისთავოს სპაში ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო და ამავე დროს, შესაძლებელია, ტაქტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ.

ბრძოლებში მთიელები ცალკე რაზმებად ეწყობიან. მაგალითად, არაგვის მთიულები ომში ლომისის მთაზე ორ რაზმად დგანან: „ერთსა მას ქედსა ცხავატელ-გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი და ერთსა მას კადელ-მოკვეენი და მიმდგომნი მათნი“ (გვ. 351).

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავდასხმის მოულოდნელობას. ამიტომ, ვხედავთ, რომ ადგილი ჰქონდათ ღამე თავდასხმებს და თავდასხმებს საფარი-

⁶ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 788.

⁷ საგორავი (საბას განმარტებით — „ლოდი დასაგორებელი“) სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ მთიდან დასაგორებლად გამოიყენებოდა. ვარდა ქვის ლოდებისა ამ დანიშნულებისათვის ზოგჯერ იყენებდნენ ხის ძელებსაც (იხ. ფარსადან გორგიჯანიძე, ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე, 1925, ნაწ. II, გვ. 303).

დან, დარტყმას ისეთი მხრიდან, საიდანაც მოწინააღმდეგე არ მოეღოს, და სხვ. (გვ. 348, 349, 351).

მატიანიდან მოჩანს თუ რა დიდს როლს ასრულებდნენ ციხეები. ბიბილურები დვალეთში და ცხრაზმისხევში დასახლებისთანავე ციხეების შენებას იწყებენ, რათა ომიანობის შემთხვევაში მტკიცე საყრდენი-თავშესაფარი გააჩნდეთ. „ძეგლის“ ავტორი არ ასხვავებს ერთმანეთისაგან ციხესიმაგრეს და ცალკე მდგომ კოშკს. ორივეს ციხეს უწოდებს, თუმცა, ჩვენი აზრით, მატიანეში მოხსენიებული ციხეების უმრავლესობა სწორედ საბრძოლო კოშკებია, რომლებიც დღესაც საკმაო რაოდენობით არიან შემორჩენილი ცენტრალური კავკასიონის ორივე კალთაზე. ამაზე მიუთითებს, ჯერ ერთი, მათი მრავალრიცხოვნება (ყოველ სოფელში რამდენიმე ციხე ჩანს) და მეორე, მათი შედარებით იოლად აღების ფაქტები: მაგ., შალვა ქვენიფნეველმა არაგვის ხეობაში ლაშქრობისას ერთი დღის განმავლობაში აიღო ცხრა ციხე, ხოლო ერთ კვირაში — ოცდახუთი. ვირშელმა დვალეთში ერთ დღეს რვა ციხე აიღო და სხვ. სამაგიეროდ საერისთავოს მთავარი ციხე-სიმაგრეები, რომლებიც აგებული იყვნენ იმდროინდელი ქართული საფორტიფიკაციო ხელოვნების მოთხოვნათა შესაბამისად და მთიელთა საბრძოლო კოშკებს ზომითა და დამცველთა სიმრავლით ბევრად აღემატებოდნენ, არც ისე ადვილად ასაღები იქნებოდნენ. ამიტომ დავით VIII იძულებულია ხანგრძლივ ბლოკადაში მოაქციოს ისინი, რათა მეციხოვნეები შიმშილით გატყდნენ (გვ. 349). მატიანეში გვაქვს ცნობა ციხეების აღებისა დამის იერიშითაც და სხვ. თავის მხრივ ციხეთა დამცველები აქტიურ თავდაცვას აწარმოებენ, ხშირად გამოდიან გარეთ და თავს ესხმიან მოალყეებს. მაგ. გრუელებს „სამ გზის მთამდის ჰომითა გამოესხნეს“ მათ სიმაგრეებზე მომდგარი ცხრაზმისხეველები (გვ. 344).

„ძეგლი ერისთავთა“ შეიცავს ბევრ საყურადღებო ცნობას XIII—XIV სს-ში ქართლის მთიანეთში მომხდარ ომებზე, რომელთა შესახებ სხვა წყაროები ან არაფერს ამბობენ, ან მეტად მწირ მასალას გვაწვდიან. განსაკუთრებით ჟღვრდა აქ მეზობელ თემებს შორის მიმდინარე ძმათამკვლელი შეტაკებების ამსახველი ფაქტები. ამ მხრივ პატიანე შეიძლება გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ შემდეგი სიტყვების ერთგვარ ილუსტრაციადაც გამოვიყენოთ — „დიდი უსამართლო და მძლავრებულობა ქმნილი იყო ერთმანერთსა ზედა და სისხლის სიმსუბუქისათვის“ ადვილი ჩანდა ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა“⁸. „ძეგლი ერისთავთაში“ ვხედავთ, რომ ქსნელ და არაგველ მთიულებს შორის ხშირად ხდებოდა შეიარაღებული შეტაკებები. მათი აღწერისას მემატიანე ტენდენციურობას ამჟღავნებს თავისი ხევის სასარგებლოდ და ამიტომ მის ცნობებს კრიტიკულად უნდა მოვეყიფოთ.

„ძეგლი ერისთავთას“ შემორჩენილ ნაწილს თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს აგრეთვე დვალეებისა და ქვენიფნეველების მტრობის ამბავი. ქსნელებისა და არაგველების ბრძოლისაგან განსხვავებით, რომელიც მთაში პირველობისათვის მიმდინარეობდა, ერისთავების პოლიტიკა დვალეების მიმართ არის სათავადოდ ჩამოყალიბების გზაზე მდგარი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის სწრაფვა დაიმონოს უფრო ჩამორჩენილი, ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების საფეხურზე მყოფი ხალხი. ეს ბრძოლა თავისი არსით კლასობრივია და ამიტომ მეტად სასტიკ და უკომპრომისო ხასიათს ატარებს. მემატიანეს სურს, რომ დამნაშავე მხარედ დვალეები წარმოაჩინოს, თითქოს ერისთავთა დამსჯელი ლაშქრობები მხოლოდ პასუხი იყო მათ მტრულ მოქმე-

⁸ ს. კაკაბაძე. ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალისა. ტფ., 1913, გვ. 4—5.

დებებზე. რა თქმა უნდა, ბრძოლაში ინიციატივა ზოგჯერ დვალებს ეკუთვნის. დათ, მაგრამ მთლიანობაში აშკარად ჩანს, რომ შემტვევი მხარე საერისთავოა. „ავაჯროთ ქუეყანაჲ მათი და ანუ შეეკმნნეთ მსახურ და მობეგრედ ჩუენდა“, მოუწოდებს ვირშელ III თავის მეომრებს დვალეზე გამხედრების წინ (გვ. 356). „ძეგლი ერისთავთა“ გვიჩვენებს, რომ სამხედრო უპირატესობა ყოველთვის საერისთავოს ლაშქრის მხარეზეა, რაც, უდავოდ, გამოწვეული იყო მისი უკეთესი აღჭურვილობითა და ორგანიზაციით. ამიტომ დვალეები „ლაშქართან“ შირისპირ შებმას გაუბრძან. თავს ესხმიან ან ღამით, ან იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნებული არიან თავის რიცხობრივ უპირატესობაში. გარდა ამისა, დვალეები ხელიდან არ უშვებენ შესაძლებლობას თავის სასარგებლოდ გამოიყენონ საერისთავოს პოლიტიკური მდგომარეობის ყოველი გართულება. მაგ., მათ ვხვდებით ცხრაზმისხევეზე ამხედრებული დავით VIII-ის ლაშქარში (გვ. 347), თემურ-ლენგის ჯარების შემოსევის დროს ისინი ცდილობენ ვირშელის მოკვლას (გვ. 359), და სხვ. დვალეები დამოუკიდებლადც ესხმიან თავს საერისთავოს, მაგრამ მათი თავდასხმები მძარცველურ ხასიათს ატარებენ, რაც საერისთავოს მთლიანობას არ ემუქრება და მხოლოდ განაპირა ტერიტორიებზე ვრცელდება (გვ. 353, 355, 356).

სამაგიეროდ, ერისთავები გეგმაზომიერად ახორციელებენ დვალეების დამორჩილებას. მათი ლაშქარი ღრმად იჭრება დვალეთის ხევეებში და სასტიკად უსწორდება მოსახლეობას წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში. სისტემატურად ხდება დვალთა ციხე-კოშკების დანგრევა, რადგანაც ისინი მთიელთა თავისუფლების სიმბოლო და დასაყრდენი იყო ფეოდალებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით დაწვრილებით არის აღწერილი „ძეგლი ერისთავთაში“ ვირშელ III-ის დიდი ლაშქრობა დვალეთ-მთიულეთში 1390-იანი წწ. მეორე ნახევარში. დასაშვებია, რომ „ძეგლის“ ავტორი ამ ლაშქრობის უშუალო მონაწილე იყო. მისი ცნობით, ერისთავმა გალაშქრების წინ სიტყვით მიმართა თავის მეომრებს და ამცნო მათ ექსპედიციის მიზანი. ერისთავის ძლიერმა ლაშქარმა ჯერ ლიახვის ზემოწელზე მცხოვრები დვალეები დაიმორჩილა, შემდეგ კი თრუსოში გადავიდა. თრუსოელებმა ვირშელს დახმარება სთხოვეს მნაელებთან ბრძოლაში⁹. ერისთავის ლაშქარმა გამაგრებული სოფელი მნაიერიშით აიღო. ამის შემდეგ ვირშელი ძალთა დემონსტრაციას აწყობს ხევე-მთიულეთში. მისი ლაშქარი კობამდე დაეშვება და იქიდან არაგვის ხეობაში გადმოდის. შესაძლოა ვირშელმა მილიონის რთული უღელტეხილით ისარგებლა, რადგანაც მისი მხედრობა ხადის ვაკეზე აღმოჩნდა¹⁰, საიდანაც ლომისას გზით ცხრაზმის საერისთავოში ბრუნდება (გვ. 356—357).

ვასაკვირი არ არის, რომ მატიანის ავტორი ცდილობს მუდამ ერისთავების გამარჯვებები გვიჩვენოს და ისინი მართალი საქმისათვის მებრძოლებად წარმოაჩინოს. ფეოდალური ხანის ყოველი წარატიული ქრონიკა რომელიმე მეფის, დინასტიის ან წარჩინებული საგვარეულოს განსაზღვრულად იწერებოდა. „ძეგლი ერისთავთა“ რომ ერთგვარ ტენდენციურ ხასიათს ატარებს, ადვილი მისახვედრია თუ მას უამთაღმწერლის ცნობების იმ ადგილებს შევუდ-

⁹ თრუსო დვალეებით იყო დასახლებული, მაგრამ ამ დროს უკვე დაწყებული ჩანს ამ ხეობაში ოსების ჩამოსახლება, რაზეც მიუთითებს მნაელი ბელადების სახელები: ფარეჯან, ბალათარ და სხვ. მტრობა თრუსოელთა და მნაელთა შორის გვიჩვენებს, რომ ოსთა ჩამოსახლება ყოველთვის მშვიდობიანი არ ყოფილა.

¹⁰ ხადის ვაკე უნდა იყოს ხადის მინდორი — ყველაზე ვრცელი ადგილი შუაგულ ხადის ხეობაში (იხ. ჯ. გვასალია, გ. გიორგაძე, მ. სურამელიაშვილი, ლ. ქურდულია. ხადის ხეობა. თბ., 1983, გვ. 8).

რებთ, სადაც დავით VIII-ის აჯანყებაზეა საუბარი. ჟამთააღმწერლის მიხედვით, მონღოლებთან მეტროპოლი დავითი არაგვის ხეობაშია გამაგრებული. იქ შესულ თათრებს შალვა ქვენიფნეველი მიუძღვის წინ. თათრები ვერ ახერხებენ მთიელების დამარცხებას და უკან იხევენ. მეფე ორგული ქვენიფნეველის დასასჯელად ცხრაზმისხევში ჩაღვება და ერისთავის მამულებს არბევს. შალვა იძულებულია თავზე ნაცარგადაყრილი ეახლოს დავითს და პატიება ითხოვოს¹¹.

„ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ამ ამბებს სხვანაირად გადმოგვცემს. მისი ცნობით, დავითი ტახტის უზურპატორია და შალვა კანონიერი მემკვიდრის, ვახტანგის ინტერესების დასაცავად იწყებს ბრძოლას (რაც სწორი არ არის). დავითი ცხრაზმისხევის ციხეებს შემოიწყობა, მაგრამ მეციხოვნეები მუდგარ წინააღმდეგობას უწევენ. ძეგლის ავტორი დავითის ლაშქარში ძთიულების და დვალელების გარდა მუხრანის, კახეთის და შირვანის თათრებსაც ასახელებს, რაც ისევ უზუსტობაა. აქ მემატინან წინააღმდეგობაში ვარდება. ერთი მხრივ აღნიშნავს რომ ვახტანგი და შალვა მონღოლთა მხარდაჭერით სარგებლობენ, მეორე მხრივ კი მონღოლები დავითის ლაშქარში შეჰყავს. „ძეგლში“ არავითარი ცნობა არ არის შალვას მიერ თავზე ნაცრის გადაყრისა. პირიქით, იგი წარმატებით ებრძვის დავითს და არაგვის ხეობაში ციხეებს ლეწავს (გვ. 350—351).

როგორც ვხედავთ, ავტორი ცდილობს თხზულების შემკვეთთა წინაპრების საქმიანობა მაქსიმალურად შეაღამაზოს. ამასთან მის თხრობაში ბევრი საინტერესო ცნობა გვხვდება, რაც ჟამთააღმწერელს არ შეუტანია თავის ნაშრომში. მაგ., დავით VIII-ის ცხრაზმის საერისთავოში ლაშქრობის დეტალები. შალვას მიერ ხადაში ციხეების აღებაც არ უნდა იყოს გამოგონილი. მხოლოდ, სავარაუდოა, რომ ამას ადგილი ჰქონდა დავითის ცხრაზმისხევში გალაშქრებამდე და არა მის შემდეგ.

ამრიგად, გასსხვაგვებანი „ძეგლი ერისთავთას“ და ჟამთააღმწერლის ცნობებს შორის არც ისე დიდია. პირიქით, ქართული საისტორიო მწერლობის ეს ორი ძვირფასი ძეგლი მნიშვნელოვნად ავსებს ერთმანეთს.

სრულიად ორიგინალურ ცნობებს შეიცავს „ძეგლი ერისთავთა“ ქართლის მთიანეთში თემურ-ლენგის ჯარების შემოსევის შესახებ 1400 წ. ამ ცნობებიდან ვხედავთ, რომ ვირშელ ერისთავი მტრის დასახვედრად საგულდაგულოდ მომზადებულია. დედაწული და ხიზანი მან ქნოლოს გაგზავნა, თვითონ კი თავისი ლაშქრით ბეხუშის ციხესთან დაიკავა პოზიცია (გვ. 359). ამ ადგილის არჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. პატარა ლიახვის სათავეში მდებარე ხევი ქნოლო საერისთავოს მიწებიდან ყველაზე უფრო მეტად არის დაცობილი იმ ადგილებს, საიდანაც მოსალოდნელი იყო თემურის შეტევა. ქნოლოს მიდამოებში არსებული უმდიდრესი საძოვრები გამოკვებადნენ გახიზნულ საქონელს. სამხრეთიდან კი ქნოლოს მისადგომ ვიწრო ტყიან ხეობას და მთის ბლიკებს საიმედოდ ჰკეტავდა სიმაგრეთა მთელი სისტემა, რომლის მთავარი კვანძი იყო ბეხუშის ციხე¹².

იქ გამართული ბრძოლები საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი „ძეგლში“. ვხედავთ, რომ ვიწრო ხეევებში თემურის მხედართმთავრებმა, ვერ

11 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 307.

12 ბეხუშის ციხე მდებარეობდა ჩაბარხის ხევის პატარა ლიახთან შეერთების ადგილას (იხ. ჯ. გვასალია. ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, III, თბ., 1967, გვ. 48).

გამოიყენეს თავისი ძალების რიცხოვრივი უპირატესობა. მტრის ცხენოსანმა ჯარმა დიდი ზარალი განიცადა ქართველი მშვილდოსნებისაგან და იძულებული შეიქნა დაქვეითებულიყო. ბოლოს თემურის წინამბრძოლებმა, რომლებმაც ველარ გაუძღეს შმაღლახმალ ბრძოლას, პირი იბრუნეს და მთელი ლაშქარიც მათ მიჰყვა (გვ. 359). ომში ქართველებმაც სერიოზული ზარალი ნახეს. ეს მოჩანს მემატანის სიტყვებიდან, რომ ვირშელმა „შეჰკრიბა ლაშქარი, რომელიც დაჰრჩომოდა“ (გვ. 360).

ორიოდე სიტყვა ცხრაზმის საერისთავოში თემურ-ლენგის ჯარების შესევების ლოკალიზაციის შესახებ. საერისთავოს ტერიტორია მტკვრის მარცხენა შენაკადების — ქსნის, ლეხურას, მეჯუდასა და პატარა ლიახვის, ზემოწელს მოიცავდა, რომელთა შორის ტყიანი ქედებია ჩამოწოლილი. სავარაუდოა, რომ თემური, ჩვეულებისამებრ, ცალკეულ რაზმებს გაგზავნიდა ხეობებში აღმა ასასვლელად. როგორც ჩანს, მტერს არც ერთი ამ მდინარეთაგანის სათავეებამდე არ აუღწევია, ვინაიდან „ძეგლი ერისთავთაში“ მოხსენიებული დარბევას გადარჩენილი პუნქტები სწორედ იქ მდებარეობენ. სავარაუდოა, აგრეთვე, რომ საერისთავოს მოსახლეობა შედარებით ნაკლებად დაზარალდა თემურ-ლენგის ჯარების თარეშისაგან, რადგანაც დროულად მოასწრო დახიზვნა. „ძეგლი ერისთავთა“ აღნიშნავს მხოლოდ შენობების დანგრევასა და ქვეყნის აოხრებას. საერისთავოზე დაძრული ლაშქრის მთავარ ძალებს თემური პატარა ლიახვის ხეობაში გაგზავნიდა, ვინაიდან მოლატეებისაგან (ბურდიას შვილი და სხვ.) ეცოდინებოდა, რომ ამ მდინარის სათავეებში იმყოფებიან კათალიკოსი, ერისთავი და დიდძალი ხიზანი და საქონელი.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, „ძეგლი ერისთავთაში“ შემოგვინახა კიდევ ერთი სურათი ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა თემურ-ლენგის ურდობის წინააღმდეგ.

ბეჭუმის ციხესთან ბრძოლების დამთავრების შემდეგ ვირშელ ერისთავი ქნოლოში ავიდა დედაწულის მოსანახულებლად და იქ დვალებმა სცადეს მისი მოკვლა, რადგან ჩათვალეს, რომ საამისოდ ხელსაყრელი მომენტი დაუდგათ (გვ. 359). მართალია, ერთგული კაცის მიერ გაფრთხილებული ერისთავი მტერს გადაუორჩა და შეთქმულების ორგანიზატორებიც ამოხოცა, მაგრამ დვალების ეს აქცია თემურ-ლენგთან ომის დროს საქართველოს სამეფო კარზე, როგორც ჩანს, ჩათვლილ იქნა საერთო-საქვეყნო საქმის დალატად და გადაწყდა მათი სამაგალითოდ დასჯა.

როგორც კი თემური საქართველოს გაეცალა, ლიახველ დვალებს საში მხრიდან შეესია ლაშქარი. ქვემო დვალების დარბევას თვით გიორგი VII ხელმძღვანელობდა. ლიახვის სათავეების მახლობლად მდებარე ხოჯას არაგველებმა შეუტყეს, ზოლო ცენტრიდან ვირშელმა მიაყენა დარტყმა და მივიდა როკამდე, სადაც თავდებოდა მადრან-დვალეთი და იწყებოდა ქვემო დვალთა ტერიტორიები (გვ. 360—361). დვალეთის დარბევისა და იქ ნაშოვნის აღაფის აღწერაზე წყდება „ძეგლი ერისთავთაში“ ტექსტი¹³.

13 ლიახვის ხეობის აოხრება, ცხადია, თემურთან უთანასწორო ბრძოლებში სისხლისაგან დაცილილ საქართველოს ინტერესებს არ შეესაბამებოდა და ამ შემთხვევაში გიორგი VII-ს ვერ გავამართლებთ. დვალები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ არ გამოსულან. ისინი შეეცადნენ თავიდან მოეცილებინათ საქულველი მტერი, რომელსაც არაერთხელ ცეცხლითა და მახვილით გადაუვლია მათ სოფლებზე. დვალების დასჯა, ჩვენი აზრით, მეფისა და ქართველი ფეოდალების მხრივ ცხრაზმის ერისთავისადმი კლასობრივი სოლიდარობის გამოვლინება უფრო იყო, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური აუცილებლობით ნაკარნახევი ღონისძიება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, „ძეგლი ერისთავთა“ შეიცავს მეტად საყუ-
რადლებო და მრავალმხრივ ცნობებს საქართველოს სამხედრო ისტორიის შე-
სახებ XIII ს-ის დასასრულიდან XV ს-ის დასაწყისამდე. ხოლო ქართლის
მთიანეთის სამხედრო საქმის ისტორიისათვის კი მისი ცნობები წამდვილად
უნიკალურია და ამ მხრივ მას ვერც ერთი სხვა წერილობითი წყარო ვერ შე-
ედრება.

Г. З. АНЧАБАДЗЕ

«ПАМЯТНИК ЭРИСТАВОВ» КАК ИСТОЧНИК ПО ИСТОРИИ ВОЕННОГО ДЕЛА В НАГОРНОЙ ЧАСТИ КАРТЛИ

Резюме

Родовая хроника Ксанских эриставов — «Памятник Эриставов» (нач. XV в.), является единственным грузинским нарративным сочинением, которое посвящается, исключительно, истории горной части страны, в частности, Картлийскому нагорью. Поэтому это сочинение занимает особое место среди других грузинских нарративных источников описывающих, преимущественно, историю низинных районов страны и не уделявших достаточного внимания горным областям. Между тем, как известно, горные области Грузии отличались от низин существенной самобытностью и своеобразием, в том числе, и в развитии вооруженной организации и военного искусства.

В «Памятнике Эриставов» на примере Цхразмисхеви и рода-Бибилури-Квенипневели видно как протекал процесс превращения родо-племенной военной знати в феодальную аристократию и как ра нее единый «эри» («народ-войско») распадается на феодальное «лаш-кари» («воинство») и «цврили эри» («мелкий люд»).

Из памятника можно извлечь интересные данные о вооружении, организации и структуре горских войск. Большое место уделено описанию боевых действий: столкновениям цхразмийцев с жителями соседних ущелий, походам эриставов на племена вольных горцев, борьбе с монголами и полчищами Тимура. Автор памятника, как видно, является очевидцем некоторых описываемых им военно-исторических фактов.

Как первоисточник по военной истории горной Грузии конца XIII — начала XV вв. «Памятник Эриставов» бесспорно уникален и в этом отношении с ним не сравнится ни один письменный источник.

თინათინე ყაუხჩიოვილი

ბერძნული ფრესკული ისტორიული წარწერები სამეგრელოში

საქართველოში დაცულ ბერძნულ ფრესკულ წარწერათა ერთი ნაწილი ისტორიული ხასიათისა და მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით ბაზას უექველად გაამდიდრებს.

სამეგრელოს ტერიტორიაზე ბერძნული ისტორიული ფრესკული წარწერების თვალსაზრისით საინტერესოა სამი ძეგლი: წალენჯიხის, ხობის და მარტვილის ტაძრები.

1. წალენჯიხის მაცხოვრის ტაძრის მხატვრობა სწორედ წარწერებში მოხსენიებული ისტორიული პირების მიხედვით ზუსტად არის დათარიღებული.

ეკლესიის დასავლეთის თაღის სამხრეთ-დასავლეთის სვეტის დასავლეთის ფართო წახნაგზე შესრულებულია ლამაზი ასომთავრული 15-სტრიქონიანი ბერძნული წარწერა. მისი ჩემ მიერ დადგენილი წაკითხვა ასეთია:

+ [Δ] ἐησι[ς τος] δονλου τος θ[εος] και || ἀμαρτωλον Μανουηλ τος Εὐγεν-
[ι] || και και ζωγράφου τος σε[ορήσαν] || τος τὸν ναὸν ἔτισε [ον και] || ἐλθόντος
ἀπὸ τῆς [Κωνσταν] || τηγόπολις ἦν[ου... μο] || ναχὸς ἔστειλε [....] || τος κὸς-
μου ἔ[νεκα δ...] || Βάμεκ ὀνόματι. τῶν [θὲ μοναχῶν] τὰ ὀνόματα ταῦτα: Κο-
[παλία] || ὁ Μαχαρεβέλης και Ἄν[δρονί] || κος ὁ Καπιτωλὰς και ὁ [βλέπων]?
[δρῶν]? || τῆς γραφῆς ταύτης ἀσέσε[σαι]? || μὲν τος ἀμαρτωλον π[άν] || τω
τῶν χριστιαν[ῶν]. [ἀμήν].

ქართული თარგმანი: „ქ. ვედრება ღვთის მონისა და ცოდვილისა მანუელ ეგ-
გენიკოსისა, მხატვრისა, რომელმაც მოხატა ეს ტაძარი კონსტანტინობოლიდან
მოსულმა, სადაც გაგზავნა ბერმონაზვნები ამ ტაძრის შესამკობლად [ერის-
თავთაერისთავმა?], რომლის სახელია ვამეყ, ხოლო წარგზავნილ ბერმონაზონ-
თა სახელებია: ქობალია მახარებელი და ანდრონიკე გაბისულავა¹. ხოლო ვინც
ნახოს ეს მხატვრობა, ჩემი, ქრისტიანთა შორის ცოდვილისა, შემიწყნაროს (?).
ამინ“².

ჩრდილოეთისა და სამხრეთის სვეტებზე არის თითო ფრესკული ქართუ-
ლი წარწერა. არსებითად ორ ქართულ წარწერაში ის წერია, რაც არის ამ ერთ
ბერძნულ წარწერაში. ვამეყ დადიანის ბრძანებით (და ეს იქნებოდა 1384—
1396 წლებში, როდესაც ვამეყი მთავრობდა), ბერმონაზვნებს — მახარებელ
ქვაბალიას (ქობალიას) და ანდრონიკე გაბისულავას კონსტანტინობოლიდან
ჩამოუყვანიათ მხატვარი კირმანუელ ეგგენიკოსი წალენჯიხის მაცხოვრის სა-
ხელობის ეკლესიის მოსახატავად.

1 ტექსტის საკუთარი სახელები შეესებულება ამავე სვეტის და ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ
სვეტის ქართული წარწერების მიხედვით.

2 შესაძლოა „ამინ“ ეწერა სამჯერ. ადგილი ამის შესაძლებლობას იძლევა. აქვე შესრუ-
ლებულ ქართულ წარწერებში „ამინ“ სამჯერ არის ზედიზედ ტექსტის ბოლოს.

აღნიშნულ ბერმონაზონთა როლი მხოლოდ მხატვრის ჩამოყვანა იყო, თუ მათ მხატვამიც მიიღეს მონაწილეობა, მთლად ნათელი არ არის.

ხელოვნებათმცოდნე ჰ. ბელტინგი მხატვრობის ანალიზისას მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფრესკათა ეს ფენა რამდენიმე ავტორის ხელითაა შესრულებული³. რადგან ჩამოყვანილი მხოლოდ ერთი მხატვარი ჩანს, სავარაუდოა, რომ დანარჩენი მხატვრები ადგილობრივნი იყვნენ. ადგილობრივ მხატვართა მონაწილეობას მოწმობს ფრესკებზე ქართული და ბერძნული წარწერების პარალელურად არსებობა. ისევე, როგორც კირმანუელი თხოულობს შენდობას მათგან, ვინც მის მხატვრობას იხილავს, ასევე ქვაბალია და გაბისულავა ჩრდილოეთის სვეტის ქართულ წარწერაში მაცხოვარს ხსნას შესთხოვენ (რისთვის? მხოლოდ იმისთვის რომ მხატვარი ჩამოიყვანეს?) მშენებელთა, კალატოხთა, ხელისუფალთა (მოხელეთა) და მზარეულთა შენდობასთან ერთად. ამ სიაში მხატვარზე ცალკე არაა ლაპარაკი, ვფიქრობ, კირმანუელის თანაშემწეები, ქართველი მხატვრები, ეს ბერმონაზვნები იყვნენ.

ვაშეყ I დადიანის მოღვაწეობის შესახებ სხვა ქართული წყაროებიც მოგვებოვება (მაგ., ხობის მონასტრის ლაპიდარული ქართული წარწერა), მაგრამ წალენჯიხის ბერძნულ ფრესკულ წარწერას თავისი მნიშვნელობა აქვს სამეგრელოს ისტორიის გარკვეული მონაკვეთისათვის.

ამ ბერძნული წარწერის საფუძველზე სრულიად ნათელია ის ურთიერთობა, რაც ვაშეყ დადიანს, ერისთავთაერისთავსა და მანდატურთუხუცესს (როგორც მას ქართულ წარწერებში ეწოდება) აქვს ბიზანტიასთან. მას შეუძლია კონსტანტინოპოლში თავისი კაცების გაგზავნა და იქიდან ბერძენი მხატვრის ჩამოყვანა. წარწერის საფუძველზევე ნათელია თვით ამ კაცების, ბერმონაზვნების შესაძლებლობანი — ისინი კიდევაც თუ არ არიან მხატვრები, სრულიად შესაფერისნი არიან დესპანობისათვის (ამ როლში, ალბათ, ნებისმიერი პირი არ ივარგებდა). ამას გარდა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გვარები, ქობალია და გაბისულავა დღესაც გავრცელებულია სამეგრელოში, რაც მოწმობს იმას, რომ საქართველოში საუკუნეთა მანძილზე არა მარტო არისტოკრატიული გვარები იჩენდნენ გამძლეობას.

ამგვარად, წალენჯიხის XIV ს-ის ბერძნული წარწერა სხვა მასალებთან ერთად მნიშვნელოვანი წყაროა ვაშეყ I დადიანის ეპოქის შესასწავლად.

2. წალენჯიხის ტაძარშივე გვაქვს მეორე ბერძნული ისტორიული ღირებულების მქონე წარწერა.

ჩრდილო-აღმოსავლეთის სვეტის აღმოსავლეთის წახნაგზე გამოსახულია სასულიერო პირი, რომელსაც მაყურებლისთვის მარცხნივ აქვს ქართული ასომთავრული წარწერა, ხოლო მარჯვნივ — 5-სტრიქონიანი ბერძნული წარწერა, შესრულებული სრულიად განსხვავებული ხელით, ვიდრე ზემოთ ხსენებული კირმანუელის წარწერა. ბერძნული წარწერის ქვევით ისევ ქართული წარწერაა, მარცხენა მხარეს მოთავსებული წარწერის გავრძელება: აღდგენილი სახით ბერძნული წარწერა ასე იკითხება:

μνηστήρι [xნრ:ε] || τήν ψυχ[ήν] || τιν θένλιου || σου Εβδέναιος || ἀρχιερέως
[უნდა იყოს: ἀρχιερέως].

ბერძნული წარწერის თარგმანი ასეთია: „უფალო, მოიხსენე სული მონისა შენისა ევდემონ მღვდელმთავრისა“. იმავე სვეტზე მოთავსებული ქართულ-

³ Le peintre Manuel Eugenikos de Constantinople en Géorgie: Cahiers Archeologiques, 28. Picard. 1979, გვ. 103—114.

ლი წარწერა უფრო ვრცელია: „უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისაო, შეიწყალე წალენჯიხელი. ევდემონს ჯაიანსა შეუღდოს ღმერთმან“... (მომყავს დადგენილი ფორმით).

ბერძნული წარწერა იხსენიებს ევდემონ მღვდელთმთავარს, ხოლო ქართულში ეს მღვდელთმთავარი წალენჯიხელია, მისი გვარია ჯაიანი. წალენჯიხელი მღვდელთმთავარი ევდემონ ჯაიანი იყო ლევან დადიანის დროის მოღვაწე, ე. ი. წარწერა დაახლ. XVII ს-ის შუა ხანისაა. თარიღის უფრო მეტად დაზუსტება ხერხდება ეკვდერის ქართული 1648 წლის წარწერით, სადაც ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ ეკვდერი მოახატვინა ეპისკოპოსმა (ასეთია მისი წოდება) ევდემონ ჯაიანმა. იგივე ევდემონ ჯაიანი იხსენიება იერუსალემის აღაპებში (№ 93). ევდემონ ჯაიანი წალენჯიხელობამდე დრანდელი ეპისკოპოსი ყოფილა⁴.

ამგვარად, ფრესკათა ერთი ფენა (ეკვდერში და შესაძლოა ცენტრალურ ნაწილშიც) ევდემონ ჯაიანის თაოსნობით გაკეთდა, რისთვისაც ის ასეთ საპატიო ადგილზე არის გამოსახული.

ფრესკათა იმ ფენაზე, რომელიც ევდემონის თანადროულია, გვაქვს ქართული და ბერძნული წარწერები, რაც ჩვეულებრივია ამ დროის მონასტულობისათვის, ამ ნიშნებით მხატვრის ვინაობის დადგენა არ ხერხდება, მაგრამ ის გარემოება, რომ XVII ს-ში უკვე არარსებული ბიზანტიის პირობებში ასე უხვად იგვხვდება ბერძნული წარწერები (ქტიტორისაც კი), მიუთითებს საქართველო-საბერძენეთის ურთიერთობის უძველეს დიდ ტრადიციაზე.

3. ხობის ტაძრის ბერძნული ფრესკული წარწერების შესწავლამ გამოავლინა კიდევ ერთი დოკუმენტი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის შესახებ, რაც აქამდე სამეცნიერო ლიტერატურაში არ ყოფილა ცნობილი.

სამხრეთის კედლის აღმოსავლეთის პირველ მონაკვეთში, ქვემოდან II რეგისტრში ხელოვნურად განადგურებული მამაკაცის გამოსახულების თავის მარცხნივ გამოყვანილია 4-სტრიქონიანი ბერძნული ასომთავრული წარწერა, რომელიც ამგვარია შეესების შემდეგ.

Νικόλαος ἐν Χω || β[φ...] στος ἡγίον || μεν[ος τ]ῆς ἀγίας || μονῆς ταντῆς.

ქართულად იგი ასე ითარგმნება: „ნიკოლოზ ხობელი, ამ წმინდა მონასტრის მარადმოსახსენებელი წინამძღვარი“.

რას სძენს ეს წარწერა ახალს მანამდე ცნობილ მასალას? რუსი ელჩების ჩანაწერების მიხედვით ცნობილი იყო, რომ მათ ლევან დადიანის კარზე 1639—40 წლებში ნახეს ხობის ეპისკოპოსი ნიკოლოზი. იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“ ნათქვამია, რომ ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი ერთ ხანს ხობისა და კორცხელის მონასტრების გამგებელი იყო. მოგვიანებით, 1657 წელს იგივე ნიკოლოზი ცოტა ხნით დას. საქართველოს ეკლესიის პატრიარქი კათალიკოსა⁵.

ბერძნული წარწერა, როგორც ჩანს, მაშინ არის იაკეთებული, როდესაც ის ხობის ეპისკოპოსი, თუ წინამძღვარია⁶. როგორც ჩანს, თავის ეპისკოპოსობაში ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა ხობის ტაძარს რაღაცა დიდი ღვაწლი დასდო. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გამოსახულება (ამჟამად განადგურებული) შე-

4 ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I. თბ., 1973, გვ. 292.

5 გ. აკოფაშვილი. ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე იბაბი. თბ., 1977.

6 იმავე ეპითეტით იხსენიება ნიკოლოზი ზუგდიდის მუზეუმში დაცულ დაფარების წარწერებშიც.

საბამისი ბერძნული წარწერით აქ არ გაკეთდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ მან ფრესკათა განახლებაზე იზრუნა და თავისი სახე და სახელიც ამ ფრესკებზე დატოვა.

4. მარტვილის ღვთისმშობლის ტაძარში ფრესკათა ნაწილი XV—XVI სს-ით არის დათარიღებული⁷. ფრესკათა სწორედ ამ ფენაზე არის ისტორიული მნიშვნელობის ორი წარწერა. ერთი მათგანი დაცულია ჩრდილო-აღმოსავლეთის მცირე აფსიდაში. წარწერის აქეთ-იქით ორი გვირგვინოსანი მამაკაცია გამოხატული. მარცხენა ხელში ორივეს ეკლესიის მკვეთი უჭირავს.

აღდგენილი სახით პირველი ოთხი სტრიქონი ასე იკითხება⁸:

Κω[ν]σταν[τίν]ος || βασιλεύ[ς] || ἔχου[σεν] τῆν || Κων[σταν]τήν

თარგმანი: „კონსტანტინე მეფემ ააგო ჭყონდიდი“.

ბერძნული წარწერა პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით გვიანბიზანტიური ხანისაა, იგი მნიშვნელოვანი დოკუმენტია ტაძრის ისტორიის თვალაზრისით.

ხელოვნებათმცოდნენი ამ ძეგლის თავდაპირველი აგების შესახებ სხვადასხვა აზრის არიან: ვ. ჩუბინაშვილი ფიქრობდა და ასაბუთებდა, რომ ძეგლი VII ს-ში აიგო, ხოლო X ს-ში გადაკეთდა (და შემდეგ სხვადასხვა საუკუნეებში მოხდა მისი სახის ცვლა), ხოლო შ. ამირანაშვილის აზრით, მარტვილის ტაძარი პირველად X ს-ში აშენდა (და შემდეგ თანდათანობით მოხდა მისი გადაკეთება⁹).

ხუროთმოძღვრების შესახებ მე მხოლოდ სპეციალისტთა აზრების მოყვანა მმართვეს. რაც შეეხება საკითხის შესახებ წერილობით წყაროებს (ხელოვნებათმცოდნეთა მიერ, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულს), ასეთია „მატიანე ქართლისაჲ“-ში დაცული ცნობა: გიორგი II აფხაზთა მეფემ „ლაშენა საყდარი ჭყონდიდსა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა წმინდათა მარტულთათა“ (ქ ც, I, გვ. 265).

გიორგი II აფხაზთა მეფე, თანამედროვე ოფიციალური ქრონოლოგიის მიხედვით, 922—957 წლებში მოღვაწეობდა.

ბერძნულ წარწერაში ეკლესიის მაშენებლად კონსტანტინე არის ხსენებული. ეს კონსტანტინე, თუ ფრესკაზე გამოსახულ ორი მამაკაცის ფიგურას გაცივთვალისწინებთ, უნდა იყოს გიორგის მამა, იმავე „მატიანის“ კონსტანტი აფხაზთა მეფე (893—922 წ.წ.), რომლის მიერ ეკლესიათა მშენებლობაზე „მატიანეში“ არაფერი წერია.

ამდენად, როდესაც არ უნდა იყოს აშენებული თავდაპირველად მარტვილის ტაძარი, „მატიანე ქართლისაჲ“-ს და ბერძნული წარწერის მიხედვით ის უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზთა მეფეებს, კონსტანტინესა და გიორგის, მასზე ღვაწლი ჰქონიათ და XV ს-ში (და შემდეგ) ამ ტრადიციის ძალა ძლიერია, ისევე ხატავენ (ან აახლებენ) ამ მეფეთა გამოსახულებებს შესაბამისი წარწერით. აღსანიშნავია ის, რომ ზემოთ მოყვანილ ბერძნულ წარწერაში გიორგი არაა ხსენებული, ხოლო ამ გამოსახულებებს სხვა წარწერები შერჩენილი არა აქვთ. ზომ არ დაიწყო ეს საქმიანობა კონსტანტინემ და დაამთავრა გიორგიმ?

⁷ Д. Гордеев. К стилистической характеристике Мартвильской росписи: Наук. зап. VI. Харьков, 1927, გვ. 357—364.

⁸ მეხუთე სტრიქონი არ მაქვს აღდგენილი, ყველა ის ვარიანტი, რაც ლიტერატურაში არსებობს, მიუღებელია.

⁹ Г. Н. Чубинашвили. Памятники типа Джвари. Тб., 1948, с. 51—59; შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961, გვ. 180, 182.

ბერძნულ წარწერაში ორი სიტყვა იპყრობს ყურადღებას: *ἔχθισεν* და *Κονδι-*
δτην. ძვ. ბერძნ. *κτιζω*, საშ. და ახალი ბერძნულის *χτιζω* (აქედან აორისტი
ἔχθισεν) ბერძნული ენის განვითარების ყველა საფეხურზე ნიშნავს
„აშენებას“, „შექმნას“. „განახლების“, „აღდგენის“, „გადაკეთებისათვის“ სხვა
ზმნებია დადასტურებული სხვადასხვა დროის სამშენებლო წარწერებში:
ἀνακαινίζω, ἀνακαινοῦν, ἀνορθοῖν, ἀναθεῶν, ἀποκαθιστάμαι და სხვა.

მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს შავიზღვისპირეთის 1427 წლის წარ-
წერიდან, სადაც შეპირისპირებულია *κτιζω* და *ἀνακαινίζω*: *...ναὸς ...ἐκτινίσθη...
παρὰ τοῦ... ἀρχιεπισκόπου... Ἰωάννου τοῦ ἱερολογιτη... ἀνακαινίσθη δὲ νῦν...
παρὰ τοῦ... μητροπολίτου... Δαμιανοῦ*¹⁰. „ტაძარი აიგო... არქიეპისკოპოსის,
იოანე აღმსარებლის მიერ, ხოლო განახლდა ახლა, მიტროპოლიტის დამიანეს
მიერ“.

ამგვარად, მარტვილის წარწერაში ხმარებული ზმნა იმის მათწყებელია,
რომ წარწერის შემსრულებლისათვის კონსტანტინეა ამ ქვეყლის მაშენებე-
ლი.

კონსტანტინეს აუშენებია *Κονδιδτην*. (ბოლოში *ν* — ბრუნვის ნიშანია).
ჩემამდე ზევრმა სპეციალისტმა ნახა ეს წარწერა (ექ. თაყაიშვილი, მ. ბროსე,
დ. ბაქრაძე, მურავიოვი) და ყველამ ეს დაწერილობა გაიგო როგორც „ჭყონ-
დიდი“, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს სიტყვა ამგვარად არ აღუდგენიათ.
ქართული „ჭყონდიდის“ საშ. ბერძნულად *Κονδιδτη*-თ გადმოცემა სრუ-
ლიად ბუნებრივია. იგივე სახელი („ჭყონდიდი“ და „ჭყონდიდელი“) უცხოელ
მოგზაურთა აღწერილობებისა და რელაციებში გადმოცემულია ასეთი ფორ-
მით: *Scondidi* (არქანჯელო ლამბერტი), *Scoindeliens* (დამპი), *Tschkoindeli*
(გიულდენშტენდტი).

დაწერილობა *Κονδιδτη* (იკითხებოდა — „კონდიდი“) საინტერესო
მონაცემია ბერძნული ფონეტიკისა და ქართული ბგერების ბერძნულად გად-
მოცემის თვალსაზრისით.

5. მეორე ბერძნული ისტორიული წარწერა მოთავსებულია მარტვილის
ტაძრის ჩრდილოეთის დიდი აფსიდის დას. კედელზე. ვფიქრობ, ეს წარწერა
მთელი აფსიდის გასწვრივ იყო ჩასმული ორ პარალელურ ხაზს შორის ორ
სტრიქონად. შემდეგ ჩიქოვანებმა XVII ს-ში ზემოდან ფრესკათა ახალი ფენა
დაახატეს, რაც ამჟამად მხოლოდ ერთ ადგილზე არის ამოტეხილი. ის, რაც
ამჟამად ჩანს, ძირითადად მთავრულია, ურევია ნუსხურის ელემენტები. იდენის
მიხედვით ეს ისეთივე დაწვერლობაა, როგორც იყო შესრულებული ზე-
მოთ მოყვანილი კონსტანტინე მეფის წარწერა, განსხვავება ისაა, რომ ხელი აქ
უფრო აკურატულია, ალბათ იმიტომ, რომ მეორე წარწერა ორ პარალელურ ხაზს
შორის არის მოქცეული და თან აფსიდის მორკალულობა აქ ნაკლებია.

ეს ფრაგმენტი აღდგენილი სახით ასე იკითხება: *...πτέρια(?) ψυχιά. ἐγὼ
παππᾶς Ἰωάννης Βάκτας καὶ Γιώργ[γ]ις...||δὲ ψυχιῆς σωτηριᾶς καὶ ἀφέσεως
τῶν ἁμαρτιῶν...*

თარგმანი: „სულიერად გამხნევებული (ფრთაშესხმული)? მე მამა იოანე-ვახ-
ტანგი და გიორგი... სულის საცხოვნებლად და ცოდვათა განტევისათ-
ვის...“.

¹⁰ В. В. Л а т ы ш е в. Сборник греческих надписей христ. времен. СПб., 1896, 83-78, № 70.



მოღწეული ფრაგმენტის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პირებმა, იოანე-ვახტანგმა და გიორგიმ, ეკლესიის შეკეთება-მოხატვაში მიიღეს მონაწილეობა. შესაძლოა ფრესკათა ის ფენა, რაც ჩიქოვანების მოხატულობის ქვეშაა, სწორედ ამათი ინიციატივით გაკეთდა და ამის გამო თხოულობენ სულს ცხოვნებას და ცოდვათა განტევებას (ეს ჩვეულებრივი ფორმულაა ამ ტიპის წარწერებში).

წარწერაში მოხსენიებულ პირთა შესახებ სხვა წერილობითი წყარო არ გამაჩნია. მქონდა ასეთი მოსაზრება გამოთქმული, რომ იოანე-ვახტანგი, სასულიერო პირი, ეკლესიის მამა, მღვდელი — ორი სახელის მატარებელია. მეორე სახელი Βάκτας — კარგად ცნობილი „ვახტანგის“ ბერძნული შესატყვისია. ფონეტიკური თვალსაზრისით Βάκτας და ვახტანგის დაკავშირება არ გამძნელდება¹¹.

ამ წარწერას ახალი სახელები შეაქვს მარტილის ტაძრის მოამაგეთა შორის, თეორიულად კი, როგორც ვთქვი, ის უნდა დაეუშვათ, რომ ფრესკათა ეს ფენა მათი თაოსნობით არის გაკეთებული.

დ. გორდევს ფრესკათა ეს ფენა ქართული სკოლის ნამუშევრად მიიჩნია. ბერძნული წარწერის ფრაგმენტი ამ დებულების სასარგებლოდ (ან უარსაყოფად) ვერაფერს იტყვის, რადგან რაიმესპეციფიკა გარდა, ვთქვათ, სახელის, ვახტანგისა) მას არ გააჩნია და ამ ტიპის წარწერები ამ დროისთვის იერთნაირად იწერება საბერძნეთშიც, ყირიმსა და საქართველოში, თუ მისმა შემსრულებელმა ენა იცის.

Т. С. КАУХЧИШВИЛИ

ГРЕЧЕСКИЕ ФРЕСКОВЫЕ ИСТОРИЧЕСКИЕ НАДПИСИ МЕГРЕЛИИ

Резюме

На территории Мегрелии сохранились греческие фресковые надписи XIV—XVII вв., имеющие значение исторических документов, которые должны быть использованы как источники для истории Грузии.

Греческая надпись конца XIV в. Цаленджихской церкви Спаса повествует о том, что по велению эриставтэристава Вамека Дадиани монахи Махаребели Кобалия и Андроник Габисулава привезли из Константинополя художника Мануила Евгеника, который при их помощи расписал церковь.

По данным надписи ясно, что Вамек Дадиани, правитель Мегрелии, активный политический деятель, поддерживал культурные связи с Византией, он мог пригласить из Константинополя художника и в его распоряжении находились лица, способные выполнить такую миссию.

Знаменательно и то, что фамилии монахов простолюдинов, Кобалия и Габисулава, распространенные и в нынешней Мегрелии, свиде-

¹¹ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. იოანე-ვახტანგის ბერძნული წარწერა.—საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, 1950, № 6, გვ. 393—395.

ტელსტუვოთ ო ტრადიციონო-ისტორიკოსო ოსტოიკოვოსი ნე თოლოკო არი-
სტოკრატიკოსო როდოვ.

ცალენჯიხოსო გრეკოსო ნადპისი XIV ვ. იკლესო ვაკონო დო-
კუმენტო დო იკლესო ეპოხი ვამეკი I დადიანი.

ვ ცალენჯიხოსო ცერკვი ნა სლოე ფრესოკ XVII ვ. იმეოსო იკლესო
იკლესო ცერკოვო ნო დეკლესო დო რიადო ს ნიმ გრეკოსო ნადპისი ს ოპო-
მინანიემ ევდემონო არქიერეი, თ. ე. ცალენჯიხოსო (ბოვშეო დრანდ-
სოკო) ეპისკოპო ევდემონო დჯაიანი. პო ეო ინიციიტივე ბოლ რასპი-
სან ოინი იკლესო პრიდელოვ ხრამო ი, პო ვეი ვიდიმოსი, ოინი სლოე ი ვ
ცენტრალური კლესო ცერკვი. ეპისკოპო ევდემონო დჯაიანი იკლესო ი პო
დრუგი დოკუმენტო. ცალენჯიხოსო გრეკოსო ნადპისი იკლესო ოი
ოინი სვიდეტელსტოვო ო სფერე ეო დეკლესო ნოსი.

ნიკოლაი ცოლოკაშვილი (ონ ჯე ნიკიფორ ირბახ) ზნიკლესო ნი
ფიგურა ვ ისტორიი XVII ვ. პო პისიშენნი იკლესო იკლესო იკლესო
ბოლ ვ სერედინე XVII ვ. ონ ვოკლესო ხობსოკო ი კორცხელსოკო ცერკვი.

ვ ხობსოკო მონასტერე ბოგომატერი ნად უნიკლესო ნოსი იკლესო
იკლესო მუჟსოკო ფიგურე ვიკლესო ნოვია, პო ლიტერატურე დო სიხ
პორ ნე იკლესო გრეკოსო ნადპისი ს ოპო მინანიემ ნიკოლაი, ნოსტო-
ტელე ხობსოკო მონასტერე. დანიი ნადპისი სვიდეტელსტოვო ო თო, კო
ბოვუკი ხობსოკო ეპისკოპო, ნიკოლაი ცოლოკაშვილი პოკლესო ო რე-
სტავრაციი პამიატნიკი ი ეო ფრესოკოვო როსპისი.

ვ მარტვილსოკო ხრამე ოსუნეიი ბოგოროდიციი ნა სლოე ფრესოკ და-
ტიროვანო მ XV—XVI ვვ. მუჟდო იკლესო იკლესო დო ოინი მუჟსოკო კორო-
ნოვანო ნი ფიგურე სოხრანილსო გრეკოსო ნადპისი, გლესოკი: ცარი კონ-
სტანტინი პოსტროილ ცკონდიდი. ოპო მინანუტი ვ ნადპისი კონსტანტინი იკლესო
იკლესო თე მ ჯე კონსტანტინო, ცარემ აბხაზსოკო (893—922 გგ.) იკლესო
იკლესო პო «ლეთოპისი კარტლი», ოცომ ცარი გეორგიი II აბხაზსოკო
(922—957 გგ.). პო სვიდეტელსტოვო თოი ჯე ხრონიკი, ცარი გეორგიი
პოსტროილ ცკონდიდსოკო ცერკოვო ი სდელა ოი ეპისკოპალური კაფედრეი.
კოგდო ბო ნი ბოლ პოსტროილ მარტვილსოკო ხრამ, პო სვიდეტელსტოვო
გრუზინსოკო ხრონიკი ი გრეკოსო ნადპისი ნადო პოლესოკი, კო კონსტანტინი
ი გეორგიი იმეი ოპრედელენო ოთნოსიე კო პოსტროიკე (პერესტროიკე?),
ო კემ სვიდეტელსტოვო იკლესო ფრესოკოვო იკლესო იკლესო, სნაბჟენნი სოოტ-
ვესტოვოკი ნადპისი.

მარტვილსოკო გრეკოსო ნადპისი იკლესო ზნიკლესო იკლესო
იკლესო დო ისტორიი მარტვილსოკო ხრამო ი აბხაზსოკო ცარი კონსტან-
ტინი ი გეორგიი.

ვ მარტვილსოკო ხრამე ნა ფრესოკო თე ჯე XV—XVI ვვ. სოხრ-
ანილსო ფრეგმენტო ბოლსოკო სტროიტელსოკო ნადპისი, გდო ოპო მინანუტი ოცომ
იოანი-ვახტანგი ი გეორგიი (ვოკლესო, ბოლი პერესილესო ი დრუგი ლი-
ცა), კი მ სტარანიემ ი ტრუდო, ვიდი, ბოლა რესტავრიროვანი ი რასპი-
სანი ცერკოვო, ჯა კო ონი პოსილი ო ბოგო «ო სპასენი დო სოქონი
პრეგრესიი».

ნაზვანო ნი ვ მარტვილსოკო ნადპისი ლიკო პო დრუგი პისიშენნი
იკლესო იკლესო იკლესო. გრეკოსო ნადპისი ვოვოდი ვ ისტორიი მარტ-
ვილსოკო პამიატნიკი ნოვო სპოდვიჟნიკოვ, ვნესიხი სოი ვიკლესო დო
ვოკლესო ვოკლესო იკლესო ოკლესო ხრამე.

ცისანა აბულაძე, ნოდარ შინგელია

ნამის „საქართველოს დაპყრობის წიგნი“

1639 წლის ზოპაბის ზავით დასრულდა ირან-ოსმალეთის საუკუნოვანი ომი. ზავის პირობები შეეხო საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ქურთისტანსა და ერაყს. აღმოსავლეთ საქართველო ირანის ვასალად იქნა აღიარებული, დასავლეთ საქართველო — ოსმალეთისად, და მაინც, შექმნილი საერთაშორისო ვითარება — უკრაინის წვერთება რუსეთთან და რუსეთის შავ ზღვასთან მოახლოება — მაღალი პორტას სამხედრო და ადმინისტრაციულ ძალებს განსაკუთრებით მგრძობიარეს ხდიდა დასავლეთ საქართველოს მიმართ. ასეთ პირობებში ვახტანგ V შაჰნავაზის მიერ იმერეთისა და ოდიშის ციხეთა დაპყრობა, აფხაზეთისა და იკურის მთავართაგან დიდი ძღვენისა და მორჩილების მიღება, და, რაც მთავარია, უფლისწულის, 14 წლის არჩილის იმერეთის მეფედ დასმა ოსმალეთმა ზავის პირობების დარღვევად მიიჩნია და თავის საქმეებში ირანის ჩარევად აღიქვა¹. სულთანი ახალციხელ ასლან-ფაშასაც გაუღიზიანებია, რომელსაც შაჰნავაზის ორგული ქართველი თავადებიც უბამდნენ მხარს². XVII ს-ის მეორე ნახევრიდან ახალციხის ფაშებს „აქუნდათ ბრძანება ყოველთა საქმეთა ზედა იმერეთისათა და მართვიდნენ ესენი“³, როგორც ვახუშტი წერს: „შეუძნდა ესე ასლან ფაშასა ახალციხისასა, რამეთუ არღარა ნებისა ქუეშე მისსა იყვნენ იმერნი, არამედ არჩილისასა, და ამისთვის დამართა წინაშე ხონაქრისა“⁴. შაჰის ვალის — შაჰნავაზის საქციელით აღშფოთებულმა მეჰმედ IV-მ „წარმოუვლინა დესპანი ყვენსა მეტყუელმან: არს ზავი ჩუენ შორის და აწ დაუპყრავს იმერეთი შაჰნაოზ მეფესა და უკეთუ გნებავს, ვბრძოთ ურთიერთსო“⁵. ამის შედეგი იყო, რომ შაჰმა თავისთან გაიხმო არჩილი: „შაჰნავაზ-ხანმა ხელი აიღოს ხსენებულ ოლქზე და არჩილ-ხანი იმ ხალხთან ერთად, რომელიც იქ ჰყავს დატოვებული, უკან გამოიწვიოს და რადგანაც ის ქვეყანა ოსმალეთის დიდებული ხელმწიფის ხელქვეითი [არის] და ზავი და კეთილსათნოება ამ ორ მხარეს (ე. ი. ირანსა და ოსმალეთს) შორის მტკიცეა, ამიტომ გაუშვეს ისინი და როგორც უნდათ, ისე მოიქცნენო“⁶. თავის მხრივ სულთანმა

¹ ვ. ფუთურიძე. მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. — მსკი, ნაკვ. 30. თბ., 1954, გვ. 402.

² ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ., 1975, გვ. 240—241.

³ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. წიგნში: ქართლის ცხოვრება, IV. თბ., 1973, გვ. 729.

⁴ იქვე, გვ. 837.

⁵ იქვე, გვ. 450.

⁶ ვ. ფუთურიძე. მოჰამედ თაჰერის ცნობები, გვ. 403.

სანაპირო ოლქების — ყარსის, ჩილდირისა და ერზერუმის ფაშებს ოსმალებ-
თის „უფლებების აღსადგენად“ იმერეთისა და სამეგრელოს დალაშქვრა უბრ-
ძანა. ქართულ წყაროებში ეს ლაშქრობა გაკვირთაა ნახსენები. უფრო მეტია
თქმული იმდროინდელ სპარსულ და ფრანგულ ნარატიულ ძეგლებში, თურ-
ქულში კი ეძღვნება ცალკე თხზულება სათაურით. فتحنامه نامی در حق کورجستان
„ნამის საქართველოს დაპყრობის წიგნი“. ავტორს, ჰასან-ალა ნამის, ამ ლაშქ-
რობის მონაწილესა და ერთ თავკაცთაგანს, იგი დაუწერია ყარსის გამგებლის
აჟუსუფ-ფაშას მითითებითა და თანადგომით და მისივე რჩევით სულთან მეჰ-
მედ IV-ისათვის მიუერთებია.

საცნობარო ლიტერატურაში⁷ თხზულების დაწერის თარიღად აღნიშნუ-
ლია ჰიჯრის 1071 წ. (=1661 წელს), რაც მთლად სწორი არ უნდა იყოს. ალაპის,
სულთან IV-ისა და ყარსის გამგებლის, ას-სეფდ აჟუსუფ-ფაშას შესხმისა და შე-
ქების შემდეგ საქმიანი თხრობა იწყება იმის აღნიშვნით, რომ ჰიჯრით 1071
წლის შევალის თვის დასაწყისში (=1661 წლის ივნისს) ყარსის გამგებლად
დაინიშნა ას-სეფდ აჟუსუფ-ფაშა, რომელსაც დანიშვნის დღიდან მხოლოდ მე-
სამე წელს მიეცა ბრძოლაში თავის გამოჩენის შესაძლებლობა. იგულისხმება
თხზულებაში აღწერილი ლაშქრობა იმერეთსა და სამეგრელოში. „წიგნი“
სრულდება არჩილის იმერეთიდან გაწვევის ფაქტით. ეს კი, როგორც ცნობი-
ლია, მოხდა 1663 წელს. ასე რომ, თხზულების დაწერის ქვედა ზღვარი არის
1663 წელი.

ჩვენამდე მოღწეულია „წიგნის“ ორი ნუსხა. ერთი დაცულია პარიზის ნა-
ციონალურ ბიბლიოთეკაში⁸, მეორე კი შვეიციაში, უფსალის უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში⁹. ორთავეს ახლავს შვეციის ელჩის მითითებით ვინმე ლუი
დანტანიეს მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანი. პარიზული ნუსხა გადა-
წერილია ჰიჯრით 1146 წ. რამაზანის თვის 27-ს (=1734 წლის მარტის დასა-
წყისს), თანადროულია ფრანგული თარგმანიც. შვედური კი გადაწერილია 4
წლის შემდეგ, ჰიჯრით 1151 წლის რამაზანის 16-ში (=1738 წლის 24 დეკემ-
ბერს). სავარაუდოა, რომ შვედური ნუსხის *textus receptus* იყოს პა-
რიზული ნუსხა, რადგან ტექნიკურად უფრო გამართულია: 1. პარიზულში შე-
ნიშნული შეცდომები ტექსტისეული ხელითაა მიწერილი კიდევებზე, შვედურ-
ში ყველა ეს შეცდომა გასწორებულია და შეტანილია ტექსტში. 2. შვედურში
ქვესათაურები დაწერილია სინგურით ცალკე სტრიქონზე. 3. თურქული ტექს-
ტის ბოლოს, გადამწერის ანდერძში აღნიშნულია თხზულების ფრანგულად თა-
რგმნის ფაქტი და მითითებულია მთარგმნელის ვინაობა.

პარიზული ნუსხის თურქული ტექსტი შეიცავს 50 ფურცელს, დაწერილია
დივანისებური გამლილი ნასხით, სტრ. რაოდენობა — 13, ზომა — 21×14,5 სმ.
ჩასმულია წითელი ტყავის მოოქროვილ ყდაში; შვედური შეიცავს 34 ფურცელს,
სტრ. რაოდენობა — 20; ხელი — მონასტალიკო ნასხი. ორივე ხელნაწერი პავინი-
რებულია კუსტოსით და ახლავს ორნამენტირებული უნჯანი, პარიზული უსა-
თაუროა — ადგილია დატოვებული, შვედურს კი ახლავს სათაური:

فتحنامه نامی در حق کورجستان

⁷ Agah Sirri Levend. Gazavat-nameleer ve Mikaloglu Ali Beyin Gazavat namesi. Ankara, 1956, გვ. 117.

⁸ E. Blochet. Bibliotheque nationale, Ktg., Suppl. N 872.

⁹ C. J. Tornberg. Codices Arabici, Persici et Turcici Bibliothecae Regiae Universitatis Upsaliensis. Upsala, 1849, p. 203, N 293.

ავტორის ვინაობისა და პიროვნების შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს. ფრ. ბაბინგერის აზრით, ის შეიძლება იყოს სულთნების ოსმან III-ისა (1754—1757) და მუსტაფა III-ის (1757—1773) კარის პოეტი, დივანის ქათიბი, რომელმაც ჰექიმ-ოღლუ ალი-ფაშას სიკვდილის გამო დაწერა ცნობილი ელეგია¹⁰. მაგრამ ჰექიმ-ოღლუ ალი-ფაშა გარდაიცვალა 1757 წელს. ჩვენი ავტორი კი უშუალო მონაწილეა მის მიერ აღწერილი ამბებისა, რომლებიც ქართული, სპარსული და ფრანგული წყაროებით, 1662—63 წლებში ხდება. ამგვარად. ელეგიის ავტორი ნამი შეუძლებელია იყოს „დაპყრობის წიგნის“ ავტორი. ამ შეცდომის სათავე ის არის, რომ ფრ. ბაბინგერი (რომელსაც, ჩანს, ტექსტი ხელთ არ ჰქონია) ნამის „საქართველოს დაპყრობის წიგნს“ რატომღაც მიიჩნევს ოსმალეთსა და ნადირ-შაჰს შორის ბრძოლის ამსახველ ძეგლად¹¹. თანამედროვე თურქი მეცნიერი ავაპ სირრი ლევენდი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „წიგნის ავტორი შეიძლება იყოს ნიღდეღი ყადი ნამი მეჰმედი“¹², რომელიც „სიჯილი ოსმანის“ მიხედვით 1673 გარდაცვლილა¹³. მაგრამ „დაპყრობის წიგნი“ დაწერილია პირველ პირში, ავტორი თავს ჰასან-ალა ნამი-ს უწოდებს; ბევრი რამ დიალოგებითაა წარმოდგენილი და სხვებზეც მიმართვისას მას ჰასან-ალად სახელდებენ და არა მეჰმედად. ამგვარად, ავტორის შესახებ დაბეჭდვებით ვიცით მხოლოდ ის, რაც „წიგნში“ წერია. კერძოდ, რომ გამოქცევია ქვეყნის შიგნით გამეფებულ უმეცრებასა და უხამსობას — „მე განვერიდე გახრწნილ და ცრუ სამყაროს, სადაც მხოლოდ უვიცებია არიან პატივდებული, ხოლო მეცნიერი და კეთილი ხალხი უსამართლოდ დევნილი და შერისხულია. მხოლოდ უგუნურებსა და უსამართლობის ჩამდენთ ეპყრობიან პატივისცემით. კეთილშობილნი კი ათვალწუნებული და დამცირებული არიან. ამიტომაც მოვშორდი ჩემს მიწა-წყალს, წავედი უცხო მხარეს და ვცდილობ რაც შეიძლება ღირსეულად ვემსახურო ალლაჰს“. ნამი დამკვიდრებულა ყარსში, მაგრამ არც აქ მოხვედრილა უკეთეს გარემოში, სასომიხდილის ბედად, 1071 წლის შევალის თვის დასაწყისში ყარსის გამგებლად დაუნიშნავთ ას-სეად აუსუფ-ფაშა („სიჯილი ოსმანის“ მიხედვით აუსუფ-ფაშა ყარსში 1070 წელს განაწესეს)¹⁴, რომელსაც ქალაქის წარჩინებულებთან ერთად ნამიც მიუწვევია თავისთან. აუსუფ-ფაშა მოხიბლულია ჰასან-ალა ნამის სათნოებითა და განათლებით და მისდამი კეთილად განწყობილა: „დიდი პატივი მომაგო, უვიცთა ბრბოს ჩამომაცილა და ბრძენთა და სწავლულთა წრეში მიმიღო“, — წერს იგი. მერე კი თან იახლა იმერეთსა და სამეგრელოში ოსმალეთის „უფლებების აღსადგენად“ გამიზნულ ლაშქრობაში და ამ ლაშქრობის აღწერა ურჩია.

ნამი შუა საუკუნეების ოსმალთა ისტორიკოსთა ტიპური წარმომადგენელია, წერს ტენდენციურად თავისი ქვეყნის განსაღიღებლად. თხზულების შესავალში სულთნისა და ფაშების შესხმა ბეითებად და ყსაღიღებად წარმოდგენილი, აქ მკლავნდება მისი აშკარად პოეტური ნიჭი; აზროვნებს აღმოსავლური ფერადოვანი ხლართული სახეებით; ორგანულად ურთავს ლეგენდარულ, ლიტერატურულ თუ რეალურ ისტორიულ პირთა სახელებს. გარკვეული ჩანს ქრისტიანული და მაჰმადიანური თეოლოგიის საკითხებში. იმერეთსა და სამეგრე-

¹⁰ Fr. Babinger. Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leipzig, 1927, გვ. 289, შფ. V.

¹¹ იქვე, გვ. 289.

¹² Agah Sirri Levend. დასახ. წიგნი, გვ. 117.

¹³ მ. სურეია. სიჯილი ოსმანი, IV, გვ. 540.

¹⁴ იქვე, გვ. 418.

რელოში ძირითადად ელჩის როლშია. იგი თავისი გარეგნობით, თავდაპირვანად და გამჭვირავობით აჯადოებს დამხედურს, მეფესა თუ თავადს, მთავარსა თუ რიგით აზნაურს. ოსმალეთის სულთნის ძალისა და ნების შესაბამის ენაზე ესაუბრება მათ და სასურველ შედეგსაც იოლად აღწევს. ამასთანავე აქვს დაკვირვებული თვალი. საგანგებოდ აღნიშნავს იმერ-ოდიშართა ზრდილობასა და თავზიანობას. მოხიბლულია მათი დახვეწილი ენით (السائح اسان). ირონიულ დიმილს გვრის ოდიშართა ცხენებით დაინტერესება.

ავტორი განცვიფრებულია დადიანის სასახლის სიმდიდრით, ოქრო-ვერცხლის სიმრავლით. „დადიანის ძალა და ღირსება რომ ეჩვენებინა, მისმა ვეზირმა ისე მიგვიღო, რომ მთელი მისი ქონება და შეძლება დაგვანახა. ვაჭრები და ურიცხვი ხელოსანი შეყარა თავიანთი ნაკეთობებით, თერძებს სამეფო ტანსაცმლისა და მოსართავების შესაკერად ტყავეულობა, ძვირფასი ქსოვილები და პატიოსანი თელები მიუზომა და მიუთვალა“. ჩანს, მეგრელებმა ტაქტიკა შეცვალეს და თურქების მიღების ჩვეულ წესს გადაუხვიეს. ოსმალთა ერთგულებზე ფიცის ჩამოსართმევად მოსულ პირებს შთაბეჭდილების მოსახდენად თავიანთ ძალას და სიმდიდრეს უჩვენებენ. ჩვეულებრივ, როგორც ცნობილია, დადიანი ცდილობდა დაერწმუნებინა თურქები, რომ სამეგრელოზე უფრო ღარიბი და უბედური ქვეყანა არ არსებობს და თურქეთიდან მოსულ ელჩებს ციკაბო კლდეებზე, დაბურულ ტყეებში ან ატალახებულ ბილიკებზე ატარებდნენ. დამეს უღარიბესი გლეხის ოჯახში ათევიანებდნენ, თავად დადიანი ხის ძირას გამლილ ძველ ხალიჩაზე დამჯდარი ღარიბულად ჩაცმული ხვდებოდა¹⁵.

ოსმალთა შემოსვლის მიზნად, შუა საუკუნეების ოსმალ ისტორიკოსთა მსგავსად, ჩვენი ავტორიც იმერეთისა და სადადიანოს მეფე-მთავრების მორიგებას და იქ წესრიგის დამყარებას წარმოგვიდგენს¹⁶, მაგრამ იქვე თითოეულ მათგანს ირანის მორჩილებას უსაყვედურებს. ზაზგასმულია ერზერუმის ლაშქრის ძალა და სიმრავლე. ყარსისა და ახალციხის ფაშები დიდ მოკრძალებასა და პატივისცემას ამყლავენდნენ ერზერუმის ფაშის მუსტაფას მიმართ, რომელიც ჰიჯრით 1075 წელს (=1665) გარდაიცვალა (მეჭმედ სურგია საგანგებოდ შენიშნავს მის ქართულ წარმომავლობას)¹⁷. ამგვარი დამოკიდებულება, ალბათ, განპირობებული იყო ერზერუმის საბეგლარბეგოსა და მისი ფაშის როლით ყარსი-ახალციხის საფაშოებისა და საქართველოს მაღალ პორტასთან ურთიერთობის საქმეში. როგორც ვახუშტი შენიშნავს, ახალციხის ფაშები იმერეთის „წნელოვან საქმეებს აუწყებდნენ არზრუმის ფაშასა და მათ განმართვიდნენ“¹⁸, „აუუსუფ-ფაშა მართვიდა საათაბაგოსა მორჩილებითა და ყოვლითა ნებითა ოსმალთათა და უმეტესად არზრუმის ფაშასათა“¹⁹.

„წიგნში“ აღწერილია ქუთაისის ციხის დასაპყრობად ერზერუმის, ყარსისა და ახალციხის ფაშების სარდლობით ოსმალთა 40000-იანი ლაშქრის შემოსვლა ახალციხიდან ბაღდადისა და გეგუთის გავლით. გადმოცემულია ის დიდი გასაჭირი, რაც ჯარს დაადგა ფერსათის ქედზე გადმოსვლისას უამინდო-

15 არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა, იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი. ტფილისი, 1901 გვ. 32.

16 ანალოგიურ წერილობით წყაროებს იშველიებენ თანამედროვე თურქი ისტორიკოსები იმის „დასამტკიცებლად“, რომ ოსმალეთი „აწესრიგებდა“ საქართველოს საქმეებს (ვ. ჩოჩიევი. იმერეთის სამეფოს და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის II ნახევარში. თსუ შრომები, ტ. 250. თბ., 1985, გვ. 118, 121).

17 მ. სურგია. სიჯილი ოსმანი, IV, გვ. 398.

18 ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 729.

19 იქვე, გვ. 727.

ბის, უგზობისა და შიმშილის გამო. სამაგიეროდ ამქვეყნიურ სამოთხელაა წარმოდგენილი ბაღდადის მიდამოები და გეგუთის მინდვრები. დეტალურადაა გადმოცემული არჩილთან შეხვედრისა და მისი გადმობირების ამბავი. წყაროს მიხედვით, არჩილი უყოყმანოდ იღებს სულთნის მორჩილების პირობებს, 2000 ყურუშუად ღირებული ქამარ-ხანჯლით ასაჩუქრებს მოციქულად მოსულ ჰასან-აღას. მასთან ერთად დილით ფაშების კარავში მისვლა და „მუხლის მოდრეკა“ აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ ღამით შაჰნავაზი 600 კაცს გამოუგზავნის და თავისთან გაიხმობს. ოსმალები დაედევნებიან და ქართლის საზღვრებამდე მიჰყვებიან არჩილს, მაგრამ, რადგანაც სულთნისგან მხოლოდ დადიანის გონზე მოყვანა და ქუთაისის ციხის აღება აქვთ ნაბრძანები, უკან გამობრუნდებიან და თან 200 ხარს გამოირეკავენ ჯარის საკვებად.

„წიგნში“ ლაპარაკია რაჭის ციხის ანუ ნიკორწმინდის აღებაზე²⁰. ნახსენებია შორაბნის (?) — مارين და ისქანდერის ციხეები (ისქანდერი არასწორად გაყლერებული, უკეთ გადათურქულებული სკანდეს ციხე უნდა იყოს). კაცხი تاش-تاش-ს ციხედ იწოდება (აღბათ კაცხის ცნობილი ქვის სვეტის გამო).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დადიანთან მოლაპარაკებასა და მისგან მორჩილების ფიცის მიღებას. ოსმალებს უნდათ ქუთაისის ციხეზე იერიშის მიტანამდე ჩამოართვან დადიანს მორჩილების პირობა, რისთვისაც აგზავნიან ჰასან-აღას ორი პირის თანხლებით. ფაშას წარგზავნილს დადიანის ვეზირი دايوس სამა ეგებება 80 აზნაურით სასახლის ეზოში გამართულ ფანჯატურში. ვეზირი, ჩანს, მთავრის (ტექსტში ყველგან „მელიქი“ წერია) დიდი წილობითა და უფლებებით სარგებლობს. სტუმრებს მეფურად უმასპინძლდება, მოსვლის მიზეზსაც მოხერხებულად იტყობს. მხოლოდ ამის შემდეგ ახვედრებს ლევან დადიანს, და აქაც გადაამწყვეტი ხმით სარგებლობს. دايوس უნდა იყოს ევდემოს ჩიქოვანი, კაცია ჩიქოვანის, ცნობილი მედროვისა და ყოველგვარ საქმეთა შემძლებლის ძმა. იგი შაჰნავაზმა სამეგრელოში ლაშქრობისას შეიპყრო და წამოიყვანა და შულავერის ციხეში ჩასვა, საიდანაც გაიპარა და კვლავ სამეგრელოში ჩავიდა. აქ ლევან დადიანის ერთგული გახდა და ჭყონდილობა მიიღო. ამიტომაც იწოდა მამად.

ლევან დადიანი მორჩილების წიგნს იღებს და თითქოს არწმუნებს კიდევ ოსმალებს მათდამი ერთგულებაში, მაგრამ გეგუთში დაბანაკებული ლაშქრის სარდლობა მაინც უნდოდ ეკიდება მას და კატეგორიულად ითხოვს 7 დღეში გამოცხადდეს მამა ევდემოსთან ერთად 2000 მეომრითა და სურსათით. დადიანი მოღის 2000 მეომრით, მაგრამ ერთი ალაჯის მოშორებით დგება ოსმალთა ბანაკიდან და ყველა ღონეს მიმართავს, რათა არ მიიღოს მონაწილეობა ქუთაისის აღებაში. საერთოდ ცდილობს ქუთაისის ციხეს ააცდინოს ოსმალთა თავდასხმა. ურჩევს ხელი აიღონ ასეთ განზრახვაზე, რადგან ქუთაისი მეტად მტკიცე ციხეა, 1000 კაციც რომ ეცადოს, ერთ ქვასაც ვერ მოაკლებს მის კედლებს. მით უფრო, ახლა ზამთრის პირია და თუ წვიმები დაიწყო, უკან გაბრუნებასაც ვერ შეძლებენ. ოსმალებს სასაცილოდაც არ ყოფნით მსგავსი დარჩება. წყაროს მიხედვით, ისინი უბრძოლველად იკავებენ ქუთაისის ციხეს.

²⁰ ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650—1652 წწ. რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბ., 1970.

ნამის ცნობები არსებითად ემთხვევა იმდროინდელ ქართულ, სპარსულ და ევროპულენოვან წყაროთა მონაცემებს. არის განსხვავებაც. ვახუშტის თანახმად, ახალციხეს ამ დროს ასლან-ფაშა განაგებს. ნამი კი მხოლოდ როსტომ-ფაშას ასახელებს. მეტყველ სურეიას „სიჯილი ოსმანი“ ჩვენს ავტორს უჭერს მხარს²¹. შარდენის ცნობით, ამ ლაშქრობას მხოლოდ ახალციხის ფაშა წარმართავს, არაფერია ნათქვამი ყარსისა და ერზერუმის ფაშების მონაწილეობაზე, თუმცა სულთნისაგან მათაც აქვთ ნაბრძანები სალაშქროდ წასვლა²². საერთოდ, „წიგნში“ ბევრი ისეთი ფაქტია, რომლის კვალიფიკაცია სხვა წყაროთა მოხმობას მოითხოვს და შესაბამის ისტორიულ ექსკურსს საჭიროებს.

„დაპყრობის წიგნით“ შვეციის ელჩის დაინტერესება და ლუი დანტანის მიერ ტექსტის ფრანგულ ენაზე თარგმნა თავისთავად მეტყველებს, რომ XVII საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოსადმი სცილდება ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ფარგლებს და საერთაშორისო მნიშვნელობას იძენს. საფრანგეთი ცდილობდა რა შავ ზღვაზე ოსმალეთის ბატონობის შენარჩუნებას, ხელს უშლიდა რუსეთს, რომელიც უკრაინის შემოერთებით ადვილად წყვეტდა შავ ზღვაზე გამოსვლის პრობლემას. რუსეთის სამხრეთისაკენ სვლის შეჩერებას გულისხმობდა ოსმალეთ-შვეციის სამხედრო კავშირიც²³. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა დასავლეთ საქართველოს შეფე-მთავრების დამოკიდებულებას ოსმალეთთან, ირანთან და რუსეთთან.

ამგვარად, ნამის „საქართველოს დაპყრობის წიგნის“ თურქული ტექსტისა და მისი ქართული თარგმანის სათანადო კომენტარებით გამოცემა საყურადღებო ცნობებს შესძენს XVII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოსა და ახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს.

Ц. А. АБУЛАДЗЕ, Н. Н. ШЕНГЕЛИЯ

«КНИГА ЗАВОЕВАНИЯ ГРУЗИИ» НАМИ

Резюме

Сочинение османского поэта XVII в. Хасана-ага Нами «Книга завоевания Грузии» посвящается походу в 1663 году ерзерумского, карсского и ахалцихского пашей на Западную Грузию. Автор, активный участник похода, детально описывает происшедшие события — переговоры османских посланников с имеретинским царем Арчилом, владетелем Мегрелии Леваном Дадияни и Чкондидели, взятие кутаисской крепости, захват рачинской, шорапанской, скандской крепостей и т. д.

«Книга» не опубликована, она дошла до нас двумя списками (Париж, нац. библ. Blochet, Suppl. № 872 и Упсал. Ун. Библ. Tornberg, № 293) с синхронным французским переводом, чем лишний раз доказывается международное значение осmano-имеретинских взаимоотношений в 60-х годах XVII в.

В статье приведены предварительные сведения об авторе, о списках сочинения и об изложенных в «Книге» событиях.

21 შ. ს უ რ ე ი ა. სიჯილი ოსმანი, IV გვ. 378.

22 შარდენის მოგზაურობა, გვ. 241—242.

23 ვ. ჩოჩიევი. დასახ. ნაშრომი.

ლიანა ღავლიანიძე

ზაქარია ჰანაპერცის ზოგნიერთი ცნობა საქართველოს შესახებ

ზაქარია ჰანაპერცი, იგივე ოჰანავანქელი ანუ დიაკონი, XVII ს-ის მოღვაწეა. დაბადებული ჩანს 1627 წ. სოფ. ჰანაპერში, ერევნის მახლობლად, მამამისი სომხეთის ერთ-ერთი გავარის (ოლქის) — კოტაიკის მამასახლისის მღვანეანი ყოფილა, ზაქარია ცამეტი წლისა მიუყვანიათ სოფლის მონასტერში — ოჰანავანქში, სადაც გაატარა მთელი ცხოვრება. მაღალი მდგომარეობისათვის არ მიუღწევია. ეტყობა, ფიზიკურმა ნაკლმა, სიკოჭლემ, ხელი შეუშალა დაწინაურებაში.

ზაქარიას წერა ხანდაზმულობაში დაუწყია, კერძოდ, სამოცი წლისას. ამ დროს შეუდგენია ე. წ. „კონდაკი“ — კრებული, სადაც ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად მოცემულია ეკლესიების მშენებლობის ამბები და მათი წარწერები. „კონდაკი“ შემდეგ შევიდა მის სამნაწილიან ისტორიულ თხზულებაში, რომელიც „ქრონიკის“ სახელით არის ცნობილი. შრომა დასრულებული ჩანს 1699 წ. ავტორს ის გარკვეული მიზნით შეუქმნია, — იმათთვის, „ვინც შემდეგ მოვა“, რათა შეიტყონ წინაპართა ტანჯული ცხოვრების ამბავი და თვითონ გაფრთხილდნენ.

„ქრონიკაში“ თხრობა იწყება სომხეთისა და სპარსეთის ძველი მეფეების ხსენებით და სრულდება XVII ს-ის მიწურულით (ეტყობა, ამ დროის ახლო ხანებშია ის გარდაცვლილი). პირველი თავების უმეტესობა შინაარსობრივად მწირია და ფაქტობრივი შეცდომებიც მრავლადაა დამკვიდრებული, მაგრამ შემდეგ თხრობა უფრო დამაჯერებელი ხდება, როდესაც ავტორი იწყებს იმის გამოცემას, რისი თანამედროვე და თვითმხილველი თვითონ ყოფილა.

თანადროული ამბების ასახვისას ზოგჯერ აშკარად იგრძნობა, რომ ზაქარია დიაკონი ზეპირი გადმოცემებით სარგებლობდა. ის ხანდახან ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან ძირითადსა და მეორეხარისხოვან ფაქტებს. არის შემთხვევები, როცა თვითონაც ეჭვი ეპარება მათ მართებულებაში, მაგრამ როგორც ფოლკლორულ მასალას, ამ ცნობებს მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ამის გამო სომხურ ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ უფრო სამართლიანი იქნებოდა, თუ ზაქარია დიაკონს სახალხო მწერლად ვალიარებდით და არა ისტორიკოსად¹. ძველი სომხური ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი მ. აბელიანი კი წერდა, მოვსეს ხორენაცის შემდეგ ზაქარია დიაკონმა პირველმა მოკიდა ხელი სომხური ფოლკლორის შეკრებას², მაგრამ ასეთი მასალის გვერდით „ქრონიკაში“ მოიპოვება სომხეთისა და მისი მეზობელი ქვეყ-

¹ სხი, ჯაკსკან თაყაფიძე, „შერ კხანე“. ვრსკანიძე ანეხილი ნო. I, XVI—XVII ფ. 88. 1901.

² შ. ს. ხ. ი. ა. ნ. ჯაკიგ ჩინ ვრსკანიძე ათათიქიან ვიქი II, XI—XIX ფარხ 30-ასკან ვ. ხ. 1946.

ნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი მხედველობა, რაც უფლებას იძლევა თხზულება მიჩნეულ იქნეს ისტორიულ წყაროდ. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალური ყოფის ასახვა, კერძოდ, აქ საუბარია სოფლის მამასახლისთა არჩევნებზე, მათ ურთიერთობაზე, დაწვრილებითაა მოთხრობილი სამონასტრო მეურნეობის ამბებიც — კათალიკოსების მცდელობა საპატრიარქოს გასაძლიერებლად, ყურადღება გამახვილებულია საეპრო-პატრიარქალურ საოჯახო ცხოვრებაზე.

წიგნის მესამე ნაწილში, ანუ „კონდაკში“, როგორც აღვნიშნეთ, ლაპარაკია მონასტრების მშენებლობაზე, მათ წინამძღვრებზე, უფრო მეტად ოპანავანქის მონასტერზე, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანგ იყო შუა საუკუნეების სომხეთში.

ზაქარიას ენა დამახასიათებელია შუა საუკუნეების ვულგარიზებული სომხურისათვის. ე. ი. ეს არ არის კლასიკური საშუალო სომხური, ე. წ. მიჯნადარიანი, არამედ XVII ს-ის სასაუბრო ენაა, რომელიც შემდეგ, განვითარების შედეგად მიუახლოვდა ხაჩატურ აბოვიანის ახალ სომხურ ენას. მისი თხრობა სავსეა შედარებებით, მეტაფორებითა და დიალოგებით³.

ნაწარმოებმა ადრევე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. თხზულება პირველად გამოიცა 1870 წელს ვალარშაპატში ავტოგრაფიული ნუსხის საფუძველზე, მესამე ნაწილთან ერთად, რომელიც ცალკე არსებობდა. ხელნაწერის დაზიანებისა თუ სხვა მიზეზების გამო, გამოცემა შეიცავს ხარვეზებს. შეინიშნება არასწორი წაკითხვები, გამოტოვებულია სიტყვები, ზოგჯერ ფრაზებიც, არის ტექნიკური ხასიათის უზუსტობანი⁴.

1876 წელს „ქრონიკა“ ფრანგულად თარგმნა მ. ბროსემ⁵, ხოლო 1969 წ. გამოქვეყნდა მისი რუსული თარგმანი, შესრულებული მ. დარბინიან-მელიქიანის მიერ. მთარგმნელს გაუთვალისწინებია მატენდარანში დაცული „ქრონიკის“ ოთხივე ხელნაწერი⁶.

ზაქარია დიაკონი საქართველოსთან დაკავშირებულ მოვლენებს ისეთივე წესით ასახავს ნაწარმოებში, როგორც საერთოდ მთელ მასალას. აქაც არაერთი ყურმოკრული ცნობა აქვს მოტანილი, ვხვდებით უზუსტობებსაც. მაგ., როდესაც საუბრობს „ქართველთა ტომის მეფე სიმონზე“, აღნიშნავს, რომ მან შეიტყო შაჰ-თამაზის გაძლიერება ბაიანეთის ოცდაათითაშისიანი ჯარით, მიხვდა, მის წინააღმდეგ ველარაფერს გახდებოდა და ნებაყოფლობით ეახლა 1576 წელს. ასევე კახთა მეფე ალექსანდრემაც გაუგზავნა შაჰს მიქვლად თავისი ვაჟი კონსტანტინეო. წყაროებით ცნობილია, რომ 1569 წელს შაჰ-თამაზს დატყვევებული მიჰგვარეს ქართლის მეფე სიმონ I (1558—1600), რომელმაც ათი წელი გაატარა ალამუთის ციხეში⁷. ისე რომ, 1576 წელს ის უკვე შაჰის ტყვეობაში იყო და სპარსეთში იმყოფებოდა. კახთა მეფე ალექსანდრე II-მ (1574—1605) კი სამცხიდან წამოსულ შაჰ-თამაზს მართლაც „წარუვლინა ძე თჳსი კონსტანტინე“, რომელმაც „წარიყვანა და წარვიდა სპარსეთად და დაუტევა კახეთი

³ Закарий Канакерци. Хроника. Перевод с армянского, предисловие и комментарий М. О. Дарбинян-Меликян. М., 1969, с. 18—19.

⁴ Ջարարեայ Սարկավազի Պատմութիւն. Վաղարշ. 1870.

⁵ M. Brosset. Mémoires historiques sur les Sofis par diacre Zakaria. Collection d'historiens arméniens, t. II. SPb., 1876.

⁶ З. Канакерци. დასახ. ნაშრ. გვ. 27—28.

⁷ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — ქართლის ცხოვრება, IV. თბ., 1973, გვ. 574; არ. დავრიყეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი. 1974, გვ. 33.



უენოდ⁸. ამრიგად, ზაქარიას ამ ვადმოცემაში ასახულია როგორც მართლმადიდებელი, ასევე არაზუსტი ფაქტი, რასაც სიფრთხილით უნდა მიუღდეს მკითხველი.

I ნაწილის XVI თავში ზაქარია ასახელებს თავის წყაროს, — ვარდაპეტ არაქელის მოთხრობას (ე. ი. არაქელ დავრიყეცის „ისტორიას“) და შემდეგ აღწერს „მოურავის“, ანუ გიორგი სააკაძის ამბებს. ორიოდ სიტყვით აღნიშნავს შაჰ-აბასის მიერ ქართლ-კახეთის აოხრებას, კახეთის მეფე თეიმურაზის საქართველოს შიგა მხარეებში განიზვნას და ლუარსაბის სპარსეთში გატყუებას. ყოველივე ამას, ჩვენი ავტორის წყარო — არაქელ დავრიყეცის „ისტორია“, მეტად დაწვრილებით ყვება, დაწყებული ლუარსაბ მეფისა და გიორგი სააკაძის კონფლიქტის ჩასახვიდან, დამთავრებული ლუარსაბის დაღუპვით, რაც სრულიად გამოტოვებულია ზაქარიას თხზულებაში. სამაგიეროდ, მას ვრცლად აქვს მოთხრობილი შემდეგდროინდელი მოვლენები. „მოურავის“ აჯანყება, ყარჩიხა-ჩანის მოკვლა და სპარსელთა განდევნა საქართველოდან (1625 წ. მარტყოფის ბრძოლის ამბები). ამ ადგილისათვის ისევ თვითონ, წყაროდ მიიჩნევს ოჰანა-ვანქში მცხოვრები ბერი პეტროსის მონათხრობს, რომელსაც, როგორც თვითმხილველს, დაწვრილებით სცოდნია ყველაფერი.

ჩვეულებისამებრ, ზაქარია ქანაკერცი თხრობაში ურთავს თქმულებას, რის მიხედვითაც თითქოს ქართველთა ჯარში ყოფილა ერთი გამორჩეული კაცი, სახელად ალა-თანგი. ის წინ მიუძღოდა ლაშქარს, შიში არ ჰქონდა სპარსთა ჯარისა, უფრთხოდა მხოლოდ „ქერათმიან ტახს“ — ამირგუნა-ხანს თქმულების თანახმად, ორთაბრძოლაში ამირგუნა-ხანს უძლევია ალა-თანგი. ხოლო თვითონ დაჭრილი ერეკანში წაუყვანიათ (წ. I, თ. XVII). სხვათა შორის, ვახუშტის ვადმოცემითაც შაჰ-აბასმა თავის სიძე ისა-ხან ყორჩიბაშთან ერთად საქართველოში გამოგზავნა და მეწინავე ჯარის სარდლად დანიშნა ამირგუნა-ხანი, რომელსაც სიმამაცის გამო „სარუ ასლანს“ („ყვითელ ლომს“) უწოდებდნენ. ბრძოლის დროს, შარაბდის ველზე, მისმავე გაზრდილმა მანუჩარ III ათაბაგმა „ჰკრა თავსა ცრმალი და გაუბო თავი და ავნო დიდი, მაშინ ეტყოდა ამირგუნა-ხან ათაბაგს — „უპურმარილოვ“⁹. ეტყობა, სამშობლოსათვის გაუწირავს გაზრდილი ხანი მანუჩარს. იქნებ, ამ ბრძოლის გამოძახილია ზაქარიას მიერ მოტანილ თქმულებაში?

შრომის მეორე ნაწილში 47-ე თავი მთლიანად ეძღვნება საქართველოს. მაგრამ პირველსავე აბზაცში ზაქარია ცდება, როდესაც კახთა მეფე თეიმურაზს (1606—1616, 1623—1632, 1634—1648) ალექსანდრეს ძედ აცხადებს. თეიმურაზი ალექსანდრე II კახთა მეფის (1574—1605) ძე კი არ იყო, არამედ მისი შვილის — დავითისა. საუბარია იმაზეც თითქოს თეიმურაზი შაჰის მორჩილებით მართავდა ქვეყანას, რაც არ შეესაბამება რეალურ ვითარებას, რამდენადაც უკვე 1612 წელს აშკარა გახდა, რომ კახთა მეფე ირანის ვასალობაზე უარს ამბობდა (სწორედ ამიტომ შაჰ-აბას I-მა 1614—1617 წლებში ოთხჯერ დალაშქრა საქართველო).

ზაქარია აქვე იხსენიებს თეიმურაზის შვილს დავითს — შობილს ფარისაგან, რომელიც იყო თბილისის მეფის გიორგის ასული და ლუარსაბის და. მეორე ცოლად თეიმურაზს მართლაც ჰყავდა ლუარსაბ ქართლის მეფის და, მაგრამ ქართული წყაროები მას „ხორეშანად“ იხსენიებენ. აქ ჩვენი ავტორი მაინც არ უნდა ცდებოდეს, რადგანაც ასევე აქვს მოტანილი ეს სახელი არა-

⁸ ვახუშტი, გვ. 577.
⁹ იქვე, გვ. 432.

ქელ დავრიყეცისაც, ამასთან დაკავშირებით კ. კუცია შენიშნავს: სომეხ ისტორიკოსს (დავრიყეცის) ხორეშანის ზედსახელი, რაც მას სილამაზის გამო ჰქონდა შერქმეული, მისი ნამდვილი სახელი ჰკონია. ცხადია, ეს ზედსახელი წარმოქმნილია სპარსული სიტყვებიდან: „ფარი“ — ფერია, ტურფა, მშვენიერი ან „ფარირუ“ — ფერიის მსგავსი. ასევე იხსენიებს ხორეშანს ყ. შარდენცი¹⁰.

ზაქარიას სცოდნია ქართლის მეფე როსტომისა და თეიმურაზის მტრობის ამბავი, ასევე თეიმურაზის შვილის „მამაცი დავითის“ სპარსთაგან დაღუპვაც, რასაც ფარსადან გორგიჯანიძე და ვახუშტიც ადასტურებენ. ეს ფაქტი ქართლ-კახეთის მეფეთა უკანასკნელი ბრძოლის დროს მოხდა, 1648 წელს. როსტომ მეფის გუჯარში ნათქვამია: „ბატონის თეიმურაზის შვილი დავით და ჩვენგან გაგზავნილი თათრები შეყრილიყვნენ, შებმულ იყვნენ ქისიყის ბოლოს და თათრებს გამარჯვათ და ბატონიშვილი დავით თოფით მოეკლათ“¹¹.

ზაქარია დიაკონი ამ მომენტთან აკავშირებს თეიმურაზის ისპაჰანში წასვლას, ნოლო შაჰ-აბასისაგან ნაწყალობევი, როდესაც უკან ბრუნდებოდა, გზაში მოკვდაო. სინამდვილეში თეიმურაზი მხოლოდ 1663 წელს გაემგზავრა ირანში, სადაც მისი შვილიშვილის ერეკლეს გამო ასტრბადის ციხეში დაამწყვდიეს და იქვე გარდაიცვალა²¹.

უზუსტობა შეინიშნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზაქარია ერეკლეს (შემდეგში ერეკლე I) გამცილებლად რუსეთიდან ყაზვინამდე ჯულაელ კაცს, ვინმე გრიგოლს ასახელებს. ესენი 1675 წლის 23 აპრილს მისულან აღნიშნულ ადგილას, სადაც მათ დახვედრიათ სომეხთა კათალიკოსი ჰაკობ ჯულაეცი და თვითონ ზაქარია დიაკონი, რომელიც კათალიკოსს ხლებია.

ისევ ვახუშტის ცნობით, 1674 წ. ერეკლე უკვე კახეთში იმყოფებოდა, საიდანაც არჩილმა შესაფერისი ამალით ირანში გაისტუმრა¹³. ამრიგად, ჯულაელ კაცს ერეკლე რუსეთიდან კი არ გაუცილებია ირანში, არამედ — კახეთიდან.

ჩვენს ავტორს საინტერესო ცნობა მოეპოვება ვახტანგ V-თან დაკავშირებით: შაჰ-სულეიმანთან დასმენილი ქართლის მეფე თავისი ნებით გაემგზავრა ირანში თავის გამართლების მიზნით. ისფაჰანთან მიახლოებისას შეატყობინეს, როგორც კი შაჰი ვიხილავს, ლომების კერძად გაქცევსო. ვახტანგმა სასიკვდილო საწამლავი მიიღო და გარდაიცვალა. ზაქარიას ამ ცნობის სისწორის გასარკვევად საჭიროა იმ მომენტების გათვალისწინება, რომლებიც უშუალოდ წინ უსწრებდნენ შაჰნავაზის ისპაჰანს გამგზავრებას. ცნობილია, რომ დაპყრობელი ყიზილბაშები და ოსმალები თავიდანვე ყველაფერს აკეთებდნენ, რათა არ დაეშვათ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. 1639 წლის ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებაც კვლავ აკანონებდა საქართველოს გაყოფას. ამოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა ურთიერთობა განიხილებოდა როგორც მოპირდაპირე მხარეების ჩარევა ირან-ოსმალეთის საშინაო საჩემებში და ამდენად ზავის დარღვევად მიიჩნეოდა¹⁴.

¹⁰ არაქელ დავრიყეცის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 67.

¹¹ როსტომ მეფის გუჯარი, წიგნში — ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი, მ. ჯანაშვილის გამოც. ტფ., 1896, გვ. 14.

¹² ვ ა ხ უ შ ტ ი, გვ. 602.

¹³ იქვე, გვ. 604.

¹⁴ ვ ჩ ო ჩ ი ე ვ ი. ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, — წიგნში: ნარკვევები მახლობელი ამოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957, გვ. 335.

მაშინ, როდესაც ვახტანგ V-ის შვილები ლუარსაბი და არჩილი იმერეთის ტახტისათვის იბრძოდნენ, სულთანმა ეს ფაქტი ირანის აგრესიად შეაფასა და იმერეთში სალაშქროდ ჯარი გაგზავნა. მოჰამედ თავერის ცნობით, მამამ ბრძანა, რომ „შაჰნავაზ-ხანს ხელი აეღო ხსენებულ მხარეზე და არჩილ-ხანი უკან გაეწვია“... რადგან ის ქვეყანა ოსმალეთის დიდებული ხელმწიფის ხელქვეითაო¹⁵. თვითონ შაჰნავაზიც დიდად შეუშფოთებია შვილების მოქმედებას. ამასთან დაკავშირებით მან „აცნობა ყოველნი ესე... ყენსა, უგულებელს ყოფა ძეთა თვისთავან, ერთგულება და უცოდველობა თვისი“¹⁶. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, მეფე ყაზვინს იყო მისული, როდესაც მოახსენეს ერთი უსიამოვნო ფაქტი: მისგან უკმაყოფილო ქსნის ერისთავის იესეს გამგზავრება ირანში. „თავად ავად იყო და მერმე ეს ანბავი დიად ეწყინა, ყაზვინით ავადმყოფი წავიდე და ხოშკარუს ქარავანსარაიაში ძლივს ჩააწვიანა“¹⁷.

ისეთ სიტუაციაში, როდესაც შაჰმა გაძლიერებულ შაჰნავაზს მისი მოწინააღმდეგე დიდი თავადები დაუპირისპირა, ცხადია, მომჩივანი ერისთავის გამოჩენა მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა. იქნებ, სწორედ ეს გახდა საბედისწერო ქართლის მეფისათვის? ვახტანგ V-ის გზაში გარდაცვალებაზე მიუთითებენ ზაქარია აგულეცი¹⁸ და იტალიელი მისიონერი დიონიჯო კარლიცი¹⁹, მაგრამ მათ საწამლავის მიღებაზე არაფერი აქვთ ნათქვამი.

ზაქარიას ნაწარმოებში აღნიშნულია „რუსტამ-ხანის“ (როსტომ მეფის) ვახტანგის ლუარსაბის დაღუპვაც, რომელიც შეცდომით მარიამ დედოფლის შვილად ჰყავს წარმოდგენილი. სინამდვილეში ის იყო ლუარსაბ I-ის შვილიშვილის შვილი, ირანში აღზრდილი და როსტომის მიერ ნაშვილები. ამ აქტმა თავადების უკმაყოფილება გამოიწვია. ფ. გორგიჯანიძის აზრით, ლუარსაბი როსტომის ფარულმა მტრებმა მოკლეს²⁰. მკვლელის აღმოუჩენლობის გამო თითქოს ქართველნი და სომეხნი ერთმანეთს აბრალებდნენ მემკვიდრის დაღუპვას. ამის გამო, ამბობს ზაქარია, როსტომმა „სამართალი“ (ტექსტში ეს სიტყვა ასევე ქართულად არის მოტანილი) მოიწვია და უბრძანა ქართველ შიომ ბარათაშვილს და სომეხ ბაინდურ „თუმანეცის“ ორთაბრძოლით გადაეწყვიტათ დავა.

ეს ადგილი XVIII ს-ის ბოლოს თუ XIX ს-ის დასაწყისში უთარგმნაო ქართულად, იგი შემდეგ მოხვედრილა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების ერთ-ერთ ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1808 წ. თუ ვის უნდა ეთარგმნა ეს ნაწყვეტი, ამაზე მიაინიშნებს უცნობი მკითხველის მინაწერი: „სრულიად სიცრუეა ესე თქმული ეგნატე მდივნისშვილი გიორგისაგანო“²¹. ეტყობა, მთარგმნელი ეს გიორგი მდივნისშვილია. შესაძლებელია იგი გვარად თუმანიშვილიც იყოს, რამდენადაც ამ გვარის წარმომადგენლები უკვე XV ს-დან სწორედ მდივანმწიგნობრის მოვალეობას ასრულებდნენ საქართველოში²².

15 მოჰამედ თავერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუფურიძის. მსკი, ნაკვ. 30. თბ., 1954, გვ. 403.
16 ვახუშტი, გვ. 456.
17 ფ. გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინა-შვილის გამოც. სპბ, 1854, გვ. 547.
18 ზაქარია აგულეცი. დღიური. თბ., 1979, გვ. 82.
19 ბ. გიორგაძე. დიონიჯო კარლის ცნობები საქართველოს შესახებ. მსკი, ნაკვ. 29. თბ., 1951, გვ. 162.
20 ფ. გორგიჯანიძე, გვ. 534.
21 ვახუშტი, გვ. 444—446.
22 შტრ. ა. ბაქრაძე. თუმანიშვილთა საგვარეულოს გენეალოგიის დადგენის ცდა XVII—XVIII სს. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1983, № 4, გვ. 86.

ფარსადან გორგიჯანიძის მსგავს გადმოცემასთან ერთად, ზაქარია დიაკვნის ეს თქმულებაც, ვფიქრობთ, გარკვეულ ინტერესს იწვევს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შრომის მესამე ნაწილი — „კონდაკი“ შეიცავს თხრობას სომხეთის ეკლესიების მშენებლობაზე, განსაკუთრებით დაწვრილებითი ცნობებია მოტანილი ერევნის მახლობლად მდებარე 1217 წ. აშენებულ მონასტერ ოპანავანქზე, სადაც მოღვაწეობდა ზაქარია. აქვე მას „კონდაკში“ გადმოუწერია მონასტრის კედლებზე არსებული ყველა წარწერა. ასეთი რამ სომეხ მწერალთა შორის მხოლოდ სტ. ორბელიანისა და სიმეონ ერევანცის შრომებში შეინიშნება.

წარწერათა დიდი ნაწილის შემდეგდროინდელი დაზიანების გამო, „კონდაკის“ მნიშვნელობა კიდევ უფრო საგულისხმოა, რამდენადაც მან შემოინახა მრავალი მათგანის სრული ტექსტი. სამაგალითოდ განვიხილავთ ერთ-ერთს: მონასტრის კარიბჭის აღმოსავლეთ კედელზე აღნიშნულია, რომ ვახტანგის ძე ზაქარია თავის მეუღლე ვასაკის ასულ ხორიშაპთან ერთად მონასტერს სწირავს აშტარაკში ნაყიდ მიწის ნაკვეთს.

აქ მოხსენიებული პირები რამდენადმე, დაკავშირებული არიან საქართველოსთან. XII ს-ში, როდესაც არსებობა შეწყვეტა სივნიეთის პატარა სამეფომ, დაწინაურდა ამ ტერიტორიაზე არსებული არცახის, ანუ ხაჩენის სამთავრო, რომელსაც XII ს-ში ჯალალთა გვარის წარმომადგენლები მართავდნენ. წარწერაში მოხსენიებულ ვახტანგს ცოლად ჰყავდა სარგის მხარგრძელის ასული ხორიშაპი — ზაქარიასა და ივანეს და²³. ეს ის ვახტანგია, რომლისაგანაც დავით სოსლანმა იყიდა ცხენი ერთ ციხესიმაგრედ და ერთ სოფლად „სახელგანთქმულობისათვის“²⁴. ვახტანგსა და ხორიშაპს ჰყოლიათ ექვსი შვილი, ივანე მხარგრძელს იმათგან ზაქარია და ჰასან ჯალალები თვითონ აღუზრდია, ხოლო, როდესაც ისინი ტყვედ ჩაუგდიათ მონღოლებს 1222 წ., ისევ ივანეს გამოუსყიდია²⁵.

როგორც წარწერა გვაუწყებს, ვახტანგის შვილია ზაქარია, რომლის მეუღლეც ასევე ხორიშაპი — ვასაკის ასულია. ვასაკი იგიორგი III-ის დროიდან „თბილისის სატრაპად“ წოდებული იშხანია, ვაჟრამ არწრუნის ვაჟი. ხოლო მისი ძმა ქურდი, ორბელთა ამბოხების დროს თბილისის მმართველად, ანუ „ამირაპეტად“ ჰყავს მოხსენიებული მხითარ გომს²⁶.

დასასრულს შევიჩრდებით ზაქარიას წარმომავლობაზე, რასაც „კონდაკის“ ბოლოს ცალკე თავი აქვს დათმობილი სათაურით: „წმინდა ზორაგარის გიორგის ნაწილთა შესახებ“. აქ ჯერ საუბარია იმაზე, რომ ნერსეს კათალიკოსის დროს კაპადოკიიდან სომხეთში მოუტანიათ და ოპანავანქის მონასტერში დაუსვენებიათ წმინდა გიორგის ნეშტი. ადრე შუა საუკუნეებში სამი კათალიკოსია ამ სახელით ცნობილი ნერსეს I (353—373), ნერსეს II (548—557) და ნერსეს III (641—661). რომელს გულისხმობს ჩვენი ავტორი, ძნელი გასარკვევია. ამის შემდეგ ოპანავანქში ბევრი სწული და დავრდომილი მიდიოდა სა-

²³ Киракос Гандзакци. История Армении, пер. Л. Ханларян. М., 1976. с. 295—296.

²⁴ ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ. 1959, გვ. 69.

²⁵ И. Орбели. Хасан Джалал, князь Хеченский.—Избранные труды. Л., 1963, с. 160.

²⁶ ლ. დავლიანიძე. მხითარ გომის „ალბანეთის ქრონიკა“. — ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ. 1968, გვ. 463. ვასაკ და ქურდ არწრუნებზე იხ. შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში. თბ., 1979, გვ. 277; ილ. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI—XII სს-ში. თბ., 1983, გვ. 223.

ლოცავად და პოულობდა განკუთრებასო (საყოველთაოდ გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, წმინდა გიორგის გარდაცვალების შემდეგ ღმერთმა მისი სხეული დაანაწილა, ქვეყანაზე მიმოაბნია და ყველგან, სადაც რაიმე ნაწილი მოხვდა, სალოცავები დააწესა).

როდესაც შირაკის ქვეყანა (ცენტ. სომხეთი) და კარბიას გავარი (სადაც მდებარეობდა ოპანავანქი) ქართველთა მეფეების ხელში იყო, მაშინო ქართველი მეფის შვილი ავად გახდა (მუხით თუ ქეციო), ამის გამო მეფემ ხალხი გაგზავნა ოპანავანქში წმ. გიორგის ნეშტის წამოსაღებად. ეს საქმე სწრაფად არ მოგვარებულა და ქართველთა მეფე იძულებული გამხდარა მძევლებად გაეგზავნა სომხეთში ორმოცი თუ ოცდაათი ყრმა, დიდებულთა ოჯახებიდან.

ქართველი მეფის სახელად ზაქარიას აღნიშნული აქვს დათო, ხოლო მის შვილს უწოდებს — ბეჟოს, რომელსაც სომხეთიდან დაბრუნებულებმა ცოცხალს ვედარ მიუსწრეს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ უფლისწულთა შორის სახელი „ბეჟო“ ცნობილი არ არის. ვფიქრობთ, ზემოთ მოხსენიებული „ფარის“ მსგავსად, ესეც მეტსახელი შეიძლება იყოს. ამის საფუძველს იძლევა ზაქარია დიაკონის მიერ ვახტანგ V-ის შვილების სახელებშიც „ბეჟოს“ ხსენება. მისი სიტყვით, შაჰნავაზს ჰყავდა მრავალი შვილი — „ნაგარალი, გორგი, პატარა, ბეჟო, ლეონი“ (ნაწ. II, თ. 49) როგორც ვხედავთ, ჩვენი ავტორი შერქმეული სახელებით იხსენიებს ზოგიერთ მათგანს. ეს მომენტი აბრკოლებს ქართველი მეფის ვინაობის გარკვევას.

გულფიცს ქართველებს წმინდანის ნეშტი უკან აღარ დაუბრუნებიათ, არამედ გადაუშალავთ კაწარეთში, რომელსაც, ზაქარია დიაკონის სიტყვით, ახლა ეწოდება ჩხარი. ამის გამო, აღარც ქართველი ყმაწვილები გაუშვიათ სამშობლოში სომხებს. აქ ეკავიროვებას იწვევს კაწარეთის დაკავშირება ჩხართან. კაწარეთი ცნობილია ჯერ კიდევ წმ. ნინოს დროიდან. „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ მიხედვით, „ნინო შთავიდა კუხეთად და კაწარეთს“, ე. ი. კაწარეთი ვარე კახეთშია. ის ივრის მარცხენა ნაპირზე, უჯარმის პირისპირ მდებარეობს²⁷. რაც შეეხება ჩხარს, ამ სახელწოდების გეოგრაფიული პუნქტი ძველთაგანვე დას. საქართველოშია ცნობილი. ვფიქრობთ, ზაქარიას ტექსტში „ჩხარის“ ნაცვლად „ნაშმი“ ივარაუდება. მით უმეტეს, რომ კაწარეთს მომდევნო ხანებში დარქმევია „სამება“ (ეკლესიის სახელწოდების მიხედვით). ხალხში არსებული გადმოცემით, სოფ. სამების უკანასკნელი აკლების შემდეგ, დარბეულმა სამებელებმა დააარსეს ძველი ხაშმი, ხოლო იქიდან გადმოსახლდნენ ახლანდელ ხაშმში²⁸.

ზაქარია დიაკონი აღნიშნავს, რომ ამ ქართველი ყმაწვილებიდან ერთ-ერთის შთამომავალი იყო მისი მამა მკრტიჩი — კაცი მახვილგონიერი, ენამკვივარი, სპარსული და ბერძნული ენების მცოდნე და ფსალმუნის ზეპირად მთქმელი. მას ჰქონია წიგნი, სადაც ქართველების შთამომავლების ამბავი იყო მოთხრობილი, მკვარამ მიწისძვრის დროს დაკარგულა. ზაქარიას შეუტანია თავის შრომაში ის, რაც მის მეხსიერებას შემორჩენია. ამ საკითხზე საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა თ. ნატროშვილმა²⁹, რომელიც სომეხთაგან წმ. გიორგის

27 დ. მუ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977, გვ. 183.

28 ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი. კაწარეთი, — საისტ. მოამბე, II, ტფ., 1924 გვ. 160. იხ. აგრეთვე დ. ნ ა ხ უ ც რ ი შ ვ ი ლ ი. საღ წავიდნენ კაწარეთში? — გაზ. „ივერია“, 1904, № 237.

29 თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი: ერთი ლეგენდის კვალზე. — გაზ. „ლიტერატურული საქარ-თველო“, 1984, 3. III.

ნეშტის წამოღებას და სომხეთში ქართველი მძევლების გაგზავნას ულუ და-
 ვითის მეფობის ხანაში ვარაუდობს.

მიუხედავად იმისა, რომ ზაქარიამ იცის თავისი ქართული წარმომავლო-
 ბის ამბავი და ამაცობს კიდევ წინაპრებით (წ. III. თ. 16), როგორც შეგნებით,
 ასევე სარწმუნოებით ის მთლიანად მონოფიზიტი სომეხია.

მიუხედავად არაერთი უზუსტობისა, ჩვენი ავტორის ცნობებს უთუოდ გა-
 რკვეული მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიისათვის, რამდენადაც ისი-
 ნი ზშირად ავსებენ ცალკეულ ფაქტებს უცნობი დეტალებით. სრულიად განსა-
 ყუთრებული ადგილი უკავიათ ზაქარიას შრომებში ჩართულ თქმულებებს,
 რომლებიც მკითხველს აცნობენ ხალხში არსებულ შეხედულებებსა და წარ-
 მოდგენებს. მოქმედ პირთა ფიზიკური ძალის უპირატესობასთან ერთად, აქ
 ზოგჯერ ჩანს სიბრძნე და მახვილგონიერება (მაგ. იხ. ნაწ. II, თ. 49).

რაც შეეხება ოპანავანქის მონასტრის წარწერებს, მათში არსებული საყუ-
 რადლებო დეტალების შესწავლა სარგებლობას მოუტანს სათანადო საკითხე-
 ბით დაინტერესებულ მკვლევარს.

Л. С. ДАВЛИАНИДЗЕ

НЕКОТОРЫЕ СВЕДЕНИЯ ЗАКАРИИ КАНАКЕРЦИ О ГРУЗИИ

Резюме

«Хроника» армянского писателя XVII в. Закарии Канакерци яв-
 ляется важным источником по истории стран Закавказья. Она содер-
 жит ценный материал для изучения многих вопросов истории закав-
 казских народов. Заслуживают внимания, в частности, сведения Зака-
 рии о политической и социальной жизни Грузии. Анализу некоторых
 из этих сведений посвящается настоящая статья.

კარლო ტაბატაძე

სპარსული ისტორიული საბუთები როგორც წყარო სოციალური
საპრობლემის შესასწავლად (XVI—XVIII სს.)

ჩვენი ერის ისტორიის კვლევა-ძიებისას დოკუმენტური წყაროების მნიშვნელობა საყოველთაოდ ცნობილია¹. ისტორიული წყაროები (წერილობითი, ეპიგრაფიკული, ნუმისმატიკური, არქეოლოგიური, ფოლკლორული და სხვ.) ერთ საერთო მიზანს ემსახურებიან, მაგრამ ყველა მათგანს თავისი დანიშნულება და სპეციფიკა აქვს². ამასთან, ისინი დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ღირსებისა და სანდობის თვალსაზრისით. სპარსულ ისტორიულ დოკუმენტურ წყაროებზე მუშაობა, კერძოდ, ბევრ საინტერესო საკითხს აღძრავს მკვლევარის წინაშე.

ადვილი წარმოსადგენია როდენი შესაძლებლობანი არსებობს სპარსული დოკუმენტური წყაროების გამოყენების შემთხვევაში, რომელთა მიმართ სავსებით შეიძლება გავიმეოროთ ვ. გაბაშვილის სიტყვები, რომ „ისინი შესაძლებლობას იძლევიან შევისწავლოთ აღმოსავლეთის საზოგადოებრივი წყობილება და სოციალური ურთიერთობანი, სახელმწიფო-ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტები, აგრარული ურთიერთობანი (ფეოდალური მიწის-მფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები), გადასახადები და საგადასახადო სისტემა (გლენთა ექსპლუატაციის ფორმებისა და გლენთა მდგომარეობის დასადგენად), ქალაქები, საქალაქო წყობილება და ცხოვრება (საქალაქო ინსტი-

¹ საბუთების გამოყენების კვალი ჩანს „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში. ასე, მაგალითად, მათში დასახელებულია „გუჯარები“ და „სიგლები“, რომლებიც, როგორც დ. ბაქრაძე შენიშნავდა, იმ დროსათვის სინონიმები იყო (Д. З. Бакрадзе. Статьи по истории и древностям Грузии.—Приложение к V-му тому Записок импер. АН, № 1. СПб., 1887, с. 25). უამთაღმწერელს კი ნათქვამი აქვს, რომ „ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი ოპოების და თუთ მე მინახავს, რომელ სიგლებისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიონანი“ და „ნებითა ღთისათა, დავით და დავით“. და კელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისაგან მტკიცე (არს), და ჩემ დავითისაგანაცა მტკიცე არს“ (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილს მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 226—227). იგივე ხასიათის წყაროები („გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი“) ფართოდ გამოუყენებიათ, აგრეთვე, ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცებსაც“ „ქართლის ცხოვრების“ შესავსებად (იქვე, გვ. 326). დოკუმენტურ წყაროებს ფართოდ იყენებდა ვახუშტი ბაგრატიონიც, განსაკუთრებით XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიის შესასწავლად (იხ. ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, 1958, გვ. 3) და, რაც მთავარია, მიიჩნეოდა მათ ყველაზე სანდო და სარწმუნო წყაროებად (იხ. Вахушти Багратиони. История царства грузинского. Перевел, снабдил предисловием, словарями и указателем Н. Т. Накашидзе. Тбилиси, 1976, с. 10).

² ქართული საისტორიო წერილობითი წყაროების სპეციფიკისა და კლასიფიკაციის შესახებ იხ. ვ. აღასანია. ქართული საისტორიო წერილობითი წყაროების კლასიფიკაციის საკითხები. — ქართული წყაროთმცოდნეობა, VI. თბ., 1985, გვ. 3—38.

ტუტები, ხელოსნობა, ვაჭრობა), ქალაქების როლი მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოებრივსა და ეკონომიკურ განვითარებაში, საზოგადოებრივი ფენები და მათი კლასობრივი განლაგება ქონებრივი წიშნის მიხედვით, მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიკური აღმავლობისა და დაქვეითების მიზეზები, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის და სხვ.³

ამჟერად ჩვენ მხოლოდ ფეოდალური საზოგადოების დაბალი ფენების სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ამსახველი ზოგი ცნობის განხილვით შემოვიფარგლებით.

ჩვენში სპარსული დოკუმენტური წყაროები წარმოდგენილია როგორც ირანის სამეფო კარიდან (სეფიანთა, ავშართა, ზენდთა, ყაჯართა დინასტიების შაჰები) გამოსული, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მაჰმადიანი და ქრისტიანი მეფეების, აგრეთვე ნახევრადამოუკიდებელი სახანოების ბეგლარბეგების მიერ გამოცემული ფირმანების, ჰოქმების, თალაღების, აგრეთვე არზების, სხვადასხვა სახის საკანონმდებლო აქტების, ნასყიდობის წიგნების, სასამართლო განჩინებათა, კერძო პირთა შორის დადებული შეთანხმებების, მზითვის წიგნების, გვარიშვილობის დამამტკიცებელი საბუთების, კერძო წერილების საუხით. მათი ერთი ნაწილი შეტანილია მ. ხუბუას, ვლ. ფუთურძის, ა. ფაფაზიანის, თ. მუსხევის და სხვათა პუბლიკაციებში⁴, დანარჩენი კი დაცულია საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში.

დასახელებული სპარსული ისტორიული საბუთები ძირითადად თავსდება XVI—XVIII სს. ჩარჩოებში. ეს ხანა როგორც ირანში, ისე ამიერკავკასიის ქვეყნებში მიჩნეულია ფეოდალური წყობილებიდან ბურჟუაზიულ ფორ-

3 ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის დოკუმენტური წყაროები. — წიგნში: მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები. თბ., 1968, გვ. 18; იგივე თვალსაზრისს გამოთქვამს დოკუმენტური წყაროების შესახებ ა. ფაფაზიანიც (იხ. მისი Персидские, арабские и турецкие официальные документы Матенадарана XIV—XIX веков и их значение для изучения социально-экономической жизни стран Ближнего Востока. М., 1960).

4 მ. ხუბუას, ვლ. ფუთურძის და ა. ფაფაზიანის პუბლიკაციები განხილულია ვ. გაბაშვილის ნაშრომში: სპარსულ დოკუმენტურ წყაროთა პუბლიკაციები საქართველოში და სპარსული დიპლომატიის საკითხები. — აღმოსავლური ფილოლოგია, II. თბ., 1972, გვ. 160—170. ამის შემდეგ ჩვენში კიდევ გამოქვეყნდა: ვლ. ფუთურძე. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვ. 4. თბ., 1977; ნ. დონდუა; როსტომ მეფის ორენოვანი (ქართულ-სპარსული) ჰოქმები. — „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, № 2; კ. ტაბატაძე. რამდენიმე სპარსული საბუთი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდიდან. თსუ შრომები, № 241, 1983, გვ. 274—289; ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVI—XVIII სს.). ტექსტი დაადგინა, თარგმნა, კომენტარი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნ. დონდუამ. თბ., 1984; კ. ტაბატაძე. ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის რამდენიმე სპარსული საბუთი, — ქართული წყაროთმცოდნეობა, VI. თბ. 1985, გვ. 127—146. აქვე უნდა მოვიხსენიოთ 1936, 1937 წლებში თბილისში გამოქვეყნებული ნახევინისა და ყუბის სპარსულენოვანი საბუთები ი. მარის რედაქციით (Нахичеванские документы. Передняя Азия в документах. кн. I, Персидский текст, русский перевод под редакцией Ю. Н. Марра. Тбилиси, 1936; Указы Кубинских ханов. Персидский текст, русский перевод и комментарий. Тбилиси, 1937). აგრეთვე ერევანსა და ბაქოში გამოცემული კრებულები: Персидские документы Матенадарана, указы, выпуск I, составил А. Д. Папазян. Ереван, 1956; выпуск II. 1959; выпуск III, 1968. (ქვემოთ—ა. ფაფაზიანი); Т. М. Мусеви. Персидские документы по средневековой истории Азербайджана. Баку, 1977 (აზერბაიჯანულ ენაზე; ქვემოთ—თ. მუსხევი).

მაციაზე გადასვლის წინა ეპოქად, მაგრამ ჩვენი საბუთები თითქმის მთლად აღწერილობენ ფეოდალური საზოგადოების წიაღში წამოჭრილი საკითხების მოგვარება-მოწესრიგებას. ეს გარემოება თითქოს უადვილებს მკვლევარს დასახელებული ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური საკითხების დამუშავებას, მაგრამ ამას დიდი სიძნელეებიც ახლავს თან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში ჩამოყალიბებული ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების წესი, რომელთა რეალები ერთნაირი ტერმინოლოგიითა და დიპლომატიკური ფორმულებით აისახებოდა დასახელებულ საბუთებში, სინამდვილეში არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ი. პეტრუშევსკის თქმით: საქართველოში არსებობდა ფეოდალურ ურთიერთობათა ძალიან თავისებური ფორმები, რომლებიც არ ჰგავდა არც აზერბაიჯანსა და სომხეთში და არც არაბეთის ერაყსა და ირანში დამკვიდრებულ ფორმებს⁵.

მართალია, როგორც საქართველოში ისე ირანში და სხვა ქვეყნებში ფეოდალური ფორმაციის საფუძველი ერთნაირი, ან უფრო სწორად საერთო იყო და მიწის ფეოდალურ საკუთრებაში გამოიხატებოდა, მაგრამ მიწისმფლობელობის განსხვავებული სისტემები (სამამულო სისტემა საქართველოში, მისი სამხედრო-ლენური ხასიათი ირანსა და სხვა ქვეყნებში) მფლობელობის ფორმის ხასიათის შესაბამის ზედნაშენს ქმნიდა. ასეთი განსხვავება მარტო საქართველოსა და ირანს შორის კი არა, არამედ მუსლიმანური აღმოსავლეთის ქვეყნებისთვისაც დამახასიათებელი იყო. ვ. გაბაშვილს ამის თაობაზე ხაზგასმით აქვს ნათქვამი: „მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური ინსტიტუტების მსგავსება (შუა აზიაში, ინდოეთში, ირანში, თურქეთში, არაბეთში) აღმოცენებული საკუთრების საერთო საფუძველზე და უნიფიცირებული იყო მუსლიმანური სამართლით, თითოეული მათგანი მაინც გარკვეულ ნაირსახეობას ამჟღავნებდა ცალკეული ქვეყნების მიხედვით“⁶. ის კი არა, იმ ქვეყნებშიც კი სადაც ფეოდალური მიწისმფლობელობა გამოხატული იყო ერთნაირი მფლობელობის სამხედრო-ლენური სისტემით, თავს მაინც იჩენდა ამა თუ იმ სახის ნაირსახეობა და განსხვავება. „ირანული თიული არ გავდა ოსმალურ თიმარს, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ორთავე გაცემული იყო სახელმწიფო მიწების ფონდიდან შეწყობილი ფეოდალების სახელზე და გარეგნულად დაფუძნებული იყო მუსლიმანური სამართლის იურიდიულ ნორმებზე“⁷.

ზემოთქმულის შემდეგ სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული ყოფილიყო სპარსულ ისტორიულ საბუთებში ერთნაირი ტერმინოლოგიით მოხსენიებული ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ცალკეული მოვლენების შინაარსი ირანის, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და სხვა ქვეყნების სინამდვილიდან.

იგივე გარემოებათა გამო ხდება ისიც, რომ სხვადასხვა ნარატიულ თუ დოკუმენტურ ხასიათის წყაროებში დამოწმებული სოციალური და ეკონომიკური ტერმინების გაგება-განმარტება კამათს იწვევს სპეციალისტთა შორის.

ასეთთა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, სპარსულ ისტორიულ საბუთებში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა გამომხატველი ტერმინების, მათ შორის თიულის, სოიურდალის, რაიათის და სხვათა მოხსენიება, რომელ-

⁵ И. П. Петрушевский. Очерки феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв. Л., 1949, с. 213.

⁶ ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 131.

⁷ იქვე.

თა შინაარსის სწორად აღქმა ხშირად შეუძლებელი ხდება ეპოქის, ადგილისა და ვითარების გაუთვალისწინებლად.

მაგალითად, თუ აზერბაიჯანისა და სომხეთის შესახებ გამოცემულ სპარსულ დოკუმენტებში ადგილობრივი ლენური მიწათმფლობელობის სისტემის აღსანიშნავად „თიულის“ გამოყენება საეკსპედიციო კანონზომიერი ჩანს, სამაგიეროდ საქართველოსთან დაკავშირებით მისი გამოყენება მხოლოდ პირობითია, რადგან „მამულთან“ მისი გაიგივება ყოველად დაუშვებელია. ყოველ შემთხვევაში, XVIII ს-ის მე-2 ნახევარამდე, როდესაც თიული დასახელებულ ქვეყნებში ადგილს უთმობს მიწისმფლობელობის იმ წესს, რომელსაც სოიურღალი ეწოდებოდა და თავის თავში გულისხმობდა მიწის მემკვიდრეობით საკუთრების უფლებას და თავისი შინაარსით უახლოვდებოდა ქართულ სამამულო სისტემას.

იგივე სურათი გვაქვს ფეოდალური საზოგადოების შემადგენლობის აღმნიშვნელი ტერმინების გამოყენების დროსაც. მართალია, თვითონ ამ საზოგადოების სოციალური შემადგენლობა ფაქტიურად ყველგან ერთნაირი იყო, მაგრამ ცალკეულ განსხვავებებს მაინც ვხვდებით გარკვეული ქვეყნების მიხედვით, რაც საბუთებში ერთნაირად აისახებოდა.

დასახელებულ საუკუნეებში კი საქართველოს მეზობელი ქვეყნების, აზერბაიჯანისა და სომხეთის, ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენა მოიცავდა ოთხ ძირითად ჯგუფს: I. ყიზილბაშ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომთა სამხედრო არისტოკრატია, II. აზერბაიჯანელი და სომეხი ძველი ადგილობრივი ფეოდალები, III. უმაღლესი სასულიერო მუსლიმანური (სომხეთში ნაწილობრივ ქრისტიანული) სასულიერო წოდება და IV. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების აპარატის ბიუროკრატია⁸.

ჩვენს მიერ შესწავლილი სპარსული საბუთების მიხედვით სწორედ ასევე წარმოგვიდგება არა მარტო აზერბაიჯანისა და სომხეთის, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე მუსლიმანური ელემენტების საზოგადოებრივი იერარქია, ოღონდ კორექტივია საჭირო თვითონ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან დაკავშირებით, სადაც არ არსებობდა სამხედრო-ნომადური არისტოკრატია და მას აქ ცვლიდა ადგილობრივი თავადაზნაურული ზედაფენა.

ხოლო რაც შეეხება დასახელებული ეპოქის ფეოდალური საზოგადოების დაბალსა და ექსპლოატირებულ ძირითად მწარმოებელ კლასს, მისი წარმომადგენლები სპარსულ დოკუმენტურ, ისევე როგორც ნარატიულ წყაროებშიც ერთნაირად მოიხსენიებიან „რაიათის“ ან „რაიას“ (მხოლობითსა და მრავლობით რიცხვებში) სახელწოდებით, რაც გულისხმობს ზოგადად მის ყველა ფენასა და შრეს.

არაბული წარმოშობის ეს ტერმინი პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავს ჯოგს, აგრეთვე ქვეშევრდომს. იგი მუსლიმანურ სახელმწიფოებში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, მათ შორის ინდოეთშიც გამოიყენებოდა ორი, ვიწრო და ფართო გაგებით. სახელდობრ, როგორც საერთოდ ქვეშევრდომი და, როგორც ფეოდალური საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლის — მიწის მუშა გლეხის სახელწოდება. მაგრამ, მართალია, ფეოდალიზაციის პროცესი აღმოსავლეთში ისეთსავე წარმოებით ურთიერთობას ემყარებოდა, როგორც დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის და მისი სოციალური ბუნება ყველგან ერთნაირი იყო,

⁸ И. П. Петрушевский. Очерки феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., с. 89.

მაგრამ ცალკეული ქვეყნების მიხედვით მაინც ახასიათებდა სპეციფიკურ თან-ვისებულებანი, რადგან მიწისმფლობელობისა და გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები ამა თუ იმ წინით ერთმანეთისაგან მაინც განსხვავდებოდა. ამ გარემოებამ კი დიდად განაპირობა სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა ცალკეული რეგიონების მიხედვით, როგორც მიწის ფეოდალური მფლობელობის ფორმების, ისე მისი სოციალურ-ეკონომიკური ზედნაშენის ტაქითებში, რაც ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ირანის და, განსაკუთრებით კი ოსმალეთისა და ოსმალთა იმპერიაში შემავალი ქვეყნების ისტორიის შესწავლის მავალითზე. სწორედ ამიტომაც, რომ ტერმინი „რაია“ არაერთგზის არის ახსნილი და განმარტებული როგორც გასულ საუკუნეში, ისე ჩვენს დროში სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტთა მიერ. თითქმის ყველა ავტორი რაღაცას მაინც უსწორებდა თავის წინამორბედს და განსხვავებული ნიუანსი შეჰქონდა განმარტებაში, მაგრამ ზოგი რამ კვლავაც სადავო და დასაზუსტებელი ჩანს.

ავსტრიელი მეცნიერის ი. ჰამერის განმარტებით, ტერმინი „რაია“ ოსმალეთში იხმარებოდა არამუსლიმი მოსახლეობის, — ებრაელებისა და ქრისტიანების აღსანიშნავად⁹. ვ. სმირნოვის მიხედვით კი ეს ტერმინი ბინადარი მიწის მუშის, ე. ი. გლეხის აღმნიშვნელი სახელი იყო ოსმალეთში, მისი რელიგიური კუთვნილების განურჩევლად¹⁰. ამ აზრს იზიარებდა ი. მორტმანიც, ოღონდ იმ შესწორებით, რომ „რაია“ გლეხს აღნიშნავდა XVIII საუკუნემდე, ხოლო ამის შემდეგ კი გამოიყენებოდა არამუსლიმანი მოსახლეობის — ებრაელებისა და ქრისტიანების მიმართ¹¹.

მოგვიანებით ამ საკითხს შეეხო ა. მილერი, რომელიც აგრეთვე მიუთითებდა, რომ „რაია“ ოსმალეთში გამოიყენებოდა არამუსლიმანი მოსახლეობის — ებრაელებისა და ქრისტიანების აღსანიშნავად¹². ეს დებულება გაიმეორა ი. პეტრუშევსკიმაც. მისი აზრით, „რაია“ ოსმალეთში იყო ჯიზიას გადამხდელი არამუსლიმი ქვეშევრდომი, ქრისტიანი და ებრაელი. რაც შეეხება ირანსა და ხმირაკავასიის ქვეყნებს, აქ იგი აღნიშნავდა მიწის მუშა გლეხს მისი რელიგიური კუთვნილების განურჩევლად¹³. ცოტა მოგვიანებით ი. პეტრუშევსკი საგანგებოდ მიუთითებდა, რომ „შუა საუკუნეებში ირანსა და მომიჯნავე ქვეყნებში, ისევე როგორც ოსმალთა იმპერიის ადრეულ ხანაში, „რაიას“ უწოდებდნენ გადასახადთა გადამხდელ ფენას საერთოდ, უპირატესად კი გლეხობას, განურჩევლად, როგორც მუსლიმანებს, ისე ზიმიებს“¹⁴.

„რაიას“ შესახებ რამდენიმეჯერ გამოთქვა თავისი მოსაზრება ა. ტვერიტი-ნოვამ, რომელიც აღნიშნავდა, რომ „რაია“ ოსმალეთში XVII ს-ის შუა ხანებამ-

⁹ J. Hammer. Histoire de L'empire Ottomane, v. III. Paris, 1844, p. 111.

¹⁰ В. Д. Смирнов. Кочибей Гомуррджинский и другие османские писатели XVII в. о причинах упадка Турции. СПб., 1873, с. 77.

¹¹ Y. Mor dt man. Turkischer Lehen sbief. ZDMG, 1914, S. 138.

¹² А. Ф. Миллер. Мустафа паша Байрактар. М.—Л., 1947, с. 497; он же. Краткая история Турции. М., 1948, с. 22.

¹³ И. П. Петрушевский. Очерки феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., с. 249.

¹⁴ И. П. Петрушевский. Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков. М.—Л., 1960, с. 305.

დე ერთნაირად აღნიშნავდა როგორც მუსლიმან, ისე არამუსლიმან გლეხს¹⁵ (ქრისტიანსა და ებრაელს), ე. ი. ზიმიას¹⁶.

ამ საკითხის გარშემო თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს აგრეთვე ქართველ-მა მეცნიერებმაც. ს. ჯიქიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოსმალეთის ფეოდალიზმის კლასიკურ ხანაშდ „რაია“ ოსმალეთში აღნიშნავდა გადასახადის გადამხდელ ქვეშევრდომ გლეხს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ხოლო შემდეგ კი არამაჰმადიან გლეხს, იზიარებენ მ. სეანიძე¹⁷ და ბ. სილაგაძე¹⁸. ვ. გაბაშვილი იზიარებდა ი. პეტრუშევსკის იმ მოსაზრებას, რომ „რაია“ ირანსა და მის სამფლობელოებში აღნიშნავდა მიწის მუშა გლეხს მისი რელიგიური წიშნის განურჩევლად¹⁹. თუმცა იქვე შენიშვნასაც გამოთქვამდა ოსმალეთთან დაკავშირებულ ამ ტერმინის მისებურ გაგებაში²⁰. „რაიას“ შესახებ საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული, აგრეთვე, ვლ. ფუთურჩიძეს, მაგრამ ამის შესახებ ცოტა უფრო ქვემოთ.

როგორც ზემოთ ითქვა, ირანსა და მის მეზობელ ქვეყნებში ტერმინი „რაია“ გამოიყენებოდა გლეხის აღსანიშნავად განურჩევლად სარწმუნოებრივი კუთვნილებისა. სწორედ ასე აქვთ გაგებული და თარგმნილი იგი მ. ხუბუას, ვლ. ფუთურჩიძესა და სხვებს. ასე, მაგალითად, შაჰ-აბას I-ის 1611 წლით დათარიღებულ ფირმანში მარანდის ოლქის სოფელ მარქათოს გაფანტული გლეხების თავიანთ ძველ სამყოფელ ადგილზე დაბრუნების შესახებ, მოიხსენიებიან „გაფანტული გლეხები“²¹. შაჰ-სულეიმანის 1691 წლით დათარიღებულ ბრძანებულებაში შირვანის ბეგლარბეგის ნეჯფე ყული-ხანის საჩივარზე შაქის გამგებელთა უკანონო მოქმედების შესახებ, რაც ხსენებული ოლქის „რაიების გაფანტვისა და დაქსაქვის მიზეზი“ ხდებოდა, ნათქვამია, რომ „მათი უსამართლობა უნდა აღიკვეთოს, ხოლო „ქედხოდები და რაიები“ დამშვიდებულები და დაწყნარებულები თავიანთ ჩვეულ საქმიანობას შეუდგნენო“²². ნადირ-შაჰის 1739 წლით დათარიღებულ ფირმანში მოიხსენიებულია შაქის მეღიქი ჰაჯი ჩალაბი, რომელიც შაქის რაიების ერთ ნაწილთან ერთად შირვანში ჩასულა „იქაური რაიების გასამხნეველად და დასახმარებლად ხენა-თესვისა და მეურნეობის წარმოებისა და გაფანტულთა შეკრება-შეგროვების საქმეში“²³.

იგივე სურათი გვაქვს ა. ფაფაზიანის პუბლიკაციების მიხედვითაც. შაჰ-თამაზ I-ის 1562 წლით დათარიღებულ ფირმანში მოიხსენიებიან სოფელ არქაიუნის გლეხები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერიონ სამონასტრო მიწების გამგებელთა საქმეებში და თავი არ აარიდონ ძველი წესებისა

¹⁵ А. С. Т веритинова. Об ошибочной концепции средневековой истории в „Краткой истории Турции“ А. Ф. Миллера.—Сборник: История и философия стран Востока. Л., 1952, с. 228.

¹⁶ Аграрный строй Османской империи XV—XVI вв. Документы и материалы. М., 1963, с. 211.

¹⁷ მ. სეანიძე. გლეხთა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები ახალციხის საფაშოში კანუნ-ნამეების მიხედვით. — ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 325.

¹⁸ ბ. სილაგაძე. ერაყი მამულქთა გამგებლობის ხანაში. თბ., 1978, გვ. 62.

¹⁹ ვ. გაბაშვილი. ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, გვ. 204.

²⁰ იქვე, გვ. 205.

²¹ სპარსული ისტორიული საბუთები სქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვ. 1, თბ., 1961, გვ. 8.

²² თ. მუსევი. გვ. 137.

²³ იქვე, გვ. 151.

და არსებული რიგის შესრულებას²⁴. იმავე შაჰის 1570 წლით დათარიღებულ ფირმანში განძასარელი კათალიკოსის გრიგოლის სახელზე დასახელებულია „აღვანჭის“, ზაჩენისა და ბარდის „ქედხოდები და რაია“, რომლებმაც ხსენებული გრიგოლი უნდა ცნონ „თავიანთ ხელმძღვანელად და წინამძღოლად“ და არ უნდა გადაუხვიონ მის „სიტყვასა და დავალებებს“²⁵. აზერბაიჯანის ბეგლარბეგის 1581 წლით დათარიღებულ ბრძანებულებაში დასახელებული არიან ვანანდის ხეობის სოფლების „ქედხოდები და რაია“, რომლებიც უნდა მოიქცნენ „ძველი წესისა და რიგის მიხედვით“ და თავი არ აარიდონ სახელმწიფო გადასახადების გადახდას²⁶. სულთან მოჰამედ-ხოდაბანდეს 1585/86 წლით დათარიღებულ ფირმანში მოხსენიებულია ავულისის მონასტრის მიწებიდან გაქცეული და დაფანტული გლეხები, რომელთა შესახებ ნათქვამია, რომ „დაეისინი ისევ დაბრუნდნენ უკან, კეთილმოაწყონ დასახელებული მონასტერი და გააგრძელონ ხენა-თესვა“²⁷.

ანალოგიური სურათია საქართველოსთან დაკავშირებითაც. შაჰ-აბას II-ის 1658 წლის ნოემბრის თვით დათარიღებულ ფირმანში პაპუნა ციციშვილისათვის მამამისის თიულის დამტკიცების შესახებ მოხსენიებულია „ხუთი ოჯახი აზნაური და ორმოცდაათი ოჯახი გლეხი ქართლის ოლქის მცხოვრებ აზნაურთა და გლეხთაგან, რომლებიც წინათ ფარსადან ციციშვილს ეკუთვნოდნენ“ და „ახლა ქაიხოსრო-ბეგ ციციშვილს ეწყალობა“²⁸. შაჰნავაზ მეფის (არჩილის) 1664 წლით დათარიღებულ ბრძანებულებაში ავთანდილ და ქაიხოსრო ბარათაშვილებისადმი მამისეული თიულის დამტკიცების შესახებ მოხსენიებულია „საბარათიანოს მამულებიდან სოფელი გორისა, რომელიც წარსულში თიულად ერგებოდა აღნიშნულთა მშობელს. ხსენებული სოფლის გლეხებმა აღიარონ რა აღნიშნულნი თავიანთ მებატონეებად, წლიდან წლამდე აძლიონ მათ მალუჯაჰათი და კუთვნილი სახელმწიფო გამოსადები საქართველოს ზნეჩვეულებათა შესაბამისად“²⁹. სეფი-ხანის 1737 წლით დათარიღებულ ბრძანებულებაში კათალიკოსის სახლთხუცეს გურგენისა და სოლომონ მდივნის სახელზე ქართლის, კახეთის, სომხეთისა და საბარათიანოს თავადებისა და აზნაურების მისამართით ნათქვამია, რომ მათ ხელი არ შეუშალონ „მომოფანტულ გლეხებს თავიანთ ადგილ-მამულებსაყენ დაბრუნებაში, რომ ხელი მოჰკიდონ თავის ზენა-თესვით საქმიანობას“³⁰. სხვა შემთხვევებში იმავე საბუთებში საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა ასეთი სიტყვებითაც არის ხოლმე გამოხატული: „თავადები, აზნაურები და საქართველოში მოსახლე ქართველები“, ან „თავადები, აზნაურები და ქართველები“³¹, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც „ქართველებში“ მაშინდელი ფეოდალური საზოგადოების დაბალი ფენა, ანუ გლეხობა იგულისხმებოდა³².

24 ა. ფ ა ზ ი ა ნ ი, I, გვ. 275.

25 იქვე, გვ. 279.

26 იქვე, გვ. 283.

27 იქვე, გვ. 293.

28 სპარსული ისტორიული საბუთები საქართველის წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვეთი 1, გვ. 74.

29 მ. ხუ ბ უ ა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები. თბ., 1949, გვ. 16.

30 სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვეთი, 3, გამოსცა ვლ. ფუთურიძემ. თბ., 1965, გვ. 1.

31 იქვე, გვ. 19.

32 ასეთივე ახსნას იძლევა დ. კაციტაძე, ოღონდ თბრობითი წყაროების მონაცემების ნიმუშებზე (იხ. დ. კაციტაძე. სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XIV საუკუნის სა-

დაბოლოს, საინტერესოა, რომ ეს ტერმინი, როგორც ირკვევა, ასევე ეს-
მოდათ XVIII ს-ის შუა ხანების საქართველოშიც. ამისი მოწმობაა ბეგლარბეგ
იმამყული-ხანის 1742 წლით დათარიღებული ბრძანება ამირინდო ამილახვრის-
შვილისათვის ამილახვრობის მიცემის შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „ზემო
ქართლის საბატოს კაციშვილნო, აზნაურნო, რაიათნო, რითაც სხვას ამილახ-
რის სიტყვის გამგონე ყოფილიყოთ, ახლა ამირინდო ამილახვრის მორჩილნი
იყავით, ზემო ქართლის ამილახვრობა ამას წყალობა უყავით, რომ ხელმწი-
ფისა დიდად ერთგული და ნამსახური იყო“³³.

ძნელია, რასაკვირველია, ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ამ შემთხვევაში
საბუთში დასახელებულ „რაიათში“ ზემო ქართლის გლეხობა იგულისხმე-
ბა.

სპარსულ ისტორიულ საბუთებში დამოწმებულ სოციალურ-ეკონომიკური
ხასიათის ცნობებზე მსჯელობის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო საბუთთა
ერთ ნაწილში რაიას გვერდით იგივე სოციალური კატეგორიის აღმნიშვნელი
სხვა ტერმინების გამოჩენამაც. შინაარსით ისინი პირველის ფარგლებს არ
სცილდებიან და, მაშასადამე, მასთან ერთად აღნიშნავენ ფეოდალური საზო-
გადოების ქვედაფენას, მაგრამ ამავე დროს, მაინც აშკარად ეტყობა რომ ატა-
რებენ „რაიასაგან“ განსხვავებულ ელფერს. რაც განსაკუთრებით საინტერესოა,
ეს ტერმინები ერთნაირად ხშირად გვხვდება იმ საბუთებშიც, რომლებიც
უშუალოდ საქართველოს შეეხება და იმათშიც, რომლებიც აზერბაიჯანისა და
სომხეთის ფეოდალური საზოგადოების სინამდვილეს ასახავენ.

ჩვენ უპირველესად ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ტერმინი „აჯაზე“
(اجزه), მხოლოდით რიცხვში „ააჯეზ“ (اعجاز), რომელიც ლექსიკონებში,
ჩვეულებრივ, ასხნილია როგორც: უღსტი, უძღლური, ბეჩავი³⁴ და ა. შ. აგრეთვე
„რაიას“ გვერდითვე ხშირად მოხსენიებული „მასაქინ“ (مساکين), მხოლოდით
რიცხვში „მესქინ“ (مسكين) — ღარიბი, ლატაკი, უძღლური³⁵ და ა. შ., რომ-
ლებსაც სპარსული ისტორიული საბუთების პუბლიკატორები, როგორც წესი,
გადმოგვეცემენ იგივე მნიშვნელობებით, რაც სავსებით ბუნებრივად ჩანს. მაგ-
რამ, ჩვენ გვგონია, რომ მათ აქვთ სხვა მნიშვნელობაც და ასახავენ მაშინდე-
ლი ფეოდალური საზოგადოების სრულიად გარკვეულ სოციალურ კატეგო-
რიას.

ერეკლე I-ის 1689 წლით დათარიღებულ განკარგულებაში ყაიყულის
მოურავ ქაიხხრო საგინაშვილის ნაცვლად ასლან-ბეგ ბარათაშვილის ძის ოთარ-
ბეგის დანიშვნის შესახებ ნათქვამია, რომ „უწყებული მხარის გლეხებმა და მი-
წის მუშებმა, ქედხუდებმა და მამასახლისებმა ზემოხსენებული ოთარ-ბეგი
აღიარონ თავიანთ სრულუფლებიან ხასადარად და ტარულად და გამოჰყონ მის-
თვის ერთი მეოთხედი ზაპრაჩა, მალუჯაპათი და სახელმწიფო ფულადი გამო-
საღები“³⁶. ზოლო ის კი „გლეხებთან, ბეჩავებთან და უმწიფოებთან (اجزه اسيا و مساکين
و) გამოიჩინეს ისეთ კეთილგანწყობილებას, რომ ყველა ისინი იმყოფე-
ბოდნენ სიმშვიდესა და სიწყნარეში“³⁷.

ქართველოში. კრებ.: მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარ-
კვეები. თბ., 1968, გვ. 144).

³³ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენი-
შვნები დაურთო ვ. ფუფუჩიძემ. თბ., 1955, გვ. 451.

³⁴ М. А. Гаффаров. Персидско-русский словарь, т. II. М., 1927, с. 545.

³⁵ იქვე, გვ. 779.

³⁶ მ. ხუბუა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, გვ. 26.

³⁷ იქვე.

მამასადამე, აქ რაიას გვერდით მოხსენიებული არიან „აჯაზე“ და „მასა-
ქინ“, რასაც პუბლიკატორი თარგმნის „ბეჩაგებად“ და „უმწეობად“.

ვლ. ფუთურძის პუბლიკაციებში დასახელებული ტერმინები არაერთხელ
გვხვდება როგორც „რაიასთან“ კავშირში ისე ცალ-ცალკე. თანაც როგორც
სპარსულ ისტორიულ საბუთებში, ისე ორენოვან საბუთებში. მაგალითად, შაჰ-
აბას II-ის ფირმანში, რომლითაც ხაჩენის თიულდარებსა და იჭაურ სახელმ-
წიფო მოხელეებს ეკრძალებათ რაიმე გადასახადი გადაახდევინონ სოფელ დუ-
შამლუს მცხოვრებლებს მთაში წისქვილის ქვების მოჭრისათვის, ერთმანეთის
გვერდით არიან დასახელებული „სოფელ დუშამლუს გლეხები და შეუძლებ-
ლები“, როგორც ამ შემთხვევაში თარგმნის მას პუბლიკატორი³⁸.

ეს ტერმინები ერთმანეთის გვერდი-გვერდ არაერთხელ გვხვდება, აგრეთ-
ვე, ორენოვან ქართულ-სპარსულ საბუთებში, ოღონდ, როგორც წესი, მხო-
ლოდ საბუთთა სპარსულ ნაწილებში. მაგალითად, 1581 წლის მარტის თვით
დათარიღებულ მამულის წყალობის წიგნში, რომელიც სვიმონ I-ს გიორგი და
ამირან თულაშვილებისადმი უბოძებია, სპარსულ ნაწილში მოხსენიებული არი-
ან „გლახაკები და გლეხები“, რომლებიც თავიანთი ბატონების „კმაყოფილნი
და მაქებარნი უნდა იყვნენ“³⁹. იმავე წლით დათარიღებულ მამულისა და ყმის
წყალობის წიგნში, რომელიც სვიმონს I-ს ყაფარ სოლოლაშვილის შვილები-
სადმი გაუცია, სპარსულ ნაწილში მოხსენიებული არიან „გლეხები, შეუძლებ-
ლები და ღარიბები“, რომლებმაც ყაფარ სოლოლაშვილის შვილები „თავიანთ
თიულდარებად უნდა ცნონ“ და „მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადები
წლიდან წლამდე მათ უნდა გადასცენ“⁴⁰.

იმავე წლით დათარიღებულ შეწირულობის წიგნში, რომელიც სვიმონ I-ს
მიუცია მცხეთის საყდრისადმი და „აღს დამოკიდებული სოფელი მოხისი“ შეუ-
წირავს, სპარსულ ნაწილში მოიხსენიებიან „ხსენებული სოფლის ქედხოდები,
ღარიბები და უძლურები“, რომლებმაც უსიტყვოდ უნდა შეასრულონ საბუ-
თში ჩამოთვლილი მოვალეობები⁴¹. იქვე, 1627 წლით დათარიღებულ მამუ-
ლის წყალობის წიგნში, რომელიც ჯაჰან-ბანუს მიუცია ავთანდილ ბარათაშვი-
ლისათვის, საბუთის სპარსულ ნაწილში კვლავ იხსენიებიან „გლეხები და ღა-
რიბები“, რომლებსაც წყალობის მიძღები ისე უნდა მოეპყრას „რომ მდიდართ
არ დაჩაგრონ შეუძლებელნი, და მისი კეთილი ქცევის შედეგი გამოჩნდეს“⁴².
ეს ტერმინები ასევე ერთმანეთის გვერდი-გვერდ არიან მოხსენიებული, აგ-
რეთვე, როსტომ მეფის მიერ 1634 წელს მოლარეთუხუცეს შიოშისადმი მი-
ცემული წყალობის წიგნის სპარსულ ნაწილში.

ტერმინი „აჯაზე“ არაერთხელ გვხვდება აგრეთვე სხვათა პუბლიკაციებ-
შიც. თ. მუსევისთან აზერბაიჯანულ თარგმანში „აჯაზეს“ ყოველთვის შეესატ-
ყვისება სიტყვა „უძლური“, ხოლო სხვა სახელებთან კავშირში, როგორც მა-
გალითად *زیردستان و حجاز* ითარგმნება როგორც „უძლურები და ხელ-
ქვეითები“⁴³.

38 სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვ. 1, გვ. 54—55.

39 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 7—9.

40 იქვე, გვ. 10—11.

41 იქვე, გვ. 12.

42 იქვე, გვ. 73—74.

43 თ. მუსევი, გვ. 75.

მოტანილი მაგალითების მიხედვით აშკარაა, რომ საეციკლისტაა შორის ამ ტერმინების გაგებაში რაიმე პრინციპული განსხვავება არ ჩანს, ოღონდ მანც საძებარია თუ სახელდობრ მოსახლეობის რომელი სოციალური კატეგორია იგულისხმება შიგ.

როგორც ვნახეთ, ეს ტერმინი თითქმის ყოველთვის მოიხსენიება „რაიას“ გვერდით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი შინაარსობრივად ახლოს დგას შასთან, მაგრამ გვხვდება ისეთი ცნობებიც, როცა „რაია“ სავსებით ფარავს შას. ამ მხრივ საინტერესოა შაჰ-სეფი I-ის 1633 წლით დათარიღებული ფირმანი, რომელშიც მოხსენიებული არიან „რაია, აჯაზე ვა შასაქინ“, ე. ი. ჩვეულებრივად თარგმანით „გლეხები, ღარიბები და უძლურები“, რომლებსაც შაჰისათვის მოუხსენებიათ, რომ მათი მიწების ნახევარი მძლავრობითა და ძალადობით მიუთვისებია ასლან-სულთანს, თვითონ ეწევა ხენა-თესვას და მათგან კი ითხოვს ამ მიწების გადასახადს. შაჰი ავალებს ასლან-სულთანს, მიწები დაუბრუნოს „რაიას“ და მხოლოდ ამის შემდეგ მოითხოვოს სათანადო ოდენობის გადასახადის გადახდა⁴⁴.

მაშასადამე, შაჰის განკარგულებაში ერთი ტერმინი „რაიათი“ აისახა მომჩივანი მხარე და აღარ დახაწევდრა იგი „რაია, აჯაზე და შასაქინ“-ად, რაც აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ პირველი სავსებით ფარავს მათ.

ანალოგიური ვითარების მოწმენი ვართ ერეკლე II-ის განკარგულებაშიც სალაპლუს ქედხოდებისა და რაიებისადმი, რომლითაც, მათივე სურვილის მიხედვით, მეფემ მოჰამედ შარიფ-ალა სიბერისა და უძლურობის გამო გადააყენა თანამდებობიდან და მისი უფროსი ვაჟი ფანაჰ-ალა დანიშნა სალაპლუს ტომის რიშეთედად და ბელადად. ის კი სამართლიანად უნდა მოექცეს ამ ტომის რაიას, დიდს, მცირეს, შეძლებულს, შეუძლებელსა და ბეჩავებს. ამის შემდეგ მეფის განკარგულებაში ნათქვამია, რომ თავის წილ სალაპლუს ტომის ქედხოდებმა და რაიამ პირნათლად უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები და მალაღობრივად განკარგულებები⁴⁵.

მაშასადამე მეფის განკარგულების საწყის ნაწილში მოხსენიებული „დიდი, მცირე, შეძლებული, შეუძლებელი და ბეჩავები“ ყველა „რაიაში“ გაერთიანდა და დაიფარა.

ანალოგიური ვითარებაა 1785 წლით დათარიღებულ განკარგულებაში, რომლითაც ერეკლე II ზემოთ უკვე მოხსენიებულ ფანაჰ-ალას ავალებს გაფანტული გლეხების შეგროვებას და ღატაკთა, სუსტთა, ბეჩავეთა და ხელქვეით რაიასადმი მზუნველობისა და ყურადღების გამოჩენას⁴⁶. დასკვნით ნაწილში კი ნათქვამია, რომ სალაპლუს ტომის „უფროსებმა, ქედხოდებმა და რაიამ“ ზემოთ მოხსენიებული ფანაჰ-ალა სამაგიეროდ თავიანთ ერთადერთ და დამოუკიდებელ ვეჟილად იცნონ და მის კეთილ რჩევასა და განკარგულებებს არ გადაუხვიონო⁴⁷.

მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც თავში ჩამოთვლილ „ღატაკებს, სუსტებს, ბეჩავებს“ დასკვნით ნაწილში ფარავს რაია.

მაგრამ, მართლაც „ღარიბებზე, ღატაკებზე, უძლურებზე და ბეჩავებზე“ აქ ლაპარაკი, თუ ამ ტერმინების — „აჯაზე“, „ფოყარა“, „ზოაფა“, „მესაქინ“-ის ქვეშ, რომლებიც, როგორც ვნახეთ „რაიას“ (გლეხების) საერთო დასახე-

44 თ. მუსევი, გვ. 126.

45 იქვე გვ. 204.

46 იქვე, გვ. 212.

47 იქვე.

ლებით ერთიანდებიან, ფეოდალური საზოგადოების ამ სოციალურ ფენაში შემავალი სხვა წევრები იგულისხმებიან?

ერთი პირობა, დიდი იყო ცთუნება ამ ტერმინებში ქართველი უამთაღმწერლის თხზულებაში ზმირად ნახმარი სიტყვები „გლახჰანი, ულონონი და უქონელნი“⁴⁸, დაგვეჩვენოს, მაგრამ, ამას წინ ეღობება ჯერ ერთი ის გარემოება, რომ ამ ცნობათა შორის მთელი ზუსტი საუკუნე ძევს და მეორეც, რაც უფრო მთავარია, სპარსული ისტორიკოსის ჰაფეზე აბრუს ერთი ცნობის მიხედვით, XIV ს-ის დასასრულსა და XV საუკუნის დასაწყისის ამბებს რომ ასახავს, საქმე „აჯაზესთან“ დაკავშირებით მაინცდამაინც ასე სავალალოდ არ ჩანს.

ჰაფეზე აბრუს თემურ-ლენგის კარის ისტორიკოსი იყო და ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის აზიის დიდი დამპყრობლისა და იმდროინდელი ეპოქის შესახებ. თავისი ხელმწიფის ჰახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დახასიათების დროს, რომელიც მართლაც ზრუნავდა ქვეყანაში ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის დასაწინაურებლად, ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ „მის დროს უკიდურესი თურქესტანიდან ინდოეთამდე და დერბენდიდან ეგვიპტისა და რუმის საზღვრებამდე მისი უდიდებულესობის მიერ დამყარებული კანონიერებისა და წესრიგის მეოხებით ვაჭრები კი არა, ბავშვები და ქვრივი ქალებიც კი ფართულულითა და ოქრო-ვერცხლით, აგრეთვე უცხო ნაკეთობითა და ძვირფასი ნახელავით დატვირთულები სადაც არ უნდა წასულ-წამოსულიყვნენ, გზაში მათ ყაციისმეილი ვერსად დააბრკოლებდა და ერთი დირჰემის ზარალს ვერ მიაყენებდა. ის კი არა, ვინმე ბეჩავი კაციც კი (چراغدار) ხელზე ნაღდი ფულებით მაშრიყიდან მალრიბამდე რომ წასულიყო, არსად, არცერთ ქვეყანაში გამოყოლი და მცველი არ დაჰქირდებოდა, რადგან გზები და ქვეყნები სრულიად უსაფრთხო იყო ქურდთა და ავაზაკთა თავდასხმებისაგან“⁴⁹.

აღნიშნული გარემოება ჩვენს წინაშე ბუნებრივად სვამს ასეთ კითხვას: იქნებ საქმის სულ სხვა მხარეზე მიუთითებს სპარსულ ისტორიულ საბუთებში „აჯაზე“, „მასაჰინ“ და მსგავს სხვა ტერმინთა საზვასამით მოხსენიება და რაღაც არსებითი განსხვავებაც აქვთ ნაგულისხმევი ამ კატეგორიის „რაიას“ ჩამოთვლის დროს საბუთების შემადგენლებს? მით უმეტეს, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ მაშინდელი ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო კულტურული მრავალდარგოვანი მეურნეობა და მესაჭონლეობა, არამედ განვითარებული კუსტარული შინამრეწველობა, მეაბრეშუმეობა და ა. შ. ისე რომ, ყოვლად შეუძლებელია მაშინდელი სასოფლო თემი წარმოვადგინოთ კვერისა და საქსოვი დაზვის, საჩეჩელისა და თითისტარის, აბრეშუმის ჭიისა და მისი პროდუქციის და ა. შ. გარეშე.

რასაკვირველია, ასეთი კატეგორიის მოსახლეობა უსათუოდ არსებობდა იმ ქვეყნების ტერიტორიაზეც, რომლებსაც სპარსული ისტორიული საბუთები მოიცავს. მაშასადამე მათი არსებობა შეუძლებელია არ ასახულიყო ამ წყაროების მონაცემებში. და იქნებ აისახა კიდევაც, მაგრამ აქამდე ჩვენ ვერ დავინახეთ? თუ არა და სად უნდა ვეძიოთ ისინი თუ არა „რაიას“ წიაღში? და, ჩვენ აქ ახლა უნდა მოვიშველიოთ „რაიას“ ვლ. ფუთურბიდისეული თითქმის ყველასაგან განსხვავებული, ორიგინალური და შინაარსით დატვირთული მოყ-

⁴⁸ უამთაღმწერელი. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 301.

⁴⁹ Histoire des conquêtes de Tamerlan intitulée Zafarnāma par Nizāmuddin Šāmi. Edition critique par Felix Tauer, tome II: introduction, commentaire, index. Praha, 1956, p. 198.

ლე განმარტება, რომელიც წარმოდგენილია ორენოვანი ისტორიული საბუთების ბუბლიკაციისათვის დართულ ტერმინების განმარტებაში. აქ „რაიათი“ გარდა ქვეშევრდომისა, გაგებულია აგრეთვე, როგორც „მოსახლეობის დაბეგრული ნაწილი (გლეხები ვაჭრები, ხელოსნები)“⁵⁰. და ა. შ.

აქ ყურადღებას იპყრობს ზემოთ მოტანილ ცნობებში „რაიას“ გვერდით „აჯაზე“-ს ხშირი მოხსენიება, რომელიც, როგორც ვნახეთ სპარსული ისტორიული საბუთების მიხედვით, გვხვდება როგორც საქართველოში, ისე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა რეგიონებში, რაც იმაზე მიუთითებს რომ ამ კატეგორიის მოსახლეობის არსებობა ადგილობრივი გლეხობის გვერდით ყველგან ერთნაირად ბუნებრივი იყო. და იქნებ სწორედ ამ ტერმინის შინაარსში ვეძიოთ სოფლის მოსახლეობის ის კატეგორია, რომელთა გლეხობასთან, ე. ი. „რაიასთან“ გამაერთიანებელი საერთო ნიშანი მიწის დამუშავება და მესაქონლეობა იყო, მაგრამ, ამასთან ერთად მაინც გამოირჩეოდა ჩვეულებრივი გლეხებისაგან რაღაც განსაკუთრებული ხელსაქმიანობის ნიშნით? ასეთები კი სწორედ კუსტარული შინამრეწველები შეიძლება ყოფილიყვნენ, რომლებსაც გარკვეული საგნების დამზადებაც ხელეწიფებოდათ ჩვეულებრივი სოფლური საქმიანობის პარალელურად და სწორედ ამიტომ ფარავდა სოფლის სხვა მცხოვრებლებთან ერთად გამაერთიანებელი საერთო სახელი „რაია“?

ამ საკითხის გასარკვევად საყურადღებო ცნობებია შაჰ-აბას II-ის 1647 წლით დათარიღებულ ფირმანში, რომლითაც ხაჩენის თიულდარებსა და მოხელეებს ეკრძალებათ გადასახადი გადაახდევინონ სოფელ დუშამლუს მცხოვრებლებს მთაში წისქვილის ქვის მოჭრისათვის. საბუთში ნათქვამია, რომ „სოფელ დუშამლუს გლეხებმა (რაიამ) და შეუძლებლებმა („აჯაზე“ — კ. ტ.) მოგვაჩვენეს, რომ ხაჩენის სანახებში არის ერთი მთა, სადაც ძველი დროიდანვე ჭრიდნენ ქვას წისქვილისათვის და ზოგი შეუძლებელი („აჯაზე“ — კ. ტ.) კაცია ამით ირჩენდა თავს. (ხაზი ჩვენია — კ. ტ.) არასოდეს არაკაცს არ დაუშლია (მათთვის ეს), არ შეუფიქრობია (ვინმე ამისათვის) და არავითარი გადასახადი არ მოუთხოვია. ახლა კი ხაჩენის თიულდარები, ძველი წესჩვეულების საწინააღმდეგოდ, მოითხოვენ გამოსაღებს (ამ მთაში ქვის მოჭრისათვის)“⁵¹ და ა. შ.

აქ ძალიან საინტერესოა ჯერ ერთი „რაიასა“ და „აჯაზეს“ კვლავ ერთმანეთის გვერდი-გვერდ მოხსენიება, მაგრამ ყველაზე საყურადღებო ისაა, რომ თურმე წისქვილის ქვას „რაიაც“ და „აჯაზეც“ ჭრიდნენ ოდითგანვე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველისათვის როგორც ირკვევა, ეს იყო დამატებითი შემოსავლის წყარო, მეორე კი სპეციალურად ამაზე მუშაობდა, რადგან მათ შესახებ საბუთში გარკვევით არის ნათქვამი, რომ „ზოგი შეუძლებელი („აჯაზე“) იმითი ირჩენდა თავს“-ო.

მამასადამე, აქ აშკარად ჩანს, რომ საქმე გვაქვს სოფლის კუსტარ-ხელოსანთან, რომელიც ბუნებრივად შედის „რაიას“ შემადგენლობაში, მაგრამ გამოირჩევა იმით, რომ მისი ძირითადი საცხოვრებელი სახსარი მიწის დამუშავება და მესაქონლეობა კი არ არის, არამედ წისქვილის ქვების მოჭრა, რითაც ირჩენს თავს. ამიტომ ბუნებრივად გამოიყურება იმავე საბუთში მათი, ე. ი. „დუ-

50 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 472.
51 სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვ. 1, გვ. 54—55.

შამლოელი აჯაზე“-ების „იმ საქმის მუშაკებად“ (علاء آن کار), ანუ „ქვისმოლე-
ლებად“ (سنگتراشان) მოხსენიება⁵².

ყოველივე ზემოთ ნათქვამი, ვფიქრობთ, ცხადად გვიჩვენებს, რომ სპარსული ისტორიული საბუთები მნიშვნელოვანი წყაროა დასახელებული ეპოქის ფეოდალური საზოგადოების სოციალური საკითხების შესასწავლად.

К. Г. ТАБАТАДЗЕ

ПЕРСИДСКИЕ ИСТОРИЧЕСКИЕ ДОКУМЕНТЫ КАК ИСТОЧНИК ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ СОЦИАЛЬНЫХ ВОПРОСОВ (XVI—XVIII вв.)

Резюме

Значение документального материала как исторического источника общеизвестно. Персидские исторические документы XVI—XVIII вв. содержат, в частности, ценные сведения по важным вопросам истории как собственно Ирана, так и стран Закавказья (Азербайджана, Армении, Грузии). Следует отметить однако, что использование этих документов связано и с определенными терминологическими трудностями. Дело в том, что система землевладения в Иране и странах Восточного Закавказья, с одной стороны, и в Грузии, с другой, существенно отличались друг от друга. Тем не менее, в персидских документах одни и те же традиционные восточные термины применялись для передачи и совершенно отличающихся понятий из феодальной действительности Грузии, что часто вызывало недоразумения в научной литературе. Примером подобного смешения терминов может служить „райя“, споры о значении которого ведутся с давних времен.

В статье на основе данных персидских исторических документов изучены некоторые вопросы социальной истории феодального общества XVI—XVIII вв. Подтверждается, в частности, правильность расширительного толкования термина „райя“, как налогоплательщей части населения — крестьяне, мелкие торговцы, ремесленники (В. С. Пугридзе). Данные документов свидетельствуют также, что обозначенных терминами «аджазе» и «масакен» жители разных деревень, как правило, входили в социальную группу „райя“. При этом, высказано предположение, что «аджазе» (букв. слабый, бессильный, немощный, неспособный и т. д.), по-видимому, являются ремесленниками-кустарями, а в конкретном документе, рассмотренном в настоящей статье, — каменотесами.

⁵² სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი I, ნაკვ. 1, გვ. 54—55.

პიპი ელიაშა

იოსებ ანჯაფარიძის ხელნაწერი თხზულება გეგეშკორის
მხარეთმცოდნეობის მუზეუმში

გეგეშკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში მრავალი საინტერესო საბუთი, წიგნი და სხვა მასალა ინახება. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იოსებ ანჯაფარიძის ხელნაწერი, რომელიც მუზეუმის ფონდში დაცულია 5101—1/გ—19 საინვენტარო ნომრით (ხელნაწერი მუზეუმს შემოსწირა პედაგოგების თინა ანჯაფარიძისა და იპოლიტე ცანავას ოჯახმა გეგეშკორის რაიონის სოფელ ნახუნაოდან).

იოსებ ანჯაფარიძე XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დამდეგის ცნობილი ქართველი ინტელიგენტია. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დიდ აკაკისთან და ილიასთან.

იოსებ ანჯაფარიძე, როგორც თავისი დროის განათლებული პიროვნება, ავირდებოდა და სწავლობდა თავისი კუთხის, სამეგრელოს, ყოფასა და კულტურას, სამეურნეო ტრადიციებს და საქმიანობას. მაშინდელ ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ წერილებში მკითხველს მოუთხრობდა ამ ტრადიციებზე და მათი დაცვის, შემდგომი განვითარების საჭიროებასა და გზებზე, რაც ხაზს უსვამს მის დაინტერესებას მშობლიური კუთხის სამეურნეო ცხოვრების დაწინაურებით, ტრადიციული სამეურნეო დარგების აღდგენით, მხარის ეკონომიკური და კულტურული განვითარებით. „მინდოდა ბევრი რამ დამეწერა, ბევრი რამ მეთქვა ჩვენი თაობის ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების, ჯანმრთელობის, ზენა-თესვის, ვენახის მოვლისა, მისი ნაყოფის გამოყენებისა, მცნობისა და მცენარეთა მოვლისა, ყოველგვარი მიწის ქმედებისა და წარმოებისა. ძველი და ახალი ერთიმეორის წინააღმდეგი მოქმედება ერთი მეორესთან შემედარებია და გამომეყვანა ერთი შეთანხმებული აზრი, — წერს იგი თავისი წიგნის შესავალში, — რადგან ჩვენი ძველები ყოვლისგვარს მიწათმოქმედების ნაწილში ძალიან განვითარებული, ძალიან ბეჯითნი და მარჯვე მუშა ყოფილან“. იოსებ მიზნად ისახავდა თავისი თანამემამულეებისათვის მიეწოდებინა სასარგებლო რჩევა-დარიგებანი სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე, მეურნეობის გაძლიერების ტრადიციულ და ახალ ფორმებზე. მართლაც, მას მონდომებითა და საქმისადმი სიყვარულით შეუსრულებია თავისი ჩანაფიქრი.

იოსებ ანჯაფარიძის ხელნაწერი წიგნი შედგება შესავლისა და ორი ნაწილისაგან. შესავალში ავტორი გვაუწყებს ნაშრომის მიზანდასახულობას. პირველი ნაწილი (დაახლოებით 190 გვერდი) შეიცავს სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ჩანაწერებს. მეორე ნაწილი კი ეთმობა მის ავტობიოგრაფიას ყრმობის წლებიდან ღრმა მოხუცებულობამდე.

შესავალში, რომელიც 20 გვერდს შეადგენს, ავტორი გვიამბობს თავის მიზანზე: „მე ჩემი დაბრკოლებები მბრკოლებდნენ სამშობლოს ერთგულება-



ზედ და მისი სარგებლობის მოტანაში. მაგრამ იმ პირთ რა ამბკოლებმა მელთაც სწავლა საკმაოდ მიუღიათ და ნივთიერადაც მდიდრები არიან მამულის წყალობით, გამოიკვლიონ ჩვენი წინაპართა ცოდნა ვენახისა და საზოგადოდ მეურნეობის შესახებ. ახალი დაბრკოლებები შეიგნონ და ამრიგად დაეხმარონ სამშობლოს საჭიროებას. მაგრამ მსგავსი კეთილი და სასარგებლო საქმის ნაცვლად ჩვენი ახალი თაობა უფრო მიმდევარნი არიან დროებითი სარგებლობისა და სიამოვნებისა“. ამით შეწუხებული ავტორი კისრულობს თვითონ „ცოტა რამ სასარგებლო“ გააკეთოს ამ მიმართულებით.

პირველ ნაწილს სასოფლო-სამეურნეო ხასიათის რჩევა-დარიგებები შეადგენს. ავტორი საქმის მცოდნე აგრონომის თვალთახედვით აკეთებს საჭირო ამონაწერებს იმ დროისათვის არსებული სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურიდან და პერიოდიკიდან და მათს პარალელურად წარმოგვიდგენს, თუ რა ტრადიციები არსებობდა და არსებობს სამეგრელოს რეგიონში მევენახეობის, მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის, მეხილეობის და სხვა დარგებში. იძლევა კვალიფიციურ რჩევებს ამ ტრადიციათა გამოყენების გზებისა და პირობების შესახებ. საინტერესოა მისი თვალსაზრისი ნიადაგის დამუშავების შესახებ. იგი თესლთა ბრუნვის („თასიში თირუა“) საჭიროების საკითხს აყენებს. სინანულით მოგვითხრობს მარცვლეული კულტურის ასორტიმენტის შემცირების საშიშროებაზე. ახასიათებს ღომის, ჭადაჭადას კულტურას და ა. შ. საყურადღებოა ისიც, რომ ავტორი კარგად ითვისებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას მეხილეობის დარგში. სათანადო ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე ავტორი იძლევა რჩევას, რომ ხილი დაიკრიფოს წვენლის ღობურის პარკით, რაც ხელს უწყობს ხილის დაუზიანებლად დაკრეფას. ასეთი პარკის სამაგრი ხის ტოტზე დაიკიდება და მოკრეფილი ნაყოფი კალათაში ან პარკში ცვივა. შემდეგ იგი წნულის ძარაზე უნდა დაიყაროს: „ჩელტები მოფენილი უნდა იყოს ჩალოთ ანუ თივით. მასზე ხილეული თხლად იყრება და შემდეგ ამავე წესით დაიხურება. ასე ინახება სხვადასხვა გვარი ხილი ცალ-ცალკე“. „ვამლის ხეები უნდა გადაირგას ცხრა არშინზედ ერთმანეთის მოშორებით, მსხალიც რვა არშინზედ, ალუბალი და სხვა მსგავსი დაბალი ტანის ხეები ექვს არშინზედ. ხეებს შორის ბოსტნეულის მოყვანა შეიძლება, სანამ ხეები დიდროვანი არ გაიზრდებიან“. შემდეგ იგი ეხება მხარეში არსებულ ტრადიციას, რომ „ასეთი მორიგეობა ჩვენს ძველებს საკმაოდ ჰქონია დაცული. საჭიროა დღესაც ეს მორიგეობა აღვადგინოთ“.

ყურძნის წიპწით ვენახის გაშენების შესახებ ავტორი წერდა: „ძლიერ მწიფე და საუკეთესოდ მომზადებულ ნიადაგში უნდა დაითესოს გაზაფხულზე. ნათესებს მზის ნათელი უნდა ადგეს მთელ ღღეს. ვაზის კაკლიდან ვენახი იქნება მშვენიერი, ყურძენს ბლომად ისხამს, ღვინო დგება კარგი და ინახება დიდხანს, არ იცის წახდენა“ (გვ. 36). იგი შემდეგ რჩევას იძლევა: „თუ რომ ვენახს დაყვავილებამდის მოასწრო და კოჭს მეშვიდეზედ შემოაკერე და ქერქი მოაძვრე, ვენახს კაკლები არ დაუცვივა და ყურძენიც მალე დამწიფდება“ (გვ. 36). „თუ რქა და ყლორტი ნამყენის მეტად იზრდება, ერთ არშინზე უნდა წაიჭრას ყოველთვის, თორემ დანარჩენ რქებს დაასუსტებს“ (გვ. 37).

მითითებულია რგვის წესები, დრო და მისთვის ნიადაგის მომზადების ხერხები. ყურადღება გამახვილებულია ნიადაგის შედგენილობასა, გამოყენების თავისებურებებსა და ღირსებებზე: „რომელ მიწასაც მოწითალო ფერი დაკრამს, ამისთანა მიწას ისეთი თვისება აქვს, რომ მზის სხივების სითბოს იზი-

დავს და ეს გარემოება შვედის ნორჩი ფესვების გამოტანას, რაც ვაზის განვი-
თარების ძლიერი საშუალებაა“. ქვიანი მიწა უფრო ბევრ სითბოს იზიდავს...
ქვა შვედის მიწას ნამეტანი წყლის დაწრეტაში, ამასთან იგი ხელს უწყობს
წყლის აორთქლებას და ნესტით მცენარის გახურებას. ეს უძველეს დროშიაც
იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა“. „ვენახი ყოველთვის უკეთესია გაშენდეს გო-
რაკის სამხრეთის და დასავლეთის ფერდობზე, სადაც მზე მუდმივად ადგას და
წყალიც ადვილად იწრება. ნიადაგი ყოველთვის ფხვიერი, ტენიანი და თბი-
ლია. ეს ხელს უწყობს ვაზის ზრდას“. აღნიშნული შენიშვნები დღესაც ინარ-
ჩუნებენ პრაქტიკულ მნიშვნელობას. მრავალი ჩანაწერი და შენიშვნაა გაკეთე-
ბული, აგრეთვე საქონლის მოვლისა და მოშენების, მეფუტკრეობის, ბალჩეუ-
ლის გაშენების, ღვინის დაყენების, სულუგუნის დამზადებისა და სხვა საკი-
ობებზე. სიმინდის მოყვანის შესახებ ავტორი წერს: „ჩვენს მენგრელიაში და
ვაკე იმერეთში სიმინდისათვის თითქმის ყოველი მიწა ვარგობს, თუ რომ კარ-
გად იქნა შემუშავებული და შეპატიებული. ჩვენში ყველამ იცის, სიმინდი კარ-
გად ხეირობს და კარგ მოსავალს იძლევა ქვიშნარ და შავ მსუქან მიწაზე, გაუ-
სუქებლადაც კი. ამ ორგვარ მიწას ჩვენში სასუქი არც კი უნდა, მხოლოდ რი-
გიანი დამუშავებაა საჭირო“. შემდეგ იგი მოგვითხრობს მიწის დამუშავებისა
და თესვის აგროტექნიკაზე.

ამრიგად, აღნიშნული ნაწილი დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას
სოფლის მეურნეობის მუშაკათათვის, რასაც განაპირობებს შემდეგი გარემოე-
ბები: 1. ავტორი ზუსტად ჩამოთვლის მარცვლეულის, ბალჩეულის, ვაზისა და
სხვა კულტურების ჯიშებსა და სახეობებს, რომლებიც გავრცელებული იყო
XIX ს-ის მეორე ნახევარში სამეგრელოს აღნიშნულ რეგიონში. მიუთითებს
მათი მოვლის წესებზე, გაშენების თავისებურებებსა და ნაყოფის სარგებლია-
ნობაზე, ასახელებს ზოგიერთი კულტურული სახეობის (კერძოდ, ღომი და ჭა-
დაჭადა) ნათესების შემცირების ფაქტებს. სახეობანი, რომელთაც იგი ჩამოთვ-
ლის, დღეს ძლიერ შემცირებულია ბევრი მათგანის დაკარგვის გამო; 2. ავტო-
რი იცნობს მესაქონლეობის, მეფუტკრეობის, შეაბრეშუმეობის წესებსა და
განვითარების ტრადიციას, აღწერს ამ დარგში გამოყენებულ მეთოდებს, მათ
ეკონომიკურ მნიშვნელობას. იგი ჩერდება საქონლის ხალხური სელექციის თა-
ვისებურებებზეც. 3. ავტორი იცნობდა სხვა ქვეყნების პრაქტიკაში გამოყენე-
ბულ ტექნიკას, აგრეთვე ხილის, მარცვლეულის მოყვანისათვის საჭირო ახალ
მეთოდებს, ნიადაგის გამოყენების პრაქტიკას და მიუთითებდა ზოგიერთი მათ-
განის ჩვენს პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობაზე. მართალია, ეს ტექნიკა
დღეს მთლიანად მოძველებულია, მაგრამ იმ დროისათვის მათზე ყურადღების
გამახვილება გარკვეული მნიშვნელობის ფაქტი იყო.

ავტორი იცნობს მიწის სახეობრივ თავისებურებებს და მისი გამოყენების
წესებსა და აგროტექნიკას, ამასთან დაკავშირებით იძლევა საინტერესო რეკო-
მენდაციებს.

ხელნაწერის მეორე ნაწილში ანუ ავტობიოგრაფიაში მოთხრობილია არა
მხოლოდ მისი თავგადასავალი ფაქტებისა და თარიღების აღნიშვნით, არამედ
დამკვირვებლის თვალთ აგვიწერს თანადროულ ისტორიულ გარემოს, მოვლე-
ნებსა და ფაქტებს, გვთავაზობს საყურადღებო დასკვნებს.

იგი იწყებს თავისი დაბადების ამბებით. მისი მამის ოჯახი მცირე შეძლე-
ბის თავადის ოჯახი იყო, რომელსაც, მიუხედავად ხელმოკლეობისა, საკმაო
სახელი და პატივი ჰქონდა მოხვეჭილი სამეგრელოში. იოსე, ოჯახის პირველი
ვაჟიშვილი, დაიბადა 1839 წლის 18 დეკემბერს. იგი ამაყობს იმით, რომ დედამ
აღზარდა თავისი ძუძუთი (იმ დროს მიღებული წესის თანახმად, თავადის ქა-



ლები შვილებს თვითონ არ ზრდიდნენ). 10 წლის ყმაწვილი მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც თავი გამოიჩინა როგორც ბეჯითმა ახალგაზრდამ. მისმა მშობლებმა შვილის აღზრდისას გადაუხვიეს ადათით დაკანონებულ წესს, არც „მორდუ“ (გამზრდელი) მიუჩინეს და არც აღმატებული გვარის ოჯახში მიაბარეს საწვრთნელად, თვითონვე იკისრეს მისი აღზრდა. იოსებ ხატოვანად აგვიწერს ამ მიბარების უპირატესობას. მისი აზრით, „მორდუსთან“ მიბარებული ყმაწვილი იძენს შრომით ჩვევებს, ეუფლება ცხენოსნობის წესებს, ქცევის ნორმებს, სიტყვა-პასუხის დახვეწილობას. აღზრდის ამ საშინაო სკოლაში გაწვრთნილი ახალგაზრდა საზოგადოებაში მოსაწონი ღირსებებით გამოდის და „კარგი ყმის“ რეპუტაციით სარგებლობს. ამასთანავე ავტორი მიუთითებს აღზრდის იმ დროისათვის გაბატონებული მეთოდის წაკლოვანებებსაც.

ხელნაწერში აღწერილია XIX ს-ის დასაწყისისათვის სამეგრელოს თავდაზნაურობის შინააშლილობა და მთავართა ძალაუფლების შესუსტება. „1803 წლამდის მეგრელების მფლობელთა მდგომარეობა, როგორც საზოგადოდ ისე საშინაოთაც ძლიერ უფერული იყო... ხან მანუჩარ დადიანი, ხან ჯოდორია დგებუაძე, ხან ჯაიანი ართმევდა მეგრელების მთავრობას მეგრელების მფლობელს“. ასეთი მდგომარეობა, აღნიშნავს ავტორი, ლევან დადიანის მთავრობის პერიოდშიც გრძელდებოდა. შემდგომ ავტორი აჩვენებს სწავლა-განათლების საქმის მოუწყვრეგებლობას მარტვილის სასულიერო სასწავლებელში, აღწერს სკოლაში არსებულ წესრიგს, სწავლებისა და აღზრდის მეთოდებს, მასწავლებელთა ცოდნის დონესა და გამოცდილებას, რაც ნათელ წარმოდგენას ჰქმნის XIX ს-ის 50-იან წლებში არსებულ სწავლების რეჟიმსა და ხასიათზე.

ავტორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღწერს სამეგრელოში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს. მათ შორის, დავით დადიანის სამთავრო კარის წესრიგს, დავითის დიდ გონიერებას და ზრუნვას სამთავროს ეკონომიკური და კულტურული დაწინაურებისათვის. მისი გარდაცვალების შემდეგ სამთავრო კარის ძალაუფლების დაცემას, ომერ-ფაშას შემოსევას სამეგრელოში. იგი გულწრფელი აღტაცებით აღწერს ქართველთა და რუსთა ჯარის გამართულ ბრძოლას ომერ-ფაშას წინააღმდეგ, მწუხარებით ჩერდება „რუხის ბრძოლის“ ამბებზე. აქ პოლკოვნიკი იოსელიანი და ზვანბაია გამირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე. „როდესაც მათი ჯარი დამარცხდა და მარტოდ დარჩნენ, თვითონაც არ ისურვეს ცოცხალი გადარჩენა და შეაკლეს თავი მტრის მახვილს“, — წერს ავტორი. თათრებმა ააოხრეს ქ. ზუგდიდი, დაწვეს სასახლე და მისი შემოგარენი. შემდეგ თანმიმდევრობით აგვიწერს ეკატერინეს გაწვევას რუსეთში, სამეგრელოში ომერ-ფაშას შემოსევითა და ბატონყმობის სიმკაცრით შეწუხებულ გლეხთა უკმაყოფილების გადაზრდას აჯანყებაში, აჯანყების მოთავეების უტუ მიქავას, მართალია და კოჩა თოდუების სამართლიანობას და ერთგულებას ხალხის საქმისადმი, უტუ მიქავას შეხვედრას კოლუბიაკინთან და ეკატერინე ჭავჭავაძესთან, ურდუმის (სახალხო ლაშქარი) ორგანიზაციას, დისციპლინას, უტუ მიქავას, მართალია და კოჩა თოდუების დიდ ავტორიტეტს ხალხის მასებში. ავტორი წერს, რომ ყოველი გლეხკაცის სალოცავი სიტყვები იყო: „მართალიასთან და უტუსთან სიმართლეა, სიმართლეს ღმერთი უდგას, ამიტომ სიმართლე გაიმარჯვებსო“. აღწერს გლეხთა დუხჭირი მდგომარეობის მწვავე სურათებს: „სამეგრელომ დიდი ხარჯი და ზარალი ნახა. განადგურდა არაერთი მხარე. უმწურო მდგომარეობაში ჩავარდა გლეხობა, უმალღეს ხარისხამდის განადგურდა და დაიღუბა გლეხური მეურნეობა“, — შენიშნავს ავტორი და აგვიწერს მისი მეზობელი გლეხების და მათი ოჯახების ძძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას,

სიმართლით წარმოგვიდგენს ბატონყმობის გაუქმების შედეგებს: „გლეხი ისევ გლეხად და ყმად დარჩა, კიდევ უფრო დაიმშა გლეხი,“ — წერს იოსე.

სამეგრელოს მოსახლეობის განუკითხავმა მდგომარეობამ, თავადაზნაურთა ბატონობის სუსხის გაძლიერებამ, მათს ოჯახებში უზრუნველყოფამ, უსაქმურობამ და ყოფა-ცხოვრებითა გახრწნილებამ უმაღლეს დონეს მიაღწიეს. ასეთმა გარემომ პირველ ხანებში იოსეც ჩაითრია უსაქმურობის მორევში. „სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ ჩემი უქმად სახლში გაჩერებამ დიდად დამაფიქრა და შემაწუხა. უსაქმურობამ და მოწყენამ უზნეობისაკენ დამიღო გზა,“ — წერს ავტორი. თავისი ცხოვრების ამ მონაკვეთის აღწერის ფონზე იოსე შთამბეჭდავად წარმოაჩენს თავადაზნაურთა ოჯახებში გამეფებულ ზნეობრივ დაცემას და აღვირახსნილობას, რაც მისი აზრით, გამოწვეული იყო არისტოკრატიის ფუქსავატობითა და მშრომელთა ექსპლოატაციის ხარჯზე უზრუნველი ცხოვრებით. ამასთანავე ავტორი ყურადღებას ამახვილებს მშრომელი ხალხის, გლეხობის ზნეობრივ სიწმინდეზე, ოჯახისადმი ერთგულებაზე, შრომისმოყვარეობაზე. არისტოკრატიულ წრეებში გამეფებულ ფუქსავატობისაგან თავის დაღწევის მიზნით იოსემ გადაწყვიტა ჩამდგარიყო სამსახურში. მალე ის სამსახურს იწყებს ქუთაისის ერთ-ერთ პოლკში.

ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს სამხედრო სამსახურის წლებში მიღებულ შთაბეჭდილებებს. აღწერს ქუთაისის იმდროინდელი საზოგადოების მორალურ სახეს, გაბატონებული და ჩაგრული ფენების ყოფა-ცხოვრების სურათებს. გულისწყრომით გადმოსცემს მეფის ჩინოვნიკთა და ოფიცერთა განუკითხავ საქციელს, ბიუროკრატთა უსულგულობისა და ზნეობრივი დაცემის მაგალითებს, ჩინისათვის სულწასული ახალგაზრდების გადაგვარებას. „შეხედა ჩვენმა ხალხმა ჩინების შოვნაზედ სულწასულებს და შეიძულა ისინი. ზოგნი ჩინების შოვნაში უიმედონი დარჩნენ. მაშინ შეუდგნენ სინდისის სიმდაბლით საქმის აღრევას“, — წერს ავტორი. იგი ხედავს მეფის ხელისუფლების მოხელეთა სასტიკ და განუკითხავ დამოკიდებულებას ადგილობრივი ხალხების მიმართ. ამის მკაფიო ილუსტრაციად ავტორს მიაჩნია მიხეილ შარვაშიძის სამშობლოდან იძულებით გაწვევა და აფხაზი ხალხის მიმართ უსამართლო რეპრესიები. მეფის არმიასი გამეფებული ბიუროკრატიული უსულგულობითა და კარიერიზმით აღშფოთებული იოსე წერს: „ვინატრე, არც არასოდეს მომეფიქრებია სამსახური და არც ეს საწუხარი, სინდისის წინააღმდეგი, კაცობრიობის დამამცირებელი მოვლენა მენახა. მაშინვე გადავწყვიტე, რაც უნდა დამმართონოდა, დღიური საზრდოც არ მშოვებოდა, დედმამის სახლში რომც არ მოვსულვოყავ, სამსახურს მაინც უნდა დაეთხოვებოდი“. ესაა უსამართლობით აღელვებული, მართალი, პატიოსანი კაცის განაცხადი. აღნიშნული გადაწყვეტილება იოსემ მართლაც შეასრულა. თვითონ და მისი თანამოაზრენი პროტესტის ნიშნად ითხოვენ სამსახურიდან დათხოვნას. პოლკის შტაბმა გარიცხა ისინი სამსახურიდან უვარგისობის საბაბით, რაც სრულიად არასწორი, შეურაცხმყოფელი გადაწყვეტილება იყო. სამსახურიდან გადადგომის შემდეგ იოსე მშობლიურ კერას უბრუნდება, ეკიდება ოჯახს და იწყებს ზრუნვას მეურნეობის

აღდგენასა და ახლებურად მოწყობაზე. ავტობიოგრაფიაში აგვიწერს მისი ცხოვრების ამ პერიოდში მომხდარ საყურადღებო ფაქტებს, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან გასული საუკუნის 70—80-იან წლებში მხარის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ვითარებაზე.

ამრიგად, განსახილველი ხელნაწერი წიგნი ბევრ საინტერესო, მრავალმხრივ საყურადღებო მასალას შეიცავს. ამიტომ არის, რომ გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს განზრახული აქვს ამ ხელნაწერის ტექსტის გამოსაცემად მომზადება.

Г. В. ЭЛИАВА

СОЧИНЕНИЕ ИОСЕ АНДЖАПАРИДЗЕ В РУКОПИСНОМ ФОНДЕ ГЕГЕЧКОРСКОГО КРАЕВЕДЧЕСКОГО МУЗЕЯ

Резюме

В рукописном фонде Гегечкорского краеведческого музея среди других материалов хранится рукопись сочинения известного общественного деятеля Иосе Анджапаридзе, составленного в 80-х годах XIX в.

Сочинение состоит из введения и двух частей. В введении автор излагает цель составления своего сочинения. В первой части он рассказывает о хозяйственных традициях населения Юго-восточной Мегрелии (исторической области Западной Грузии), дает соответствующие рекомендации по развитию в крае различных отраслей сельского хозяйства.

Во второй части автор излагает свою автобиографию и воспоминания. Он в хронологической последовательности описывает социальную среду, в которой проходили его жизнь и деятельность. Названная часть рукописи содержит ценные сведения о политической, социальной и культурной жизни края в 70—80-х гг. XIX в.

თინათინ ყაუხჩიშვილი

ვანის ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა

1985 წლის ივლისის პირველ დეკადაში ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ისტ. მეცნ. კანდ. მ. ფირცხალავას უბანზე აღმოაჩინა ბრინჯაოს ფილის ფრაგმენტი ბერძნული წარწერით.

სწავლულ ეპიგრაფისტა შორის გავრცელებული აზრის მიხედვით, წარწერები ბრინჯაოს ფილებზე უმთავრესად ოფიციალური დოკუმენტებია, იშვიათ შემთხვევაში ისინი კერძოობითი ხასიათისაა¹.

საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ბრინჯაოს ფილა ბერძნული წარწერით მოპოვებულია ეშერის ნაქალაქარზე 1975 წელს. ეშერის წარწერა ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც მოგვითხრობს სამხედრო საქმიანობაზე და მის შემდგომ საამშენებლო სამუშაოებზე, ძეგლი ძვ. წ. III ს-ით მაქვს დათარიღებული².

მეორე ამგვარი აღმოჩენა ვანის ბრინჯაოს ბერძნულწარწერიანი ფილა, რომელიც სამწუხაროდ, მთლიანი ფილის მხოლოდ ფრაგმენტია, შემორჩენილია მისი მარჯვენა ნაწილი, ისიც დასაწყისისა და დაბოლოების გარეშე. ამ ფრაგმენტზე გაირჩევა 26 სტრიქონი, აქედან 11—26 სტრიქონები არ იწვევს ეჭვს, პირველი 10 სტრიქონი ხანძრისგან არის ძლიერ დაზიანებული, ამდენად, ბევრად უფრო რთულია გასარჩევად (იხ. სურ. 1).

ფილა, როგორც ჩანს, სადა არ ყოფილა, შემორჩენილია მარჯვენა კიდეზე ნახევარკოლონის ფორმის ჩარჩო. ფრაგმენტი სიმაღლეში 28 სმ-ია, სისქეში 1 სმ. ყველაზე ფართო ნაწილში წარწერის სიგანე 12 სმ-ია. სტრიქონები ჩაწერილია წინასწარ გავლებულ ორ პარალელურ ხაზს შორის, ასოები მკაფიოა, კუთხეებში ჩაღრმავებული წერტილებით, რომელთა შემაერთებელი შტრიხები მაინცდამაინც ღრმად არაა ჩაჭრილი. ასოები სიმაღლეში საშუალოდ 7 მმ., სიგანეში—6—7 მმ., უფრო მცირე ზომისაა **o** და **ϕ**, ორივე აბსოლუტურად მრგვალი, დიამეტრში 4—5 მმ. წარწერაში გვხვდება ყველა ასო გარდა **ζ** (?) და **ψ**-სა (სურ. 2).

უთარიღო წარწერის დასათარიღებლად, როდესაც მასში არ იხსენიებიან ისტორიულად ცნობილი პირები ან მოვლენები, უნდა შევიწყვლოთ ასოთა მონახულობა, წერის საერთო სტილი, ტექსტის წყობა, ენობრივი მონაცემები და ის თავისებურებანი, რაც ახასიათებს ამა თუ იმ რეგიონს, სადაც ბერძნულ ენასა და ბერძნულ დამწერლობას იყენებდნენ.

¹ W. L a r f e l d. Griechische Epigraphik, გვ. 111 და შმდ. G. Klaffenbach. Gr. Ep. 1966, გვ. 47.

² Т. С. К а у х ч и ш в и л и. Греческая надпись Эшерского городища.— Источники-ведческие разыскания, 1982. Тбилиси, 1985, с. 218—223.

A, α - Α	N, ν - Ν
B, β - Β	Ξ, ξ - Ξ
Γ, γ - Γ	Ο, ο - Ο
Δ, δ - Δ	Π, π - Π
E, ε - Ε	Ρ, ρ - Ρ
Z, ζ - Ζ	Σ, σ, ς - Σ
H, η - Η	Τ, τ - Τ
Θ, θ - Θ	Υ, υ - Υ
I, ι - Ι	Φ, φ - Φ
K, κ - Κ	Χ, χ - Χ
Λ, λ - Λ	Ψ, ψ - Ψ
M, μ - Μ	Ω, ω - Ω

სურ. 1.

ვანის წარწერის ბევრი ასო თავისი მოხაზულობით ჰგავს ლუკანის ჰერაკლეს ძვ. წ. IV—III სს-ის ბრინჯაოს ფირფიტის წარწერის ასოებს, განსხვავებულია მხოლოდ π³.

ბ. ლატიშევის მიერ ძვ. წ. IV ს-ით, ხოლო ე. სოლომონიკის მიერ ძვ. წ. III ს-ით დათარიღებული ოლვიის დეკრეტის ასოები ჰგვანან ვანისას, განსხვავებულია ω და π⁴.

³ Guarducci. Ep. gr., II, გვ. 283, № 56.

⁴ Надписи Ольвии..., 1968, გვ. 25—26, № 15. ტაბ. IX.

Ο Δ Ω
 ΡΑΜ ΤΟ
 ΑΙΟΝ ΤΑ
 Ψ Ψ Ψ Ψ Ψ
 Ο Ο Ε Κ Ο Κ Χ Α
 Ο Ν Ε Χ Ε Ι Ν Α
 Ο Ν Ο Α Ν Κ Ρ Ο Σ Ο Υ
 Μ Ι Α Σ Ψ Ψ Τ Κ Λ Α Χ Σ
 Ο Ε Ι Ν Η Ο Ι Σ Γ Ε Γ Γ Α Ι Β ::
 Μ Σ Α Ρ Α Ν Η Δ Ψ Ψ Η Λ Η Ν Ρ
 Α Ν Ο Ι Σ Μ Η Δ Ε Ψ Ψ Ν Ε Π Ι Χ Ε Ψ
 Κ Ω Λ Υ Ε Ι Ν Κ Α Τ Α Δ Υ Ν Α
 Ρ Λ Ο Υ Θ Η Σ Α Σ Ι Τ Ο Ι Σ Γ Ε Γ Γ Ρ Α Μ
 Σ Α Υ Τ Ω Ν Τ Ε Κ Α Ι Γ Υ Ν Α Ι Κ Ω Ν
 Κ Α Ι Τ Ω Ν Λ Ο Ι Π Ω Ν Π Α Ν Τ Ω Ν
 Ψ Σ Ο Ε Ν Τ Α Ψ Ε Ι Κ Α Ι Ο Π Ο Σ Ε Ι
 Κ Α Ι Η Ε Ν Σ Ο Υ Ρ Ε Ι Κ Α Θ Η Μ Ε
 Γ Η Κ Α Ι Ο Η Λ Ι Ο Σ Κ Α Ι Ο Μ Ε Ι Σ
 Α Ι Π Α Σ Α Ψ Λ Ε Ω Σ Ε Ι Η
 Ε Ι Ν Α Σ Ι Μ Η Δ Ε Π Ο Ι Η Σ Α Ψ Ι
 Ψ Β Ο Υ Λ Ε Ψ Σ Α Ψ Ι Π Ο Ι Η Σ Α Ψ
 Ο Ι Σ Π Α Ν Τ Α Τ Α Ν Α Ν
 Ο Ι Σ Τ Ο Ι Σ Μ Ε Γ Ι Σ
 Ψ Α Λ Λ Ο Μ Η Ο Ε Ν
 Ψ Ω Ν Τ Ε Π Ρ Ο
 Ψ Α Σ Ι Τ Ο Ι Σ

281—261 წწ-ის მანუშისია ირანიდან დაწერილია ფართო, თანაბარი ასო-ებით, მაგრამ ცალკეული ასოები ისეთივე მოხაზულობისაა, როგორისაცაა ვანის წარწერაში⁵.

ვანის წარწერის თითქმის ყველა ასო ჰგავს ავღანეთის (ქაბულის) 259/8 წწ-ის არამეულ-ბერძნული ბილინგვის ასოებს, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ქაბულის წარწერაში **მ** ყოველთვის, **ხოლო ზოგჯერ** **o** - ც იმავე ზომისაა, როგორისაცაა ყველა დანარჩენი ასო.

ვანის წარწერის ასოები მოხაზულობით ძალიან ჰგავს ეშერის ძვ. წ. III ს-ის ფილის წარწერისას, განსხვავება ისაა, რომ ვანის **μ** და **σ** უფრო გაშლილი შტრიხებითაა შესრულებული, ეშერისა კი პარალელური⁷.

პერგამონის ძვ. წ. II ს-ის მოზაიკური წარწერის ყველა ასო **ფ**-ს გარდა ჰგავს ვანის წარწერის ასოებს⁸. აქვე შინდა შევნიშნო, რომ მოზაიკური წარწერები ასოთა მოხაზულობით უფრო კონსერვატიული არიან, ვიდრე მათი თანადროული ლაპიდარული წარწერები.

ასოების მოხაზულობით და საერთო სტილით ვანის ბრინჯაოს ფილის წარწერა ყველაზე ახლოსაა ეშერის ძვ. წ. III ს-ის წარწერასთან.

ვანის წარწერის ენობრივი მონაცემები ასეთია: იგი დაწერილია კოინეზე, რაც თავისთავად ატიკური დიალექტის მემკვიდრეა, შეცდომები მასში არაა, თუ შეიძლება ტექსტის შესახებ ფრაზების ნაწყვეტების მიხედვით მსჯელობა. ამავე მიზეზის გამო ვერც წარწერის ენის რაიმე საგანგებო თავისებურებაზე ვილაპარაკებთ. ვანის წარწერაში არის ფორმები რაც მხოლოდ ელინისტური ხანიდან გვხვდება. მაგ.: **μηθίν** (სტრ. 24) = **μηθίν**, მიჩნეულია არაატიკურ ფორმად და იგი გვხვდება არისტოტელესთან, თეოფრასტესთან და შემდგომი ხანის ავტორებთან, ასევე ელინისტური და შემდეგი ხანის წარწერებში. **ἀνεπιχειρητο** (სტრ. 11) იხმარება მხოლოდ ე. წ. ალექსანდრიული ეპოქის მერე, თუმცა სიტყვები **ἐπιχειρ** — ფუძით ცნობილია უკვე ჰომეროსის პოემების მიხედვით.

ამგვარად, ვანის წარწერა ენობრივი მონაცემებით განეკუთვნება ელინისტურ ეპოქას. ბრინჯაოს ფილის წარწერიანი ფრაგმენტი ნაპოვნია გვიანელინისტურ ფენაში, ამდენად, არქეოლოგიური მონაცემებიც ჩვენი ძეგლის ელინისტური ხანით დათარიღებას უჭერს მხარს. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე წარწერა ძვ. წ. III ს-ისად მიმაჩნია.

ტექსტის აგებულებისა და შინაარსის შესახებ კატეგორიული აზრის ქონა ჭირს, მაგრამ გარკვეული მსჯელობა მასზე მაინც შეიძლება. ის, რაც მოღწეულია ჩვენამდე, მე ამგვარად მესახება:

1. ΟΣΩ
2. ΠΑΝΤΙΟΣ
3. ΑΠΤΟΝΤΑ
4. ΝΟΤΑΦΟΣΣ
5. ΠΟΛΕΙΦΘΗΝΑ.
6. ΠΟΝΕΧΕΙΝΑ

⁵ Guard. Ep. gr. III, 83. 277, № 97.

⁶ Guard. Ep. gr. II, 83. 92, № 15.

⁷ T. C. K a u x c h i ш в и л и. Греческая надпись эшерского городища, с. 218—223.

⁸ Guard., III, 83. 443, № 167.

7. ΟΥΣΙΤΟΥΣΕΚΤΟΝΟΥΣΚΑΙ
8. ΟΥΝΤΑΣΤΟΥΣΤΗΝΑΥΤΩΝ
9. ΟΥΣΕΝΤΟΙΣΓΕΓΡΑΜΜΕ
10. ΘΕΙΣΑΚΑΙΤΗΝΣΤΗΛΗΝ
11. ΑΝΟΙΣΜΗΔΕΑΝΝΕΠΙΧΕΙ
12. ΚΩΛΥΕΙΝΚΑΤΑΔΥΝΑ
13. ΟΛΟΥΘΗΣΑΣΙΤΟΙΣΓΕΓΡΑΜ
- 14: ΣΑΥΤΩΝΤΕΚΑΙΓΥΝΑΙΚΩΝ
15. ΚΑΙΤΩΝΛΟΙΠΩΝΠΑΝΤΩΝ
16. ΥΣΟΕΝΤΑΞΕΙΚΑΙΟΠΟΣΕΙ
17. ΚΑΙΗΕΝΣΟΥΡΕΙΚΑΘΗΜΕ
18. ΓΗΚΑΙΟΗΛΙΟΣΚΑΙΟΜΕΙΣ
19. ΑΠΑΣΑΠΛΕΩΣΕΙΗ
20. ΕΙΝΑΣΙΜΗΔΕΠΟΙΗΣΑΣΙ
21. ΜΒΟΥΛΕΥΣΥΣΙΠΟΙΗΣΑΙ
22. ΟΙΣΠΑΝΤΑΤΑΝΑΝ
23. ΟΙΣΤΟΙΣΜΕΓΙΣ
24. ΕΑΛΛΟΜΗΘΕΝ.
25. ΤΩΝΤΕΠΡΟ
26. ΑΣΙΤΟΙΣ

ჟრაგმენტზე დაცული ტექსტი ასე მაქვს შევსებული:

- | | |
|--------------------|-------------------------------|
| 1. ὁ σώ[φρων?]ος ὦ | 5. ἀ]πολειφθῆνα[ι |
| 2. τῷ]παντί ὅσ[ια | 6.]πον ἔχειν ἀ] |
| 3- ἄπτοντα | 7.]ουσι τοὺς ἐκγόνους καὶ |
| 4.]ν ὁ τάφος σ[| 8. ποι] οὐντας τοὺς τῆν αὐτῶν |

9.] ους ἐν τοῖς γεγραμμέ[νοις
10. χαραχ]θείσα καὶ τὴν στήλην
11. μηδῆ...] ανοις μηδὲ ἀνεπιχει[ρήτοις
12. κωλύειν κατὰ δύνα[μιν
13. ἀκ]ολουθήσασι τοῖς γεγραμ[μένους
14.]ς αὐτῶν τε καὶ γυναικῶν
15. καὶ τῶν λοιπῶν πάντων
16. ο]υς ὁ ἐντάξει καὶ ὁ ποσεῖ(?)
17. καὶ ἡ ἐν Σούρει καθημ[νη] στήλη
18. ἡ] Γῆ καὶ ὁ "Ἡλιος καὶ ὁ Μεῖς
19. κ]αὶ πᾶσαι ἕλεως εἶη
20. μηδὲ τ]είνασι μηδὲ ποιήσασι
21. συ]μβουλεύσασι ποιῆσαι
22.]οις πάντα τὰναν[τία
23. θε]οῖς σοῖς μεγ[ίστοις
24.]ς ἄλλο μηθῆν
25. τῶν τε προ[
26. ἀσίτοις (? π]ᾶσι τοῖς)

ქართული თარგმანი: 1. გონიერი, ან ზომიერი. 2. ყოველმხრივ
წმინდა, სუფთა. 3. ხელი მოჰკიდა, წამოიწყო (რაიმე საქმე)¹⁰. 4. საფლავი,
სამარხი. 5. ჩამორჩენა. 6. აქვს. 7. ჩამომავლებს და 8. მათგან, ვინც გააკეთა
(რადაც მდებარ. სქესის — სტელა?). 9. დაწერილში, დაწესებულში (დო-
კუმენტში, რომელიც შეიძლება საბრალმდებლოც იყოს). 10. ამოჭრილი (ე. ი.
დაწერილი) და სტელა. 11. არც ვიდაცაები და არც უძღველნი (ან ისინი, ვისაც
ვერ მიუღდები, ვისთანაც ვერაფერს გააწყობ). 12. დააბრკოლონ, რაც შეიძლე-
ბა. 13. მისდიონ დაწერილს (დაწესებულს). 14. მათგანაც და ქალთაგანაც. 15.
და ყველა დანარჩენთაგან. 16. ვინც ჩაურთავს (ჩაუმატებს) და ვინც დათვლის,
იანგარიშებს¹¹. 17. და სურში დადგმული სტელა. 18. დედამიწა და მზე და
მთვარე. 19. და ყველანი (მდებარ.) მოწყალე იყოს¹². 20. არც მათ, ვისაც გუნე-
ბაში ჰქონდათ და არც მათ, ვინც გააკეთეს. 21. მოთათბირებებს გაუკეთეს (ან
— მოთათბირებებს). 22. ყველაფერი ამის საწინააღმდეგო. 23. დიდ ღმერთებს.
24. თუმცა არაფერი. 25 (ნაწილაკებია). 26. მშვიგრებს (ან — ყველა მათ).

ამ ცალკეული ნაწყვეტების მიხედვით ტექსტი ასეთი შინაარსის წარმო-
მდგენია: შედგენილია საკანონმდებლო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გარკ-
ვეულ პირობებს: მაგ., უნდა იყვნენ ყოველმხრივ წმინდა, რომ ხელი მოჰკი-
დონ რაიმე საქმის წამოწყებას, განწმენდილნი იყვნენ საფლავთან შეხების შე-
ძებნისგან და ეს ეხება მათაც და მათ ჩამომავლებსაც. ეს დადგენილება ამოჭ-
რილია¹³ სტელაზე და იგი მიმართულია სხვათა შორის იმ პირთა წინააღმდე-
გაც, ვისთანაც ვერაფერს გააწყობ, როგორც ჩანს, ამ აკრძალვის გარეშე. ძეგ-
ლი მოუწოდებს თავის მრევლს, მამაკაცებსაც (?) და ქალებსაც (ესენი უთუ-
ოდ ერთი წრისანი არიან) და ყველა დანარჩენთ, (ეს „დანარჩენები“ კონტექს-
ტით სხვა ფენის წარმომადგენლები უნდა იყვნენ) მისდიონ ამ „დაწერილს“¹⁴,

⁹ ბერძნულ ტექსტში არის ბევრი მიმღეობა და ინფინიტივი, რაც ქართულად ხშირად
ზმნის პირიელი ფორმით მაქვს გადმოღებული.

¹⁰ მაგ., *πιστευματων, ἀγνως*.

¹¹ მიუხედავად იმისა, რომ სტრიქონი მკაფიოა, მისი დადგენა სხვაზე მეტად გამიჭირდა:
ვერც ეს ერთი, სიტყვაში *ἐν δέ* — *ξ* ძალიან თავისებურად არის დაწერილი. *ξ*-ის ასე-
თი დაწერილობა მხოლოდ ახ. წელთაღრიცხვის I ს-დან გვხვდება. მანამდე სწორედ ეს მო-
ხაზულობა აქვს *ξ*-ს, მაგრამ სიტყვა *ταξ*-ძირით (რაც „დაბირებას“ „პირობის მიცემას“
ნიშნავს) მხოლოდ შუასაუკუნეების ბერძნულშია დადასტურებული. ამდენად დაეუფვი, რომ
არის თავისებური *ξ*, ან ელემენტარული შეცდომა. მეორე შენიშვნა ეხება დაწერილობას *οπισθεν*,
რომლის წაკითხვის რამდენიმე ვარიანტი არსებობს: ერთი — მამაკაცის სახელი *Ποσειδον* ძი-
რით და შემდეგ რამდენიმენაირი დაბოლოებით, მეორე — ატიკური კალენდრის თვის სა-
ხელი — *Ποσειδων* (დეკემბერ-იანვარს უდრის) და მესამე ზმნა *πισθεν* (მაგრამ აქ ძირით
πισθεν —), რაც ერთგვარ დაბრკოლებას ჰქმნის კლასიკური ელემენტარული გრამატიკის
თვალსაზრისით. მე შევიჩერდი ამ III შემთხვევაზე.

¹² ზმნის ფორმა მხოლ. რიცხვშია (*ἐνί*), ჩარჩომდე სულ ცოტა 2 ასოს ადგილი არის,
მაგრამ არ ჩანს იმისი კვალი, რომ იქ რამე ყოფილიყოს დაწერილი (მაგ., *ἐνί* *ἑσται*-მრ. რი-
ცხვისათვის). მოსავლელია თუ ვის ეხება ეს მიმართვა, ზემოთ ხსენებულ რამდენიმე ღმერთ-
თაგან რომელი უნდა იყოს მოწყალე.

¹³ ნახვარია ზმნა *χαριτωσα* რაც ნიშნავს „კაწრვას“, „ხაზვას“, „წერას“. ქართული
„წერაც“ ხომ შესაძლოა ადრე „ჩხვლუტას“, „ამოკაწრვას“, „ჩაჭრას“ ნიშნავდა.
ე. ი. ეს დადგენილება აღნიშნულია, რომ გამოყვანილია „ამოჭრილი“, ანუ „შთაწერი-
ლი“ ასოებით. ასეთ შემთხვევებში წარწერებში ყველაზე ხშირად იხმარება ზმნა *χαριτωσα*
რაც ყველანაირი მეთოდით წერასა და ხატვას აღნიშნავს.

¹⁴ „დაწერა“ საბას განმარტებით „დაწესება“ — „დადგინებას“. ნიშნავს. ქართული ტერ-
მინი „დაწერილი“ სიგელთა გარკვეული სახეობაა, რაც ქრისტიანული ეკლესიის წინამძღვარ-

„დაწერილში“ ჩამატების და აღრიცხვის (?) შესახებ კიდევ საფინგებო პუნქტია შეტანილი. სტელა აღნიშნული დადგენილებით აღმართულია სურიში. მოუწოდებენ ღმერთებს: დედამიწას, მზეს, მთვარეს; რომელიღაცა ერთს ღმერთთაგან შესთხოვენ, იყოს მოწყალე. როგორც ჩანს, ეს მოწყალეა არ ვრცელდება მათზე, ვინც განიზრახა, ან ჩაიდინა უკეთური (ე. ი. ამ დოკუმენტით აღკვეთილი) საქმე. მოთათბირეთაგან დადგენილია, ვინც ამის საწინააღმდეგოს ვაკეთებს, მას ნურც ღმერთები უშველიან და ყოველგვარი უბედურება დაატყდეს მას თავს.

ამ შინაარსის მიხედვით ვანის წარწერა მიმაჩნია საკრალურ წარწერათა შორის ერთი ჯგუფის ტიპიურ ნიმუშად ე. წ. ტაძრის საკანონმდებლო ძეგლად. იგი შესრულებულია *χαλκή στήλη*-ზე — ზე, რაც იშვიათია, მაშინ, როდესაც *λαϊνή στήλη* ძალიან ხშირია საწერ მასალად. ამ ხასიათის ბევრი ბერძნული სატაძრო წარწერა მოიპოვება, მოვიყვან მხოლოდ იმას, რასაც ტექსტობრივად საერთო აქვს ჩვენს წარწერასთან. ძვ. წ. 91 წლის ვრცელი, 194 სტრ. წარწერა ანდანიიდან (პელოპონესი, S 653) იმ ნაწილში, რომელიც ქურთუმებს ეხება გვაუწყებს: საკრებულოს (*συνέδρων*) მწერალმა (*γραμματεὺς*) დაწერა დადგენილება, რომლის მიხედვით ვარკვეულია, რა უნდა აკეთონ ქურთუმებმა (რა მსხვერპლშეწირვა აწარმოონ, მისტერიები როგორ შეასრულონ და სხვ.) და რა არ აკეთონ (უსამართლობა არ ჩაიდინონ, მისტერიის შესრულებისას არაფერი დაარღვიონ და სხვ.). შემდეგ არის ასეთი ადგილი: *ἀλλὰ κατακοιλοῦσθίσειν τοὺς ὑγραμμένους, ἐξορκίσειν δὲ καὶ τὰς ἱεράς καὶ τὸν ἱερῆ κατὰ τὸ διάγραμμα. Ἐδοραῶντι μὲν μοι εἴη ἃ τοὺς εὐσεβέους, ἐφοραῶντι δὲ τάναντία* „არამედ მისდიონ დაწერილს და დასდონ ფიცის ქურთუმმა ქალებმა და ქურთუმმა (კაცმა), რომ მოიქცევიან დადგენილებისამებრ. ფიცის ერთგული ვიყო ისე, როგორც ღვთისმოსავთ ეკუთვნით, ხოლო ფიცის გამტყეს ამის საწინააღმდეგო დამემართოს“.

პერგამონის წარწერა (S 566) ეხება იმას, თუ ვის და რა პირობებში შეუძლია ტაძარში ან მის ტერიტორიაზე შესვლა. აქ არის ერთი ასეთი ადგილი *ἀπὸ δὲ τᾶφου καὶ ἐκφορᾶς περιρασάμενοι καὶ διελθόντες τὴν πύλην, καὶ ἴην τὰ ἀγιστήρια τίθεται, καὶ αἰοὶ ἀβθήμερόν* „საფლავიდან და გასვენებიდან წამოსულებმა, იმ დღეს განწმენდილებმა, ირგვლივ უნდა დაისხურონ და ისე შევიდნენ (ტაძრის) კარიბჭეში, რომელთანაც დევს სასხურბელი“.

ტრალე (მც. აზია) ძვ. წ. 351 წლის წარწერაში (S 573) ვკითხულობთ: *„εἰ δὲ μή, ἐξῶλη εἶναι ἀπτόν καὶ τὸ γένος* „თუ არა და სრულიად დაიღუპება თვითონაც და (მისი) მოდგმაც“ (თუ არ შეასრულებს იმას, რაც არის დადგენილი.

ეს მაგალითები მომყავს იმის ნათელსაყოფად, რომ გამოთქმები *ἄφως, οἱ ἔαχοι* და მისთანანი, რაც ძირითადად იხმარება საფლავის წარწერებსა და პროქსენიებში, ასევე გვხვდება ტაძრის საკანონმდებლო წარწერებში (ჩვენთანაც და ელინისტური სამყაროს სხვა ქვეყნებშიც).

თა საქმიანობის ანგარიშგებას წარმოადგენს. ცხადია, ჩვენს შემთხვევაში „დაწერილს“ ამ კონკრეტულ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ და ამიტომ ეგებ უმჯობესიც იყოს რომ იგი სხვა გამოთქმით შეიცვალოს.

ვანის წარწერის ზოგი მონაცემი საჭიროებს კომენტარს.

1. ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მე-17 სტრიქონი, სადაც სრულიად გარკვეულად წერია: *και η εν Σιρπει ααθημ[ε]ν* „სურშიმ დგას“. რაც არ უნდა იყოს დადგმული (სტელა, თუ ფილა) და რაც არ უნდა იყოს დაწესებული (ვთქვათ, რაიმე სახის საბჭო, სათათბირო *βουλή*, *συμβουλή*, *συνεδρία*...), ეს მოხდა სურშიმ. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება, რომ არ გავგახსენდეს ტოპონიმი სურშიონი (*Σιρπειον* დადასტურებული კლავდიოს პტოლემეაჰოსის შიდა კოლხიდის აღწერილობაში (V, 9,5) ყოველგვარი განმარტების გარეშე სხვა დასახლებულ პუნქტებთან ერთად. *Suriium*-ი იცის პლინიუსმაც (N H, 6, 13). იგი წერს: „ახლა არსებობს მხოლოდ სურიუმში, რომელსა სახელი ჰქვია მდინარის (სახელის) მიხედვით. ეს მდინარე (ფასისის) ერთვის იქ, სადამდეც—(ფასისზე) შეიძლება დიდი ზომადებით ცურვას“¹⁵. ბევრმა სპეციალისტმა მიაქცია პლინიუსისა და კლავდიუს პტოლემეაჰოსის ამ ცნობებს ყურადღება და მათთვის სურიონი იყო „რიონი“, „ნოქალაქევი“, „სურამი“¹⁶... ნ. ლომოურისთვის „სურიონი“ იგივეა, რაც თანამედროვე „სვირი“ ან „სულორი“¹⁷. ნ. ხოშტარიას „სურიონი“ დღევანდელ „სულორად“ მიაჩნია¹⁸.

ვანის წარწერის *Σιρπει* dat., nom. ბერძნულად გაფორმებული იქნება *Σιρπεις* იგივეა, რაც ანტიკური ხანის მწერლების „სურიონი“ და როგორც ჩანს, ესაა ძველი სახელწოდება თანამედროვე ვანის. ელინისტური ხანის ვანს ეწოდებოდა „სური“, რასაც მოწმობს ჩვენი ბერძნული წარწერაც და მისი შემდგომი ხანის ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობებიც (სადაც წარწერასთან შედარებით უფრო გაბერძნულებული ფორმა *οι* — დაბოლოებით და შესაბამისი ლათ. *um* — დაბოლ.) ბერძ. „სური//სურიონისა“ და თანამედროვე ქართ. „სულორის“ (რამდენიმე დასახლებული პუნქტისა და მდინარის სახელწოდებაა ვანის მიდამოში) დაკავშირება სირთულეს არ წარმოადგენს. ამდენად ამ მონაცემების მიხედვით აღნიშნული პუნქტის ლოკალიზაცია ხდება დღევანდელი ვანის ტერიტორიაზე.

2. წარწერაში ყურადღებას იპყრობს სიტყვა *ყსαααα* (მე-14 სტრ.). ოფიციალურ დოკუმენტებში *ყსαααα* (ქალების) იშვიათად გვხვდება. შემიძლია ასეთი მაგალითის მოყვანა ელევსინის 165/4 წწ. დეკრეტის მიხედვით: „...οἱ δὲ ξῆμισεν ἐφ’ ἡγῆαια και σατηριαα τῆς τῆ βουλῆς και τῶν δῆμου και ყსαααα και τῶν φῖλων και συμμάχων“¹⁹ „რომელთაც სწირავენ მსხვერპლს საბჭოს, ხალხის, ქალების, მეგობრებისა და მოკავშირეთა ჯანმრთელობისა და ხსნისათვის“ (მე ვფიქრობ, რომ ეს ჩამოთვლა მთლად ლოგიკური არ არის, შეიძლება წარწერის შემსრულებელს გამოერჩა „ქალების“ წინ რაიმე სიტყვა).

¹⁵ უნდა შეგახსენოთ, რომ პლინიუსი სარგებლობდა ბევრი სხვადასხვა დროის, ზოგჯერ კოლონიზაციის დროინდელი წყაროთი და ეს სხვადასხვა დროის მასალა მოჰყავდა უკრიტიკოდ, ყველა ერთად.

¹⁶ ВДИ, 1949, № 2, გვ. 289—290.

¹⁷ ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემეაჰოსი. გეოგრაფიის სახელმძღვანელო. ცნობები საქართველოს შესახებ. — მსკი, 32. თბ., 1955, გვ. 32—65.

¹⁸ ნ. ხოშტარია. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. — საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1959, გვ. 223.

¹⁹ Guard. II, გვ. 45, სტრ. 15—17.

ასეთ პირობებში მგონია, რომ ვანის წარწერის **ყუაიჯან** უნდა დავუ-
კავშიროთ მეორე სიტყვას, **იერძისლი**-ს (რომელიც რეალურად აღარ
არსებობს ფილის ფრაგმენტულობის გამო). ამ აზრამდე მიმიყვანა სტრაბონის
ტექსტმა, სადაც აღწერილია ავტორისათვის ცნობილი **იკსიმენი**-ს
სხვადასხვა ტაძრები და აღწერისას **იერძისლი** (ტაძრის მონები) გან-
მარტებულია მეორე სიტყვით — **ყუაიჯან** (რადგან **იერძისლიც**, **იერძისლიც**
ზიარი ფორმაა მამრ. და მდედრ. სქესისათვის). სიცილიის აღწერისას სტრაბო-
ნი ამბობს: „**ἐρὸν ἔχων Ἀφροδίτης τιμώμενον διαφερώντως ἱεροδίαλων ყუაიჯან πλῆ-
ρες τὸ παλαιόν**“ (VI, 2, 5). „იქ იყო აფროდიტეს განსაკუთრებით პატივცემული
ტაძარი ძველად საესე ტაძრის მონა-ქალებით“. ხოლო კომანის შემთხვევაში
წერია: „**ὁ δὲ τοῦ θ' ἱεροῦ ἀμφοῖς ἔσται καὶ τῶν ἱεροδίαλων, οἱ ... πλείους ἦσαν
τῶν ἐξαισχίλων, ἀνδρες ἄμων ყუაიჯან**“ (XII, 2, 3) „იგი იყო უფალი ტაძრისა
და ტაძრის მონებისა, რომლებიც 6000-ზე მეტნი იყვნენ, კაცები ქალებიანად“.

ვანის წარწერის მე-14—15 სტრიქონებში ჩამოთვლილია ყველა ის, ვი-
საც მართებს მისდიოს, დაემორჩილოს წესდებას. ესენი არიან „ისინიცა და
ქალებიც“; ამ შემთხვევაში ბუნებრივია „ისინი“ გავიგოთ როგორც „კაცები“;
ჩვეულებრივია მოხსენიება „კაცები და ქალები“ — (ქართული თანამიმდევრო-
ბით „ქალები და კაცები“), „ქალები და ბავშვები“ და სხვ. შემდეგ ამ, ასე
ვთქვათ, მიმდევართა შორის არიან — „ყველა სხვა დანარჩენნი“. ეს წერია
დანამდვილებით. ხოლო რაც შეეხება ჩემს ჰიპოთეზას „ეს ქალები იყვნენ
ტაძრის მონები“, მას აქვს არსებობის უფლება იმის გამო, რომ წარწერა ტაძ-
რის დოკუმენტს წარმოადგენს, კონტექსტი სრულიად შესაფერისია და წარ-
წერის ფრაგმენტულობამ სხვას შეიძლება კიდევ მეტი და უფრო შორს წასუ-
ლი ჰიპოთეზა გაუჩინოს.

3. კომენტარს მოითხოვს მე-18 სტრიქონი, რომელიც შეიცავს მნიშვნე-
ლოვან ცნობას ძველი ქართული რელიგიის ისტორიისათვის. მასში იხსენიებიან
ἦ Γῆ, ὁ Ἅγιος, ὁ Μείς (დედამიწა, მზე, მთვარე). რადგან ჩვენი წარწერა
გეოგრაფიული სახელმძღვანელო კი არა, სატაძრო დოკუმენტია, ამდენად ამ
ცნებებში უნდა ვიგულისხმოთ ღვთაებათა სახელები: ბერძნისათვის **ἦ Γῆ**
არის მიწის ღვთაება, ურანოსთან ერთად ზევსის წინააღმდეგელი ღმერთქალი.
სიტყვის ეტიმოლოგია უცნობია. მისი კულტი მთელ საბერძნეთში იყო გავრ-
ცელებული, შემდეგ თვით საბერძნეთშივე ბევრგან იგი შეცვალეს უფრო კონ-
კრეტულმა ღვთაებებმა. ძველი ავტორების ცნობით, **Γῆ**-ს თაყვანს-
სცემდნენ სკვითები, სპარსელები, ფინიკიელები და სხვ. ხალხები, მთავრად,
თქმა არ უნდა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დასაზუსტებელია, რა
იგულისხმებოდა — ქაოსის ასული, ურანოსის მეუღლე, თუ სხვა, ავტორთო-
ნური ღვთაება.

ὁ Ἅγιος (ეტიმოლოგია ინდოევროპულია) მზის ღმერთი, ბერძ-
ნების ერთ-ერთი უძველესი და მთავარი, ტიტანების თაობის ღვთაებათაგანია.
იგი არის ჰიპერიონის (ტიტანის) ძე, და ეოსისა (რიტაჟის ღვთაების) და სე-
ლენეს (მთვარის ღვთაების) ძმა. კლასიკური საბერძნეთი მის კულტს თავისად
არ მიიჩნევდა (გარდა კუნძ. როდოსისა). იმ დროს ჰელიოსს აიგივებდნენ სხვა
ღვთაებებთან: აპოლონთან, ჰერაკლესთან, ზევსთან, დიონისესთან. ელინისტურ
ხანაში აღმოსავლეთის ასტროლოგიის გავლენით მზის, ჰელიოსის კულტი ფარ-
თოდ გავრცელდა საბერძნეთში (ათენი, კორინთო, არგოსი, ტროაქენი, რო-

დოსი თავისთავად და სხვ.). ბერძნულ წყაროებში, სადაც აღმოსავლეთის შზის ღმერთის კულტზეა ლაპარაკი, გვხვდება მისი ადგილობრივი სახელებიც (მითრა, ბელი, ოსირისი და ა. შ.).

ბ Μηΐς ἢ Μήν (ეტიმოლოგია ინდოევროპულია) მთვარის ღმერთია, ლიტერატურაში მიღებულია ამ კულტის ანატოლიური წარმოშობა, მაგრამ, იმავე დროს სცნობენ მცირეაზიური მენ//მანესის კავშირს ბერძნულ **Μεΐς ἢ Μήν**-თან, **Μεΐς** ზეციური (σὺργανος) ღვთაებაც არის და მიწისქვეშეთისაც **καταχθόνιος**). წარწერები, სადაც გვხვდება **Μεΐς** (მთვარის ღვთაება), ძვ. წ. IV და შემდეგი საუკუნეებისაა. ატიკაში მას IV—III სს-დან სცემენ თაყვანს, მხოლოდ მეტეკები და მონები. მისი სახელის მომხსენიებელი თითო-ორიოლა წარწერა გვხვდება კუნძულებზედაც (როდოსი, დელოსი, თაზოსი). წარწერები აღმოჩენილია რომსა და ოსტიაშიც.

ვანის წარწერაში (მე-18 სტრ.), როგორც უკვე ვთქვი, იხსენიებიან ღმერთები **Γῆ, Ἡλίου, Μεΐς**. რადგან წარწერა ფრაგმენტულია, ამიტომ მხოლოდ მოსაზრების წამოყენება შეიძლება და არა კატეგორიული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ აქ ღმერთების მხოლოდ ეს ტრიადა იხსენიება (მე მაინც მჯერა, რომ აქ სამი ღმერთია დასახელებული, ხოლო მომდევნო სტრიქონის **καὶ πᾶσαι** შესაძლოა წინ შეიცავდა **καὶ θεοὶ πάντες**... ე. ი. ეს 3 ღმერთი და კიდევ ყველა ღმერთები) ასეთი შემთხვევა დადასტურებულია სხვა წარწერებშიც.

ბერძნულ-რომაულ სამყაროს წერილობით და ეპიგრაფიკულ ძეგლებზე უამრავი მაგალითია ბერძნული და არაბერძნული ღმერთების სახელების სხვადასხვაგვარი კომბინაციის. მაგ., ზევსი და გე; ზევსი და ჰერა; ზევსი და ჰელიოსი; ზევსი, ჰელიოსი და აპოლონი; არტემიდე ანაიტისი და მენი; გე და ჰერმესი და სხვ. ფიცის ფორმულებში გვაქვს მთელი წყება ღმერთებისა: ზევსი, ცე, ჰელიოსი, პოსეიდონი, ათენა, არესი (ატიკის წარწერა 356/5 წწ.); ზევსი, გე, ჰელიოსი, პოსეიდონი, დემეტრე, არესი, ათენა, (პერგამონის წარწერა ძვ. წ. 263 წ.); ჰესტია, ზევსი, აპოლონი, ათენა, ლეტო, არტემიდე, არესი, აფროდიტე, ჰერმესი, ჰელიოსი, გე, ურანოსი (დრეროსი, კრეტა ძვ. წ. 220 წ.) და სხვ.

საკმარისად გავრცელებულია დიდ არეალზე ტრიადა: **Ζεὺς, Γῆ, Ἡλίου** (სწორედ ასეთი თანამიმდევრობით) შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს I—II სს. მანუსკრიპტებში¹⁹ ოქსირინსოს I ს-ის პაპირუსებში²⁰, ეტოლიისა²¹ და ვალატიის წარწერებში²².

ღმერთების მეორე ტრიადას ვხვდებით სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ალბანიის აღწერისას: „**θεοὶ δὲ τιμῶσιν Ἡλίον καὶ Δία καὶ Σελήνην, διαφῆροντας δὲ τῆν Σελήνην**“²³. „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსსა და მთვარეს, გამორჩევით მთვარეს“. ამ ციტატაში ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: 1. **Δία** ე. ი. **Ζεὺς**, ამ ჩამოთვლაში არ არის პირველ ადგილზე, რაც ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე, სპეციალისტები საგანგებოდ აღნიშნავენ იმას, რომ მაგ. არისტოფანეს (Plut. 82) ასეთი თანამიმდევრობა აქვს ღმერთ-

¹⁹ KBH, №№ 74, 1123, 1126.

²⁰ POXy 48, 6, 49, 8.

²¹ Aetolia IG₉ (I). 412

²² R. C a g n a t. Inscriptiones graecae ad res Romanas pert. III, 1906, № 137.

²³ ტექსტი შემოწმებულია ყველა ხელნაწერის მიხედვით პალიმფსტის ჩათვლით.

თების: აპოლონი, ღმერთები, დემონები, ზევსი²⁴. 2. *Δία* ანუ *Ζεὺς*, თუ ამ სახელს გავიგებთ როგორც „ზევსს“, ბერძნების შთავარ ღმერთს, იმ დროინდელი კავკასიის ალბანიისთვის ბუნებრივი არ იქნება, სრულიად დასაშვები მზისა და მთვარის გვერდით. ეს *Ζεὺς*, ისევე როგორც იუპიტერი, უნდა იყოს მნათობის სახელი (რის დადასტურებასაც ვხვდებით პირველ რიგში, ასტრონომიული ხასიათის ტექსტებში), რომელიც 5 ვარსკვლავთ შორის გამოყოფილი, გამორჩეული იყო.

ამრიგად, სტრაბონის ცნობაში „ჰელიოს“, „ზევს“, „სელიენე“ — ალბანიის ასტრალურ ღვთაებებთან გვაქვს საქმე²⁵.

ვუბრუნდები ზემოთქმულს: ვანის წარწერაში ხსენებულია სამი ღვთაება: დეიამიწა, მზე, მთვარე. და სხვა შემთხვევა ღმერთების ასეთი ტრიადისა ბერძნული მასალის მიხედვით ჩემთვის უცნობია. ბრინჯაოს სტელა წარწერითურთ დადგეს სურბიში და იგი ნაპოვნია იქვე. ტექსტი აშკარად საკულტო ხასიათისაა და უნდა ვფიქროთ, რომ იქ იხსენიებიან ის ღმერთები, რომელთაც აღიარებდნენ სურბიელები. 23-ე სტრიქონის გამოთქმა „დიდი ღმერთები“ უთუოდ მათ ეხება.

რომელ ღმერთებს აღიარებდნენ ელინისტურ ეპოქაში საქართველოში? ბერძნულ წერილობით წყაროებში ყველაზე ადრინდელი ცნობა ამ საკითხის შესახებ აქვს აპოლონიოს როდოსელს „არგონავტიკაში“. მართალია, ავტორი ძვ. წ. III ს-ში ცხოვრობდა, მაგრამ იგი ცდილობს არგონავტთა ლაშქრობის დროინდელი სურათის წარმოდგენას, რამდენად ახერხებს ამას, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იქნეს შემოწმებული.

კოლხთა მთავარ ღმერთად აპოლონიოსს მიაჩნია ჰელიოსი (მზე — დეტესის შამა), მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში საფიცარი ცა და დეიამიწა (ურანოსი და გე). „*Κόλχων ἄριστος ἄνθρωπος ... μέγας Οὐρανός, ἦμ' ἄπειρος μὲν Γαῖα, Μῆν μῆτιρ*“.

III, 714—716, დიალოგი ქალკიოპესა და მედეას შორის): „კოლხთა უმნიშვნელოვანესი საფიცარია დიდი ურანოსი და გე, რომელიც მის ქვემოთაა, ღმერთების დედა“.

დიოდორე სიცილიელის ცნობით იოლკოსში ჩასულმა მედეამ, ვიდრე პელიასზე შურს იძიებდა, ლოცვით მიმართა მთვარეს (*σελήνη*), ხოლო ეს ლოცვა კულტურ ენაზე წარმოსთქვა (IV, 52,3).

სტრაბონის ცნობით, ალბანიაში განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს მთვარეს, მაგრამ აღიარებენ მზეს და კიდევ ერთ მნათობს (იუპიტერს).

ქართველთა წარმართი ღმერთების შესახებ ცნობები მოიპოვება ქართულ წერილობით წყაროებში.

ლეონტი მროველის თხზულებაში წერია: „მას ყამსა (მცხეთოსის სიკვდილის შემდეგ — თ. ყ.) დაიფიწყეს ღმერთი დამბადებელი მათი და იქმნეს მსახურ მზისა და მთვარისა და ვარსკულავთა ხუთთა“ (ქც, I, გვ. 11). აქ ლაპაჩაკია იმ დროის ქართველებზე, როდესაც მცხეთა უკვე დედაქალაქია, განაგებს მას მამასახლისი. ესაა ეპოქა წინაელინისტური ხანისა. „და უბრძანა ალექსანდრე აზონს, რათა პატივს-ცემდნენ მზესა და მთვარესა და ვარსკულავთა ხუთთა და ჰმსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა...“

²⁴ ეს გარემოება იმიტაც შეიძლება იხსნას, რომ აქ ლექსია და ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ მეტრიკის ნორმების დაცვა განაპირობებს ამჯერად სიტყვათა რიგს.

²⁵ შდრ. ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე. მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“. თბ., 1975, გვ. 79—94.

არამედ თვითონ მოიგონა სჯული ესე აღექსანდრე, მეფობასა შინა მისსა ყოველ-სა ქუეყანასა სჯული ესე დაუღვა“ (იქვე, გვ. 18—19). ფაქტი დათარიღებულია აღექსანდრე მაკედონელის დროით (ცხადია, არ ვეხები არც იმ საკითხს, იყო თუ არა აღექსანდრე საქართველოში და მითუმეტეს იმას — დაუწვია თუ არა მან ქართველებს რამენაირი სარწმუნოება).

წერილობითი წყაროს გარდა მოგვეპოვება არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული (ყველა ქართველურ ენაზე) მონაცემები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქართველოში მნათობთა კულტის შესახებ, მაგრამ ცხადია, მათი ისეთი სიზუსტით დათარიღება ვერ ხერხდება, როგორცაა ზემოთ მოყვანილი ქც-ის ტექსტები დავათარიღეთ.

ქართულ პანთეონში მზე მდებდრ. სქესის ღვთაებაა, ხოლო მთვარე — მამრ. სქესის (შესაძლოა ვანის წარწერის *δ Μείζ* — „მთვარისათვის“ (და არა *ἡ Σελήνη* ამითაა ასახსნელი. „მზის“ — *δ Ἡλίου* შემთხვევაში ბერძნულს ასეთი არჩევანი არ გააჩნია). მიწათმოქმედების განვითარების უკვე ადრეულ საფეხურზე „მზე“ ნაყოფიერების ღვთაება იყო ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც.

როდესაც ნაყოფიერების კულტზეა ლაპარაკი, აქ პირველ ყოვლისა „დედამიწას“, „მიწას“ განეკუთვნება მთავარი ადგილი. ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ცნობილია ის რიტუალები, რომლებიც მიწის მიმართ სრულდებოდა. აღმ. საქართველოში ცნობილია ხთონიური ღვთაება, „ადგილის დედა“, ცალკეული ადგილებისა და კერების მფარველი. აფხაზეთის „ადგიელ დედოფალი“ „ადგილის დედის“ ნაირსახეობადაა მიჩნეული. სამეგრელოს „ნერჩი ბატენი“ მიწის, ფუძის ღმერთად წარმოუდგენიათ (საბას განმარტებით-ნერჩი-ფსკერსქვეშეთი). გურიაში არსებული რიტუალები „ნერჩის მიგორება“ და „მიწის გაჭერიება“, ხოლო იმერეთის „ფუძის გამოლოცვა“ სრულდება მიწის მიმართ. ეთნოგრაფთა აზრით, სვანურ მასალაში სახლის, კმრისა და მიწის კულტი ერთმანეთშია გადახლართული და შერწყმული²⁶.

საქართველოში ასტრალური ღვთაებების არსებობაზე მიუთითებს კვირის ღღეების მეგრული და სვანური სახელწოდებები (ქართულში შესაბამისი ფორმები არაა შემორჩენილი): კვირა ღღეს ეწოდება „მზის ღღე“, ორშაბათს — „მთვარის ღღე“, ზუთშაბათს — „ცის ღღე“. მიწისათვის განკუთვნილი საგანგებო ღღე თითქოს არ არსებობს, მაგრამ სპეციალისტთა აზრით კვირა ღღე მიწის ღღეც იყო (სვანური მაგალითის მიხედვით)²⁷, ხომ არ უნდა მიგვემატებინა ამისთვის მეგრული — „ოჯუმაშხური“ — „საოთხშაბათო ლოცვა“ განკუთვნილი მიწის კულტისადმი?

ამრიგად, ქართული მასალა, რაც ყოველთვის არაა დათარიღებული, მაგრამ გულმოდგინედაა შესწავლილი ისტორიკოსთა რამდენიმე თაობის მიერ, მოწმობს იმას, რომ საქართველოში იყვნენ „დიდი ღმერთები“ — დედამიწა, მზე, მთვარე სხვა უფრო წვრილი, ცალკეული ტომებისა და რეგიონების ღმერთების გვერდით (შდრ. ბერძნ. წარწერის 18—19 და 23 სტრ.).

ამ ღმერთებს თაყვანს სცემდნენ ელინისტურ ეპოქაზე გაცილებით ადრე, მაგრამ ეს აღიარება გრძელდებოდა ხანგრძლივად, თვით ელინისტური ეპოქის

²⁶ მასალა დას. საქართველოში არსებული მიწის კულტის შესახებ მომწოდა ეთნოგრაფმა ნ. აბაქელიამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვასხენებ.

²⁷ ივ. ჯავახიშვილი. ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები... I. თბ., 1950, გვ. 187.

შემდეგაც. ვფიქრობ ცნობილია, რომ ოდესღაც შექმნილი კულტი მრავალი გარემოების გამო თანდათან განიცდის ტრანსფორმაციას, ერწყმის მეორეს, მაგრამ უკვალოდ არ გაქრება.

ვანის ბერძნულ წარწერაში კიდევ ერთი ცნობაა საქართველოს წარმართული ღმერთების შესახებ.

Т. С. КАУХЧИШВИЛИ

НОВАЯ ГРЕЧЕСКАЯ НАДПИСЬ ИЗ ВАНИ

Резюме

В июле 1985 г. ванской археологической экспедицией в позднеэллинистическом слое был найден фрагмент бронзовой плиты с древнегреческой надписью. По палеографическим и языковым данным надпись датируется III в. до н. э. Хотя надпись сильно фрагментирована (не хватает начала, конца и всей левой стороны), но по уцелевшей части можно читать и восстанавливать целые слова, а по этим словам воссоздать следующее содержание текста (уникального во всем до сих пор известном материале на территории Грузии). Составлен законодательный документ, содержащий определенные условия: должны быть абсолютно чистыми, чтоб взяться за определенное дело, должны быть освящены и после прикосновения с могилой, и это касается и их потомков. Это постановление написано на стеле и оно обращено против тех лиц, с кем не справляются без этого постановления, запрещения. Документ призывает следовать предписанному и мужчин и женщин (видно, принадлежащих к одной прослойке) и всех остальных (значит, вне этой прослойки). В документе был особый пункт на счет дополнений и исчислений. В Сури была поставлена стела с вышевысказанными постановлениями. Призываются боги: Земля, Солнце, Месяц (Луна). Кому то из них надо быть милостивым. Их милость, видно, не распространяется на тех, кто замышлял или сделал недоброе, запрещенное настоящим документом дело. Совершившимися постановлено, кто сделает противное, да не помогут ему великие боги и пусть всякая напасть случается с ним.

По содержанию ванская надпись является сакральным документом, точнее — храмовой законодательной надписью.

- Особой значимости являются следующие данные ванской надписи:
1. В 17-ой строке надписи упоминается топоним Сури, где была поставлена данная стела. «Сури» тоже самое, что «Суриум» Плиния и «Сурион» Клавдия Птолемея. Следовательно «Сури» является древним названием настоящего Вани и имеет непосредственную связь с «Сулори», названием нескольких населенных пунктов и реки около Вани.
 2. Упомянутые в 14 строке «женщины» гипотетически могут быть связаны с «храмовыми рабынями» при наличии храмового документа, с учетом текста «Географии» Страбона.
 3. 18-ая строка содержит важное сведение для истории религии древней Грузии. В ней названы Земля, Солнце, Месяц (Луна), главные боги древних Колхов. Эти божества почитались гораздо раньше эллинистической эпохи, но их чтили на протяжении долгого времени и после.

Ведь известно, что некогда созданные культы в силу многих обстоятельств трансформируются, сливаются с другими, но вряд ли исчезают бесследно.

თინა ანუჰიძე

კიდევ ერთი საბუთი ზეგდგინიძე-ამილახვორთა შორის
სამაგისტრო დავაზე XV ს. მეორე ნახევარში

1937 წელს აკადემიკოსმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა გამოაქვეყნა გამოკვლევა ფეოდალურ ურთიერთობათა შესახებ XV ს-ის საქართველოში¹. ნაშრომს ერთვის 9 ქართული ისტორიული საბუთის კარგად დადგენილი და გამართული ტექსტი. თითოეულ მათგანს ახლავს დაწვრილებითი არქეოგრაფიული აღწერილობა და ტექსტებში მოხსენიებულ პირთა, გეოგრაფიულ სახელებსა და ტერმინთა საძიებლები.

საბუთები საინტერესოა როგორც ქართული დოკუმენტების განსაკუთრებული სახის — დარბაზისადმი სასარჩლო მოხსენებების უძველესი ნიმუშები².

ნ. ბერძენიშვილის აზრით, „ეს საბუთები დარბაზში წარმოდგენილი ჯერ გაუმართავი მოხსენების დედნის შავია“³.

ყველა ეს 9 დოკუმენტი დღეს დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთების კოლექციაში. გამომცემელს ისინი რიგის მიხედვით ასე აქვს წარმოდგენილი.

I. Hd 1798.

II. Hd 1799.

III. Hd 1800.

IV. Hd 14903 (გამოცემაში საბუთის ნომრად შეცდომით Hd 14631 წერია).

V. Hd 14904a (გამოცემაში შეცდომით Hd 14632 წერია).

VI. Hd 14904b (გამოცემაში შეცდომით Hd 14632 წერია).

VII. Hd 1801.

VIII. Hd 1870.

IX. Sd 1242.

ამ საბუთებიდან არცერთს არ გააჩნია დაწერის თარიღი, ცნობა გამცემის ვინაობისა და დამწერის შესახებ.

საბუთები ძლიერ დაზიანებულია. უმეტესობა თავნაკლული და ბოლო შეწყვეტილია (ე. ი. ტექსტის დამთავრების შემდეგ საბუთში დაუწერელი ქალღია დარჩენილი). ასეთ მდგომარეობაში მყოფი საბუთების შემომოტანილი რიგის დადგენა ნ. ბერძენიშვილმა მათი ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის

¹ ნ. ბერძენიშვილი. ფეოდალურ ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით). შენიშვნები და საბუთში მოხსენიებული სახელები. — მსკი. თბ., 1937, ნაკვ. I.

² იქვე, გვ. 36.

³ იქვე, გვ. 10.

შედგად შეძლო. მისი ვარაუდით, მომჩივანი, რომელიც დარბაზის წინაშე ადგენს საჩივარს, უნდა იყოს ზევდგინ ზევდგინიძის შვილი, ან ავთანდილ ზევდგინისძე, ან კიდევ, „პატრონი გუარამ“, რომელიც უჩივის თავის „ძმის“ წულს ამირინდო ამილახორის შვილს ზაალს⁴. ამ საჩივრის შინაარსს ნ. ბერძენიშვილი მოკლედ ასე გადმოგვცემს:

„ძმის“ წული (ზაალ) ბიძას მამულის უდიდეს ნაწილს ეცილება იმ საბუთით, რომ მამა მისი ამირინდო ამილახორი ნაშვილები ჰყავდა თაყა ამილახორს.

XV ს-ის 80-იან წლებში ზევდგინიძე-ამილახორთა სახლში მამულის გამო ატეხილი უთანხმოების მოსაწესრიგებლად შემდგარ დარბაზს ბიძა-ძმისწული ორივენი მამულებზე თავთავიანთ უფლებათა დამადასტურებელ მოხსენებებს მიართმევენ. სამწუხაროდ, ზაალის მოხსენებები არ შენახულა, მაგრამ, რომ ასეთი არსებობდა, ეს ავთანდილის (თუ გუარამის) მოხსენებიდან უდავოდ ჩანს.

ავთანდილის (თუ გუარამის) წინაშე ორი ამოცანაა: 1. უნდა დაამტკიცოს საგვარეულო ქონების „მკვიდრობა“ და 2. უნდა გააბათილოს თაყა ამილახორის მიერ ამირინდოს ნაშვილებობის კანონიერება (ნაშვილებობის საბუთი, როგორც ჩანს, დარბაზისათვის წარუდგენია ზაალს).

მოხსენებაში ავთანდილ (თუ გუარამ) ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით (საბუთები ამ ქრონოლოგიით ნ. ბერძენიშვილმა დაალაგა) დაწვრილებით აღწერს თუ როგორ შექმნა ის საგვარეულო მამული, რომლის გარშემო ახლა სახლისკაცთა შორის უთანხმოება ჩამოვარდნილი, ეს მამულებია: 1. სხვილოსი, რომელიც ზევდგინიძეთა წინაპარმა ნამზითვად მიიღო, და 2. სოფელი ახალციხე სამოცი კუამლი კაცით, მღუიძე მისითა შესავლითა და სასაფლაოთი და „სხუთი დახატული ჩარდახი“, ზევდგინიძიანთ წინაპარმა ნასისხლად რომ მიიღო გიორგი მეფისაგან⁵. მომხსენებელს სურს დაამტკიცოს თავისი შრომა და ჭირნახულობა და ამით უზრუნველყოს თავისი უდავო უფლება საგვარეულო ქონებაზე⁶.

ნ. ბერძენიშვილის აზრით, მოტანილ საბუთებში დაცული მასალა ძვირფასია ფეოდალური ქვეყნის — საქართველოს საშინაო ყოფაცხოვრებისა და საშინაო პოლიტიკური ურთიერთობის დასახასიათებლად, ფეოდალური საზოგადოების ზნე-ჩვეულებების, ფეოდალის შინაურული ყოფისა და სხვა მრავალი საკითხის შესასწავლად⁷.

* * *

ნ. ბერძენიშვილი თავისი შრომის იმ ადგილას, სადაც საუბარი აქვს ზემომოტანილი საბუთების მის მიერ დადგენილ რიგზე, აღნიშნავს, რომ I—IV (Hd 1798, 1799, 1800 და 14903) საბუთები უეჭველად ერთი პირის მიერაა შესრულებული. ქალაღი, ხელი, ენა — ყველა ერთია⁸.

შინაარსის მიხედვითაც ნ. ბერძენიშვილს ისინი 4 ფურცელზე ნაწყვეტე-

4 ნ. ბერძენიშვილი: ფეოდალურ ურთიერთობიდან XV საუკუნეში, გვ: 35.
5 იქვე გვ: 3.
6 იქვე, გვ: 12.
7 იქვე, გვ: 21.
8 იქვე, გვ: 32.

10. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII

ბად დაწერილ ერთ საბუთად მიაჩნია⁹. მათივე გაგრძელებად მიაჩნია საბუთები, მაგრამ მათ სხვა მდივნის დაწერილად თვლის¹⁰.

წინამდებარე წერილში წარმოდგენილია ამ 9 საბუთიდან ზოგიერთის შესახებ ჩვენი დაკვირვება.

1. ვის მიერ არის დაწერილი V და VI საბუთები?

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არცერთ საბუთში დამწერის ვინაობა არ იხსენიება.

ამ საკითხის გადაწყვეტას ჩვენ შევეცადეთ XV ს. საბუთების ყველა დედნებთან ზევდგინისძეთა საბუთების პალეოგრაფიული მეჯერების გზით. ამ მხრივ ჩვენი ყურადღება მიიქცია 1454—1487 წწ. მოღვაწე სამეფო მდივან-მწიგნობარ ზაქარია თუმანიშვილის მიერ კალიგრაფიულად ნაწერმა საბუთებმა. ისინი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (Hd 2007 და Qd 9221 ნომ-რით)¹¹.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ნ. ბერძენიშვილის აზრით, ზევდგინისძეთა საბუთები შავად, „ახეხლად“ დაწერილი დოკუმენტებია (განსაკუთრებით V და VI საბუთები). ისინი გაკრული ხელით და საკმაოდ დაზიანებულ ქალღმერთა ნაწერი. მათთან პალეოგრაფიულად შესაჯერებელი მასალა მეფის მდივან-მწიგნობრის — ზაქარია თუმანიშვილის მიერ დაწერილი სამეფო საბუთებია და მაღალ კალიგრაფიულ დონეზეა შექმნილი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზევდგინისძეთა V—VI საბუთები დაწერილია შავად მდივან-მწიგნობარ ზაქარია თუმანიშვილის მიერ.

შავად და კალიგრაფიული ხელით ნაწერ ტექსტებში ასოთა იდენტურობის დაჭერა ცოტა ძნელდება, მიუხედავად ამისა ჩვენ შევძელით დაწერილობათა მსგავსების რამდენიმე მაგალითის დაძებნა. ესენია: ა-ნის, ბ-ანის, ი-ნის ნ-არის, შ-ინის და ვ-არის მოხაზულობა, ასო ც-ანის და ა-ნის ლიგატურა, თ-ანისა და ა-ნის, ვ-ინისა და ი-ნის და სხვა ასოების გადაბმათა მსგავსება.

2. ნ. ბერძენიშვილი კვლევის იმ ადგილას სადაც ამ 9 საბუთის მის მიერ დადგენილ რიგზე საუბრობს (იხ. IX და X), გრძნობს, რომ მის ხელთ არსებული საბუთები არაა სრული და რომ აქ მათ რაღაც აკლია. იგი წერს: „მოთხრობა აშკარად არასრულია. დღეს ჩვენ აუტენტური საბუთებიდან ვიცით, რომ ზევდგინისძიანთ კასპი და იგოეთი „ქალის ნასისხლად“, ხოლო გომნი და ნადარბაზევი წყალობად მიიღეს მეფე ალექსანდრესაგან 1429 წ. (საქ. სიძვ. III, 9—11), ხოლო ამაზედ უწინარეს 1426 წ. ამავე მეფისაგან წყალობად მიიღეს „ქარუმისძენი“ (საქ. სიძვ. III, 14—15 გვ.)“. საჩივრის ავტორის მიერ ამ საკითხების მოუხსენებლობა მკვლევარს აკვირვებს.

ჩვენს მიერ 1960 წ. მიკვლეული Hd 15046 საბუთი ამ ხარვეზს ავსებს; ეს საბუთიც ისევე, როგორც ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული ზევდგინისძეთა სხვა საბუთები, ძლიერ დაზიანებულია. საბუთის მარჯვენა მხარე სიგრძივ მთლიანად ჩახეულია, საბუთი დაწერილია იმავე ხელით, რომელი ხელითაც დაწერილია ნ. ბერძენიშვილის გამოქვეყნებული I—IV საბუთები. გარდა ამისა, III საბუთში საუბარია, რომ მან, ავთანდილმა (ან პატრონმა გუარამმა) გიორგი მეფე წამოიყვანა: „მე წამოვიყვანე და ოცდა ოთხი შუბი და ისარი და ვრმალი მესო, ისეთმან წამოვიყვანე...“ (გვ. 42).

⁹ იქვე, გვ. 33.

¹⁰ იქვე, გვ. 33.

¹¹ ა. ბაკრაძე, თუმანიშვილთა საგვარეულოს გენეალოგიის დადგენის ცდა XVII—XVIII სს. — მაცნე, ისტორიის სერია, 1983, № 4.

ჩვენს მიერ მიკვლეულ საბუთის მე-3 სტრიქონში წერია: „მე ისრით და-
კოდილი ვიყავ...“

33-ე სტრიქონში ვინმე „ქარუმიდე“ იხსენიება, 34-ში კი: „სთუელი და-
ჩანებე კასპურიო“.

მე-9—10 სტრიქონში წერია: „მეფესა მე ასრე მოვახსენე: ნუ გავიყრებით.
თუ გავიყრებით, ფიცი და პირი მივცეთ ერთმანეთსა და ნუ წავახდენთ“.

ნ. ბერძენიშვილის გამოქვეყნებული IV საბუთი ასე იწყება: „...მათისა გა-
უყრელობისათვის თათარჩიგა წავე სამსა წელიწადსა“.

საბუთის ძლიერ დაზიანების გამო მიყოლებითი თხრობა არა ჩანს, მაგ-
რამ გამოცემული III და IV საბუთებიდან ზემოთ მოტანილი ფრაგმენტები და
ნ. ბერძენიშვილის ვარაუდი, რომ III და IV საბუთებს შორის უნდა იყოს მა-
სალა კასპის, იგოეთისა და ქარუმიდეების შესახებ და ჩვენი მიკვლეული სა-
ბუთის ზემოთ მოყვანილი ადგილები უფლებას გვაძლევენ, რომ საბუთი Hd
15046 მოვათავსოთ ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული ზევდგინიძეთა სა-
ბუთების დადგენილ რიგში III და IV საბუთს შორის.

ამ ადგილის შევსება ნ. ბერძენიშვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკ-
ვე ნავარაუდი ჰქონდა.

აქვე მოგვყავს Hd 15046 საბუთის ტექსტი:

[≠ ?]

მე მას უქანის მივედი. სახლში ჩე]]²

მი რძალი და ჩემნი ძმისწულნი დამხუდნენ, მითხრეს:

„უფრო]] სობა შენ დაიჭირეო“. მე ისრ[ით დაკოდი]]⁴ლი

ვიყავ. ჩემს ძმაზედა [.]]]⁵

ასრე ვთქუ და უფროსის [.]]]⁶

ან და მათვე ჰქონდეს უფროსობა და თუ ჩე]]⁷

მი არ იყო მამული, რასათუის [მომეცით]]⁸

უფროსობა.

გამოცდა ხანი, [. მე]]⁹

ფესა მე ასრე მოვახსენე: ნუ [გავიყრებით. თ]]¹⁰

უ გავიყრებით, ფიცი და პირი [მივცეთ ერთმ]]¹¹

ანერთსა და ნუ წავაგდენთ [.]]]¹²

მივეცი თ ფიცი და პირი ერთ[მანერთსა: მე]]¹³

ვალდებული ვიყავ ზა[აალზედა ფ]]¹⁴ციით.

გამიტება ფიცი და პირი [. ას]]¹⁵

რე უთხრა მეკრესა. იმავ წამსა [. ციხ]]¹⁶

ეშიგან შეგიშუიან და რომ[.]]]¹⁷

ეს ნუც სალოცავად შეუშუებ [. ჩე]]¹⁸

მს რძალსა, სულამას ცოლსა [.]]]¹⁹

უტება ფიცი და პირი. აღარავინ და მ[.]]]²⁰

მკუიდრსა ციხეშიგანგ გამოგუღარებ[ა]]]²¹

არს. შევეხუეწენით და იქ ვიყვე[ნით]]]²²

თუითან ზა(ა)ლ იყო, დამიძახნა [.]]]²³

ესხნი და ასე უთხრა: ავთანდილის [.]]]²⁴

დაიჭირენითო თავად ღ(მერ)თმან და მე [.]]]²⁵

რისა მთავარმოწამემან იპრი[ანა]]]²⁶

დიდი იყო, ფონად ვერ გამო[ვედ]]]²⁷

და მისია მკუდარი და შერცხუენილი [. . . .] |²⁸
 ვარ.
 აღარცა იმას დამაჯერა [არ]ცა [.] |²⁹
 ნადირობასა ჩუენსა შუა საამ იყო] |³⁰
 შევპირდით ერთმანერთსა ყუე[ლა მე] |³¹
 უთავე. წამოვედით ნადირობიდ[ამ] |³²
 მურს მოვედით და იქ ქარუმიძე [.] |³³
 ძე მოვეზავნა და ასრე ებრძანა [. ს] |³⁴
 თუელი დამანებე კასპურო. მე [. მოვაკ] |³⁵
 სენე და განამცა აგრე გიყავო [. ამას არა] |³⁶
 სდასჯერდა, შეიყარა და გამოილაშქრა [. სსსიკუ] |³⁷
 დილოდ. მე ღ(მერ)თმან შემიწყალა [.] |³⁸
 არა დავხუდი. თუმცა დავხდომოდ[ი] |³⁹
 ვდეს ჩემისა მკუიდრისა ნასისხლის [.] |⁴⁰
 თუის არცა ამილახორს ედგა [. სა] |⁴¹
 მნი ძმანი ვიყვენით და ჩუენი მ[. მისი] |⁴²
 მამული ნასისხლიცა და მკუიდრი[ცა ყუე] |⁴³
 ლას ვალდებულობასა [. რას ე] |⁴⁴
 მართლებოდა ზაალ სიკუდილსა [.] |⁴⁵
 ბატონო დარბაზისერნო, როგ[ორც თქუენ გაგუიჩ] |⁴⁶
 ენთ, ბატონი ხართ ჩემისა მ[ამულისა. სი] |⁴⁷
 სხლისა გულისათუის, რასათუის [.] |⁴⁸
 ამილახორობისა ეს ვიკადრ [.] |⁴⁹
 მიამვილი მოკლეს თათართა [. ჩ] |⁵⁰
 ემსა უბოძა ამილახორობა* [.] |⁵¹
 ებოძა მამული მკუიდრი და ნას[ყიდი] |⁵²
 ი გიორგი მეფემან ამილახორო[ბა] |⁵³
 უბოძა [. რაი] |⁵⁴
 სათურს არ უბოძა სა[x x x x x x x x x x] |⁵⁵
 თუ მამული გაჩენილი იყო [. სისხ] |⁵⁶
 ლისა იყო და ცარიელი კელი**.

Т. П. ЕНУКИДЗЕ

ДОКУМЕНТ О ЗЕМЕЛЬНОЙ ТЯЖБЕ В ДОМЕ ЗЕВДГИНИДЗЕ-АМИЛАХОРИ ВО II ПОЛОВИНЕ XV в.

Резюме

Статья посвящается источниковедческой оценке грузинского документа XV в. — жалобе, хранящейся в Институте рукописей АН ГрузССР им. К. С. Кекелидзе (Н-15046); установлена личность его составителя и писаря. К исследованию прилагается текст указанного документа.

* დედანში ამ სიტყვის შემდეგ ერთი სიტყვა გადაშლილია.

** საბუთი აქ წყდება.

გონელი არასამია .

კონსტანტინე გრიგოლია და საქართველოს ისტორიის
წყაროთმცოდნეობა

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, პროფესორ კონსტანტინე გრიგოლის ძე გრიგოლიას (1904—1982) ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითად დარგს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა შეადგენდა.

კ. გრიგოლიას სამეცნიერო შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ძველი ქართული საისტორიო ძეგლების კრებულის „ქართლის ცხოვრების“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლის აქტუალურ პრობლემებს. მკვლევარმა არაერთი ნაშრომი უძღვნა ე. წ. „ძველი ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის, მასში შემავალი თხზულებების დათარიღებისა და ავტორობის საკითხების შესწავლას. კ. გრიგოლია იზიარებს ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ თვალსაზრისს XI ს-ის მოღვაწის ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ავტორად მიჩნევის შესახებ და ახალი არგუმენტებით ამაგრებს მას¹. ამასთანავე მკვლევარმა „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის სტრუქტურის ახლებური გააზრების საფუძველზე შეიმუშავა ორიგინალური მოსაზრება აღნიშნული კრებულის პირველი თხზულების მოცულობისა და შემადგენელი ნაწილების შესახებ. „ქართლის ცხოვრების“ კრებულს, კ. გრიგოლიას აზრით, საფუძველი ჩაეყარა ლეონტი მროველის თხზულებით („მეფეთა ცხოვრება“), რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიის უძველესი დროიდან XI ს. 70-იან წლებამდე. მკვლევრის დაკვირვებით, ლეონტი მროველის აღნიშნულ თხზულებაში დამატებით შეუტანიათ „ქართლის ცხოვრებისათვის“ ლეონტი მროველის მიერვე დაწერილი „ნინოს ცხოვრება“, „ცხოვრება მეფისა ვახტანგისა“, „არჩილის წამება“, რომლებიც მას „ყამითი-ყამად“ შეუდგენია².

საყურადღებო დაკვირვებებს გვთავაზობს მკვლევარი სუმბატ დავითისძის თხზულების „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთას“ სტრუქტურისა და შედგენის თარიღის შესახებ. აღნიშნული თხზულების ბოლო, 1021—1032 წლების ამბების მომცველი და „მატიანე ქართლისას“ (XI ს.) იმავე პერიოდის ამსახველი მონაკვეთების ტექსტობრივი მსგავსების მიზეზების ძიებასთან დაკავშირებით მკვლევარი საგანგებოდ შეეხო აღნიშნულ თხზულებათა ტექსტობრივ ურთიერთმიმართებას. ამ თვალსაზრისით ჩატარებული შედარებითი

¹ კ. გრიგოლია. ლეონტი მროველი — XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. — თსუ შრომები, 87, 1960, გვ. 223—238.

² კ. გრიგოლია. „მატიანე ქართლისას“ და მისი დასათაურების საკითხისათვის. — ი, ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული. თბ., 1976, გვ. 218—232, კ. გრიგოლია. ისევე ლეონტი მროველის ავტორობის შესახებ. — საქართველოს მეც. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, 1963, № 5, გვ. 242—253.

ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ სუმბატის ქრონიკის ბოლო მონაკვეთი მკვეთრად განსხვავდება იმავე თხზულების ძირითადი ნაწილისაგან სტილითა და თხრობის ხასიათით, მაშინ როდესაც საზიარო მონაკვეთი ორგანულად ეხამება „მატიანე ქართლისას“ ტექსტს. ამასთანავე სუმბატის ქრონიკა შეიცავს რამდენიმე ისეთ ფაქტს, რომლებიც „მატიანე ქართლისაში“ არა გვაქვს, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს ამ უკანასკნელის პირვანდებლობაზე სუმბატის ქრონიკასთან შედარებით. აქედან გამომდინარე კ. გრიგოლია ასკვნის, რომ სუმბატის ქრონიკის ბოლო მონაკვეთი თუ სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი არა, „მატიანე ქართლისას“ ტექსტის მიხედვით გადმოკეთებული მაინც არის. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე არსებობდა ლოგიკური შესაძლებლობა სუმბატის ქრონიკის „მატიანე ქართლისას“ შედგენის (1072—1073 წწ.) შემდგომი ხანით დასათარიღებლად, მკვლევარი კატეგორიული დასკვნებისაგან თავს იკავებს და დასაშვებად მიიჩნევს, რომ სუმბატის ქრონიკის ბოლო მონაკვეთი შეიძლება პირადად სუმბატს არ ეკუთვნოდეს და სხვა, შედარებით გვიანდელი ავტორის ნახელავი იყოს³.

კ. გრიგოლიამ ვრცლად განიხილა თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობისა და მისი თხზულების დათარიღების საკითხები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხებზე გამოთქმული იყო რამდენიმე ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი. პირველის თანახმად, თხზულება შეუდგენია ბასილი ეზოს-მოძღვარს თამარის გარდაცვალების ახლო ხანებში⁴. მეორე მოსაზრების მიხედვით, თხზულების ავტორად ბასილი ეზოსმოძღვრის მიჩნევა უმართებულოა, შედგენის თარიღად კი XIII ს. 30-იან — 50-იანი წლები იქნა აღიარებული⁵.

კ. გრიგოლია დაწვრილებით შეეხო თითოეული მოსაზრების არგუმენტაციას, გაანალიზა საამისოდ მოხმობილი წყაროების მონაცემები, რის საფუძველზეც ახალი საბუთებით გაამაგრა თხზულების თამარის გარდაცვალების ახლო ხანებით დათარიღების თეზისი. რაც შეეხება ავტორის ვინაობას, მას მიუღებლად მიაჩნია თხზულების როგორც ბასილი ეზოსმოძღვრის, ისე შოთა რუსთაველის⁶ სახელთან დაკავშირება⁷.

კ. გრიგოლიას რამდენიმე წყაროთმცოდნეობითი ნაშრომი მიზნად ისახავს თამარის ცხოვრებისადმი მიძღვნილი კიდევ ერთი, დღეისათვის დაკარგული თხზულების ძიებას და მისი ავტორის ვინაობის გარკვევას. ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის დასმას ბიძგი მისცა ანტონ ბაგრატიონის „ღრამატიკაში“ მოტანილმა ფრაგმენტმა „მეფის თამარის ცხოვრებიდან“, რომლის ავტორად დასახელებულია შოთა რუსთაველი⁸. ვინაიდან დასახელებული ფრაგმენტი ტექსტობრივად „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში წარმოდგენილი თამარის ცხოვრების ბოლო მონაკვეთს ემთხვევა, თამარის ცხოვრება კი ამ რე-

³ კ. გრიგოლია. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. ახალი ქართლის ცხოვრება. თბ., 1954, გვ. 226—235.

⁴ ი. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ., VIII. თბ., 1977, გვ. 389—390.

⁵ კ. ქეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II: თბ., 1981, გვ. 276—278; ი. ლოლაშვილი. რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა. თბ., 1961, გვ. 36.

⁶ ი. აბულაძე. ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ. — ნიშნის მოამბე, III, 1938, გვ. 183—208.

⁷ კ. გრიგოლია. თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობისა და მისი თხზულების დათარიღებისათვის. — თსუ შრომები, 108, 1964, გვ. 359—373.

⁸ ი. აბულაძე. ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ. გვ. 203, 204.

რედაქციაში ძირითადი პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებათა ტექსტების შერწყმას წარმოადგენს, სამეცნიერო ლიტერატურაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ თამარის რომელი ისტორიკოსის თხზულებიდან მომდინარეობს ანტონ ბაგრატიონის მიერ მოტანილი ფრაგმენტი. მართალია ამ დროისათვის უკვე ცნობილი და გამოქვეყნებული იყო თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებები, მაგრამ საქმე ისაა, რომ პირველი ისტორიკოსის თხზულება ცალკე სახით ვახტანგამდელი ნუსხებიდან მხოლოდ ერთში (ჭალაშვილისეული) შემოინახა და ისიც სანახევროდ, ამიტომ მისი მეორე ნაწილი აღდგენილი იყო პირველი ისტორიკოსის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედ-თანი“) ვახტანგისეული რედაქციის ტექსტთან შეპირისპირებით, როცა ამ უკანასკნელიდან პირველის გამოყოფის გზით მიღებულ იქნა მეორე ისტორიკოსის თხზულების სავარაუდო ტექსტი, რომელსაც მიეკუთვნება ვახტანგისეული რედაქციის თამარის ცხოვრების ზემოთ აღნიშნული დაბოლოება⁹. ტექსტის ამ მონაკვეთის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან მიეკუთვნება არ გაიზიარა ი. ლოლაშვილმა, რომელმაც ის პირველი ისტორიკოსის თხზულების ორგანულ ნაწილად მიიჩნია, აქედან გამომდინარე, ანტონ ბაგრატიონის მიერ მოტანილი ფრაგმენტის იმავე თხზულებიდან მომდინარეობა იყარაუდა, რის საფუძველზეც თამარის პირველი ისტორია შოთა რუსთაველის კალამს მიაკუთვნა¹⁰. საკითხის შესწავლაში კ. გრიგოლიამ არსებითი სიახლე შეიტანა. მან ჩაატარა სადავო მონაკვეთის შედარებითი ანალიზი თამარის ორივე ისტორიკოსის თხზულებებთან, რის შედეგად დაასკვნა, რომ შინაარსობრივად აღნიშნული მონაკვეთი არ ეკუთვნის თამარ მეფის არც პირველ და არც მეორე ისტორიკოსს¹¹. მკვლევრის აზრით, ეს მონაკვეთი მომდინარეობს თამარის სხვა, დღეისათვის დაკარგული ისტორიიდან, რომლის ბოლო, დასკვნითი ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში შეერწყა თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსების თხზულებებს. თამარის ამ დაკარგული ისტორიიდან მომდინარეობს, კ. გრიგოლიას აზრით, ანტონ ბაგრატიონის თხზულებაში მოტანილი ფრაგმენტი, რომელიც ანტონისავე მითითებით, შოთა რუსთაველს ეკუთვნის. ყოველივე ამის საფუძველზე კ. გრიგოლია გვთავაზობს მოსაზრებას, რომლის თანახმად არსებობდა თამარ მეფისადმი მიძღვნილი საისტორიო ნაწარმოები, რომლის ავტორი შოთა რუსთაველი ყოფილა¹².

საგანგებო ყურადღებას უთმობს კ. გრიგოლია „ასწლოვანი მატეანის“ (ჟამთაღმწერლის თხზულება) ისტორიოგრაფიულ და წყაროთმცოდნეობით დახასიათებას. ვრცლად განიხილავს მისი ავტორის ვინაობას, სოციალურ წარმოშობას, მსოფლმხედველობას, განათლებას, წყაროებისადმი დამოკიდებულებას, შემოქმედებითი მეთოდის სხვა საკითხებს, არკვევს თხზულების ცნობათა სანდოობას და სამეცნიერო ღირებულებას¹³. ამავე საკითხებზე მკვლე-

⁹ ბასილი ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ი. ჯავახიშვილის გამოცემა. ი. ჯავახიშვილის მასალები გამოსაცემად მოამზადეს ნ. ჯავახიშვილმა და მ. კახაძემ. თბ., 1944.

¹⁰ ი. ლოლაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

¹¹ კ. გრიგოლია. შოთა რუსთაველის მოღვაწეობის საკითხისათვის XIII საუკუნის ქართულ საისტორიო მწერლობაში. — კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 234, 240; კ. გრიგოლია. თამარის ისტორიის ბოლო ნაკვეთის საკითხისათვის ვახტანგისეული რედაქციის „ქართლის ცხოვრებაში“. — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI—XVII, 1972, გვ. 315—326.

¹² კ. გრიგოლია. შოთა რუსთაველის ისტორიოგრაფიული მოღვაწეობის საკითხისათვის, გვ. 239—240; კ. გრიგოლია. რუსთაველის ეპოქის ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1966.

¹³ კ. გრიგოლია. ჟამთაღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა. — ქართული ისტორიოგრაფია, I, თბ., 1968, გვ. 64—105.

ვარი გვთავაზობს არაერთ ანგარიშგასაწევ მოსაზრებას, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აღნიშნული თხზულების შესწავლის საქმეში.

საყურადღებოა მკვლევრის დაკვირვებები „ძველი ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ცნობების ინტერპრეტაციის, ტექსტების დღეისათვის გაუგებარი და ბუნდოვანი ადგილების აღდგენის, ცალკეული ტერმინების შინაარსის განმარტების საკითხებზე¹⁴.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კ. გრიგოლიას მიერ გაწეული ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგები „ახალი ქართლის ცხოვრების“ პრობლემებზე. მკვლევარი საგანგებოდ განიხილავს ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების“ რაობის საკითხს. მან გადასინჯა ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად „ახალ ქართლის ცხოვრებად“ მიჩნეული იყო ვახტანგისეული და შემდგომი ხანის ნუსხებში დაცული XIV—XVII სს. ისტორიის ამსახველი თხზულება, შედგენილი „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მიერ XVIII ს. დასაწყისში, აგრეთვე, „სწავლულ კაცთა“ ნაშრომის გადაკეთება, რომელიც შეტანილია XVIII ს. 60-იანი წლების ნუსხებში¹⁵. კ. გრიგოლიამ საკითხის გარშემო არსებული მასალების ყოველმხრივი კრიტიკული შემოწმებისა და ახლებური გააზრების შედეგად ცხადჰყო, რომ „ახალი ქართლის ცხოვრება“ ეწოდებოდა იმ რედაქციას, რომელიც ვახტანგ VI-ის თაოსნობითა და მის მიერ მოწვეულ „მეცნიერ კაცთა“ მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბდა, განსხვავებით „ძველი ქართლის ცხოვრებისაგან“, რომლითაც აღინიშნებოდა, კრებულის ვახტანგამდელი ნუსხები¹⁶. მკვლევარი ვრცლად მიმოიხილავს „ახალი ქართლის ცხოვრების“ დღეისათვის შემონახულ ნუსხებს, არკვევს მათ გენეტიკურ ურთიერთმომართებას და შედგენის თარიღებს¹⁷. ამის შემდეგ მოგვცა აღნიშნულ ნუსხათა კლასიფიკაცია რედაქციების მიხედვით და ამ რედაქციათა წარმოშობის თანმიმდევრული ისტორია¹⁸. აღნიშნული საკითხის გაშუქების დროს მკვლევარმა, უწინარეს ყოვლისა, მკაფიოდ გამოჰყო „ახალი ქართლის ცხოვრების“ ტექსტის განვითარების სხვადასხვა ეტაპისათვის დამახასიათებელი რედაქციული ნიშნების კომპლექსი, თვალი გადაევნა როგორც ამ კომპლექსის მთლიანად, ისე მისი ცალკეული კომპონენტების თანდათან ჩამოყალიბების პროცესს. ამის საფუძველზე წარმოადგინა „ახალი ქართლის ცხოვრების“ რედაქციული განვითარების საფეხურები XVIII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ნათლად წარმოადგინა თითოეული საფეხურის საერთო და სპეციფიკური ნიშნები. ყოველივე ამან მკვლევარს შესაძლებლობა მისცა შეემუშავებინა ძველი და ახალი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა ტექსტების შედარებითი ანალიზის ზუსტი მეთოდიკა¹⁹, რასაც უაღრესად

14 კ. გრიგოლია. ლეონტი მროველის ერთი ადგილის განმარტებისათვის. — მიმომხილველი, I. თბ., 1949, გვ. 102—110; კ. გრიგოლია. „დავითის ცხოვრებაში“ დამოწმებული ერთი ტერმინის განმარტებისათვის. — ქართული წყაროთმცოდნეობა, III. თბ., 1971, გვ. 117—122.

15 მ. ჯანაშვილი. ნაშრომი. ტფ., 1907, გვ. 9—12; ი. ჯავახიშვილი. წინასიტყვაობა ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებისა“. — თხზულებანი, VIII, გვ. 418—421; ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი. — ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ., 1942, გვ. XVII—XX.

16 კ. გრიგოლია. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან, გვ. 279—286.

17 იქვე, გვ. 123—197.

18 იქვე, გვ. 197—278.

19 იქვე, გვ. 289—299.

დიდი მნიშვნელობა აქვს „ქართლის ცხოვრების“ კრებულში გაერთიანებულ თხზულებათა ტექსტების დასადგენად

აღსანიშნავია, რომ ზემოთ დასახელებული საკითხების ხანგრძლივი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები მკვლევარმა ხელმისაწვდომი გახადა ფართო საზოგადოებისათვისაც „ქართლის ცხოვრებაზე“ შექმნილი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომით, რომელმაც მკითხველთა დამსახურებული აღიარება მოიპოვა²⁰.

კ. გრიგოლიას სამეცნიერო ინტერესების სფეროს, გარდა ნარატული საისტორიო ძეგლებისა, შეადგენდა შუა საუკუნეების ქართული დიპლომატიკური და ეპიგრაფიკული მასალები. მკვლევარი ვრცლად შეეხო „ჭიაბერის დაწერილის“ დათარიღების საკითხს. შემოთავაზებული დათარიღება ემყარება დოკუმენტის შინაარსობრივ ანალიზს, მასში დასახელებული ფაქტებისა და ისტორიული პირების ქრონოლოგიის გათვალისწინებას²¹.

გარკვეული ყურადღება დაუთმო კ. გრიგოლიამ გვიანფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს შეფე-მთავართა მიერ გაცემული სიგლების დიპლომატიკურ შესწავლას, მათი შედგენილობისათვის დამახასიათებელი ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების წარმოჩენას²².

მკვლევარმა ყოველმხრივ შეისწავლა და გამოაქვეყნა ილორის წმ. გიორგის ხატის 1651 წლით დათარიღებული მდიდარი ისტორიული შინაარსის წარწერის ტექსტი, მოგვცა მისი ამომწურავი შინაარსობრივი კრიტიკა და როგორც საისტორიო წყაროს შეფასება²³.

კ. გრიგოლიას სამეცნიერო შემოქმედებაში გარკვეული ადგილი ეთმობა ქართული წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიას. მან ვრცლად გააშუქა მ. ჯანაშვილის, ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ნ. ბერძენიშვილის წყაროთმცოდნეობითი საქმიანობის ცალკეული ასპექტები²⁴.

საკვლევი პრობლემების მრავალფეროვნებით, დახვეწილი პროფესიული ოსტატობითა და კეთილსინდისიერებითაა აღბეჭდილი კ. გრიგოლიას მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

20 კ. გრიგოლია, რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“. თბ. 1961.

21 კ. გრიგოლია, ჭიაბერის შეწირულობის წიგნის დათარიღებისათვის. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII—B, თბ., 1944, გვ. 177—182.

22 კ. გრიგოლია, იმერულ სიგელების შედგენილობის საკითხისათვის XVI—XVIII საუკუნეებში. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X—B, 1940, გვ. 176—194.

23 კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა. — ენმკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 145—158.

24 კ. გრიგოლია, მოსე ჯანაშვილი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი. — წიგნში: მოსე ჯანაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ., 1956, გვ. 14—25 კ. გრიგოლია, ექვთიმე თაყაიშვილი და ქართული ეპიგრაფიკა. — კრებ.: ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა. თბ., 1966; კ. გრიგოლია, კორნელი კეკელიძე და საქართველოს ისტორია. — მაცნე, ისტორიის სერია, № 3, 1979, გვ. 195—200; კ. გრიგოლია, ნიკო ბერძენიშვილი — „ქართლის ცხოვრების“ მკვლევარი. — წიგნში: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976, გვ. 19—27.

К. Г. ГРИГОЛИЯ И ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ ИСТОРИИ ГРУЗИИ

Резюме

Видный грузинский советский историк, профессор К. Г. Григолия (1904—1982) внес значительный вклад в разработку конкретных вопросов источниковедения истории средневековой Грузии. Особенно интересовали исследователя проблемы источниковедческого изучения древнегрузинского летописного свода «Картлис цховреба». Ему принадлежат, в частности, важные наблюдения о времени составления, объеме, названиях и авторстве отдельных сочинений сборника. Много внимания уделял К. Г. Григолия вопросам изучения создания и развития различных редакций свода с начала XVIII в. до начала XIX в. Успешно разрабатывал он отдельные вопросы грузинской дипломатики и эпиграфики, а также историографии источниковедения истории Грузии.

შოთა ხანთაძე

აკოლონ როგავას წყაროთმცოდნეობითი საქმიანობა

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურის ისტორიით დაინტერესებული ადამიანი გვერდს ვერ აუვლის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის აკოლონ ანდრიას ძე როგავას (1905—1975) ნაშრომებს, მის მეცნიერულ მემკვიდრეობას. ა. როგავა ქართველ ისტორიკოსთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე ამ საუკუნის 30-იანი წლების დამლევს გამოვიდა და 40—60-იან წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე გამართვა-დამუშავების საშვილიშვილო საქმეში.

ა. როგავას მეცნიერული დაინტერესების ასპარეზს ძირითადად წარმოადგენდა XVIII ს-ის მეორე ნახევრისა და XIX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორია. ამ პერიოდს მიეძღვნა მისი მთავარი ნაშრომები: „სახალხო განათლება ერეკლე II-ის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი“, „ანტონ კათალიკოსის „სპეკალი“, დავით ბაგრატიონის „მიმოხილვა საქართველოს საშართლისა და კანონთმცოდნეობის შესახებ“, „კაპიტალიზმის ჩანასახები XVIII საუკუნის საქართველოში და ერეკლე II-ის პოლიტიკა“ და სხვ. ამ პერიოდის ისტორიის მრავალი პრობლემა გახდა მისი დაკვირვების და მსჯელობის საგანი, მრავალი საინტერესო იდეა და შეხედულება დაუტოვა მან შთამომავლობას. ა. როგავა მიეკუთვნებოდა იმ მკვლევართა რიცხვს, რომლებიც XVIII ს-ის საქართველოში (კერძოდ, ქართლ-კახეთში) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს აღიარებდნენ და მიაჩნდათ, რომ ამ ხანაში ჩვენში უკვე მიმდინარეობდა ბატონყმურ-ფეოდალური ურთიერთობების რღვევის პროცესი, ისახებოდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ელემენტები, მზადდებოდა ნიადაგი ახალ სოციალურ-ეკონომიკურ სტადიაზე გადასასვლელად. მიგვაჩნია, რომ მიუხედავად ზოგიერთი გადაჭარბებისა (მაგალითად, იმდროინდელ საქართველოში აბსოლუტიზმის არსებობის მტკიცება და სხვ.) ა. როგავას კონცეფციური პოზიცია ძირითადად მართებული იყო და ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა აღებული ხანის საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხების მეცნიერული გამუქებისათვის.

აკოლონ როგავა 1925 წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტში ისტორიის განხრით და დაამთავრა იგი 1929 წელს. იმავე წელს იწყებს მუშაობას ზუგდიდის ცხრაწლიან სკოლაში, შემდეგ სხვადასხვა დროს ასწავლის წალენჯიხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, ნარაზენის ჩაის ტექნიკუმში, ცაიშის საშუალო სკოლაში და ა. შ.

პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ა. როგავა მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც ეწევა. მან ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს, 1928 წლის აგვისტოში, სოფ. ხეთაში აღგილობრივი მღვდლის დავით კუკავას ოჯახში აღმოაჩინა ხელნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა ანტონ I კათალიკოსის მანამდე

უცნობ თხზულებას — „სპეკალს“. ეს ხელნაწერი მან უჩვენა თავის მასწავლებლებს ივანე ჯავახიშვილს და კორნელი კეკელიძეს. მათ მაღალი შეფასება მისცეს ამ აღმოჩენას. კ. კეკელიძემ სპეციალური წერილი უძღვნა ამ ძეგლს. მასწავლებლების რჩევით ა. როგავამ მის მიერ აღმოჩენილი ხელნაწერი უსასყიდლოდ გადასცა უნივერსიტეტის მუზეუმს, საიდანაც შემდეგ იგი ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში გადავიდა. 1929 წლის 10 მაისს ა. როგავამ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება ანტონ I-ის „სპეკალის“ შესახებ. ამით დაიწყო მისი მეცნიერული კარიერა. შემდეგ ამ მუშაობის გასაგრძელებლად ა. როგავა 1934 წელს გადმოდის თბილისში და უკვე 1936 წლისათვის ქმნის გამოკვლევას ძველ ქართულ პანთეონზე. მომდევნო წელს წერს ნაშრომს შრომისა და ქონების მფლობელობის შესახებ ძველ ქართულ მონასტრებში (VIII—XIII სს.). 1938 წელს მან დაამთავრა გამოკვლევა, რომელშიც შესწავლილია კახეთის სამეფოს მდგომარეობა XVIII ს-ის პირველ მეოთხედში.

ამ პერიოდში იგი აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სხვადასხვა სასწავლებლებში (მოზრდილთა მე-5 სკოლა, მე-7 საშუალო სკოლა, სამხატვრო სასწავლებელი და სხვ.).

1938 წელს ა. როგავა წარმატებით აბარებს გამოცდებს თბილისის უნივერსიტეტის ასპირანტურაში და ხდება საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტი. მისი ხელმძღვანელია ს. ჯანაშია, კონსულტანტი — ივ. ჯავახიშვილი.

სადისერტაციო თემად შეირჩა ანტონ კათალიკოსის „სპეკალის“ მეცნიერული ანალიზი, მისი მომზადება გამოსაქვეყნებლად. 1939 წელს ა. როგავამ დაწერა ვრცელი გამოკვლევა ქართული სქოლასტიკური ფილოსოფიური მწერლობის საწყისების შესახებ, გაამზადა „სპეკალის“ ტექსტი გამოსაქვეყნებლად. 1941 წელს შეუდგენენ კიდევ ამ ძეგლის გამოცემას, აიწყო 9 თაბახი, მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყების გამო შეჩერდა. ა. როგავამ წითელი არმიის რიგებს მიაშურა, ჩაება კავკასიის დაცვისათვის გამართულ მძიმე ბრძოლებში. მან პირნათლად მოიხადა საბრძოლო ვალი სამშობლოს წინაშე და 1946 წელს დაუბრუნდა მეცნიერულ ასპარეზს. ამ წელს, 1 მარტს, იგი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1947 წელს ა. როგავამ დაასრულა ვრცელი გამოკვლევა „სპეკალის“ შესახებ და ამ ძეგლის ტექსტთან ერთად წარადგინა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. პროფ. ილ. აბულაძისა და ვ. დონდუას რეცენზიების საფუძველზე მას მიენიჭა ძიებულის სამეცნიერო ხარისხი.

ამ ხანებში მან კიდევ ორი მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა. 1948 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში მან მიაგნო დავით ბატონიშვილის ორ უცნობ თხზულებას: 1. „საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვას“ და 2. „საქართველოს ისტორიას“ (ორივე რუსულ ენაზე). პირველი ამათვანი სათანადო გამოკვლევასთან ერთად მან წარადგინა და დაცვა როგორც სადოქტორო დისერტაცია (1960 წლის 13 ივნისს).

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ა. როგავა კითხულობს ლექციებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში: ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტში, ქუთაისის, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ერთხანს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1956 წლიდან გარდაცვალებამდე მუდმივად მუშაობდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

თავისი ხანგრძლივი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე ა. როგავა დაუ-
ლაღვად ეძიებდა ახალ მასალებს საქართველოს ისტორიის მისთვის საინტე-
რესო პერიოდის შესახებ. დიდი მუშაობა გასწია მან ერეკლე II-ის ეპისტო-
ლური მემკვიდრეობის შეკრებაზე, მის გამოსაცემად მომზადებაზე. სამწუხა-
როდ, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა მან ვერ მოასწრო, მის მიერ შეკრებილი
რამდენიმე ასეული წერილი, მიწერილი ერეკლე II-ის მიერ სხვადასხვა პირე-
ბისადმი, გამოუქვეყნებელი დარჩა. ასევე გამოუქვეყნებელი დარჩა ანტონ I-
ის „სპეკალი“, რომლის ტექსტი ჯერ კიდევ სამამულო ომამდე იყო მზად დასა-
ბეჭდად.

როგორი იყო განსვენებული მეცნიერის წყაროთმცოდნეობითი მუშაობის
პრინციპები, მისი მეთოდოლოგია?

ქართულ წყაროთმცოდნეობას ა. როგავამ სამი მნიშვნელოვანი ძეგლი შეს-
ძინა: ანტონ I-ის „სპეკალი“ და დავით ბაგრატიონის ორი თხზულება — „სა-
ქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“ და „საქართვე-
ლოს ისტორია“. დავითის ნაშრომები მკვლევარმა გამოაქვეყნა, ანტონისა კი,
როგორც ითქვა დაუბეჭდავი დარჩა. მეცნიერის წყაროთმცოდნეობითი მუშაო-
ბის ხასიათი და შინაარსი ყველაზე ნათლად „სპეკალის“ ტექსტზე გაწეული
შრომიდან ჩანს.

ამ მუშაობაში შეიძლება გამოიყოს სამი დონე: არქეოგრაფიული, საკუთ-
რივე წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული. არქეოგრაფიული დონე გულისხ-
მობს ძეგლის ხელნაწერის გარეგნულ აღწერას (ხელნაწერის დასახელება,
ფორმატი, მოცულობა, სტრიქონების რაოდენობა და სხვ.). აქვე შედის ძეგლის
შინაგან თავისებურებათა აღნიშვნა: შემადგენელი ნაწილები, ტექსტის თან-
მიმდევრობა, სტრუქტურა და სხვ. საკუთრივე წყაროთმცოდნეობითი კვლევა იძ-
ლევა წარმოდგენას ძეგლის, როგორც საისტორიო წყაროს შესახებ: სანდოო-
ბა, ცნობების სიუხვე და მნიშვნელობა, ძეგლის წყაროები, დათარიღება და
ა. შ. დაბოლოს ძეგლის ისტორიული (თუ ისტორიოგრაფიული) დახასიათება
შეიცავს მის საერთო ანალიზს, მსოფლმხედველობრივ და მეთოდოლოგიურ
მომენტებს, ტენდენციას, კლასობრივ ბუნებას და ა. შ. ა. როგავას ამას გარ-
და კვლევის სფეროში შემოაქვს ფილოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეო-
ბითი საკითხებიც, იგი ყურადღებას აქცევს ძეგლის ენას, სტილს, საინტერე-
სო ტერმინებს და მათ სემანტიკას.

ასეთი კომპლექსური მიდგომით აქვს მკვლევარს შესწავლილი ანტონ კა-
თალიკოსის „სპეკალი“. ძეგლის ტექსტი, რომელიც ხელნაწერის 195 ფურცელს
(ანუ 389 გვერდს) შეიცავს, ა. როგავას დიდი სიზუსტით აქვს გადმოწერილი.
შენიშვნებში იგი ასწორებს გადამწერის (იოანე ოსეს ძის) კალმის შეცდომებს
თუ ენობრივ ლაფსუსებს. შემდეგ მკვლევარი იძლევა ხელნაწერის არქეოგრა-
ფიულ აღწერას, ახასიათებს ძეგლის აგებულებას. ძეგლს წინ უძღვის ტიმო-
თე გაბაშვილის წინასიტყვაობა, რასაც მოსდევს ანტონის მიძღვნა ერეკლე
II-ისადმი. შემდეგ ჩამოთვლილია თხზულების შემადგენელი ნაწილები: კა-
ტილორია, დიალექტიკა, სულისათვის და ა. შ. სულ 153 თავია და ბოლოში
დართული აქვს ზანდუკი. ძეგლს ამთავრებს გადამწერის ანდერძი. აქვე ა. რო-
გავას გარკვეული აქვს ძეგლის დაწერის თარიღი, სათაურის მნიშვნელობა,
თხზულების შექმნის ვითარება და სხვა საკითხები.

ამის შემდეგ ავტორი გადადის ძეგლის წყაროების გამორკვევაზე, ადგენს,
რომ ანტონს გამოყენებული აქვს დიდძალი ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველუ-
რი ლიტერატურა, შექმნილი ნემესიოს ემესელის, გრიგოლ ნოსელის, პროკლე
დიადოხოსის, იოანე დამასკელის, იოანე პეტრიწის, ალბერტ დიდისა და სხვა

ავტორთა მიერ. ამ წყაროებთან ანტონ I-ს შემოქმედებითი დამოკიდებულება ახასიათებს, ბრმად არ მისდევს ყოველთვის მათ, ისწრაფვის ორიგინალური აზროვნებისკენ.

ა. როგავა ეხება საკითხს იმის შესახებ თუ ვინ და როგორ გამოიყენა ანტონის ეს თხზულება როგორც წყარო.

დაბოლოს მკვლევარი ანტონ I-ის მსოფლმხედველობრივ საკრთხებზე გადადის, იკვლევს ქართული დოგმატიკური და რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების საწყისებს, ახასიათებს ანტონის ზოგად-ღვთისმეტყველურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს, მიუთითებს თუ რა ადგილი უკავია ამ ძეგლს არა მარტო ანტონ I-ის ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემაში, არამედ XVIII ს-ის ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში.

ისტორიული წყაროს განხილვის ეს სამივე დონე (არქეოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული) ა. როგავას ნარკვევებში შერწყმულად და ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი, რაც მეტად საინტერესოს ხდის ამ ნარკვევებს.

ანალოგიური მიდგომით, მსგავსი მეთოდოლოგიით აქვს ა. როგავას შესწავლილი დავით ბაგრატიონის თხზულება: „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა“. არქეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი დახასიათების შემდეგ ა. როგავა იძლევა ძეგლის განხილვას ფართო ისტორიული თვალსაწიერით.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ა. როგავას წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკა სავსებით იდგა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, რომ მან თავისი პუბლიკაციებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული წყაროთმცოდნეობის განვითარებაში.

დაკვირვებული მკითხველი ა. როგავას ან ნაშრომებში ზოგიერთ ხარვეზსაც აღმოაჩენს, მაგრამ ეს ხარვეზები უმნიშვნელოა იმ უდავო ღირსებებთან შედარებით, რაც ახასიათებს მის მიერ განხორციელებულ პუბლიკაციებს.

ქართული ისტორიოგრაფია დავალებულია ამ უანგარო მოღვაწისაგან და მისი ღვაწლის საგანგებო აღნიშვნა უნდა მივიჩნიოთ იმ მაღლიერების გრძნობის გამოხატულებად, რომელიც აქვს თანამედროვე საზოგადოებრიობას ა. როგავას მიმართ.

Ш. А. ХАНТАДЗЕ

ИСТОЧНИКОВЕДЧЕСКАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ А. А. РОГАВА

Резюме

В статье анализируются источниковедческие труды известного грузинского историка Апполона Андреевича Рогава (1905—1975). В частности, дана характеристика осуществленных им публикаций трудов Давида Багратиони «Обозрение Грузии по части права и законовдения» и «История Грузии», а также подготовленного к печати сочинения католикоса Антония I «Спекали». Показан вклад А. А. Рогава в дело изучения эпистолярного наследия Ираклия II. Выясняется, что методология и исследовательская техника ученого стояли на уровне современных требований источниковедческих разысканий.

გრიგოლ მარგინანი

წყაროების ანალიზის რაოდენობრივი მეთოდი
ირაკლი ანთელავას შრომებში

პროფესორი ირაკლი გიორგის ძე ანთელავა (1912—1978) შემოქმედებითი აღმასვლის საუკეთესო პერიოდში წავიდა ჩვენგან. ამის მიუხედავად, გამოჩენილმა მეცნიერმა და დიდებულმა მამულიშვილმა ბევრის გაკეთება მოასწრო, სახელოვანი ცხოვრებისეული გზა განვლო სახელმოხვეჭილ მეცნიერად აღიარებამდე. მან დავგიტოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა.

ი. ანთელავამ თავისი შეგნებული ცხოვრება დაძაბულ შრომასა და ნაყოფიერ მოღვაწეობაში გაატარა. ნიჭიერი, ღრმად განსწავლული მეცნიერი იკვლევდა საქართველოს გვიანფეოდალურ და ახალ ისტორიას, აფხაზეთის ისტორიას, XIX ს-ის რუსეთის ომებში ქართველთა გმირულ მონაწილეობას. მან მალალ აკადემიურ დონეზე შეასრულა და გამოაქვეყნა 8 ორიგინალური წიგნი, 100-მდე ნარკვევი, სამეცნიერო სტატია, წერილი, რეცენზია.

ი. ანთელავას შემოქმედების მშვენებაა მისი ორტომეული — „სახელმწიფო გლეხები“, რისთვისაც აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია დაიმსახურა. კოლოსალური შრომა და ფიქრია ჩაქსოვილი მის განმაურებულ მონოგრაფიაში „ქართველები 1812 წლის სამამულო ომში“, რასაც შედარებით მოგვიანებით ელირსა აღიარება. საგანგებოდ აღსანიშნავია ი. ანთელავას დამსახურება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ V ტომის შექმნაში, რისთვისაც მას საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ი. ანთელავას ნაშრომთა დასახელება, მეცნიერების წინაშე მისი დამსახურების თუნდაც ზოგადი დახასიათება, შორს წაგვიყვანდა, თანაც ამას სპეციალური წიგნი უკვე მიეძღვნა¹. ამავე დროს, დღეს ჩვენ მსჯელობა გვაქვს ი. ანთელავას ნაშრომთა მხოლოდ ერთ ნაწილზე, — იმ გამოკვლევებზე, რომლებიც წყაროების ანალიზის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებითაა შესრულებული.

* * *

ი. ანთელავამ ჩვენი ქვეყნის სიძველეთა საცავებსა და არქივებში გამოავლინა დიდძალი და მრავალფეროვანი საისტორიო მასალა. მრავალი პირველხარისხოვანი წყაროს აღმომჩენმა, ყველა თავისი გამოკვლევა წყაროების ზედმიწევნით დეტალურ, ფრთხილ ანალიზზე დაამყარა. ირაკლი ანთელავა სრულებით არ გავდა თავის იმ კოლეგებს, რომლებიც გვიანფეოდალური და ახალი ხანის საქართველოს ისტორიის პრობლემებზე თამამად მსჯელობისას, ის-

¹ ირაკლი ანთელავა. ცხოვრება და შემოქმედება. თბ., 1979.

ტორიული მასალის მოძიებასა და ანალიზს გაუზრდნენ და ისტორიული სქემების აბსტრაქტულ „კონსტრუირებას“ სჯერდებოდნენ. სერიოზულ მეცნიერულ მუდამ ახსოვდა ის სახელმძღვანელო ჰემმარიტება, რომ აბსტრაქციები, ფილოსოფიისაგან განსხვავებით, „სრულიად არ იძლევიან რაიმე რეცეპტს ან სქემას, რომლისადმიც ისტორიული ეპოქის მორგება შეიძლებოდა. პირიქით, სიძნელე იქ იწყება, სადაც ზელს ჰვიდებ მასალის — სულ ერთია, იქნება ეს განვლილი ეპოქის თუ აწმყო დროის მასალა — განხილვასა და მოწესრიგებას“ (ე. მარქსი და ფ. ენგელსი, ვერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 26).

ეფექტობთ, ყველა, ვინც ჩახედულია ი. ანთელავას მეცნიერულ ლაბორატორიაში, დაგვეთანხმება, რომ მრავალმხრივი განსწავლულობის გარეშე, — სოლიდურ ისტორიულ განათლებასთან ერთად, ფინანსურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა ღრმა ცოდნის გარეშე, — შეუძლებელიც იქნებოდა მეცნიერის კაპიტალური ისტორიულ-ეკონომიკური გამოკვლევების შექმნა. უამბირობოდ მეცნიერი თავს ვერ გაართმევდა „სტატისტიკის ეპოქად“ წოდებული XIX ს-ის საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ღრმა და მასშტაბურ ანალიზს.

წყაროების ანალიზის ცნობილ მეთოდებს შორის, ი. ანთელავას არაერთ ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ანალიზის რაოდენობრივ მეთოდს, რომლის მომარჯვება უაღრესად დიდ შრომას და ბევრ ფიქრს თხოვლობს. მან მრავალი უძილო ღამე გაატარა რთული ცხრილების შესადგენად, ცხრილებისა, რომლებიც სრულიად ახალ შუქს ჰფენენ საქართველოს გვიანფეოდალური და ახალი ისტორიის არაერთ მოვლენას, სახელდობრ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საზოგადოდ, ისტორიული ცხოვრების მაჯისცემის ისეთი საზომი, როგორცაა რაოდენობრივი მაჩვენებელი და მისი გადაზრდა ახალ ხარისხობრივ (თვისებრივ) მაჩვენებელში, სიცხადით წარმოგვიდგენს ცხოვრების დინამიზრობას, საიმედო მასალას იძლევა ისტორიული პროცესის რეკონსტრუქციისათვის, გაზრებისა და განზოგადებისათვის, თუმცა ანალიზის რაოდენობრივი მეთოდი დიდ სიფრთხილესაც მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში სახიფათო ცდომილებაა მოსალოდნელი.

ი. ანთელავამ ხსენებული მეთოდი ჩინებულად გამოიყენა ჩვენში კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების კვლევა-ძიებაში და უშუალო მწარმოებელი მასების ისტორიის შესწავლაში.

როდის დაიწყო ჩვენს ქვეყანაში ფეოდალური ურთიერთობის წიაღში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა, რა სტადიები გაიარა და როდის მიადწია გაბატონებულ მდგომარეობას ახალმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ, რა თავისებურებებით ხასიათდებოდა კაპიტალიზმი საქართველოში?

აი კითხვები, რომელთა გაშუქება ამ 65 წლის მანძილზე ცადა საბჭოთა მკვლევართა რამდენიმე თაობამ. იმის გასარკვევად თუ როდის დაიწყო ჩვენში ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალიზმის ჩასახვა, ერთნი დაკვირვებას აწარმოებდნენ მემამულური მეურნეობის ხასიათზე (გ. ნათაძე). მეორენი სწავლობდნენ სამღებროთა სოციალურ-ეკონომიკურ ბუნებას (ნ. ბერძენი-შვილი), მესამენი საფეიქრო წარმოებას (მ. სამსონაძე), მეოთხენი ზედნაშენურ მოვლენებს, სახელდობრ, სახელმწიფო წყობილებას და სამართალს (აპ. როგავა).

ავტორთა ერთი ნაწილის აზრით, ჩვენში ფეოდალიზმის რღვევა და კაპიტალიზმის ჩასახვა XVIII ს-ის მეორე ნახევარში დაიწყო, მეორე ნაწილისა —

ეს პროცესი მიმდინარეობდა XIX ს-ის 30—50-იან წლებში და ის კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა (თავდაპირველად ამ აზრს იცავდა ი. ანთელავაც); მესამენი საისტორიო წყაროებისადმი გულგრილობას იჩენდნენ და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ზედაპირულ მსჯელობას დასჯერდნენ, თუმცა მეტისმეტად თამამი დასკვნების კატეგორიული ტონით ჩამოყალიბებას არ მოერიდნენ. ასე გამოითქვა თვალსაზრისი, რომლის თანახმად საქართველოს ეკონომიკაში და საწარმოო ძალებში 1864 წლამდე რაიმე ცვლილება არ მომხდარა, რომ აქ XIX ს-ის რეფორმამდელ პერიოდში ადგილი ჰქონდა არა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევას, არამედ მის „გაჯანსაღება-განმტკიცებას“.

ი. ანთელავამ 1977 წელს გამოაქვეყნა კაპიტალური წიგნი „XVIII საუკუნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის საკითხისათვის“. ამ გამოკვლევაში მრავალფეროვანი წყაროების, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების რაოდენობრივი ანალიზის მოშველიებით დააჯგუფა, დააჯამა და განაზოგადა საბაჟოთა ცნობები, მოურავის სარგოსა და ფეოდალთა დანახარჯების ნუსხის კონკრეტული მონაცემები, რითაც დაადგინა საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის ისეთი სურათი, რომელიც დამახასიათებელია ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის ჩასახვის ხანისათვის. გაირკვა, რომ სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში ჩაბმულია მოსახლეობის ყველა ფენა.

ი. ანთელავამ ურთულესი გაანგარიშებებით დაადგინა ნატურალური რენტის, შემცირება და ფულადის გადიდება. გაირკვა, რომ XVIII—XIX სს. მიჯნაზე ჩვენში პირველ ადგილზეა პროდუქტადი რენტა, მეორეზე — ფულადი, მესამეზე — შრომითი რენტა. გაირკვა სამეფო გადასახადების კომპლექციის გაძლიერებაც. ამითაც ცხადი გახდა, რომ მოცემულ პერიოდში ძირითეობდა ფეოდალიზმს და მზადდება პირობები ახალი ფორმაციისათვის.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება და ფულად რენტაზე გადასვლა კ. მარქსს თავისუფალ გლეხურ საკუთრებაზე გადასვლის წინაპირობად მიაჩნდა, რაც საქართველოს მაგალითზეც დადასტურდა და XVIII ს-იდან იწყება.

ი. ანთელავამ დაადგინა, რომ გლეხთა მცირერიცხოვანი ფენა ფლობდა 10—100 დღიურ და მეტ მიწას, აგრეთვე ვენახს. ნუსხებში 3 აბაზის გადამხდელთა გვერდით დასახელებული არიან 12—13 და 50 თუმნის გადამხდელი გლეხები, რაც მათ ქონებრივ დიფერენციაციას მოასწავებს.

გლეხთა ქონებრივი დიფერენციაცია XVIII—XIX სს მიჯნაზე მაღალ დონეს აღწევს და იწყება კლასობრივი დიფერენციაციის პროცესიც.

ავტორმა, შეიძლება ითქვას, ალგებრული სიზუსტით დაადგინა საქართველოს სოფელში კლასობრივი ბრძოლის ისეთი ფორმების თანაფარდობა, როგორცაა საჩივარი, სახაზინო უწყებისაკენ მისწრაფება, გადასახადზე უარის თქმა, აყრა-გაქცევა, თავისუფლების ძიება, მემამულეთა სახლ-კარის აკლება, მებატონეთა მკვლელობა, აჯანყებები. კლასობრივი ბრძოლის ფორმებისათვის ყველაზე ხშირი აღმოჩნდა გადამეტებული ექსპლოატაციით შეციწრობულ გლეხთა აყრა-გაქცევა, ხოლო ყველაზე მაღალი და ეფექტური ფორმა — გლეხთა აჯანყებები, და მან XVIII ს-ის ბოლოს მასობრივი ხასიათი მიიღო, რაც ფეოდალიზმის კრიზისის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო.

ი. ანთელავამ, პირველმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, გამოავლინა და გაანალიზა 2390 ნასყიდობის სიგელის მონაცემები. ამ დოკუმენტების საფუძველზე, ურთულესი გაანგარიშების გზით, შეადგინა ბევრის მთქმელი ცხრილი,

საიდნაც ჩანს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები და მასში მონაწილე სოციალური ფენების ვინაობა. გაირკვა, რომ XVIII ს-ის პირველ ნახევარში, თითქმის არ შეინიშნებოდა ფეოდალური მიწათმფლობელობიდან უწოდებრიო მიწათმფლობელობაზე გადასვლის ტენდენცია. საუკუნის მეორე ნახევარში კი საგრძნობ ძვრებს აქვს ადგილი, თავადაზნაურობა მეტ მიწას ყიდდა და ნაკლებს ყიდულობდა. გლეხობა კი პირიქით, თანდათან აფართოებდა საკუთარი მიწის ფონდს. დადგინდა, რომ გლეხთა მცირერიცხოვანი ზედაფენის წარმომადგენლები ფლობდნენ 10-დან 100-მდე დღიურ მიწას, აგრეთვე ვენახს. ეს კი ფეოდალური მიწათმფლობელობის დრომოქმულობის ერთ-ერთი ნიშანი იყო.

ი. ანთელავამ, ურთულესი ცხრილების შედგენით, ცხადყო გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება და კლასობრივი დიფერენციაციის დაწყება XVIII—XIX სს მიჯნაზე, რაც ფეოდალური ურთიერთობის წიაღში ახალი ურთიერთობის ელემენტების მოძალეზას მოასწავებდა.

ამრიგად, ი. ანთელავამ თავისი ადრინდელი თვალსაზრისიც გადასინჯა და წყაროების ანალიზის რაოდენობრივი მეთოდის ეფექტურად გამოყენებით დაადგინა ფეოდალიზმის წიაღში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში.

წყაროების ანალიზის რაოდენობრივი მეთოდით ი. ანთელავა ასევე ნაყოფიერად იკვლევდა XIX ს-ის საქართველოს ისტორიას, რაშიც მას უფრო ხელსაყრელი პირობა შეუქმნა სტატისტიკური წყაროების სიუხვემ.

საკმარისია აღინიშნოს, რომ მან კვლევის მათემატიკური მეთოდის გამოყენებით, პირველმა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, დაადგინა სახელმწიფო გლეხთა კატეგორიის ჩამოყალიბება, რაოდენობრივი ზრდა და კონსოლიდაცია მთელი XIX ს-ის სივრცეზე, ასევე ამ კატეგორიის გლეხთა შეფარდებითი რაოდენობა სხვადასხვა კატეგორიის გლეხთა საერთო მასაში და მისი ცვლილებანი XIX ს-ის სხვადასხვა ათწლეულებში. მეცნიერის დასკვნით, სახელმწიფო გლეხები, 1860-იან წლებში საქართველოში (აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის გამოკლებით) გლეხური მოსახლეობის 56,4 %-ს შეადგენდნენ, ხოლო 1880-იან წლებში მათი ხვედრითი წონა შემცირდა 40%-მდე.

რთული გააანგარიშებებით, ფრიად მნიშვნელოვანი ცხრილების შედგენით და მათი მონაცემების მაღალკვალიფიციური ანალიზის წყალობით ი. ანთელავამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა XIX ს-ის რეფორმამდელ საქართველოს სოფელში ფეოდალური ურთიერთობის რღვევისა და კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბების პროცესის გაშუქებაში, ასევე რეფორმის მომდევნო ხანაში ჩვენს სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვებისა და კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების სურათის შემუშავებაში, XIX ს-ის შუახანებში ჩვენში მომხდარი ძირეული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდატეხის შესწავლა-შეფასებაში.

ყოველივე ამით ირაკლი ანთელავას თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის გვიანფეოდალური და ახალი ხანის საქართველოს ისტორიული პროცესის ახალი კონცეფციის შემუშავებასა და დასაბუთებაში.

Г. Н. МАРГИАНИ

КОЛИЧЕСТВЕННЫЙ МЕТОД АНАЛИЗА ИСТОЧНИКОВ
В ТРУДАХ И. Г. АНТЕЛАВА

Резюме

Статья впервые в историографии вопроса освещает количественный метод анализа источников в трудах проф. Ираклия Георгиевича Антелава (1912—1978), посвященных генезису и развитию капитализма в Грузии, истории непосредственных производителей материальных благ, социальных отношений и классовой борьбы во второй половине XVIII—XIX вв.

ელიზბერ ხოზატარია (ბროსა)

შოთა მესხია როგორც წყაროთმცოდნე

შოთა მესხია ქართული ისტორიოგრაფიის ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის სკოლის ღირსეული წარმომადგენელი და ამ სკოლის ტრადიციების გამგრძელებელია როგორც სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში, ასევე პრაქტიკულ სამეცნიერო-ორგანიზაციულ მოღვაწეობაში.

შემთხვევითი არ არის ის, რომ აკად. ს. ჯანაშიამ სწორედ შ. მესხიას გადასცა უნივერსიტეტში თავისი ლექციების კურსი საქართველოს ისტორიაში.

შემთხვევითი არ არის, რომ შ. მესხია წლების განმავლობაში განაგებდა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილებას ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში. მასზე ადრე ამ განყოფილებას თვით ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც 1947 წლიდან, ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ, ინსტიტუტის დირექტორი გახდა.

დაბოლოს, შემთხვევითი არ არის, რომ 1956 წლიდან შ. მესხია ინიშნება უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ, იმ კათედრისა, რომელსაც თავის დროზე განაგებდნენ ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი. შ. მესხია უშუალოდ მათი მემკვიდრე იყო ამ მეტად საპატიო თანამდებობაზე და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მოღვაწეობდა აქ.

ასე რომ, მემკვიდრეობითობა აღნიშნული თვალსაზრისით სავსებით ნათელია და ბუნებრივია — შ. მესხია იყო ჩვენ სახელოვან მეცნიერთა მემკვიდრე საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგშიც.

მცირე მოცულობის ერთ ნაშრომში ძალზე ძნელია შ. მესხიას წყაროთმცოდნეობითი მუშაობის წარმოჩენა ყველა ასპექტში, მით უმეტეს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა რიგის საკითხების კვლევისას მის მიერ წყაროთა გამოყენების დროს ასეთი სამუშაოსათვის თვალის გადავლება, მაგრამ ზოგიერთი მაგალითის მოტანით ჩვენთვის სასურველი და საინტერესო სურათის წარმოდგენა მაინც შესაძლებელი იქნება.

ავიღოთ თუნდაც შ. მესხიას ნაშრომი „საკარგავის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ავტორის მიერ წაკითხული იყო მოხსენებად საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო სესიაზე 1966 წ. ოქტომბერში“.

შ. მესხიას აღნიშნული ნაშრომი სრულიადაც არ ისახავს მიზნად საგანგებო წყაროთმცოდნეობით კვლევას, იგი, როგორც სათაურიდან ჩანს, სახელმწიფო წყობის საკითხებს ეხება და მიწისმფლობელობის ფორმების საფუძვლიან კვლევასაც გულისხმობს, მაგრამ აქვე ტერმინ „საკარგავთან“ დაკავში-

1 შ. მესხია ა. XVI—XVIII სს. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ისტორიიდან („საკარგავის მნიშვნელობისათვის“). — კრებ.: XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968.

რებით წყაროთა ვაგებისა თუ შეფასების თვალსაზრისით ისეთი დებულებებია წამოყენებული, ისეთი დასკვნებია გაკეთებული, რომელნიც მაჩვენებელია მკვლევრის უდიდესი წყაროთმცოდნეობითი აღიარება და ღრმა მეცნიერული აზროვნებისა და ეს მით უფრო აშკარადაა თვალში საცემი, რომ იმავე წყაროებზე, მათი საგანგებო შესწავლის შედეგად, არსებითად განსხვავებული აზრებია გამოთქმული სპეციალურ ლიტერატურაში.

საქმე ეხება ბექა-აღბულას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთმიმართებისა და სანდოობის საკითხს. ამ საკითხებს შ. მესხია ეხება იმდენად, რამდენადაც ტერმინი „საკარგავი“ ბექას სამართლის 45 და 55-ე მუხლებშიც არის მოხსენიებული. მაგრამ საქმე ეს არის, რომ ეს ტერმინი შემონახულია ბექა-აღბულას სამართლის ვახტანგისეულ ნუსხაში (S—3683), ხოლო უფრო ადრინდელ, კერძოდ, 1672 წ. გადაწერილ ნუსხაში — შესაბამის ადგილას ტერმინი „მამულია“ (მუხლი 45).

აღნიშნულმა გარემოებამ შ. მესხია უყოყმანოდ მიიყვანა იმ სწორ დასკვნამდე, რომ „ბექას სამართლის ვახტანგისეულმა რედაქციამ უკეთ შემოგვიანა პირვანდელი ტექსტი, ვიდრე 1672 წ. ხელნაწერმა“.

შ. მესხიას ეს სწორი დაკვირვება მისი შემდეგი ლოგიკური მსჯელობიდან გამომდინარეობს: „საკარგავი“, „მოსაკარგავე“ და „სასაკარგაო“ გვხვდება ბექას სამართლის მხოლოდ ვახტანგისეულ რედაქციაში. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს — „ჩვენ აქ ზედმეტად მიგვაჩნია მტკიცება იმისა, რომ ეს ტერმინები არ შეიძლება ბექას სამართლის ამ ნუსხაში სწავლული მეფერედაქტორის მიერ თვითნებურად შემოტანილად მივიჩნიოთ; ამ ტერმინების შემონახვა ბექას სამართლის ვახტანგისეულ რედაქციაში შემდეგზე უნდა მიგვითითებდეს: ა) ბექას სამართლის თავდაპირველ ნუსხაში (XIII ს. მიწურულსა და მის ახლო დროს) ეს ტერმინები უდავოდ იყო, ბ) მაგრამ გვიანდელ გადაწერებს, მათ შორის 1672 წ. ხელნაწერის გადაწერსაც, ამ ტერმინების შენარჩუნება შეუცვლელად, ან კიდევ, საერთოდაც საჭიროდ არ მიუჩნევიათ, და გ) რაც მთავარია, ბექას სამართლის ვახტანგისეული ნუსხა, უკეთ, კრებულ-ი-ხელნაწერი S—3683 უფრო ძველი ნუსხიდან მომდინარეობს, ვიდრე 1672 წლისა. ამას გვიდასტურებს ბექას სამართლის ვახტანგისეულ ნუსხაში ისეთი ძველი ტერმინების შემონახვა, როგორცაა „საკარგავი“, „მოსაკარგავე“, „სასაკარგაო“, „პატრონი“ და სხვა“.

შ. მესხიას ახსნილი აქვს ისიც, თუ რატომ მოხდა, რომ 1672 წ. ნუსხაში ტერმინი „საკარგავი“ „მამულითაა“ შეცვლილი. იგი წერს: „როგორც ჩანს, ბექას სამართლის 1672 წ. გადაწერისა თუ რედაქტორისათვის უკვე გაუგებარა ტერმინმა „საკარგავმა“ მის ხელში „მამულის“ სახე მიიღო და ბექას სამართლის ეს ადგილიც თანამედროვეთათვის უფრო გასაგები გახდა“.

ერთი სიტყვით, არსებითად მართო ერთ ტერმინზე დაკვირვებამ შ. მესხია იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ვახტანგისეული ნუსხა ბექას სამართლისა უფრო ძველ და სანდო რედაქციაზეა დამყარებული, ვიდრე გაცილებით ადრე გადაწერილი, თანაც ნუსხა-ხუცურით შესრულებული ნუსხა.

უნდა ითქვას, რომ შემდგომმა მუშაობამ ბექა-აღბულას სამართლის დასახელებულ ნუსხებზე, მათმა შედარებამ არა მხოლოდ ერთი რომელიმე ტერმინის გამოყენების თვალსაზრისით, არამედ ყველა ძირითადი ტერმინების შეჯერების, ძველის მუხლობრივი შედგენილობის ანალიზის, მათი სისრულე-ნაკლოვანებისა და სხვა ამგვარი საკითხების თვალსაზრისითაც, საყვებით და-

ადასტურა შ. მესხიას მიერ ერთი ტერმინის საფუძველზე გამოთქმული, ჩვენი მეცნიერებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დაკვირვება².

ვიმეორებ, ეს მკვლევარის უდიდესი წყაროთმცოდნეობითი ალღოს და კვლევის სწორი მეთოდისა და ხერხების მაჩვენებელია.

საქართველოს საისტორიო წყაროებზე დაკვირვებისა და საკუთარი შეხედულების შემუშავების მხრივ საინტერესოა შ. მესხიას თვალსაზრისი „ხელმწიფის კარის გარიგების“ შედგენის დროის შესახებაც. მართალია, ეს საკითხიც მკვლევარს საგანგებოდ არ გაუხდია თავისი შესწავლის საგნად (როგორც ამას თვითონვე აღნიშნავს), მაგრამ ზოგიერთი დაკვირვების საფუძველზე იგი შენიშნავდა, რომ ამ ძეგლის დათარიღებაზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში უყოყმანოდ გაზიარებული აზრი — მისი გამოცხადება XIV ს. პირველი ნახევრის ძეგლად, გადასინჯვას საჭიროებს. მკვლევარი ამოღის შემდეგი მოსაზრებებიდან: ა) „კარის გარიგების“ მიხედვით, მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელი ჯერ კიდევ ერთ-ერთი უპირველესი ხელისუფალია, მაშინ, როცა XIV ს. პირველი ნახევრისათვის ეს სახელო, როგორც ირკვევა, საერთოდ არა არსებობდა. მკვლევარი მიუთითებს იმაზე, რომ უამთაღმწერელთან ბასილ უჯარმელ-ჰყონდიდელის შემდეგ, მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელი, როგორც ხელი-სუფალი, აღარ იხსენიება. ეტყობა ბასილი ამ თანამდებობის უკანასკნელი მფლობელი იყო. როგორც ჩანს, — ასკვნის მეცნიერი, — XIII ს. 70-იან წლებიდან ათაბაგობამ საბოლოოდ გააქრო მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელის სახელო. ბ) „კარის გარიგებაში“ ათაბაგობა ახლად შემოღებულ სახელოდ ჩანს, ის კი XII ს. დამდეგს იყო შემოღებული (და XIV ს-ში ასეთად ვერ აღიქვებოდა). გ) „კარის გარიგებით“ მანდატურთუხუცესობა, ამირსპასალარობასთან ერთად „უფრო შანშეთ სახლისა არის...“, მაშინ როცა ეს თანამდებობა უკვე XIII ს. მიწურულიდან „შანშეთ სახლისა“ კი აღარ იყო, არამედ ჯაყელების სახლისა.

მკვლევარი ასკვნის: „მარტო ზემოთ მოტანილი გარემოებანიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, იმაზე მიგვიითითებს, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ მაშინ უნდა იყოს შედგენილი, როცა ჯერ კიდევ არსებობდა მწიგნობართუხუცესი-ჰყონდიდელის სახელო, როცა ათაბაგობა არც ისე დიდი ხნის დაწესებული იყო და როცა მანდატურთუხუცესობა ჯერ კიდევ „შანშეთ სახლს“ ეკუთვნოდა, ე. ი. XIII ს. მეორე ნახევარში და არა XIV ს. პირველ ნახევარში“.

მკვლევრის ეს თვალსაზრისი საფუძველიანი და მეტად ანგარიშგასაწევია მომავალში ძეგლის სპეციალური კვლევისას.

შ. მესხიას, გარდა ცალკეული წყაროთმცოდნეობითი დაკვირვებებისა, რომელნიც გამოთქმული აქვს საერთოდ ისტორიული პრობლემების კვლევისას და მათთან დაკავშირებით, ეკუთვნის წყაროთა პუბლიკაციაც, იგულისხმება დოკუმენტთა კრებულიც თუ ცალკე ძეგლის შესწავლა-გამოქვეყნება.

1948 წ. შ. მესხია აქვეყნებს საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის უმთავრესად ძველი საბუთების და სხვა ფონდებიდან ამოკრებილ დოკუმენტებს თემაზე — „მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო

2 იხ. ე. ხოშტარია (ბროსე). ბექასა და აღბულას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნუსხების ურთიერთმიმართებისა და ზოგიერთი მუხლის განმარტებისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, 1985, № 4, გვ. 98—112.

3 იხ. შ. მესხია. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობილება XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 71. იხ. აგრეთვე: ი. ანთელავა. „ხელმწიფის კარის გარიგების“ დათარიღებისა და ავტორის შესახებ. — მაცნე, ისტორიის სერია, 1982, № 4.

წყობის ისტორიისათვის⁴. გამოცემას ახლავს შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები. სულ კრებულში შესულია 160 საბუთი, XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. დასაწყისისა.

გამომცემელი აღნიშნავს, რომ აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანი მასალა მანამდე გამოუყენებელი და გამოუქვეყნებელი იყო და განმარტავს კიდევ ამის მიზეზს. საქმე ის არის, რომ საქართველოს ცენტრარქივის მე-8 ფონდის (შემდგომ მე-2 ფონდად გადანომრილი) — „Канцелярия главного управления Закавказским Краем“—№ 49 საქმე—„Разного рода просьбы, жалобы от грузинских князей и частных лиц“—შიცავდა, მცირე გამონაკლისის გარდა, ქართლ-კახეთის ყოფილ მოხელეთა პ. ციციანოვისადმი წარდგენილ მოხსენებებს ქართველ მეფეთა დროს მათ მიერ ნაქონებ თანამდებობათა და სარგოს შესახებ. ეს იყო როგორც არზა-მოხსენებათა დედნები და სიგელთა პირები, ასევე მოხსენებათა რუსული პირები და მომხსენებელთა მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტების თარგმანები. მაგრამ ადრე ამ საქმიდან ქართულად დაწერილი მთელი მასალა, უმნიშვნელო გამოკლებით, ამოუღიათ და ძველი საბუთების ფონდში (226) აღურიცხავთ, ამ ფონდის კატალოგში კი ეს მოხსენებები ისე იყო შეტანილი, რომ № 49 საქმის გარეშე ისინი მკვლევართა ყურადღებას ძნელად მიიქცევდნენ. № 49 საქმეში დარჩა მხოლოდ ამ მოხსენებათა და დოკუმენტთა რუსული თარგმანები.

შ. მესხიამ შენიშნა ეს შეუსაბამობა და 226-ე ფონდიდან ამოკრიფა ქართლ-კახეთის სამეფოს მოხელეთა ყველა ის მოხსენება, ქართულად რომ იყო დაწერილი, და გამოსცა კიდევ.

ვფიქრობთ, ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს პუბლიკაციის მნიშვნელობა XVIII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის.

ამავე პუბლიკაციის შესავალში შ. მესხიას, არქივის სათანადო ფონდების წარმოქმნისა თუ საბუთთა მოძრაობის განხილვისა და ტექსტობრივი შენიშვნების გარდა, მოცემული აქვს საქმიად ვრცელი მიმოხილვა მის მიერ გამოქვეყნებული მასალისა, როგორც საისტორიო წყაროსი. მართალია, ავტორი წერს, რომ მის მიზანს არ შეადგენს გამოქვეყნებულ მასალათა მიხედვით XVIII ს. მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წესწყობილების შესწავლა, მაგრამ მისი მიმოხილვა, მცირე ზომის მიუხედავად, თითქმის ამომწურავად აშუქებს დასმულ პრობლემას, ძირითად ხაზებში. ასე რომ, შემდგომ მკვლევარს მის მიერ მიღებული დასკვნების თუ დაკვირვებების შესება და შემავრება ხვდება წილად.

შ. მესხია როგორც წყაროთმცოდნე-ტექსტოლოგი მთელი სიცხადით წარმოგიდგება მის მიერ განხორციელებული ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის პუბლიკაციაში, როგორცაა XV ს-ის ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე — „ძეგლი ერისთავთა“⁵.

პუბლიკაციას ავტორის მოკლე წინასიტყვაობა აქვს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ამ გამოცემის მნიშვნელობას. კერძოდ, შ. მესხია აღნიშნავს:

„ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანეს, როგორც მნიშვნელოვან წყაროს, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

⁴ მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. — მსკი, ნაკვ. 26. თბ., 1943.

⁵ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ. — მსკი, 30. თბ., 1954, გვ. 305—374.

აკად. ს. ჯანაშიას სიტყვით, „ამ შესანიშნავი ძეგლის, როგორც სოციალური ისტორიის დოკუმენტის, მნიშვნელობა სცილდება საქართველოს ფარგლებს“. ძეგლის განსაკუთრებული მნიშვნელობა მის ხელმეორედ გამოცემას აუცილებელს ხდიდა. ჯერ კიდევ 1916 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „სასურველია, თუ დედანი არ აღმოჩნდება, ამ თხზულების მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადაწერილი პირი მანუც მოიძებნოს და ეს „ძეგლი“ ხელმეორედ შესაფერისად გამოიცეს“.

აკად. ს. ჯანაშიამ, „ძეგლი ერისთავთას“ მაშინ ცნობილი ხელნაწერების მიხედვით, მისი ტექსტის კრიტიკული გამოცემისათვის სათანადო მუშაობაც ჩაატარა, მაგრამ სახელოვანი მეცნიერის უდროოდ გარდაცვალების გამო „ძეგლი ერისთავთას“ გამოცემის საქმე განუხორციელებელი დარჩა.

1949 წ. ლენინგრადს ჩემი სამეცნიერო მივლინების დროს, აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მ. ბროსეს ყოფილ პრეზიუმში, „ძეგლი ერისთავთას“ დედანი აღმოჩნდა; დედნის მოპოვებამ გააადვილა და კიდევ უფრო აუცილებელი გახადა წინამდებარე გამოცემის განხორციელება“ (გვ. 307).

როგორც ვხედავთ, შოთა მესხიამ ღირსეულად შეასრულა ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას სურვილი და განზრახვა დასახელებული ძეგლის ჯეროვნად გამოცემის შესახებ და განახორციელა ეს მის მიერვე მიკვლეული დედნის საფუძველზე, რაც თავისთავად დიდი დამსახურებაა.

პუბლიკაციის დეტალური განხილვა აქ შორს წავგიყვანდა, მაგრამ შ. მესხიას მიერ ჩატარებული წყაროთმცოდნეობით-ტექსტოლოგიური მუშაობის სურათს შექმნის თუნდაც პუბლიკაციის გეგმის განხილვა. ტექსტისათვის წამოღვარებული გამოკვლევა შემდეგი გეგმითაა განხორციელებული: I. „ძეგლი ერისთავთას“ დედანი და მისი დაწერის დრო, II. ავტორის ვინაობის საკითხისათვის, III. „ძეგლი ერისთავთას“ ხელნაწერები და გამოცემები, IV. ხელნაწერის აღწერა: 1) ხელნაწერის აწინდელი მდგომარეობა, 2) „ძეგლი ერისთავთას“ დამწერლობა, V. ტექსტის კრიტიკა: 1) შეცდომები, 2) ორთოგრაფიული სხვაობანი, 3) ფონეტიკური თავისებურებანი, 4) მორფოლოგიური თავისებურებანი, VI. შენიშვნები ახალი გამოცემისათვის: 1) დედანში შეტანილი ცვლილებები, 2) დაქარაგმებული სიტყვების გახსნა, 3) დაქარაგმებული სიტყვების სია, 4) თ. ჟორდანიათა მიერ გამოცემული ტექსტების შესახებ, 5) გამოცემაში ხმარებული ნიშნები. ცალკე უნდა აღინიშნოს გამოცემისათვის დართული ლექსიკონი, სადაც განმარტებულია ტექსტში ნახმარი თითქმის ყველა არსებითი მნიშვნელობის ტერმინი.

ცხადია, იმის თქმა არ შეიძლება, რომ შემდგომი საგანგებო წყაროთმცოდნეობითი კვლევის შედეგად შ. მესხიას დაკვირვებებში არაფერი დაზუსტდება, განსაკუთრებით ძეგლის, როგორც საისტორიო წყაროს კვლევის თვალსაზრისით, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ძეგლის პუბლიკაცია, დაფუძნებული მის ღრმა და სკრუპულოზურ ტექსტოლოგიურ და წყაროთმცოდნეობით ანალიზზე, სათანადო სამეცნიერო აპარატიურთ, წარმოადგენს საისტორიო წყაროს შესწავლისა და გამოცემის ნიმუშს თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად.

ეს არის რამდენიმე ნიმუში შ. მესხიას როგორც წყაროთმცოდნის სახის წარმოსადგენად. მოტანილი ფაქტებიც ნათლად მოწმობენ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მან საქართველოს ისტორიის წყაროების კვლევის საქმეში.

Э. В. ХОШТАРИЯ (БРОССЕ)

Ш. А. МЕСХИА КАК ИСТОЧНИКОВЕД

Резюме

В статье показан вклад одного из видных представителей грузинской советской историографии — члена-корреспондента АН ГССР, проф. Шота Амбаковича Месхиа (1916—1972) в изучение и публикацию источников истории Грузии. Рассмотрены как отдельные наблюдения источниковедческого характера, высказанные автором при исследовании вопросов истории средневековой Грузии, так и осуществленные им публикации источников: «Материалы для истории чиновничьего строя Картли-Кахетского царства» и «Памятник эриставов» (Родовая хроника XV в. ксанских эриставов). Обе публикации снабжены исследованием и научным аппаратом и выполнены соответственно с современными требованиями науки.

ბერძნული ბრაფიტომების ახალი პუბლიკაცია

წლების მანძილზე მიმდინარეობს ქერსონესის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გრაფიტომების შესწავლა და გამოცემა. ამ საქმეში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ცნობილ საბჭოთა მეცლევარს ე. სოლომონიკს, რომელიც რამდენიმე ათეული წელია წარმატებით სწავლობს ბერძნულ წარწერებს. ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა მისი ახალი წიგნი, რომელშიც შევიდა არა მარტო ქ. ქერსონესის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალები, არამედ მთლიანად ქერსონესის ხორის, ჰერაკლიდეს ნახევარკუნძულისა და ყირიმის ჩრდ. დასავლეთი ქალაქების, გამაგრებული ციხესიმაგრეების ტერიტორიაზე მოპოვებული გრაფიტომები¹.

წიგნში მასალა განაწილებულია გეოგრაფიული პრინციპით, დაწყებული ქერსონესის მიდამოებით და დამთავრებული ყირიმის დას. სანაპირო ზოლით. ავტორს შემუშავებული აქვს საინტერესო კლასიფიკაცია, რასაც საფუძველად უდევს მასალის ხარისხი და ჭურჭლის ფორმები. მოცემულია გრაფიტო შესრულებული შავლაკიან, წითელლაკიან და ულაკო კერამიკაზე, შემდეგ კი გრაფიტომები ამფორებსა და პითოსებზე.

წიგნი იწყება ქერსონესის ხორის ტერიტორიაზე მოპოვებული ლაპიდარული წარწერების განხილვით. აღწერილია 7 წარწერა, რომელთაგან 4 ელინისტურ პერიოდს მიეკუთვნება, ხოლო 3 ახ. წელთაღრიცხვის I საუკუნეებისაა. ამ ტერიტორიაზე ასეთი ძეგლები მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, ამიტომ გრაფიტომებს, ამ ხორის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორც საკუთრივ ისტორიის, ასევე ეკონომიკის, კულტისმსახურების, ზომა-წონის, თუ ენის დიალექტური სახეცვლილებების შესწავლისათვის.

ავტორი საგანგებოდ სწავლობს ტერმინ „ხორას“, რაც ქერსონესში მოპოვებულ ლაპიდარულ წარწერებში ხშირად არის ნახმარი. ერთ წარწერაში სკვითებისაგან ხორის ტერიტორიის დაცვაზეა საუბარი, მეორეში ხორასა და გამაგრებული ნაწილის დაცვაა მოხსენიებული. გამაგრებული ნაწილის აღსანიშნავად ნახმარია სიტყვა TEIXE რაც მოხსენიებულია ჯერ კიდევ უძველეს ავტორებთან, მაგალითად პოლიბიოსთან ვხვდებით. TEIXOS ΔΥΝΙΑΙΩΝ ციხესიმაგრე, რომელიც ძველი საბერძნეთის აქაიაში უნდა ყოფილიყო. კლაუდიოს პტოლემეაიოსი აღწერს კავკასიის შავიზღვისპირეთის სანაპიროზე არსებულ ციხესიმაგრეს და მას ΚΑΡΤΕΡΟΝ ΤΕΙΧΟΣ უწოდებს (ვარაუდით იგი პიტიუნტის ადგილას უნდა ყოფილიყო).

როგორც აღვნიშნეთ, წარწერებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქერსონესის ხორას დაცვას, რადგან ის ყოველთვის პირველი განიცდის მტრის შე-

¹ Э. И. Соломоник. Граффити с хоры Херсонеса. Киев, 1984.

მოსევას და, როგორც ცნობილია, საზოგადოდ ხორის ტერიტორიის კეთილდღეობაზე და მოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. ავტორი აღნიშნავს, რომ ქერსონესსა და ჩრდ. — დასავლეთ ყირიმში აღმოჩენილი წარწერები არ იძლევიან მეტ ცნობებს ამ ტერმინის უკეთესად გაგებისათვის. ჯერჯერობით არ არის ბოლომდე შესწავლილი ქერსონესის ხორის ფუნქციები, მისი სტრუქტურა და სტატუსი. მის მნიშვნელობასა და ფუნქციებზე მსჯელობა ანტიკური სამყაროს სხვა რეგიონების მიხედვით უნდა მოხერხდეს. განსახილველი წიგნის ძირითადი მიზანია ქერსონესის ტერიტორიაზე მოპოვებული გრაფიტოების შესწავლა.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქერსონესის ხორაზე აღმოჩენილ ღმერთებისადმი მიძღვნილ წარწერებს, აზუსტებს მათ სახელებსა და ადგილს საქალაქო ცხოვრებაში.

ქერსონესის განათხარ მასალაში, ძალიან ხშირია ორასოიანი აბრევიაციები. ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია ასოთა შემდეგი წყვილები: AP, AI, AH, MA, NI, მაშინ, როდესაც ასოთა სხვა კომბინაციები თითქმის არ მეორდება. ე. სოლომონიკის აზრით, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თითოეულ ასოთა ჯგუფები კონკრეტულად რაღაცის აღმნიშვნელი იყო და ყველამ იცოდა მათი მნიშვნელობა.

ევატორიაში ნაპოვნ 5 ჭურჭელზე ამოკარული იყო ერთი და იგივე ΠΑΡ მოსოგრამა — როგორც ჩანს, ქალწული ღმერთქალის სახელი. ავტორის თქმით, ეს კულტი ქერსონესიდან შეიჭრა ჩრდ.-დასავლეთ ყირიმში, და იქ არსებობა განაგრძო არტემიდეს კულტთან ერთად. ამის დამადასტურებლად მას მოჰყავს ძვ. წ. აღ. IV და III სს. მონეტების ორი ტიპი კერკენტიდიდან, რომელზედაც გამოსახულია ქალწული არტემიდე (რევერსებზე ირემი და მხედარი).

ქერსონესის ხორაზე ხშირად ხსენებულ ღმერთების სახელებს შორის ძირითადი ადგილი უჭირავთ ზევსს, აპოლონს, დიონისეს, ასკლეპიოსს, პოსეიდონს, ნიკეს, ე. ი. ღმერთების თითქმის მთელ პანთეონს. მათ რიცხვში არ შედის ქალღმერთი აფროდიტე, რომლის სახელის შემცველი გრაფიტოები აღმოჩენილია მხოლოდ ქ. ქერსონესის ტერიტორიაზე, და იმის იქით მისი გავრცელების ფაქტი კი ჯერჯერობით არ მოიპოვება.

ისტორიაში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით შავლაკიანი ჭურჭელი გრაფიტოთი AI (ანუ ΔΙΟΣ ნათ. ბრ.), რაც მიუთითებს იქ ზევსის კულტის არსებობაზე.

შესაბამისად, ქერსონესის ჭურჭელზე დაცული AI შეიძლება ასევე ზევსს აღნიშნავდეს.

ქერსონესის გრაფიტოთა შორის დაცული ΣΑ უნდა იყოს ΙΕΡΑΣΑΒΑΖΙΟΥ, რაც ქერსონესში საბასიას კულტის არსებობაზე მიუთითებს. საერთოდ, საბასია ფრიგიულ-თრაკიული წარმოშობის ღმერთია, რომელიც მხსნელს, უფალს ნიშნავს. საბერძნეთში საბასიას კულტი დიონისეს კულტს შეერწყა და შემდგომში მასთან გაიგივებულ იქნა. მცირე აზიაში იგი არტემიდეს კულტს უახლოვდებოდა. საბასიას კულტმა მხოლოდ ძვ. წ. აღ. V ს-ში შეაღწია საბერძნეთში და იქ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა. დღესასწაულების, მისტერიების დროს საბასიას გამოსახავდნენ გველით ხელში.

ე. სოლომონიკს აღნიშნული აქვს, რომ მის მიერ ჩამოთვლილი ყველა გრაფიტო ღმერთების აღმნიშვნელი იყო, მაგრამ რაოდენობრივად მათ არ ჩამოუვარდება გვირების სახელების აღმნიშვნელი გრაფიტოები. ქერსონესში

იგანსაკუთრებით გავრცელებულია გრაფიტო HP, რომელიც ჰერაკლეს აღმნიშვნელია.

პოლისების აყვავების ხანაში საბერძნეთში გმირების კულტმა უდიდესი აღიარება ჰპოვა. ბერძნებმა თითქოს დაივიწყეს ოლიმპიელი ღმერთები და თავიანთ ყოველგვარ საქმეს აყენებდნენ გმირების მფარველობის ქვეშ. როგორც ცნობილია, თითქმის ყველა გმირი ამა თუ იმ მხარის თუ ქვეყნის მფარველად იყო აღიარებული. მაგალითად, სპარტის მფარველები დიოსკურები იყვნენ, ატიკის — თეზევსი, ოლბიის — აქილეესი და სხვ.

ქერსონესში ჰერაკლეს ხშირად, ისევე როგორც ზევსს, უწოდებდნენ *σάτυρ*-ს, რაც მხსნელს, დამცველს ნიშნავს. ამის დამამტკიცებლად ავტორს, ორი გრაფიტო მოჰყავს², რომლებიც მოთავსებულია ორ კანთაროსზე. წარწერის წინა ასოები დაზიანებულია, მაგრამ მათი შინაარსი გასაგებია — „...კანთაროსი ეკუთვნის ზევსსა და ჰერაკლე სოტერს“.

შესაძლებელია ჰერაკლეს კულტთანვე იყოს დაკავშირებული გრაფიტოები **ΣΩΤΗ** და **ΣΩ** ნაპოვნი ქერსონესსა და ჩრდ.-დასავლეთ ყირიმში. ასევე აღსანიშნავია შავლაკიანი ლანგარი ორი გრაფიტოთი **HP** და **ΣΩ**, რომელშიც **ΣΩ** შეიძლება აღნიშნავდეს ჰერაკლეს ზედწოდებას (ამავე აზრისა იყო ე. შტერნი).

თანდათანობით ჰერაკლეს კულტი იმდენად გაიზარდა და გაძლიერდა, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა სხვადასხვა ღმერთების კულტს. ჰერაკლემ შეიძინა გმირი ღმერთის სახელი. ასე იყო საბერძნეთსა და მცირე აზიაში. მეცნიერებისათვის ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ იყო წარმოდგენილი იგი ქერსონესში და საერთოდ ჩრდ.-დასავლეთ ყირიმში.

წიგნში გადმოცემულია პეროდოტესთან მოხსენიებული, ჰერაკლესა და გველფება ღმერთქალის შეხვედრა, რომლისგანაც, მითის თანახმად, ჰერაკლეს 3 შვილი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი, ლეგენდით, სკვითების გვარის დამაარსებელი ყოფილა. დღეს არსებობს ვარაუდი, რომ ეს ლეგენდა ბერძნების მიერ გადაკეთებული სკვითური გადმოცემაა. მათ სკვითი გმირი ჰერაკლეთი შეცვალეს და ამით თავისი უფლებების დაკანონება მოახდინეს ჩრდილო შავზღვისპირეთის ტერიტორიაზე.

მართალია, ჰერაკლეს კულტი ძლიერი იყო, მაგრამ ქერსონესში იგი თანაარსებობდა სხვა გმირების, კერძოდ, დიოსკურიებისა და აქილეესის კულტთან ერთად.

ამის შემდეგ წიგნში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის სახელების შემცველ გრაფიტოებზე. სულ რამდენიმე წლის წინ ამ სახელთა რაოდენობა საოცრად მცირე იყო. მხოლოდ ბოლო ხანებში აღმოჩენილმა ლაპიდარულმა წარწერებმა და გრაფიტოებმა შეავსეს მათი რიცხვი. ძირითადად ამ ტერიტორიაზე გვხვდება ბერძნული სახელები, ისეთები როგორიცაა ამფიონი (*Ἀμφίων*), პერაკლიდე (*Περakλίδης*), პეროდოტე (*Περόδοτος*), დელფოსი (*Δελφός*), დიოდოტე (*Διοδώρος*) და სხვ. ახალმა აღმოჩენებმა მოგვცეს ახალი სახელები, ისეთები როგორიცაა მაგ., ამბატია, რომელიც, წიგნის ავტორის თქმით ლექსიკონებში არ იქნებოდა.

² Э. Соломоник. Некоторые группы граффити из античного Херсонеса, № 1714 и № 1715.

ქერსონესში აღმოჩენილ ორ გრაფიტოზე მოცემულია არაბერძნული სახელებიც. ესენია: ძვ. წ. III ს. დოქზე **ΣΑΣ** (№ 132) და რამდენიმე სახელი ძვ. წ. II ს. სინოპურ ამფორაზე (№ 456)

სპეციალისტების აზრით, სახელი **ΣΑΣΟΣ** ირანული წარმოშობის არის. ადრე ასეთ სახელებს სკვითებსა და სხვა ირანული ენების მატარებელ ტომებს მიაწერდნენ, მაგრამ რობერისა და ზგუსტას ნაშრომის შემდეგ³, ცნობილი გახდა, რომ ბევრი ირანული სახელი შემოვიდა ჯერ მცირე აზიაში, იქიდან კი ბერძნებმა შეიტანეს ყირიმში, ასეთივე გზა განვლო ალბათ ზემოთ მოხსენიებულმა სახელმაც. (ასეთია ე. სოლომონიკის აზრი ამ საკითხის შესახებ, ერთია უდავო, რომ სახელი სპეციალისტებს ირანული ეტიმოლოგიისად მიაჩნიათ).

ამფორაზე ამოკაწრული ყველა სახელი მცირეაზიურია. იქ მოხსენიებული სახელი **ΜΑΙΔΑΤ** ირანულია. ეს სახელი გვხვდება სინოპურ ამფორაზეც. ე. სოლომონიკი მას ადგილობრივ მოსახლის სახელად თვლის. ის მიდის დასკვნამდე, რომ ვინაიდან ქერსონესს მტკიცე ურთიერთობა ჰქონდა მცირე აზიის ქვეყნებთან, შავიზღვისპირეთიდან ყირიმში შემოდისა და არა მარტო ბერძნები, არამედ მცირე აზიელებიც, რომელთაც ხშირად ბერძნული სახელები ერქვათ. ყირიმის მოსახლეობის არაერთგვაროვნებაზე მიუთითებს, სახელთა გარდა, სამხრეთ ყირიმში დაკრძალვის სხვადასხვა წესები.

აღნიშნულია, რომ ცალკეული ასოებისაგან, ციფრობრივი აღნიშვნებისა და აბრევიაციებისაგან შემდგარი გრაფიტოები პითოსებსა და ამფორებზე, უფრო დიდი რაოდენობით მოიპოვება ქერსონესის ზორაზე, ვიდრე თვით ქერსონესში, რაც ასევე ზორის ტერიტორიის სამეურნეო დანიშნულების დამადასტურებელი ფაქტია.

ამფორებზე მრავლადაა ერთასოიანი გრაფიტო E, რომელიც იმიფრება როგორც **ΕΛΑΙΟΝ** — ზეთუნის ზეთი. ამფორის კედლებზე გვხვდება აგრეთვე ასოები: Γ, ΓΛ ან ΓΛΥ (305—302), რაც **ΓΛΥΚΥΣ** — ტკბილ ღვინოს უნდა ნიშნავდეს, გვხვდება ასო K (174, 283, 337), რაც ქერის (**ΚΡΙΘΗ**), ლულის (**ΚΡΙΘΙΝΟΣ**), ან (**ΚΙΡΡΟΣ**) თეთრი ღვინის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ასევე გრაფიტო ΠΑ (439), რომელიც შეიძლება ქიშიშის ღვინოს (**ΠΑΣΣΟΣ**) ან (**ΠΑΛΛΙΟΣ**) ძველ ღვინოს ნიშნავს.

ავტორისათვის ჯერჯერობით უცნობია გრაფიტო A-ს მნიშვნელობა (109, 141, 172, 296—299). შეიძლება იგი **ΑΜΠΕΛΙΝΟΣ** ყურძნის ღვინის აღმნიშვნელი იყოს, თუმცა მ. ლენგს გამოთქმული აქვს აზრი, რომლის მიხედვით ასოები A, Γ, Δ, საქონლის ხარისხს აღნიშნავდა⁴.

ამფორებზე ამოჭრილი გრაფიტოები HP და AP შეიძლება მივაკუთვნოთ ამფორების პატრონთა სახელებს.

ძვ. წ. აღ. II ს. ამფორის ფრაგმენტზე (№ 301) შემონახულია მთლიანი სიტყვა **ΑΜΦΟΡΙΟΝ** (პატარა ამფორა). როგორც ჩანს, მის გვერდით ამოკაწრული იყო ამფორის მფლობელის სახელი, ან შესაძლოა იგი საზომი ერთეული ყოფილიყო.

ერთ-ერთი ჭურჭლის კედელზე (436) სახელის გვერდით ამოკაწრულია სიტყვა **ΝΑΥΤΙΚ[Ο]Ν**—ფლოტი, მეორეზე (348) **ΝΑΥΤΑΙ** მეზღვაურები.

³ L. Robert. Noms indigenes dans l'Asie Mineure. Paris, 1963; L. Z g u s t a. Kleinas. Personennamen...

⁴ M. L a n g. Graffiti and Dipinti in the Athenian Agora, v. XXI. Prinстон, 1976.

ასეთი ტექსტი ამფორისთვის დამახასიათებელი არ არის. ვარაუდით, ეს ამფორები ღვინით, ზეთით თუ სხვა რაღაცით, შეწირული იყო პოსეიდონის, აქილევსის თუ სხვა ღმერთისათვის. მეზღვაურის მიერვეა ამოკაწრული ერთ-ერთ ამფორაზე ლუზა (438).

მეზღვაურთა ჩვეულება, ღმერთებისადმი შეწირულობათა გაკეთება, აფიქრებინებს ავტორს, რომ მონოგრამა ΠΑΡ (349), აგრეთვე წარწერა, [ΔΗΜ] ΗΤΡΙ (359), ΗΡ და სხვა აბრევიაციები ზოგ ამფორაზე ღმერთების შემოკლებულ სახელებს წარმოადგენენ. ასეთ შემთხვევაში მათი ზუსტი დადგენისათვის საჭიროა, რომ ისინი აღმოჩენილ იქნენ სატაძრო კომპლექსში.

ქერსონესის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არის მოპოვებული რიცხვითი მნიშვნელობის მქონე გრაფიტოები, საინტერესო მაგიური ნახატები, რომლებიც ამ რეგიონში ლაბირინთის მოტივით იყვნენ დამზადებული.

ე. სოლომონიკი ქერსონესის გრაფიტოების ენის საკითხსაც იკვლევს. მისი აზრით, მიღწეულ მასალაში შეიმჩნევა დორიული დიალექტის ფორმები. უფრო ადრეული მასალების უქონლობა, აძნელებს იმ საკითხის საბოლოო გადაწყვეტას, თუ სადაური წარმოშობის იყო კერკენიტიდა, იონიური თუ დორიული, ზოგი მეცნიერი (მაგალითად, ა. ტიუმენევი, ა. შჩეგლოვი) ფიქრობს, რომ თავდაპირველად იგი წარმოიქმნა როგორც იონიური კოლონია. ე. მინზი და ო. დაშევსკაია მის დამაარსებლად პონტოს ჰერაკლეს მიიჩნევენ, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დორიული წარმოშობისა იყო. ე. სოლომონიკი აღნიშნავს, იმის გათვალისწინების აუცილებლობას, რომ თვით ჰერაკლიაში არსებობდა არა მარტო დორიული, არამედ IV—III სს. მილეთური (იონიური) დასახლებებიც.

ავტორს ყურადღება გამახვილებული აქვს აგრეთვე ასოთა მოხაზულობაზე ელინისტურ პერიოდში, კერძოდ, ასო როს, ალფას, ომეგას, ეფსილონის არქაულ ფორმებზე. განსაკუთრებით კი ძვ. წ. IV ს-ში გავრცელებულ სიგმაზე (лунарная сигма). იგი, ავტორის აზრით, მომდინარეობს კალენდარული ნიშნიდან, რომელიც აღნიშნავდა მთვარის ფაზას და დიდი გავლენა მოახდინა ასო მიუს, ეფსილონისა და ომეგას ფორმაზე. იონიურ და ატიკურ ანბანში, ძვ. წ. V—IV ს-ში მან შეძლო ახალი სახის დამწერლობის ჩამოყალიბება. ქერსონესსა და მისი ხორის კერამიკულ წარწერებში ასეთი ფორმები უფრო ადრე შეიმჩნევა, ვიდრე ლაბიდარულ წარწერებში.

წიგნი ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა. მასში მოცემულია გრაფიტოების გაშიფვრა, მაგრამ სადაც ეს არ ხერხდება, იქ მაინც არის გაუშიფრავი გრაფიტოები თავმოყრილი და მსჯელობაა მათ შესახებ. საინტერესოა გრაფიტოების აღწერისა და მათი გადმოცემის მეთოდი. ე. ი. სოლომონიკი სხვა მეცნიერებისაგან განსხვავებით, იძლევა სრულ მონაცემებს ამა თუ იმ გრაფიტოს შესახებ, ანუ, ახდენს მის პასპორტიზაციას: ასახელებს აღმოჩენის ადგილს, დროს, აღმომჩენის ვინაობას, ფენას, თარიღს და შემდეგ მოაქვს მისი აღწერილობა ფოტოსურათით ან ჩანახაზით.

აი რამდენიმე მაგალითი:

71. ინვ. № 74/36574. ტაბ. 4. 1962 წ. ს. სტრუქტურული გათხრები. იქვე ორმო ურნებით. ბრტყელძირიანი ჯამი, ოღნავ პირშეწეული. ძირზე, შიდა მხრიდან დამლა, როზეტის ფორმის. ძირზე, გარე მხრიდან მკაფიო გრაფიტო ორ სტრიქონად ΑΣΚΛΗ და ΦΙ დიამეტრი 7 და 11,6 სმ. სიმაღლე 5,3. ასოების სიმაღლე 0,7—0,3 სმ. თიხა ვარდისფერი, ბრჭყვიალა მინარევებით, ლაყი ღია

წითელი, კარგი ხარისხის. ჩვ. წ. აღ. I ს. „ასკლეპიოს ... (უძღვნა ფ. -მ)“.
ან „(ჭურჭელი) ასკლეპიოსის, Φι-ს მვილის“...“.

აღსანიშნავია, რომ 1956 წ. ამ სამაროვანში ნაპოვნი იყო რელიეფური დოქი ასკლეპიოსის გამოსახულებით. ასკლეპიოსის სახელი დაწერილია არა დორიულ ფორმაში, თუმცა ამ პერიოდში ქერსონესში, ჯერ კიდევ ბატონობდა დორიული დიალექტი.

118. ინვ. № 984, ტაბ. 8, 1952 წ. ნალიკინას გათხრები. სიღრმე 2,50 სმ საშუალო ზომის სკიფოსის ფრაგმენტი. ძირი გარედან დაფარულია ლაკით. გრაფიტო: ΔI ძირის დმ. 4,4 სმ ასოების სიმაღლე 0,5 სმ. თიხა ყავისფერი, ლაკი შავი, ბრწყინავი, კარგი ხარისხის. დაახლოებით ძვ. წ. IV-ს ΔI (-ΔII)“ შეიძლება ზევსს“, ვ. იაილენკოს აზრით, პატრონის სახელის შემოკლებაა.

ზემოთ ჩვენ საუბარი უკვე გვქონდა გრაფიტოების კლასიფიკაციაზე. სვინდა ცოტა უფრო მეტად გავამახვილოთ მასზე ყურადღება. ე. სოლომონიკის მიერ მასალის ასეთი დანაწილება პირველად არ გვხვდება. იგი ყველგან ასეთი კლასიფიკაციით სარგებლობს, რის წინააღმდეგაც არაერთხელ გაილაშქრა ვ. იაილენკომ⁵.

მისი აზრით, გრაფიტოების ასეთი კლასიფიკაცია არ არის გამართლებული და გეგავაზობს თავის ვარიანტს, რომელიც, ბევრად უფრო რთული და ბუნდოვანი გვეჩვენება.

ე. სოლომონიკი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კლასიფიკაციას ახდენს ჭურჭლის სახეების მიხედვით, ანუ ჯერ იხილავს შავლაკიან, შემდეგ წითელკანიანს და ბოლოს ულაკო კერამიკას. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის ამფორებსა და პითოსებზე ნაკაწრ წარწერებზე. ვფიქრობთ, ასე უფრო ადვილი უნდა იყოს მასალის დამუშავება. მის მიერ შემუშავებული ასეთი პრინციპი გრაფიტოების პერიოდიზაციასაც მოიცავს, ვინაიდან ცნობილია, რომ შავლაკიანი ჭურჭელი უფრო ადრეულია ვიდრე წითელლაკიანი და რომ წითელლაკიანის შემოსვლასთან ერთად შავლაკიანი დეგრადირებას იწყებს, გადაიქცევა მოშავო-მოყავისფრო-მოწითალოდ და ბოლოს საერთოდ ქრება.

გრაფიტო ისეთი მასალაა, რომ ხშირად ვერ ხერხდება მისი ზუსტი დათარიღება ან შინაარსის გარჩევა (ლაპარაკი აღარ არის უანრის დადგენაზე).

ათენის აგორაზედაც კი, სადაც ყველაზე დიდი რაოდენობით მოიპოვება ასეთი მასალა, ძნელდება კარგად დაცული გრაფიტოების მოძებნა. ხშირად მკვლევარებს იმის გარჩევა უჭირთ, თუ რა სახის გრაფიტო აქვთ, შეწირულობითი ხასიათის, მიძღვნიტი, ჭურჭლის მომძღვნელის თუ პატრონის სახელია მასზე მოცემული, მით უმეტეს, რომ ღმერთების სახელებიდან გამომდინარე სახელებს ირქმევდნენ ადამიანებიც. მაგალითად, ჰერაკლე და ჰერაკლიდე ჭურჭელზე კი მხოლოდ ასოები HP არის ამოკაწრული).

ამის გარდა, ზოგჯერ ერთი და იგივე წარწერის შესწავლის დროს სხვადასხვა მეცნიერს, სხვადასხვა განმარტება აქვს. ხშირად ორი-სამი ვერსია არსებობს და ყველა განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასე რომ, ასეთი სახის გრაფიტოს ჩასმა ვ. იაილენკოს მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის რომელიმე ვიწრო ჯგუფში, შეუძლებელი ხდება, მაშინ როდესაც ე. სოლომონიკის კლასიფიკაციის მიხედვით ეს ბევრად უფრო ადვილია (გავარკვევთ მხოლოდ იმას,

⁵ В. П. Яиленко. Граффити Левки, Березани, Ольвии. — ВДИ, 1980, № 2—3, № 11.

თუ რა სახის კერამიკაზე იგი გაკეთებული — შავლაკიან, წითელლაკიან თუ სხვ.).

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ე. სოლომონიკის მონოგრაფია მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული და იგი დიდ სამსახურს გაუწევს როგორც გრაფიკოზე მომუშავე სპეციალისტებს, ასევე ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს, რომლებიც იკვლევენ ანტიკური ხანის კულტურის საკითხებს.

მ ა რ ი კ ა ნ ა ს ი ძ ე

შემოკლებანი

ენიმიკი—სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი. თბილისი.

თსუ—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მსკი—„მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, თბილისი.

ВДИ — «Вестник древней истории», Москва.

МГИАИ — Московский ордена «Знак Почета» государственный историко-архивный институт.

УЗ ИВАН — «Ученые записки Института востоковедения АН СССР», Москва—Ленинград.

ZDMG—„Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft“, Leipzig.

შ ი ნ ა ა რ ს ი — С О Д Е Р Ж А Н И Е

ზოგადი წყარომცოდნეობა
Общее источниковедение

რ. კიკნაძე. თანამედროვე წყარომცოდნეობის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა Р. К. Кикнадзе. Некоторые актуальные проблемы современного источниковедения (резюме)	3 11
გ. ალასანიძე. ისტორიულ წყაროთა კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპები Г. Г. Аласаниа. Основные принципы классификации исторических источников (резюме)	13 21
მ. მარსაგიშვილი. ძველი ქართული სამწერლობო ისტორიული ტერმინოლოგიის შესწავლის საკითხისათვის М. В. Марсагишвили. К вопросу об изучении древнегрузинской источниковедческой терминологии (резюме)	22 29
მ. ბერძენიშვილი. XVIII—XIX სს დამდეგის ქართული ეპისტოლური მასალის გამოცემის საკითხისათვის М. М. Бердзенишвили. К вопросу об издании грузинских эпистолярных материалов XVIII — начала XIX вв. (резюме)	30 38
მ. ჯაღავაძე. «ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი» და მისი ტექსტის აღდგენის მეთოდი М. А. Кадагидзе. «Жизнь царицы царц Тамар» и метод восстановления ее текста (резюме)	39 45

კონკრეტული წყარომცოდნეობა
Конкретное источниковедение

ვ. ვაშაკიძე. ძველი ბერძნული წყაროების მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიის შესწავლისათვის В. В. Вацакидзе. Значение древнегреческих источников для изучения истории Колхиды (резюме)	47 52
ვ. აბაშიძე. «ქართლის ცხოვრებისა» და «მოქცევაჲ ქართლისაჲს» ტექსტების შედარებითი შესწავლის საკითხისათვის И. Г. Абашидзе. К вопросу о сравнительном изучении текстов «Картлис цховреба» и «Обращения Картли» (резюме)	53 60
ი. ანთელავა. შენიშვნები «ქართლის ცხოვრების» ტექსტისათვის И. П. Антелава. Заметки к тексту «Картлис цховреба» (резюме)	61 66
ბ. სილაგაძე. არაბი მწერალი ყივჩაღთა შემოსევის შესახებ ამიერკავკასიაში XIII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისში Б. Г. Силагадзе. Арабский историк о вторжении кипчаков в Закавказье в начале 20-ых гг. XIII в. (резюме)	67 78
გ. ანჩაბაძე. «ძველი ერისთავთა» როგორც წყარო სამხედრო საქმის ისტორიისათვის ქართლის მთიანეთში Г. З. Анчабадзе. «Памятник эриставов» как источник по истории военного дела в нагорной части Грузии (резюме)	79 90

თ. ყაუხჩიშვილი. ბერძნული ფრესკული ისტორიული წარწერები სამეგრელოში T. S. Kauchishvili. Греческие фресковые исторические надписи Мегрелии (резюме)	91 96
ც. აბულაძე, ნ. შენგელია. ნამის „საქართველოს დაპყრობის წიგნი“ Ц. А. Абуладзе, Н. Н. Шенгелия. «Книга завоевания Грузии» Нами (резюме)	98 103
ლ. დავლიანიძე. ზაქარია ქანაკერცის ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ Л. С. Давлианидзе. Некоторые сведения Закарии Канакерци о Грузии (резюме)	104 111
კ. ტაბატაძე. სპარსული ისტორიული საბუთები როგორც წყარო სოციალური საკითხების შესასწავლად (XVI—XVIII სს.) К. Г. Табатадзе. Персидские исторические документы как источник для изучения социальных вопросов (XVI—XVIII вв.) (резюме)	112 124
გ. ელიავა. იოსებ ანჯაფარაძის ხელნაწერი თხზულება გეგეჰკორის მხარეთმცოდ- ნეობის მუზეუმში Г. В. Элиава. Сочинение Иосе Анджапаридзе в рукописном фонде Ге- гечкорского краеведческого музея (резюме)	125 130

პუბლიკაცია

Публикация

თ. ყაუხჩიშვილი. ვანის ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა T. S. Kauchishvili. Новая греческая надпись из Вани (резюме)	131 143
თ. ენუქიძე. კიდევ ერთი საბუთი ზევედგინიძე-ამილახორთა შორის სამამულო დევაზე XV ს-ის მეორე ნახევარში Т. П. Енукидзе. Документ о земельной тяжке в доме Зевдгинидзе- Амилахори во II половине XV века (резюме)	144 148

წყარომცოდნეობის ისტორიოგრაფია

Историография источниковедения

გ. არახაშია. კონსტანტინე გრიგოლია და საქართველოს ისტორიის წყარო- მცოდნეობა Г. М. Арахамия. К. Г. Григолия и источниковедение истории Грузии (резюме)	149 154
შ. ხანთაძე. აპოლონ როგავას წყარომცოდნეობითი საქმიანობა Ш. А. Хантадзе. Источниковедческая деятельность А. А. Рогавы (резюме)	155 158
გ. მარგიაანი. წყაროების ანალიზის რაოდენობრივი მეთოდი ირაკლი ანთელავას შრომებში Г. Н. Маргиани. Количественный метод анализа источников в тру- дах И. Г. Антелава (резюме)	159 163
ე. ხოშტარია (ბროსე). შოთა მესხია როგორც წყარომცოდნე Э. В. Хоштария (Броссе). Ш. А. Месхия как источниковед (резюме)	164 169

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

Критика и библиография

გ. ნასიძე. ბერძნული გრაფიტოების ახალი პუბლიკაცია М. Г. Насидзе. Новая публикация греческих граффити	170 170
--	------------

128

19/20

ГРУЗИНСКОЕ ИСТОЧНИКОВЕДЕНИЕ VII

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»

ТБИЛИСИ

1987

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

სბ 3552

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი მ. მაისურაძე
გამომშვები ე. მაისურაძე

ვადეცა წარმოებას 18. 8. 1986; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 4; 1987;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; ქალაქი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გირნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 15,8; პირ; საღ; ვატარება 16.2;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,2;
უე 00887; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 3916;
ფასი 1 მან. 80 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუშოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

21085

